

მოსახლე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

№ III

მაისი, 1897



ტფილისი

საბჭოთაო საგარეო საზღვაო საზღვაო საზღვაო საზღვაო საზღვაო საზღვაო საზღვაო

1897

შ ი ნ ა რ ს ი

I—მოღიჯულ გზაზე. — მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრძელება)	83
II—ბრძალუბი. — დრამა სამ მოქმედებად, თარგმანი ი. მ —ანისა (დასასრული)	1
III—მეფი განდგომილისა. — ლექსი გრ. აბაშიძისა	37
IV—რამას განდევნა. — პოემიდან „რამაიანი“, თარგმანი გერმანულიდან ად. ს — შვილისა (გაგრძელება).	69
V—თუშური ლექსები. — შეკრებილი დ. რუსტომაშვილის-მიერ.	71
VI—გლეხი-ქაცვის ისტორია. — ნაწილი პირველი. — ეტიკმან შატრაიანისა, თარგმანი ი. მსჭაფარიანისა	95
VII—დედის სიყვარული. — მოთხრობა კარბენ სიღვასა, თარგმანი X-სა	97
VIII— „ღირსი ვარ ამისა, ღირსი!..“ — (ეტიუდი) შ. აბაგვიანიანისა	126
IX — სპარსთვალოს სამეფოს მოხელენი. — ა. ხახანაშვილისა	130
X—ძირითადი კანონები სალიტერატურო კრიტიკისა. — ადელფ გარდუელტისა, თარგმანი ინ-ანისა	1
	15

მ ლ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მეოთხე

№ III

მ ა რ ტ ი, 1897



ტფილისი

საქართველოს ბიბლიოთეკის გამომცემი

1897

ს. ბ. ვ. ს. მ. ვ.

საქართველოს ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკა

ს. ბ. ვ. ს. მ. ვ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 марта 1897 г.

ს. ბ. ვ. ს. მ. ვ.



ს. ბ. ვ. ს. მ. ვ.

201

შ ი ნ ა პ რ ს ი

I—მოღვივულ ზუაზუბი.—მოთხრობა ან. ურესთავისა (გაგრძელება)	83-1
II—ბრძულები. — დრამა სამ მოქმედებად, თარგმანი ი. მ —ანისა (დასასრული)	37
III—ეჭვი ბანდგომილისა.—ლექსი გრ. აზაშიძისა	69
IV—რამას ბანდევნა.—პოემიდან „რამაინა“, თარგმანი გერმანულიდან ად. ს.—შვილისა (გაგრძელება).	71
V—თუზური ლექსები. —შეკრებილი დ. რუსტომაშვილის-მიერ	95
VI—გლუხი-კაცის ისტორია.—ნაწილი პირველი.—ერკმან-შატრანისა, თარგმანი ი. მანჭავაძისა	97
VII—დედის სიხვარული.—მოთხრობა კარმენ სილვასა, თარგმანი X-სა	126
VIII—„ღირსი ვარ ამისა, ღირსი!..“—(ეტიუდი) შ. ანაგვისპირელისა	130
IX—საქართველოს სამეფოს მოხელენი.—ა. ხახანაშვილისა	1
X—ძირითადი კანონები სალიტერატურო კრიტიკისა.—ადოლფ გარდნერისა, თარგმანი ინ-ანისა	15

XI—ცხოვრება და მწერლობა. — ფხვსა 31

ქრონიკა:

XII—ჩვენსა და სხვაბან. — ჩვენი თეატრი, — ვინ განაგებს ჩვენს საქმეებს. — გამგეთა მოუცლელობა და სეზონის სისუსტე. — ბალი და კონცერტი. — კრიტიკების აჯანყება და მის სასურველი დაბოლოება. — შავი ჭირი და ჭირის აკრა. 70

XIII—შინაური მიმოხილვა. — პროფესორი კრასნოვი და მისი პარალელი ინგლის-ინდოეიისა და რუსეთ-კავკასიის შორის. — Черноморскій Вѣстник-ი — „კავკაზის“ ახალი რედაქციის აღსარება. — ბ-ნი კონის რეფერატი კავკასიაში მართლ-მსაჯულების წარმოების შესახებ. — ბ-ნი მიხეილ გეგიძის აზრი ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სამართლის შესახებ. — მიწად-მოქმედების მინისტრის კანონ-პროექტი ბათუმის ოლქში მიწა-ადგილის მფლობელობის განკარგებისათვის 81

XIV—მზვიდობიანობა თუ ომი? — წერილი რედაქციის მიმართ გ. ჭალაღიდეჯისა 100

XV—ბანცხადებანი
დამატებები:

XVI—საქართველოს სიძველენი 273—288

XVII—
XVIII—
XIX—
XX—

მოლიკულ გზაზე

მოთხრობა

XIV *)

ოქრო შეეჩვია უცხო მხარეს. ამის გარდა უნივერსიტეტში ათი-თორმეტი ქართველი კიდევ იყო. ვანო მართალაშვილი მეტად პატიოსანი, თუმცა ბევრით უფროსი ოქროზე, მაინც გულით და სულით გაუთანასწორდა ამას, თანაც თავის მკერმეტყველურ სჯა-ბაასით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა გამოუცდელ ყმაწვილზე, როგორც იყო ოქრო მაშინ. ოქრო გულმოდგინებით ყურს უგდებდა, როდესაც ვანო აუწერდა ცხოვრების უნარს, აფრთხილებდა მაგრად დასდგომოდა ყოველ წუთს, რადგან საწუთრო მეტად გაუტანელი მოსჩანდა. ოქრო მეგობრებთან ერთად შესდგომოდა საქმეს, დღითი-დღე გამარჯვებაში შედიოდა. შინიდანაც მოსდიოდნენ წერილები, რომელთა წყალობით იგებდა ოჯახის ზოგიერთა ცვლილებათ; ტიტკოს ანო შეერთო, მაკინე გაეთხოვებინათ.

„შვილო,—სწერდა სხვათა შორის ზაქარია,—იმედია ზაფხულში განახავთ შენი მოხუცებული მშობლები. მაკინე ბედნიერი გვყავს, მდიდარმა შესაფერმა კაცმა წაიყვანა. მოხვალ, ნახავ, იმედია მოგეწონება. ახლა დაგვრჩა ვანო, ამასაც, ღვთით, კარგი ბედი უჩანს, როსტომ ზურაბიშვილი თხოულობს. ცოტა ტიტკოს ცოლის შერთვამ მეტად დაგვადონა, შეგვაწუხა, რადგან ანიკო, თუმცა, მართალია, კარგ ქალსა ჰგავს, მაინც არ

*) იხ. „მოამბე“ 1897 წ. № 11.

არის საფერო... ვერ გვაკმაყოფილებს ზოგიერთა მიზეზების გამო... ტიტკოსა და მაკინეს შორისაც ჩამოვარდა უსიამოვნობა... რა გაეწყობა, მადლობა ღმერთსა! უნდა მოვითმინათ... ამ უსიამოვნობის მიზეზი, ცხადია, ანიკოა, რომელიც არ მოსწონდა ჩემ მაკინეს. უშლიდა ძმას, და რაკი გაიგო ანიკამ მულის გულ-გრილობა თავისადმი, სამაგიერო მიუხლო მით, რომ ძმა ჩამოაშორა. დედა-შენი ჩვეულებრივ ვერ არის კარგა, ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ყველას თავზარი დაგვცა, დიდდემაც დაიწყო ავადმყოფობა. ეხლა ქვეშაგებში წვეს, წერილი ვეღარ მოგწერა, გთხოვა, პატარა ბარათი კიდევ გამოგზავნე, ჩემო თვალის ჩინოვო!“

ამ წერილის წაკითხვაზე ოქრო მეტად დაღონდა... წარმოიდგინა თავისი ოჯახი, გული შეეკუმშა, დაენანა, რომ ეხლა ესეც იქ არ იყო, არ უჯდა ლოგინთან დიდდას, ხელებზე კოცნით არ უსუსტებდა შეუძლებლობასა... ეს კარგი ნიშანი არ არის იმ ხანში მყოფისათვის. . ოქრომ წინადაც იცოდა, რომ ანიკოს შესვლა ცვლილებას მოახდენდა!.. მაკინე?.. განა გასამტყუნარია მაკინე, როდესაც უყვარს ძმები, მათთვის უმჯობეს ბედსა ნატრობს? მეტადრე ტიტკოსთან მეგობრულად იყო და ახლა სრულიად დაშორებია?... განა ჩვეულია ზაქარია სარდიონის შვილის ოჯახი ამ არეულობას?... ოხ, ტიტკო, რა ჰქენ? — შესძახა ოქრომ და დამძიმებული გულიდან აღმოხდა კვნესა... ოქრო მალ-მალ კითხულობდა მაგდანის ამბავს, მაგრამ მის შესახებ მარტო ორიოდ სიტყვა მოსდიოდა: „ისევ ისეა“. მოუვიდა აგრედვე მაკინეს წერილიც, რომელშიაც აწერილი იყო დაწვრილებით თვისი ახალი ცხოვრება, ჰპატიჟებდა ძმას ბორჯომში საზაფხულოდ, ტიტკოს შესახებ კი კრინტს არა სძრავდა. კარგა ხანს არც თვითონ ოქროს მიუწერია ძმისთვის, მაგრამ ბოლოს გულმა ვეღარ მოუთმინა და მიულოცა, იმ მოსაზრების გამო, რომ ტყუილად ძმას მოინდურებდა და საქმეს აღარა ეშველებოდა-რა. რავდენიმე თვის შემდეგ მიიღო პასუხიც:

„დიდადა გმადლობ მოლოცვისათვის, ოქრო!... ჩემი იდეალი იდეალადვე დარჩა, ანიკომ არ გააქრო ჩემში თავისდამი



აღტაცება, რადგან ანგელოზად მოჩვენებული ქეშმარიტ ანგელოზადვე დამტკიცდა, ვერ წარმოიდგენ, რა რიგად ითმენს, როდესაც უფროსები მას უბღღერებენ, თითქმის ხანდახან სიტყვებით შეურაცხებას აყენებენ!... ცდილობს, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ იმათი გული როგორმე მოიგოს; თითქო კიდევაც გაიმარჯვა, მაგრამ, სამწუხაროდ, მაკინეკი შორს გაუდგა. ანიკომ აბატია ყველა, რაც კი მოინდომა ჩვენის განშორების გულისათვის, მაინც მაკინეკი მიდგა ჯიუტი აღმოჩნდა... იმისი ნება არ არის? ძალას ვინ დაატანს!... ახლა კი კმარა ამ საგანზე ლაპარაკი... ძალიან მიხარობ, რომ შენი საქმე კარგა მიდის... უგულითადესი მოკითხვა გადაეცი თავად ვანოს, რომელსაც პატივსაც ვცემ, როგორც ძმის მეგობარს. მამა გწერდა ამას წინად, აგრედვე დედა-ჩემიც, ახლა მეც ეუმატებ, რომ ძალიან სასიამოვნო იქნება თუ ზაუხულში გვეწვევა... მაგრამ, ეჰ, ძმაო, გულდასმით მოისმინე... სჯობს ბარემ მოგწერო საქმე როგორც არის! მიხლართულ-მოხლართული გზები პირდაპირ გადავჭრა. . არც შენა ხარ ბავშვი, იმედია, გულს გონების განსჯასაც მოაყოლებ, გაუბატონებ... ამის გამო აღარ დაგიმაღავ: დიდება აღარა გვყავს, თავი დავგანება, მისი უკანასკნელი სიტყვა, ლოცვა-ვედრება შენ იყავ. ოქროს ხსენებაზე მას დააჩნდა საუკუნო მშვიდობიანი ღიმილი ტუჩებზე, გიგზავნი იმის სურათს, რომლის გადაღება ამ რავდენიმე კვირის წინად მოინდომა, უკანასკნელ წუთებში გვთხოვა შენთვის გამოგვეგზავნა, რათა გაიხსენო მოხუცებულის ოდესმე არსებობა, მოიგონო მისი მოძღვრება. მამა ძალიან სწუხს, მოსწერე სანუგეშო წერილი, გამკურნებელი მაღამო იქნება მისთვის“.

ოქრო წერილს კითხულობდა, ცრემლებს აფრქვევდა, იმეორებდა:

— ნუ თუ ერთხელ მაინც არ უნდა მღირსებოდა შენი ნახვა, ჩემო ძვირფასო დიდებავ? — და გულითადის მწუხარებით მოწიწებით ჰკოცნიდა უსულო სურათსა; გულ-მწუხარემ იმ დღესვე ახდევინა პანაშვიდი ძვირფასი სულის სასუფეველში დასამკვიდრებლად, უიმისოდაც ღვთის მოსავი, დღეს გულ-დამ-

წვარი იდგა ეკკლესიაში, ისმენდა წმინდა სიტყვებს. ოქრომ ზაფხულამდის ვერ მოახერხა შინ დაბრუნება. როცა დაბრუნდა, ზოგიერთა ცვლილება ნახა სახლში: მშობლები უფრო მოხუცებოდნენ, გაიანე შეღერებულყო, ტიტკოც გონიერებით სჯიდა ცხოვრებაზე. ოქრო მიხედა, რომ ანიკოს ზე-გავლენით მომხდარიყო ტიტკოში ეს ცვლილება. აღერსიანი ქალი თავს ევლებოდა ყველა სახლში მყოფთ და გულში აღძრულ სანდურავს ხმას აკმენდინებდა. ნახა მაგდანის საფლავიც და ეამბორა მას მოწიწებით. ახალი მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც მასზე მოახდინა დიდედას სამარის ნახვამ, კარგა ხანს არ შორდებოდა ოქროს, მაგრამ ტიტკოსა და დანარჩენ მახლობლების წყალობით დღით-დღე გამოერკვა, ნაღველი მოიხადა. მეზობლები სიამოვნებით მოდიოდნენ ოქროსთან, ავონებდნენ ნეტარ-წარსულ დღეებს, დღესაც უნდოდათ მათი განმეორება. ახალგაზდა სტუდენტის სტუმრობა ყველასათვის სასიამოვნო, სასურველი იყო, ნადიმებს უმართავდნენ, გულწრფელად სვამდნენ საღვებოძელოებს საწმინდოებსა და მოძმეთა კეთილდღეობისათვის. ოქრო ეწვია მაკინეს, რომელიც აგარაკად გასულიყო ბორჯომში, მაკინემ დიდის ყოფით მიიღო ძმა, მოუპატიჟა რჩეული საზოგადოება, აგემა უჩვეულო სიამოვნება. ოქროს უხაროდა მაკინეს დედოფლური ცხოვრება. მაგრამ სრული ბედნიერი იყო? ეკითხებოდა ეს თავის თავს, ექვის თვალთ შებედა ჯერ დას, მერე იასონს. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა შეუსაბამო არსებას ცოლთანა, უშნო სრული ტანი ძნელად იფერებდა დიდკაცურ მიხვრა-მოხვრასა. როგორ დაეჯერა, რომ ეს ულაზათო ქერა სახე გააღვიძებდა მაკინეში იმ აღტაცებულ, თავ-განწირულ, ცაში ამაფრენ გრძნობათა, რომელნიც იბადებიან ერთმანეთთან სულით, გულით, გონებით, მხედველობით დაკავშირებულ არსებათა შორის? რომ მათთვის ურთერთს გარდა არა არსებობს-რა, ყველგან სიბნელეა, სიკარიელე, ქვეყანას ბოლო ეღება, ჰქრება! რა ბედნიერნი უნდა იყვნენ ამ უკანასკნელ გარემოებაში მყოფნი მიჯნურნი! გაუელევა თავში ოქროს. ამას ჯერ არ გამოუცდია,—მოწონებით არა ერთი მოსწონებია, არა

ერთთან უცელქია, თითქმის საქმე იქამდე მისულა, რომ ტუჩებსაც კი წარმოუთქვამო სხვა-და-სხვა მხურვალე, ალერსიანი სიტყვები, მაგრამ ყველა ეს მომხდარა მარტო ვნებათა-ღელვის ზე-გავლენის გამო. მასში მცირე მონაწილეობა თუ მიუღია როგორც გულს, ისე გონებას, წმინდა მისწრაფებასა. ოქროსთვის ჯერ ეს გამოუცდელი მოვლენა იყო, ამისი მხურვალე ბუნება ითხოვდა, ეტანებოდა ამ ბედნიერებას, მაგრამ იდეალი ზეცი-დან არა აპირობდა ჯერ-ჯერობით დედა-მიწაზე ჩამოფრენასა. ყოველად შეუძლებელია, რომ მაკინე ბედნიერი იყვეს, თუმცა იასონ დიდ პატივსაც სცემდა ცოლსა. დიად, ოქროს სჯერა, სწამს, რომ ესენი დაკავშირებულან მარტო უეცარ, მოულოდ-ნელ შემთხვევის წყალობით, რომ მედიდურობის მოყვარული მაკინე დაეჯერებია ქრმის შეძლებას, სამსახურში დაწინაურებას და ქალთა შორის პირველობას... ოქრო მაკინეს ღირსებასთან ერთად აგრედვე ამჩნევდა ნაკლულევანებათაც, რომელთ შო-რისაც იხატებოდა ყველაზე მეტად ამაყობა; მაინც უყვარდა, მისი სახის დანახვაზე ავიწყდებოდა ყოველი ზადი, გული ნებას აღარ აძლევდა ფართოდ გაეჩხრიკა მაკინეს მართლადაც ნამდვი-ლი ჭეშმარიტი ნაკლულევანებანი.

— მაკო! ყოველ დღე ანგრე მომხიბლველად ხარ ხოლმე მორთული!— ჰკითხა ოქრომ, რათა ეს უსიამოვნო ფიქრები მოე-შორებინა თავიდან.

— ყოველთვის, ერთი საათიც არ არის მოსვენება, მოდიან, მეც მოვალე ვარ დავუხვდე.— უბასუხა დამ. ოქრომ თვალი მოაელო დარბაზს, რომელიც მორთული იყო ევროპიულად. სავარძელში მედიდურად გადაწოლილი, სუბუქ ჰაეროვან ტა-ნისამოსში მორთული მაკინე აღტაცებას აკრძნობინებდა.

— მშვენიერო!— შესძახა გაოცებით ოქრომ, დაუწყო კოც-ნა ხელზე დას, ისიც ღიმილით უსწორებდა შუბლზე ჩამოწე-წილ კულულებს.

— აბა მომიყევი, გენაცვა, როგორა ხარ? დროს როგორ ატარებ?.. უეჭველია, ბევრ ქალს უჭირავს შენზე თვალი, შე-მოგნატრის, ღმერთს ევედრება შენთან დაკავშირებას?— ეკით-

ხებოდა მაკინე.—ჯერ აღრეა, დაიცა, სწავლა დაამთავრე, მიიხედ-
 მოიხედე, აჩვენე ყველას ღირსებანი, ჩვენც თავი მოგვაწონებინე.
 დღეის იქით შენთვის ვიზრუნებ, შენთვის ვიფიქრებ, რომ ბედ-
 ნირი, კმაყოფილი იყვე, ჩემო ბიჭო!...—ოქროს დის მშობლიური
 ალერსი გულში ღრმად სწვდებოდა, სიამოვნება მადლობას
 უღვიძებდა.

— ხომ ბედნიერი ხარ, მაკო? ჩვენს შორის დამალული
 არა უნდა იყვეს—რა.—ჰკითხა ოქრომ, შეაცეცა სახეში თვალე-
 ბი, უნდოდა ჩასწვდენოდა გულის სიღრმეში, ამოეცნო იქიდან
 ნამდვილი პასუხი. ოქროს მოეჩვენა, რომ მაკინეს მშვენიერ სა-
 ხეზე გადურბინა ჩრდილმა. მაკინე გასწორდა, წუთს დანაღვ-
 ლიანებულ თვალეში გაუბრწყინდნენ, მარაო ხელში მოიმარჯვა,
 უპასუხა.

— განა ექვშიაც შესულხარ ჩემს ბედნიერებაზე, ოქრო?
 თუ ანგრეა, სცდები, რადგან დიდი ბედნიერი ვარ!—ამ მტკიცე
 პასუხმა არ დაანანა ოქრო წარმოთქმულზე.

— ხომ არ გაჯავრდები, მაკო, რომ გითხრა ექვში ვარ-
 მეთქი?

— არა, მაგრამ მიზეზი უნდა დასახელო.—ქალი გადაწ-
 ვა დივანზე, იქარვებდა მარაოთი, თითქო აწუხებდა სიცხე, რო-
 მელიც აგრე რიგად საგრძნობი არ იყო. ოქროს გაუძენლდა პა-
 სუხის მიცემა, ან რა ეთქვა?... ხომ ვერ ეტყოდა: იასონი არ
 ნომწონს, უშნოა, ჭკუა-მოკლე, არ არის შენი საფერო, რომ
 მშვენიერება-დიდებულებებისათვის გაჩენილი არსება ვერ დაკმა-
 ყოფილდება მაგითო! დაუოყმდა, მაინც შემდეგი მოიშეგლია:

— შენი გარემოება მარწმუნებს, მაკო, რომ დიდი ბედ-
 ნიერი უნდა იყვე, მაგრამ ხომ დამეთანხმები, რომ ხშირად
 პორტირ წამოსხმულ დედოფალსაც კი სხვა-და-სხვა მისწრაფე-
 ბათა დაუკმაყოფილებლობისა გამო გული ევსება ხოლმე სევ-
 და-ვარამით? არ შეიძლება შენც რაიმე მიზეზის წყალობით არ
 ეთანხმებოდე ამ გარემოებას, მარტო ნება-უნებლიედ დამორ-
 ჩილებოდე აუცილებელ ხვედრსა, რომელიც დიდი ძალაა გან-
 გებისა?...



ოქრო განაგრძობდა გამოცდით ყურებას, ქალს სახეზე აღებქდა შიში, მაინც თავშემაგრებით და ძალდატანებულის სიმშვიდით წარმოსთქვა:

— არ მეყურება, რა გინდა სთქვა? წელანაც გითხარი, ეხლაც გამეორებ, ბედნიერი ვარ-მეთქი. დიალ, ბედნიერი! — დაუქინებით, გულში დაცინვით დაუმატა ქალმა. — იასონი კეთილია, ჩემი პატივის-მცემელი, ძალიან უყვარვარ. ამ ერთი თვის წინად ათას თუმნად გაყიდა მზის მიწები, ბალი გაუმართა უგანათლებულეს თავადს ს. და იმ ბალის დედოფალი მე ვიყავ. ნადიმები, სეირნობა, თეატრი, მშვენიერი ჩაცმა-დახურვა, ყველგან და ყველგან პირველი ადგილი, სიმდიდრესა თუ პატივის-ცემის და სხვა რაღაა საქრო ნეტა? ოქრომ თავი ძირს დახარა. ეს უკვე დამარცხებული იყო მაკინეს აზრით, ის კი გამარჯვებული უყურებდა მას. გულ-უბრყვილო, პატიოსან ოქროს ეგონა თავისი მზგავსი ხალხი ეხვია გარსა, მაგრამ მერე და მერე, როდესაც დრო მიდიოდა, ესეც ცხოვრებაში შედიოდა, ყოველ ზაფხულს უბრუნდებოდა ოჯახსა, აკვირდებოდა, თან-და-თან ამჩნევდა უმართებულობასაც. ოქრო ხედავდა, თუ მაკინე როგორ იშვიათად დაიარებოდა დედ-მამის ოჯახში, ორის დღით მოვიდოდა, ნახავდა მოხუცებულ მშობლებს, ისე მალე გასწევდა. ამისთანა საკციელი ბევრს არ მოსდიოდა თვალში და ჰკიცხავდნენ თვითონ ოქროსთან, რომელიც გულში ეთანხმებოდა, მაგრამ პირად კი ესარჩლებოდა თავმოყვარეობის გამო; მაკინე თავს მართლულობდა ოქროსთან; როდესაც ეს უკანასკნელი დაუწყებდა ლაპარაკს, უმტკიცებდა, რომ ტიტკო ანიკოს ვეღარ გაეყრებოდა, ტყუილი სამღურავი ჰქონდა მაკინეს, მაგრამ მაკინე ცრემლების ღვრით არწმუნებდა ტიტკოსთან უსიამოვნობის სრულიად სხვა მიზეზზე. თუმცა ოქრო სთხოვდა გულახდით ყოფილიყო, ქალი მაინც დაქინებით ჰუარავდა, თან ჰპირდებოდა ოდესმე ეთქვა.

ოქრომ უკანასკნელი ზაფხულიც სოფელში გაატარა, შემდეგ ექვსი წლის განმავლობაში აღარ მიუხედნია თავის ქვეყნისკენ.

XV

ოქრომ გადასწყვიტა, დაბრუნდებოდა თუ არა სამუდამოდ სამშობლო ქვეყანაში, სამსახურში არ შესულიყო, რადგან შეძლება კარგი ჰქონდა, თავისუფლება ყველას ერჩივნა. როდესაც არავის თვალ-წარბში შემყურე არ იქმნებოდა, უფრო სამართლიანად გასჯიდა, გაითვალისწინებდა საქართველოს ერის ავ-კარგს, შეძლების-და გვარად შემწეობას მიაწვდენდა. ოცნებობდა აგრედვე, თუ როგორ გახსნიდა თავის სოფელში სამაგალითო წესებზე დაყენებულ სკოლას, სადაც ორასობით ბავშვები აღიზრდებოდნენ, მოიწვევდა კეთილ სინიღისიერ მასწავლებელს, ჩააბარებდა მოზარდ თაობის ბედ-იღბალს, თვითონაც მეთაურად დაუდგებოდა. დაადგენდა სოფლისთვის ფულის თანხას, მიიმხრობდა სხვა მემამულეთაც, ხელი-ხელს მისცემდა, ძლიერი სუსტს აეკედლებოდა, ცხოვრება აღარ შეტბორდებოდა, არამედ იწყებდა ჩქერას, ქუხილს, ვით მთის ანკარა ნაკადული. ამ მოსაზრებით აპირობდა წასვლას ოქრო სხვა ქვეყნებშიაც, რათა იქაური ნერგი სიკეთისა გადმოეტანა პატარა შვეიცარია-საქართველოში, ეხარებინა. ამ ფიქრებში იყო შესული ერთხელ ოქრო, როცა ოთახის კარი გააღო მისმა ამხანაგმა ვანომ და, რა დაინახა ოცნებით გატაცებული, ჩაიღიმა:

— ზევით, ოქრო, ზევით! რაც შეიძლო, შენი აზრები, მისწრაფებანი ზეცას მიაკარ, საქმე მათ გაუწონე, თორე თუ ძირს ჩამოხვედი, სული შეგიგუბდება, დასუსტდები. — უთხრა მან. — თუ შენი ქვეყნისთვისა ფიქრობ, მალლა-მალლა ადი, რათა უფრო კარგა განიცადო მისი ჭაობი, რომ მოხერხებით შეიძლო ამოშრობა, წალკოტად გარდაქცევა!... — დაუმატა ვანომ, ღიმილით მიუახლოვდა და ხელი დაჰკრა მხარზე.

— მართალს მეუბნები, გულთმისანიც ყოფილხარ, ამოიცანი საგანი ჩემის ოცნებისა! — უპასუხა ოქრომ. — დიალ, მე ფიქრობ ჩვენი ხალხის ბედ-იღბალზე, ვნატრობ, მისი მერმისი საუ-

კეთესოდ მოეწყოს, მივდივარ სამზღვარ გარედ, ვანო, რომ შევიქურვო ახალის ძალ-ლონით.

— ხვალ გავშორდებით ერთმანეთს და, ვინ იცის, კიდევ როდის შეგვახვედრებს განგება? ვანო ფიქრებში შევიდა, მობართა გონიერი თვალები ოქროს და წარმოსთქვა:

— იმედია, ჩვენი მიწერ-მოწერა არ შეწყდება?

— განა მაგაზე ვქვიცა გაქვს?

— ნუ გიკვირს. დრო და გარემოება ძლიერია... მათ შეუძლიანთ სრულიად გადაგრიხონ, შეგცვალონ: გაფრთხილდი, ოქრო! ხალხს მორიდებით მოექეცი... შეიძლება მათ თავიანთის მოხერხებით, ყომარბაზობით შენც გაგხვიონ რაშიმე, გაკისრებინონ ის, რასაც ღღესა ჰკიცხავ!

— რას მეუბნები, ვანო?! მაშ ვერ გიცვნია ოქრო, მისი სალოცავი პატიოსნება, რომელიც აკენიდანვე ჩამწერგვია გულში სათაყვანო დიდებისაგან! ღღესაც თან-და-თან იზრდება, სხივებს ისახავს გარსა, მიმორჩილებს; თუ გაჭირდა, მსხვერპლადაც შევეწირები, გეფიცები ამის სულს, გეფიცები ამის მადლსა! — დაუმატა ოქრომ. გულიდან გამოიღო მოხუცებულის ქალის სურათი, ამასთანავე იესოს პატარა ხატი, რომელსაც მოწიწებით ენთხვია.

— ვიცი, კურთხეულ იყვეს ის დედა-კაცი, რომელსაც გაულვიძებია შენში სასოება სარწმუნოებისა! ბედნიერი ხარ, ძმაო, ეგ რწმენა დიდს სიმხნევეს მოგცემს ცხოვრებაში, მე კი, ჩემდა საუბედუროდ, მოკლებული ვარ მაგასა. თვით უძნელეს წუთებშიაც კი, როცა გული იწყებს უიმედოდ ღონებას, წამი სამსალაზე მწარეა, არა მაქვს ღონე მოვიწოდო ვინმე სათაყვანო, წმიდა არსება! ვინ გითხრა, რომ შენ არ გიცნობ? გაიხსენე, როდესაც მოხველ ჩვენს უნივერსიტეტში, იყავი თვრამეტის წლისა. მას აქეთ თვალ-ყურს ვადევნებ შენს აზრს, მოქმედებას, შენი სულის და გულის სისპეტაკე ამ უნივერსიტეტის, თუ ამხანაგების თავ-მოსაწონებლად გამხდარა, ახლა ეცადე მთელი ქვეყნის აფრიალებულ დროშად გარდიქცეს. ოქრო სიამოვნებით შეჰყურებდა მეგობრის მიმზიდველ, მაგრამ ნაღვლიან სა-

ხეს. ოქროს გულში ღრმად სწედებოდნენ ვანოს ქეშმარიტი სიტყვები. ამ წრფელი ლაპარაკით გაატარეს საღამო ორმა გულთაღმა მეგობარმა. ესენი უზიარებდნენ ერთი-მეორეს აზრებს, სურვილთ თუ მოქმედებათა... ვანო ოქროს მოღძვარი იყო. თუმცა მოშორდა, მაინც ამათი მისწრაფებანი შემდეგშია ცურათ-ერთს ეამბორებოდნენ წერილების წყალობით. ოქრომ დასტოვა მეგობარი ისევ მოსკოვში, რადგან ვანო უკვე დაცოლში-ღლებული იყო და უნდა დამორჩილებოდა ხვედრს, რომელმაც შესაფერი მეუღლე არ დაუწერა. ცოლ-ქმარ შუა იდგა დაუშრობელი ზღვა და აღარ შრებოდა. ოქრო დაბრუნდა ექვსის წლის შემდეგ. ჯერ მოსკოვში დაჰყო რაედენიმე ხანი ვანოსთან, მერე კი გამოემართა თავის ქვეყნისკენ.

რა სიხარულით მოესწრაფებოდა ამ წმინდა ადგილისაკენ! ნუ თუ ისევ ისე დახვდება ყველა? დედ-მამა კი აღარა ჰყავდა ოქროს, მაგრამ დები? ძმა? ნაცნობები? ნათესაობა? მთელი ქართველობა? ნუ თუ ექვსი წელიწადი ისეთი ხანგრძლივია, რომ შესამჩნევად შესცვალოს ყველა! ტიტკოსა და მაკინეს შორის უსიამოვნებაც წინანდელზე მეტად გამწვავებულია, რომლის მხარე დაეჭირა? მაგრამ ორივეს უნდა აპატიოს. დღეს როგორღა არიან? ისევ ისე... აკი სწერდნენ ტიტკო, მაკინე და ვანო. გაიანე და მაკო ერთ აზრს შესდგომიან, ტიტკო გაუნაბირებიათ. რას აკეთებდნენ გიორგი, სიკო და სვიმონი? ისინი უკვე დაბინავებულან, ადგილები უშოვნიათ ტფილისში, ჩინოვნიკები დამხდარან.. მოსკოვში ყოფნის დროს კი დაყინებით გაიძახოდნენ: სოფლებში! სოფლებში უნდა დავიფანტოთ, დაცემულ ხალხს მხარი შეეუღღათ, ავმართოთო? ოცნებობდა ოქრო, როცა მატარებლით მიჰქროდა სოფლისკენ. ამისი ფიქრი შეწყდა, რადგან მატარებელი შეჩერდა; გადმოვიდა ბარგით, იქირავა ეტლი, უბრძანა ს. ვ—ში წასვლა. ეტლში გადაწოლილს ქუდი შუბლზე ჩამოეწია, ათვლიერებდა ყოველ საგანს, რაც მის წინ ჰკრთებოდა.

— ისევ ის არის... ისევ ის! — იმეორებდა გულში ოქრო — რა სახითაც გააცილა ამ გზამ პატარა ბიჭობისას, თუ სტუდენტობის

დროს, ეხლაც იმავე სახით ეგებება; განსხვავება მარტო იმაშია, რომ მაშინ შემოდგომა მოახლოვებულიყო, ეხლა კი ზაფხული გაჩაღებულია, შესაფერად ღღესასწაულობს ბუნებაც, სხვა-დასხვა ჰანგებზედ მოუმართავს ფრთოსანნი, ყურს უჭედენ მსმენელთა. ოქროს მოცსმა ზუზუნი, ყანები ღელავდნენ, მარჯენივ თუ მარცხნივ იწვევდნენ თავისკენ დასაძინებლად, ალაგ-ალაგ გულ-გაღედილი მუშები ღონივრად იქნევდნენ ცელებს, ნამგლებსა, ხელეურები ერთი-მეორეზე ეწყობოდნენ, აგერა ქვევით შორს მოსჩანს მდინარე მოელვარე სახით, ეს სახე იხუტებს გულში მზის სხივებს, ეალერსებ-ეთამაშება... გასამზიარულებლად გამოსცემს საგულისხმიერო ხმებს ჩქერაში. ეს არის საკრავი, ეს ტრფიალებაა, თხოენაა მიმართული ზეციურ სუბუქ ღრუბლებისკენ, რომელთაც გადასცემს სრულ თანაგრძნობას, ჰპირდება გაჭირებაში დახმარებასა, ეტლის ზარების წკარუნი უერთდება, შიგ ერევა ამ საერთო ხმაშია. ეტლი მიახლოვდა სოფელს, მოისმა ძაღლის ყეფა; ოქრო გასწორდა, დაუწყა სოფელს თვალთვრება. ოქრო დააჩერდა დუქნის წინ შეგროვილ ხალხსა! აგერა ილიკო, სვიმონა, ბეჟო და სხვები. ღმერთო, რა რიგად შეეცვლილან, თითქო მობერებულან კიდევაც!... ისინი არიან, მაგრამ მათ ველარ იცნეს ოქრო. ქუდები მოუხადეს, მაინც თავიანთი მებატონე არა ჰგონიათ... ეტლმა შეუხვია მარჯენივ, გამოჩნდა მამა-პაპეული სახლი. ძირს ვენახის ღობესთან თოხზე დაყუდებულია ვიღაც კაცი, უყურებს მომავალ სტუმარსა.

— სოსეს გამარჯვება! — დაუძახა ოქრომ, როდესაც იცნო ძველი, ერთგული მოსამსახურე. — ველარ მიცანი, სოსე? ოქრო ვარ, შენი გაზრდილი ოქრო, დაუმატა ოქრომ. — როცა ეტლიდან გადმოხტა და მივიდა გაშტერებულ მოხუცთან.

— ჰა, ბატონიშვილი?... ნუი, შენი კირიმე, ბატონო, ნუ მკოცნი! აბა რა ღირსი ვარ!... — უთხრა, თვალეში ცრემლ-მოორეულმა სოსემ.

— როგორა ხარ? წამო, წავიდეთ ზევით. ჩვენები სად არიან? როგორ დაცარიელებულა სახლი? — ჩქარ-ჩქარა აძლევდა კი-



თხვებს სოსეს, რომელმაც არ იცოდა პირველად რომელზე ეპასუხნა.

— დალოცვილო, როგორ გამოცვლილხარ! მტერს კი დაუყენებ თვალებსა-და!—სოსემ მიიტანა შუბლთან ხელი, ისე გამოჰხედა ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილ ულვაშებ-და-ბზენილ ოქროს. ოქრომ აირბინა კიბეზე, პირდაპირ ოთახები-საკენ გასწია, მაგრამ ტიტკო და მისი ცოლი არსადა სჩანდნენ.

მოსამსახურეები შერბოდ-გარმობოდნენ, ეზიდებოდნენ ბარგსა და აწყობდნენ დანიშნულ ადგილზე.

— ბატონები სად არიან?—იკითხა ოქრომ, რომელიც და-დიოდა აივანზე.

— კნენა დარისპანი-ძიანცა გახლავთ. ბატონმა ბიჭები წაასხა სათიბში,—მოესმა პასუხი. ოქროს თავისი ოთახი ხელ-შეუხებლად დახედა, ჩაჯდა სავარძელში, იწყო ფიქრიანად ყუ-რება. აგერ დედ-მამის ოთახის კარი, საცაა გაიღება, შემოვლენ ისინი, რა ნაირად გაეხარდებათ ეფემიას და ზაქარიას, მაგრამ არა სჩანან. მარტო ჩარჩოებში ჩასმული მათი სურათები გამო-ჰყურებენ უძრავის სახეებით. ოქროს სევდა მოერია. რა მოე-ლის ამასაც? ოქრო იხედებოდა აქეთ-იქით, მაგრამ ჯეროვან პასუხს ვერავინ აძლევდა. სოსე იდგა იქვე ახლო, ეტყობოდა უნდოდა ამასთან ლაპარაკი, მაგრამ ვერა ბედავდა.

— სთქვი რამე, სოსე? შენი სახლობა როგორა გყავს?— ჰკითხა ოქრომ, რათა როგორმე მოეშორებინა ის უსიამოვნო აზრები თავიდან.

— გახლავართ, შენი ჭირიმე, რაც კი გაეწყობა ჩვენ სი-ღარიბესა.

— ჩვენს ძველ მოსამსახურეებში შენ-ლა შეგვრჩი? საწყა-ლი მაზე! ძალიან დაგვაკლდა.

— ოხ, ბატონიშვილო, ნუღარ მომაგონებ იმ უბედურ დღეებს, სწორედ ღვთის რისხვა მოველინა ჩვენს ქვეყანასა. ქალბატონი და ბატონი რომ ხოლერით დაგვეხოცნენ, მე და მათეს მეტი არავინ ვიყავით, რადგან ტიტკოც შეწუხებული მესამე ოთახში იდო, ანიკო თავს დასტიროდა. მაკინე ქალაქში

იყო. თუმცა ჩემად შევატყობინე, მაგრამ არ მოხედა, გაიანე კი ქმარს არ გამოეშვა. ისე საცოდავად დაიხოცნენ, მესამე დღეს მათეც იმათ გამოუდგა, დავრჩით სამნი, ტიტკოს მორჩენა კი სწორედ საკვირველება იყო, რაკი არ ეწერა სიკვდილი, გადა-რჩა. მეტად ღვთის სულია ბატონი რძალი, მეტად! — დააბოლო-ვა ნაღლიანად მოხუცმა. ამ მოგონებაზე ოქროს ნაღველი გაუ-ორკეცდა. მოუნდა თავის დამართოვება ოთახში, სთხოვა სოსეს წასულიყო, მზარეული დაეჩქარებინა... ოქროს შეუსრულდა სუ-რვილი, გაწვა მდივანზე, ხელები თავ-ქვეშ ამოიწყო, იყო ისე რაედენსამე ხანს... სოსესგან აღწერილი გარემოება ეფემიასა და ზაქარიას სიკვდილის დროს ცხოვლად წარმოუდგა თვალ-წინ-შემდეგ თან-თან მოიშორა, გადავიდა აწმყოზე. ოქროს არ მოსწონდა, რომ ოჯახს უმჯობესობა არ ეტყობოდა, სწორედ ისევე იყო, როგორც დასტოვა ოქრომ წასვლის დროს. რას აკეთებდა ტიტკო ამ ხანებში! მართალია, ზარალი მოუვიდა, რომ დედ-მამა დაეხოცა, მაგრამ მაინც იმდენი შეძლება ჰქონ-დათ, რომ შეეძლო შეემატა ცოტა რამ.

— ღმერთო, როდის დადგება იმ წესებზე საქართველო, რა წესებზედაც სხვა ქვეყნებია?... მგონი მთელი საუკუნე გავიდეს მანამა! უხეიროა ტიტკო, უანგარიშო, დაუდევარი, როგორც ათასი სხვა... მაინც არა უშავს-რა... ოქრო მოვიდა, მხარს მის-ცემს, ამასთან ერთად იწარმოებს. ტიტკიას მეტი არ მოეთხო-ვება, რადგან უსწავლეელია; მაინც ჯერ კიდევ დრო არ არის დაკარგული...

— მართალს ამბობ?. მერე როდის მოვიდა?

— ეს არის ეხლა.

— რატომ არ შემატყობინე?

— აკი გაახელი ბიჭი.

— გოგი, ძია მოგსვლია, შვილო? წამო, წამო ჩქარა! — შე-მოესმა ოქროს. ეს წამოხტა ზეზე, გამოვიდა აივანზე, სადაც ანიკოს შეხვდა. ოქრომ ხელები დაუკოცნა რძალსა. ანიკო სრულებით შეუცვლელი ეჩვენა. მისი ეშხიანი, გონიერი, მაგრამ მორჩილი თვალები წინანდებულადვე მშვიდობიანად შემოაპყუ-რებდნენ.



— მიდი ძიასთანა, შეილო! — უთხრა მან გვერდზედ მდგომ სამის წლის ბავშვსა, რომელიც ჩაბლაუჭებოდა დედის კალთას, ცნობის მოყვარებობით ათვალეირებდა ახლად მოსულსა. ოქრომ ხელში აიყვანა ძმისწული, დაუწყა კოცნა.

— ხომ არ დაიღალე, ოქრო? — მზრუნველობით ჰკითხა ანიკომ, როდესაც შევიდნენ ოთახში.

— ცოტათი.

— კიდევაც მოგშვიდებოდა?

— არა, მ-ს სადგურზე ვისაუზმე. წუხელის ბათუმში დავ-რჩი, დღეს კი პირდაპირ აქ მოვდივარ. მაკინე განოსთანა ყოფილა ამ ზაფხულს, ანიკო! წერილი მომივიდა სწორედ იმ დღეს, როდესაც გამოვდიოდი მოსკოვიდან, — დაუროთა ოქრომ.

— მაკინე ყოველ ზაფხულს იქ არის ხოლმე.

— ისევ ნანდურავადა ხართ? — ჰკითხა ოქრომ და პირდაპირ სახეში შეაჩერდა ქალს, მაგრამ ეს არ შემეკრთალა, არამედ განაგრძობდა აღუშფოთველად ყურებას.

— ისევ ისე, — უპასუხა ანიკომ.

— ბოლო აღარ უჩანს?

— თეთონ ისე მონებებია და ჩვენ რა ვქნათ! — ანიკომ უამბობო, ტიტკო როგორ წავიდა გაიანესთან, როცა მაკინე იქ იყო, მაგრამ მაკინემ არ ინდომა... მას აქეთ ტიტკომაც თავი მიანება... ოქრო თვალს არ აშორებდა ანიკოს, რომელიც იჯდა დივანზე თავ-დახრილი და ხელით სძენძავდა ბეჭებზე მოდებულ აბრეშუმის შალის ფოჩებს.

— რომ იცოდე, ანიკო, თუ რა გაჭირვებულთა მაკო, დანაშაულიც რომ ჰქონდეს, აპატიებდი... დედაკაცს ორმოც წელიწადს აღარ უკლია-რა, აბა როგორ-ღა შევცვალოთ? ჩვენივე სირცხვილი იქნება, რომ მას ეხლა გაუჭირდეს ცხოვრება.

— მაგაზე ვინ გიხირდება? ტიტკომაც მაგისთვის მიანება თავი ნასესხებ ხუთას თუმანს, მაინც გული ვერ მოაბრუნებინა... უპასუხა ქალმა. ოქრომ იცოდა ტიტკოსგან, რომ იმათი უსიამოვნობა გამწვავებული იყო ფულის სესხების გამო, რომ მაკინეს ხუთასი თუმანი დაეხარჯა, ვეღარ დაებრუნებინა. ტიტკო

სწერდა აგრედვე: „კიდევ მთხოვა, ნასესხებ გარდა, ფულიო, მე უარი ვუთხარი, ამაზე შემომწყრაო“. მაკინე კი ატყობინებდა, რომ მიზეზი ამ მოძულეებისა თვითონ ოქრო იყო, რადგან რაკი შევატყე, რომ შენი ხეივანი ფულისათვის მოკლება უნდოდა, მე ვუმტკიცებდი, ნება არა გაქვს ასე უსინიდილოდ, უკანონოდ მოექცე,—შეიძლება დაისაჯო კიდევაც და არც დაგინდობ მე თვითონ ამ საქციელში-მეთქი. მაშინ შეეშინდა, ნაჩუქარი ხუთასი თუმანი უკანვე მთხოვა, გადახდის ღონე არა მქონდა და აი ამისათვის შევძულდით ერთმანეთსაო!! რომელი დაიჯეროს ოქრომ? ორივე მხარეს როგორც სიმართლე, ისე დანაშაულიც მოსჩანდა. განა გასაკვირველია ამ დროში რამე?... ერთი ხელის გულის ოდენა აღგილისათვის კაცი კაცსა ჰკლავს, ძმა-ძმას არ ინდობს, თვისსა და ტომსა!.

„სულ ანიკოს ბრალია! ის ასისიანებს შენსა და ჩემ წინააღმდეგაო“!.. უმატებდა მაკინე. ის წერილი ეხლაც შენახული აქვს ოქროს... მაგრამ ამას მიიწე უყვარს ყველა... გული სიხარულით ევსება, როდესაც ხედავს გარეგნობით უწყინარ არსებას... მოელის ტიტოკოს. დიად, იწყება ცხოვრება, იწყება ბრძოლა ავსა და კარგს შორის

XVI

შუა ღღემ გადაიწია, როდესაც ყანიდან დაბრუნდა ტიტოკოც... მან ტკბილად ჩაჰკოცნა დიდი ხნის უნახავი ძმა.

— ბიჭო, რა რიგად დავაქაცებულხარ!.. ეხლა ყველასაგან პატივისცემა-მოწიწება გეკუთვნის! — ეუბნებოდა მზისგან დამწვარი, გამტვერიანებული, რომელსაც აღტაცებისაგან შავი თვალები უბრწყინავდნენ. ტიტოკო თუმცა აგრედვე ლამაზი სახისა იყო, მაგრამ ამისი გამხდარი, უღონო შეხედულობა აღარაფრად სჩანდა ოქროს მშვენიერებასთან. ოქროც განუწყვეტელად ელაპარაკებოდა ძმას, ეკითხებოდა ამბებს, თვითონაც უგებდა პასუხს ყოველს კითხვაზე.



— როგორ დავიჯერო, რომ ეს მლალატობდეს?! — გაუფელდა ამ დროს თავში ოქროს, როდესაც ტიტის თვალები უხატავდნენ სიყვარულს, ალერსს და სიწორფელს.

— ჯანაბას! რაც იყო-იყო, — დაუმატა მან — ცოლ-შვილის პატრონია; შეიძლება კერძო ბედნიერებამ წასძლია და მოინდომა მეტის წაღება. ამის გარემოებაში იქნება არც მე დამდგარვიყავი უკანა.

— ხომ არას მემღური? ღმერთია მოწამე, ყოველ რიგად ვცდილობდი, რაც კი შეიძლებოდა, რომ მეტი გამომეგზანა... ცოლ-შვილი არ გამიწყდეს, სახლს მარტო ორას თუმანს ვანდომებდი, დანარჩენ ვალში ვაძლევდი, რომელიც დამეღო მშობლების უბედურობის დროს და ექვსას შენ გიგზავნიდი...

— რაში უნდა გენდურებოდე? რომ არ დაიფიცო, განა შესაძლებელია, რომ ძმამ ძმას უღალატოს? — ოქრომ თვალი თვალში გაუყარა ტიტის, მაგრამ ამაოდ, ვერ იპოვნა მათში ის, რასაც ეძებდა, არამედ ისინი განაგრძობდნენ ისევ ალერსით, პატიოსნებით პირდაპირ ცქერასა. ოქროს ექვი გაეღვიძა მაკინესაგან მინაწერ წერილის სიმართლეზე, უფრო მეტად გამხიარულდა.

— შესაძლებელი რატომ არ არის, ძმაო. ჩვენში კი არას დროს არ მოხდება და არც მომხდარა. — ამ სიტყვებზე, ტიტის სახე შეუწითლდა, მოაგონდა მაკინეს რჩევა, არჩია სამუდამოდ გულში დაემარხა და არ ეღვიარებინა მრჩეველის სამარცხვინოდ. ოქრო კი დარწმუნდა, რომ ტიტის ნანობდა თავის წინანდელ საქციელსა და დღეის იქით აღარ გაიმეორებდა... ამისთვის ვადასწევითა, არა შეემჩნეინებინა-რა, მაზე თუ რამე შეეცყო... პატარა ხანს უკან ესენი დასხდნენ სადილზე.

— კარგია თავისუფლად დაბრუნდი, ოქრო? კლანჭი არავინ მოვლო? — ჰკითხა ტიტის.

— მაგისთვის ჩემ გულს უნდა მადლობა ვადუხადო, რადგან სხვაფრივ არის მომართული. ბევრჯელ მივსულვარ თავდავიწყებამდე, მაგრამ დროზე შევმაგრებულვარ... მოწონებით, მართალია, მომწონებია, ამას ვერ დაგიმალოვ, რომ მშვენიერ სქე-

სის მოყვარული ვარ, მაინც და მაინც ისევ თავისუფლად დავდივარ.

— იოსებიანთ დარიკო, ოქრო? — ჰკითხა ღიმილით ანიკომ. ოქრომ ხელი ჩაიქნია.

— ეგეც სიყმაწვილის ცელქობა... რაკი ეხედავდი, ჩემს გარეშემო ყველას დაგეთითოებიანთ მოთაყვანე, მეც თქვენ წამოგბაძეთ, დავუწყე მას თვალ-ყურის დევნება. წარმოვიდგინე, ვითომ გადარეული ვიყავ. არა, გადარეული ჯერ არავისთვის ეყოფილვარ და არც ვიქმნები.

— მომავალზე ლაპარაკი ძალიან ძნელია, ჩემო ძმაო, — უთხრა ტიტკომ. ძმებმა კარგა ხანს ილაპარაკეს სხვა-და-სხვა საყურადღებო საგნებზე, სადილის შემდეგ კი წავიდნენ მდგომარეობის დასათვალისწინებლად, რადგან გახალისებული ოქროს სრულებით არა ჰკრძნობდა დალაღვასა.

XVII

ანიკო გადეყუდა მოაჯირს, ფიქრიანად თვალს ადევნებდა ქმარს და მაზლს, რომელნიც მხიარულის ლაპარაკით მიდიოდნენ გზაზე, შეადარებდა ერთს მეორესთან. თუმცა ოქროს დამშვენება სასიამოვნოდ რჩებოდა, მაინც თავის ტიტკოს ქვეყანაზე არავის უბადლებდა.

— ტიტკო ანგელოზი ხასიათისაა. ოთხი წელიწადია, რაც ანიკო ამის ხელშია, არ ახსოვს ტიტკოსგან ხმა-მაღალი სიტყვა, გარდა სიყვარულ-აღერსისა. თუ ღმერთი უტოცხლებს დიდ ხანს და ჯანსაღად უმყოფებს, ბედნიერია ანო... მაგრამ ანოც ნაკლებ არ არის თავშეწირული ქმრისთვისა ღმერთო რა არ გამოსცადა მაშინ, როდესაც მოვიდა ტიტკო ოჯახში! ანიკომ თვალ-წინ წამოიყენა ის დრო, როცა ჯერ კიდევ გასათხოვარი მოხუც დედასთან ერთად თავის მარჯვენით სცხოვრობდა ქალაქში უდარდელადა, მაგრამ მას აქეთ, რაც გაიცნო ტიტკო, გამოესალმა მოსვენებას, ხან სიცოცხლე უშხამდებოდა, ხან მშვიდდებოდა, ნეტარებდა. მაინც არ გასცვლის ანიკო ამ

მტანჯველ-მწვალებელ დროს წინანდელში... ანიკო პირველად ცდილობდა დაეფარა გრძნობა, რადგან სჯეროდა, რომ ტიტკო ამას არ იკადრებდა მეუღლედ. არც ამტყუნებდა. აბა ღარიბი აზნაურისშვილი და დიდი კაცი როგორ უნდა მოსულიყვნენ ერთადა! ანიკოს გაეგონა მაკინეს მედლიურება, აგრედვე ზაქარიასა და მთელ მის ოჯახის მეფობა. კიდევაც შეკრთებოდა ხოლმე, როდესაც ოცნებით თავს დასახავდა იმ ოჯახის წევრად. ამასობაში ტიტკო საეჭვოდ უახლოვდებოდა. შემდეგში უკმაყოფილებასაც კი ამჩნევდა დედა სალომეს, როდესაც ეს უკანასკნელი შეიტყობდა ტიტკოს მოსვლასა. დიად, სალომესაც სწორედ ეს აზრი უტრიალებდა თავში, რაც ხანდისხან შეაფიქრიანებდა თვითონ ანიკოს: რომ ტიტკო ამათსა დაიარება სწორედ დროს-გასატარებლად, სალაცობდ და ყმაწვილი ქალის პატრონ უკაცო ოჯახს ხომ ყოველთვის კარგად არა აქვს დაცდილი ამისთანა შემთხვევანი.

— ეჰ, შვილო, ნეტაი ეგ არ შემოგჩვევოდა და რა უნდოდა ი ღმერთსა!—იტყოდა სალომე, რომელიც იდგა ცეცხლა პირას, საქმელებს ამზადებდა, ანიკო კი ჩვეულებრივად აგრიანებდა საკერავ მაშინას. დედის სიტყვებზედ შეჩერდებოდა, სახეზე შიში დაეტყობოდა, გაგანიერებულის თვალებით მიაშტერდებოდა მშობელს.

— რაია, დედი?! ტიტკო სხვებსავით თავმოამბეზრი როდია, არც უზრდელი, განა გაწუხებს რასმე?

— არა, მაგრამ... ეჰ, შვილო, მაინც სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. ვინ ტიტკო სარდიონისშვილი და ვინ ლევანა სახალის ღატაკი ოჯახი? აბა თავს რომ არ მოდის? ცა და დედამიწა განა ერთმანეთს მოხვდება, თუ მეორედ მოსვლის ნიშანი არ არის!.. ანიკოს თუმცა სჯეროდა დედის სიტყვები, მაგრამ გულში მაინც უნებური განუსაზღვრელი რაღაც იმედი ჩასჭროდა, საამოდ უჩივლიდებდა

— ვიცი, ჩემო დედავ, რომ ანგრეა, მაგრამ ტიტკოს ნაცნობობა ჩვენ მაინც ზარალს არ მოგვიტანს... მოიგონე, რა რიგად გეფერება, გართობს, გამხიარულებს, კარგა ვხედავ, რომ

შენ ძალიან ნასიამოვნები, კმაყოფილი რჩემი ხოლმე იმის ლაპარაკით?.. სალომემ დაკვირვებით შეხედა შეიღს, რომელსაც ლოყები შესწითლებოდნენ, თვალები კი ვანაგრძობდნენ საკერავზე ცქერას. ეს ცხადად ამჩნევდა, თუ რა ხდებოდა ამ ჟამად ანოს გულში, თუმცა ის მაღავ-ჩქმაღავდა. სალომე ხედავდა, რა ფართო და ღრმა ადგილი დაექირა ტიტკოს ანიკოს გულშია, სწუნდა, იტანჯებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბოლოს დარჩებოდა უთანაზიარო, დაუკმაყოფილებული და უარ-ყოფილი. გადასწყვეტა თანდათან შეეჩვია უიმედობას, რათა შემდეგში მოულოდნელად არ მოვლენოდა ის საშინელი დაშორება...

— მეც მაგას ვჩივი, გოგო, რომ რაც უფრო შევეჩვევით, მით მეტად ძნელი იქნება დაშორებაც ..—სალომემ კვალად შეხედა ქალს, რომელიც უკანასკნელ სიტყვის გაგონებაზე გაფითრდა, შეინძრა.

— დაე, რაც იქნება—იყვეს, დედი! შიშით, ფიქრით ვერ გავაბრუნებთ... ვერც დავითხოვ ტიტკოს და თუ შენ გინდა... უთხარი, ნულარ მოვა...—ანიკომ, როგორც იყო, დაბოლოვა ათრთოლებულის ხმით. ელოდა აგრედვე მშობლისგან პასუხსაც, რომელიც იგვიანებდა. სალომემ თუმცა გაიგონა ანიკოს სიტყვები, მაგრამ ვერა სთქვა—რა, შეწითლებულის სახით დაეშვა სკამზე, მერე თვალებზე ხელი მიიფარა, თითქო ბოლმა შეაწუხაო, გათეთრებული თმა თავშალში შემალა, დარჩა რავდენსამე ხანს ისე; ანიკო კი თვალს არ აშორებდა დედის თვითეულ მოძრაობას.

— დავითხოვოთ?... ვინ გეუბნება დავითხოვოთო?—დაილაპარაკა ბოლოს სალომემ.—მაგრამ მაინც კიდევ ვიტყვი, რომ ძნელია მაგისი სიარული-მეთქი... ტიტკო სხვა გარემოების კაცია, არ უნდა დავივიწყოთ... შეილო! ის კი არ უნდა დავითხოვოთ, ჩვენ თვითონ უნდა მოვშორდეთ.

— მოვშორდეთ? მერე სად წავიდეთ?..—ყრუდ იკითხა ქალმა.

— სოფელში. აქ მეტად გაჭირდა ცხოვრება. სხვის შვილებს ლოლიაობის თავიც აღარა მაქვს, დედაშვილობაში...

— სოფელშიო?! მერე იქ ვიშოვით ამდენ საქმეს?.. შენც ანგრე ავადმყოფობ; რომ გაჭირდეს, ვინ არის ჩვენი პატრონი? თვითო ექიმის მოყვანა სამ-ოთხ თუმნად დაგვიჯდება. აქ კი ამ ფასად რავდენსაშე თვეს მაინც იწამლებ. მეორეც ესა, ვერ გაძლებ იქ, დედი, მეტად შევეჩვიე ქალაქს, აქაურ ნაცნობებსა.

— და მათში მეტადრე ერთსა, არა?..—სალომეს დაუნაღვლიანდა სახე. ანიკო გაწითლდა, თავი ჩაღუნა.

— რომელს?.. არ ვიცი!..—სთქვა მან დარცხვენით.

— ანიკო, გენაცვალოს დედაი, შვილო, სანამ ყვავსა და ყორანს ფრთებზე არ დაეკიდებათ, მანამ ხომ ჩემამდის არ მოაღწევს ეგ შენი საიღუმლო? რად მიმაღავ, რომ შენ ტიტუკო გიყვარს?

— ტიტუკო მიყვარს? არა, დედა, ის მომწონს როგორც კარგი ნაცნობი, როგორც...

— როგორც საყვარელი არსება?.. ქალი ჩაჩუმდა.

— თუნდა ანგრეც იყვეს, მერე რა არის?...—იკითხა ბოლოს მან.

— არაფერი, ჩვენი უბედურებაი, უიმედობა და ტანჯვაი. სხვა რაღა უნდა იყვეს!.. ოხ, განა არ ამცდა ეგ შიში?.. ამიხდა?.. წავიდეთ, ჩემო ნუგეშო, მოვშორდეთ ამ წყეულ ქალაქს, სანამ ჯერ დაგვიანებული არ არის. თორემ თუ გაიგეს ბობოლეგმა, არ მოგვასვენებენ... ანიკოს დააფიწყდა თავისი ნაღველი, რადგან თვალ-წინ უდგა ცრემლების მფრქვეველი ათას ტანჯვა-გაჭირვებაში გამოვლილი, გამხდარი, დაავადებული სალომე და ევედრებოდა... შეებრალა მშობელი, მოეხვია, გადაუკონა აღერსით სახე, ჩახედა ნაძალადევის ღიმილით თვალებში და უთხრა:

— ნუ შიშობ, ჩემო დედავ, ნურა გეფიქრება-რა... აგრეთი სუსტი როდი ვარ, რომ ვერ მოვეურიგდე ნაღველს, გრძნობასა. მართალია, მიყვარს ტიტუკო, მაგრამ მაინც შევიძლებ გამაგრებასა. სალომე ცოტათი დამშვიდდა, ეჭვით კი უყურებდა



ქალის წრფელ აღთქმასა, გულში შეებასა ჰგრძნობდა, რადგან შვილი აღარაფერს უმაღავდა. დედაშვილთ პირობა დასდევს, მაგრად დასდგომოდნენ ყოველ ნაირ შემაფერხებელ გაჭირებას, ტიტკო კი ამასობაში დღითი-დღე შეასმენდა თავის ტრფიალებსა.

— არ გეყურება, რატომ არ გჯერა ჩემი ვედრება-სიყვარული? ანიკო, თვალის-ჩინო, მაღირსე ტკბილი სიტყვა, იმედი მომე, რომ შენ ჩემი ხარ, სულით და გულით, მთელის არსებით ვამაბედნიერე! — ეუბნებოდა გრძნობა-მორეული ტიტკო ერთხელ, როდესაც ესენი მარტოდ ისხდნენ სარკმელთან, ანიკო ბატისტზედ ქარგავდა. მას წარბი შეეკრა, ცდილობდა მრისხანე მეტყველება მიეღო, მაგრამ ვერ ახერხებდა, მოცინარი თვალები ნებას არ აძლევდნენ; დაბასმული ლეჩაქი დაბაბქვეშ ნაკეცებად დაჰყოლოდა, ცელქი კლავები ყოველ განძრევაზე ეხებოდნენ დაწვებს, თითქო გადასცემდნენ სატრფოსგან ტკბილ ამბორსა. ტიტკო დამჯდარიყო ახლო, ნიდაყვით დანდობოდა სარკმლის რაფას, თან გაფაციცებით მისჩერებოდა ქალის სახეს.

— რას მომციებხიარ, ყმაწვილო? — უთხრა ნაზად და კეკლუცად ქალმა, მაგრამ მასთანვე ნაღვლიანად — რაღა ცდილობ ჩემი ცხოვრების აღშფოთებას, პატიოსნად მოსვენებითა ვარ?

— შე რომ ვიტანჯები? მეც მომასვენე-და! — მოესმა ვედრება.

— მოგასვენო მე, საცოდავმა ღარიბ-ოხერმა? სიყვარულიც გაგიბედო? გაკადრო? არა, თანაგრძნობა მოსთხოვე მართო თანასწორ არსებას. მერწმუნე, ყველა სიამოვნებით გიძღვნის. მე კი თავი დამანებე.

— არა, არა, შენა, ჩემო ნეტარებავ!...

— მერე?

— მერე შეუღლება, ერთად ცხოვრება, სხვა რაღა? — ქალი გაუტერდა. შეხედა გამხდარ, ფერ-მიტეტკილ ტიტკოს, მოაგონდა დედის სიტყვა: — შვილო, ის ძალიან სუსტია, ავად-მყოფიაო, მაგრამ ეს ზადი სრულიადაც არ აშინებდა ანიკოს.



— დაე იყვეს სუსტი, იმ სუსტში ჩემი ძალაა. ოჰ, ნეტავი კი ტიტკო ყოფილიყო უბრალო გლახ-კაცის შვილი, ან აზნაური, რა ბედნიერი იქნებოდნენ! ეხლა კი ყველაფერი დაკარგულია. — არ შეიძლება ჩვენი შეუღლება, არა! — გაიძახოდა ეს.

— რატომ?

— შენები ნებას არ მოგცემენ, შეგავიწროებენ. ან თვითონ მე რა უნდა მერქვეს აბა იმათ ოჯახში? წარმოიდგინე, ტიტკო, და ნუღარ ითხოვ შეუძლებელს.

— მაშ ეგაა მიზეზი? სხვა არაფერი? ოხ, ანო, დამთანხმდი, თანამიგრძენი, დანარჩენის დარდი არა მაქვს-რა, ყველაფერს დავთმობ, ყოველნაირ დარდსა და შევიწროებას გავუშკლავდები, ოღონდ კი შენ ჩემი იყავ. თუ საჭირო იქნება, მოეშორდები მათ სამუდამოდ და შენ კი თავს არ დაგანებებ.

ანო თუმცა გულში სიამოვნებასა ჰგრძნობდა ამ წმინდა სიტყვების მოსმენაზე, მაინც განაგრძობდა სატრფოს წინაშე განაზებასა.

— მაშ ყველასა სთმობ ჩემი გულისათვის? მერე რა ნახე ჩემში? სწავლა? გონიერება? მშვენიერება? ჭრა-კერვის გარდა ჩემი ხელი ყველაფერზე უჩვევია, გონებაც შორს არა სჭრის. აბა როგორ ვიკისრო შენთან შეუღლება!

— ჩემო ანიკო, მშვენიერებაა, ბრძენზე უბრძენესი! — არწმუნებდა ტიტკო მას გულწრფელად. ანიკომ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ხედავდა სატრფოს გატაცებას, სწამდა, სჯეროდა მისი აღთქმა, მაგრამ გარემოება არ ავიწყდებოდა. სთხოვდა სატრფოს ჰატარა კიდევ დაეცადნა, რათა კარგად ეფიქრნა თავის ნაბიჯზე, რომ ბოლოს დასანანებლად არ დარჩენოდა. ტიტკოს წასვლის უმალ დაუფარავად უანბო დედას, რომელიც გულის ძგერით მოისმენდა..

— ოხ, დედა ჩემო, არ შემიძლიან უტიტიკოდ სიცოცხლე, არა, სულ ერთია, ხომ მოგიკვდება ანო, მაშ მასთან ერთად შემოვიდეს ავიც და კარგიცა. ტიტკოს უყვარვარ, მაშ რაში მეკნაქებთან დანარჩენები! მითხარი, გენაცვალე, სანუგეშო რამ!.. ეუბნებოდა ეს მშობელსა.



— ოჰი, ჩემმა დამბადებელმა ღმერთმა აგაცილოს ყოველი გაქირება, და არ მოასწროს დედა შენი თავის ნუგეშის არაფერს ცუდსა, შვილო, მაგრამ ტიტკომ რომ შენზედ ჯვარი არ დაიწეროს, რომელ წყალს მივცეთ თავი? ხომ დავრჩით შერცხვენილები, თავზე ლაფ-დასხმულნი?..

— არა, არა, ის მეფიცება ერთუგულებაზე, ოღონდ კი დასტური დაეცე სიყვარულზედა... ნეტარება ხელში მეძლევა, დედი, და აბა როგორ უნდა გაეაბრუნო, მერე ისიც რისთვის?.. ვისთვის?..— გაიძახოდა დაჟინებით ქალი. სალომე ხედავდა, არა ეშველებოდა-რა, ხსნა მარტო იმაში იყო, რომ ტიტკოს ჯვარი დაეწერა, რადგან უიმისოდ შეიძლებოდა ანო კიდევაც ქუაზე შეშლილიყო. სალომე ნება-უნებლიედ დაემორჩილა ქალის სურვილს, თუმცა შიში არ შორდებოდა, დღითი-დღე ელოდა ზაქარიას ან რომელსამე მის მახლობელს, რომელიც უსათუოდ შემოვიდოდა ამათსა და საქვეყნოდ შეარცხვენდა, თვითონ ტიტკოსაც გაიტაცება, მოაშორებდა.— აბა რა თავი აქვს გუშინდელ ღლაპს, ჯერ პირზე რძე არ შეშრობია?.. მაგისი სიტყვა რა მისაღებია?— ფიქრობდა ესა, მაგრამ რაკი ანიკოსთან ვერას აწყობდა, ამისათვის ისევ გაჩუმებული იყო, უცდიდა თუ რა იქნებოდა შემდეგში. სიყვარულმა დაათრო, გააბრჯა ანიკო, ტიტკოს გულს ტკბილად მიეყრდნო, ტიტკო ამშვიდებდა ანოს, მის დედას, რომ ყველაფერი კარგა იქნებოდა, მაგრამ ბოლო ხანებში თითქო კიდევაც უძვირებდა ანიკოს ნახვას და ფარულად დარდასაც ეძლეოდა. ქალს კი ექვეები ეღვიძებოდნენ, დედას კი არას უმხელდა, მაგრამ სალომე ქალის დაღონებაზე თვითონაც გულში იტანჯებოდა.

— რა ვქნა, რად დაიგვიანა ტიტკომ, დედა-ჩემო, როგორა გგონია?— ჰკითხავდა ხოლმე ქალი სალომეს, რომელიც შუბლს შეიკრავდა და უბასუხებდა:

— აბა რა ეიცი, შვილო, განა გულთმისანი ვარ!.. აღბად საქმე თუ გაუჩნდა, ან დედ-მამამ თუ შეუტყო ჩვენი გადაკიდება და აღარ უშვებენ...

— მერე ვითამ შეიძლონ ჩამოშორება?..



— რატომია? მაგისტანები შეუცვლიათ? რა დამჯდარი მოვლილი კაცი ეგ არის... დიამც იყვეს ოც და სამი-ოთხი წლისა, მეტისა ხომ არა! და აბა მაგ ხანში რა სიმტკიცე მოეთხოვება უსუსურს? — ეს სიტყვები უფრო ჩაფიქრებდნენ, წინანდელზე მეტად, ანიკოს, ხმას ჩაკმენდავდა, სალომე კი, კმაყოფილი თავის სიტყვების, შეუდგებოდა საქმეს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ანო ამის ლაპარაკის ზე-გავლენით ელოდებოდა იმ უწყალო მომთაბას. ერთხელ კარგა ბინდისას ტიტკომ კარები შემოაღო, ანომ ვერ შეამჩნია, რადგან მძიმე ნაღველით დატვირთული გული ყურს არას ათხოვებდა, გონება მიეპყრო საქმისთვის, რათა მასზედ დაკვდომოდა; სალომე კი მეორე ოთახში მიწოლილიყო, დაღალულს ჩასძინებოდა. ოთახში ქალის მეტი არა სჩანდა-რა, ტიტკო შემოვიდა და ხელი მოხვია სწორედ იმ დროს, როდესაც ანიკო ის-იყო აპირობდა დაკვივლებას, მაგრამ, რა დაინახა ტიტკო, მსწრაფლ გაყუჩდა და ნაზად შემოეჭრა მკლავებით თავის ოცნებას. როდესაც გული იჯერეს აღერსით, ტიტკო მოუჯდა გვერდზე, დაუწყო დაწვრილებით გამოკითხვა. ბედნიერი ანო ღიმილით აკმაყოფილებდა მის ცნობის-მოყვარეობას, ატყობინებდა ყოველივე გამონაცად-ნანახს მას აქეთ, რაც ერთმანეთს დაშორდნენ.

— მაშ ჯავრობდი ჩემს დაგვიანებაზე, ძვირფასო?

— ჰო... ვჯავრობდი, ეხლა კი აღარა, ყველაფერი დამაიწყდა, — ეუბნებოდა ანო. — ტიტკო, ჩვენი საქმე როგორ არის? — ჰკითხა ამან ბოლოს.

ყმაწვილს ჩრდილმა გაურბინა სახეზე.

— ძალიან ცუდადა, კარგო. რომ იცოდე რა რიგად ცდილობენ უფროსები ჩემს შენთან დაშორებასა? ეხლაც იმისთვის დავიგვიანე, რომ თავი ველარ ვიხსენი მათგანა. მტუქსავენ, მემუქრებიან, შვილობიდან მრიცხავენ. მეტადრე მამა და უფროსი და მაკინე ძალიან გაჭირვეულებულან.

— მერე როგორ გაიგეს იმათა?.. ვინ უთხრა?..

— ვანა დაიმალება რამი.. ვილასაც ჭორად მიეტანა, მეც დამეკითხნენ, აღარ დავუმაღე, პირდაპირ გამოვუცხადე, რომ



შენს მეტს არავის შევირთავ... დედა-ჩემი ლოგინში ჩაწვა, დედამ კი ვეღარა მითხრა-რა, მარტო ჩვეულებრივად იწყო ლოცვა... მამა და მაკინე გადაწყვეტით მიბრძანებენ თავი დაგანებო...

— აკი გითხარი, ტიტკო, რომ შენი საქმე არ არის ჩემთან შეუღლება-მეთქი?—უთხრა ანომ აღელვებულ ყმაწვილს, რომელსაც უშბლი შეეკრა.

— დედა სად არის?—იკითხა ტიტკომ, თითქო ამითი უნდა წუთს მოიშოროს ეს უსიამოვნო ლაპარაკიო.

— დედას სძინავს... თავი დაანებე... დაღალულია საწყალი,—მიატანა ანომ, როდესაც ნახა, რომ ტიტკო მეოჯრეთათხში შესვლას აპირობდა.

— დაიცა, გენაცვალე, დაჯექი, დამშვიდდი, მითხარი, რას აპირობ?—ეხვეწებოდა ანო.

— მე თვითონაც არ ვიცი რასა,—ფიქრიანად უპასუხა ტიტკომ და ისევ დაეშვა სკამზე.

— მოიქეცი ისე, როგორც გიბრძანებენ, ჯერ კიდევ გვიან არ არის...

— როგორ! თავი დაგანებო?... რას მეუბნები მაგას, ანო? შენ ჯერ მითხარი, გიყვარვარ?

— განა ეგ კიდევ საკითხავია?

— მაშ კისრულობ შეჭირვებულ ცხოვრებას?

— მერე სხვა რომელი ცხოვრება მქონია, რომ გაჭირვება არ ვიკისრო!.. ტიტკო, მერწმუნე მე მარტო სიღარიბის ღვიძლი შვილი ვარ და კიდევაც შეგჩვევივარ...

— ჰო და მაშ კარგი... ჩვენი მომავალი მაინც ასეთია, მეც იმისთვის გეკითხები, რომ ბოლოს სამძიმო არ იყვეს...

— ვისთვის, შენთვის?..

— არა, შენთვის ჩემო ანო, ხვალ-ზეგ ჯვარი უნდა დავიწეროთ უსათუოდ,—დააბოლოვა მტკიცედ ტიტკომ.

— აგრე მალე?... მერე თქვენები?—შესძახა გულში გახარებულმა ანიკომ.

— კიდევ იმისთვის ვჩქარობ, რომ ჩვენებს დიდი ძალა უჭირავთ ხელშია და იმ ძალას თუ მომეტებული ძალა არ



დახვდა წინა, შეიძლება გაიმარჯვონ, მეც სიკვდილის ვარ... ვინ იცის, რა გვარად მოხდეს საქმე... მაგრამ რაკი ჯვარს დავიწერთ, მაშინ კი ველარას დაგვაკლებენ. დაე, რაც ნებაგდეთ, ის ჩაიღინონ. შენ რომ ნახო მაკინეს ოინები, იმისი მოგონილი ვითომდა აშლილი ზაფრის ქარები, ქვითინი და თავში ცემა, შეკრთებოდი და დამაჩქარებდი...

ანო გულმოდგინედ უსმენდა ტიტკოს.

— ღმერთო, მაშ ამის გულისათვის კისრულობს ოჯახიდან გამოსვლას!... განა სამძიმო, ძნელი ასატანი არ იქმნებოდა სატრფოსთვის სხვა გარემოებაში რომ მიხდენოდა ასეთი შემთხვევა, ეხლა კი არად უღირს, რადგან იმედი აქვს ანო გააბედნიერებს, შეავსებს დანაკლისს?!... ნუ თუ თავმოყვარეობა არ იქნება, რომ ხელი წაუმარჯოს ამ საქციელშია?.. ამ მოსაზრებით ანო ემუდარებოდა ტიტკოს, რათა მას სხვანაირად როგორმე მოეგვარა, არ გაერისხებინა თავისები, მაგრამ საშველი არა სჩანდა, გარდა იმისა, თუ ესენი მოშორდებოდნენ ერთმანეთს. ამისი შესრულება კი ორივესთვის მეტად სამძიმო იყო.

— არა, არა, რაც უნდა დამემართოს, შენ კი თავს არ დაგანებებ!— შესძახა დაჟინებით ყმაწვილმა კაცმა. ანო კი ქვითინებდა.

— ტიტკო, თავს შემოგველოს ანო, სიცოცხლეც, გეფიცები შენს სახელს, რომ ჩემის პირიდან საყვედური არას დროს არ ამოვა. ოღონდ შენ ბედნიერი იყავ, ჩემთვის ესეც ღიღი ნუგეშია ცხოვრებაში...

— ეხლა, როცა მომაჯადოვე? როცა გული-გონება წამართვი? არა, ანო, ჩვენ წაყვითლეთ მშველელ ძლიერებისაკენ. მის ღიღიერ კალთას თავი შევაფაროთ, ვიდრე ჯერ კიდევ არ დაგვიანებულა!

ამათ ლაპარაკში სალომეც გამოვიდა. რა დაინახა ტიტკო, გახარებული მოეხვია, დაჰკოცნა, მოიკითხა. ტიტკომ არც არა ამას დაუმალა-რა, ყოველივე უკლებლივ შეატყობინა. შვილის ბედნიერებამ გონება გაუყრუა სალომეს, ამას ეყურებო-



და ტიტკოსაგან ხვეწნა-მუდარა ჯვარის-წერაზე, მაშ აბა რა-
 ლა ჰქონდა საწუხარი? გაშალა ხელები, მხურვალე თანაგრძნო-
 ბით მიიკრა გულში სასიძო და დალოცა, ანოც დათანხმდა
 ტიტკოს წინადადებაზე. აგერა გათენდა დანიშნული დღე, ანო
 სადედოფლოდ მომზადებულია, თავის ტოლ ქალებთან ერთად
 ელის ნეფეს, რომელიც უნდა მოვიდეს. ტიტკომ დიდ ხანს არ
 ალოდინა, მაგრამ დღეს ჩვეულებრივზე მეტად გაცრეცილი,
 აღელვებული სჩანს... თვალებში კი ცხადად ეხატება სიმტი-
 ცე. მისალმების უმაღლ შვატყობინა ანიკოს, რომ დღეს ამის
 სახლში დედ-მამა თუ დები ყველანი სხედან და გლოვობენ
 ტიტკოს როგორც მკვდარსა. ანოს ცრემლები წამოადგნენ
 თვალებში, ტიტკომ დაჰკოცნა და ჩასვა ეტლშია, რათა ჩქა-
 რა წასულიყვნენ საყდარში, სადაც დიდი ხანია, რაც ელოდე-
 ბოდათ შემოსილი მღვდელი. რასა ჰგრძნობდნენ ახლად შეუღ-
 ლებულნი, როდესაც საყდრიდან გამოვიდნენ? ეს ძნელი წარ-
 მოსადგენია მათთვის, რომელთაც არ გამოუცდიათ. ანიკო და
 ტიტკო კი მეტად ბედნიერები იყვნენ. უფრო თამამად უყუ-
 რებდნენ ყოველივეს, თითქო გაძლიერებულებიყვნენ. ტიტკოს
 აღელვება ნაკლებ ეტყობოდა, სახეზე დასთამამებდა სიხარული,
 ნეტარება. ამან თავისი ვალი მაინც შეასრულა, ტელეგრაფით
 სთხოვა ღოცვა-კურთხევა მშობლებს, რომელთაც მაინც პასუხი
 არ აღირსეს. ეხლა ამოა მათი რისხვა, რადგან ანიკო უკვე
 კანონიერი მეუღლე გახდა ტიტკოსი! რა ძალა იხატებოდა
 ამ სიტყვებში, ანიკოს კარგა შეევნო, აეწონა მისი მნიშვნე-
 ლობა და შესაფერად თავს იწონებდა. სალომე სიხარულისაგან
 ფეხზე აღარ იდგა, მორთულ-მოკაზმული დაფუსფუსებდა, ცი-
 ბრუტსავით ტრიალებდა, რათა შვილსა და სიძეს არა დაჰკლე-
 ბოდათ-რა, თან შეჰხაროდა, თავს ევლებოდა:

— იცოცხლეთ, ინეტარეთ, შეიღებო! ღმერთო, რახან
 მაღირსე ჩემი გოგოს ბედნიერება, ეხლა თუნდ მოვკვდე, დი-
 დად არ დამენანება თავი. თვალი გამოსძვრათ მშობლებსა, ქა,
 ერთხელც ხომ იქნება შეირიგებენ შვილსა!

— დახე, რა ბედი ჰქონია ანოს! — ყველგან გაისმოდა ხმა.



— სწორედ ნატურის თვალი ჰქონია, თორე ვინ აღირსებდა სარდიონიშვილის კნენობასა! — კვერს უკრავდნენ სხვები. დღეები შეუშინველად გარბოდნენ, ნეტარებამ ტიტკოსა და ანოს ერთმანეთის გარდა ყველა დაავიწყა. ტიტკოს პატრონები კი გონს ველარ მოსულიყვნენ უეცარ ელდისაგან; ვერ დაეჯერათ თუ ყველა ეს მოეხდინა თვალ-წარბში შემყურე მორჩილ-შვილს ტიტკოს!

— ტიტკომ შეარცხინა ოჯახი?! ტიტკომ მასხარად აიგდო? აღარ დაიჯერა და ჯვარსაც იწერს იმ წუწკ გომბიოზება? — იმეორებდა გაბრაზებული ზაქარია. თმაში ხელი წაევილო და მოუსვენრად დადიოდა აჩქარებით ოთახიდან ოთახში...

— ის ფეხს ველარ შემოსდგამს ამ სახლშია, ვერა! ვერა! განა მასხარადაც აიგდო და ლოცვა კურთხევაც მოსთხოვა? ქადი-ქამია სახლის ქალი ზაქარიას რძალი გახდა?! მერე ისიც შვილის ცოლი?! — ზაქარიას რისხვა ემატებოდა, მთლალდ ცახცახებდა. მაგდან, ეფემია ტიროდნენ; მუხლებს ითქვეფდნენ. — ოღონდაც, სახლში შესაშვები არ არის! — ბანს აძლევდნენ მაკინე და გაიანეც. ამ არეულობისა მარტო ოქრომ არა იცოდარა, რადგან შორს იყო. თუმცა ამასაც წინად ესიზმრა, თუ რა აურზაურს ასტეხდა ანიკოს რძლობა ამათ ოჯახშია.

— მამა-ჩემი არ წაწყმდეს, თუ თქვენ ყურადღება მიგიქცევიათ, შეგბრალეხიათ, არც ერთი თქვენგანი თვალით აღარ დამენახვოს! — შესძახა კვალად ზაქარიამ, რომელიც ნამეტნავად აპილბილდა მაკინეს სიტყვებზე.

— მე ის აღარა მყავს. გეყურებათ, სახლში მყოფებო, რომ ერთი ვაჟიშვილის მეტი აღარა მყავს? უფროსი მომიკვდა, დავმარხე. — სახლში კვალად გაისმოდა ქვითინი, ტირილი. ეფემიას და მაგდანის გულები კიდევ სხვაფრივა სძკერდნენ. ეფემიას ეშინოდა ტიტკოს სუსტი ჯანის გამო და როგორც კი წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა ტიტკო ავად გამხდარიყო და ამას ველარ ენახა, უფრო მეტად მოსდიოდა ტირილი... გული ევსებოდა შურით და სიძულვილით იმ უმგზავსო, უგვარო ქალზე, რო-

მელიც დღეს თითქმის ვაბატონებოდა ამის შეილსა... მაგდანი კი ტიროდა მარტო მისთვის, რადგან შეილებს თავი ვერ შეეკავებინათ ყოველ ცუდზე. გაიგონებდა თუ არა ზაქარიას წყევლა კრულვასა, ამას ჟრუანტელი დაუვლიდა სხეულში და იმეორებდა, ნუ შეისმენ, უფალო, რამეთუ არა იცის, რასა იქმს, ამასვე შესთხოვდა აგრედვე ტიტკოს შესახებ. — მიუტევე, უფალო ყოველი შეცოდება! — მეზობლებიც ჩასჩინებდნენ, ეხვეწებოდნენ მეტადრე ზაქარიას და მაკინეს დამშვიდებას, რადგან საარაკო არა მოსვლოდათ-რა, არამედ ბევრი ტოლი და ამხანაგი ჰყავდათ. მაკინეს თავმოყვარეობა ებღალეებოდა ამ სხეებთან შედარებით და მეტად ანჩხლდებოდა. ტიტკოს ყურამდის უკლებლივ მიდიოდა ყველაფერი, რაც კი ხდებოდა დედ-მამის სახლშია და აწუხებდა მათი ასეთი ტანჯვა-განრისხება.

— ვერ წარმომიდგენია, თუ რად მიაჩნდათ ისე ადვილად ჩემგან ანოზე ხელის აღება? ნუ თუ მათ გულს გრძნობა არ მიჰკარებია? ზაქარიას, მაგდანს და ეფემიას? ნუ თუ მთელ თავიანთ სიცოცხლეში მარტო გონება უვარჯიშნითა და გული კი დაუზღვიათ? დღეს რანაირად იცავენ თავიანთ უპირატესობას იმისთანა მშვიდი, წყნარი, უვნებელი და ამასთანავე მოსიყვარულე არსებანი! რა მიზეზია? — ფიქრობდა ტიტკო. თუმცა ეს კმაყოფილი იყო ანოსთან შეუღლებით, მაგრამ მშობლების წყრომა კი დიდად მოქმედებდა, თითქმის აციაგებდა დღევანდელ ნეტარებასა.

— ისეთი რა უბედურება იყო ანიკოს შერთვა? ეს უმანკო არსება რითი იღვა დებზე დაბლა? ნუ თუ მარტო ჩამომავლობით, რადგან გვართ არა ბრწყინავდა? ტიტკო თუმცა შფოთავდა ამ უსამართლოებაზე, მაგრამ ცხადად კი ხედავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წოდებასა, რომლის მიზეზი მთელი საუკუნე იყო და აბა ერთი-ორის აზრი რა ნაყოფს გამოიღებდა მის საწინააღმდეგოდ! ბევრი ამბები შეეტყო ტიტკოს პავლე სარდიონიშვილზე, ზაქარას მამაზე. ეხლაც თმა ასდის ხოლმე მაღლა, როდესაც მოიგონებს. პავლე ყოფილიყო მეტად გოროზი, გულ-ქვა, ღეთის-რისხვა კაცი, ის სარგებლობ-

და გარემოებით, რომელიც მისთვის დაემონა უწყალო ბატონ-
 ყმობასა. მთელი ის კუთხე, სადაც კი ხმა ან ხელი მიუწვდებოდა,
 შიშს და ძრწოლაში მოჰყავდა, თითქმის გული უწუხ-
 დათ. მაგრამ მისი მეუღლე მაგდანი, მტრედსავით მშვიდი, და-
 მონებოდა მტარვალ მეუღლეს, მორჩილებით ემსახურებოდა და
 როგორც კი დაინახავდა ვისმეზე განრისხებულ ქმარსა, ეს მა-
 შინვე მიმართავდა თავის ერთად-ერთ ნუგეშს ხატებს. დაემხო-
 ბოდა მუხლებზე და ხელ-გაპყრობილი შელაღადებდა, რათა
 მეუღლის განრისხებას მშვიდობით, უვნებელად ჩაეელო, რად-
 გან იცოდა, რომ მას შედეგად მოჰყვებოდა რომლისამე ყმის,
 ან ათვალწუნებული პირის სიკვდილ-წამება... პავლე დაიბა-
 რებდა მცირედ დანაშაულისათვის უბედურს, იქვე ცაცხვებ
 ქვეშ გააწვენინებდა და მათრახით ააჭრელებინებდა, იქამდის,
 ვიდრე მსხვერპლი სუნთქვას შესწყვეტდა. მერმე დასიებული-გა-
 ლურჯებულს შეატანინებდა და ჩააგდებინებდა სადმე საბნე-
 ლეთში, საიდგანაც მალვით, მოხერხებით მოიპარავდნენ, ან
 შეისყიდდნენ უბედურის ჭირისუფლები, და თუ არავინ გა-
 აჩნდა, შიგვე ჩაკვდებოდა. გარდა ამისა პავლე კარგი მასპინძე-
 ლიც ყოფილიყო; ისე არ გადიხდიდა ნადიმს, რომ სტუმრების-
 თვის არ დაეთითოებინა გოგო-ბიჭები, რომელნიც კი თვალში
 მოუვიდოდნენ წვეულთ. გაღონიერებული პავლე მარტო და-
 მონებულ ხალხს არ ავიწროებდა. არ ასვენებდა აგრედვე თა-
 ვის ტოლ თავად-აზნაურობასაც, რომელიც გარემოებით უკან
 ჩამორჩენოდნენ, ტიტკოს ოდნავ სიზმარსავით ახსოვდა თავისი
 პაპა, გულში კი ჩარჩენოდა მისი ბრიალა თვალების მრისხანება.
 ბატონ-ყმობა გადავარდა, პავლემც გამოესალმა წუთი-სოფელს.
 მაშინ ტიტკო ექესი წლისა ძლივას იქნებოდა, მაკინე კი ვეე-
 ბერთელა ქალი იყო და პავლესიც დიდი ნებიერი. მრისხანე პა-
 პაზე მთელი წელიწადი არ შეწყვეტილა გლოვა, ყველგან ხმა
 იყო დავარდნილი, რომ ის მოსწამლა ერთმა ნაყმევმა გიო
 რაბელაშვილმა იმის სამაგიეროდ, რომ მისი შვილი ვილასთვი-
 საც მიეყიდნა. თვითონ რაბელაშვილიც კვალწმინდად საღდაც
 გადავარდნილიყო... ტიტკოს უკვირდა მაგდანის მუდამ ლო-

ცვა-ვედრება, მაგრამ დღეს კი ცხადად ჰგრძნობდა, თუ იმ ლოცვის რა სიმხნევე, ნუგეში უძლევეია მოხუცისათვის. ზაქარია უფრო დედას მიაგავდა, ოჯახში მასაც უყვარდა მედიღურობა, ამისათვის მოწიწებით ეპყრობოდნენ სახლში მყოფები. აბა, მაშ ადვილად აპატიებდა ტიტკოს, რომ ამათი ასეთი მიღრეკილება, ზნე-ჩვეულება დაარღვია ვილაც აზნაურ კუდა ქალის მოყვანით? ანო და ტიტკო ერთმანეთს თუმცა არ ეუბნებოდნენ, მაგრამ გულში ატარებდნენ დარდსა. ანიკო ქმრის გამოისოპით, რადგან მას მოხდენოდა შვეიწროებულ ცხოვრებაში ყოფნა, ტიტკო კი ოჯახის სიმშვიდის დარღვევაზე. გარემოებამ იმოქმედა ტიტკოზე, გახდა, თითქმის გაყვითლდა. ანო უმატებდა შრომას, სალომე ხელს უშარჯევბდა, ესენი ცდილობდნენ როგორმე ტიტკო უზრუნველი ემყოფებინათ. ამასობაში გაიარა ნახევარმა წელიწადმა. ტიტკო დარწმუნდა, რომ მისმა მშობლებმა სამუდამოდ მოიძულეს, გულიდან ამოიღეს, თავი მიანებეს, მაგრამ აგერა უეცრად მოუვიდა მამისაგან ტელეგრამა, იბარებდა. ამას არ სჯეროდა, თუ მართლა ზაქარიას გამოეგზავნა, ნამდვილად კი იმისაგან იყო.

— მაშ ისევე იბრუნებენ?.. აპატიებენ? — იმეორებდა გახარებული ტიტკო. ამან საჩქაროდ გასწია, ცოლს კი ამბავი დაუტოვა, რომ უსათუოდ მალე დაბრუნდებოდა. ანიკოს თუმიცა ეფიქრებოდა, — ვაი თუ ტიტკო აღარ გამოუშვან და მომავლოდ, მაინც სიამოვნებას ჰგრძნობდა, რადგან ტიტკოს მეტად კმაყოფილს ხედავდა. რაც ხანი მიდიოდა, დედა და შვილი თანდათან მოუსვენრად გაიყურებოდნენ გზისკენა, რადგან სწორედ ერთი თვე იყო, რაც ტიტკო წასულიყო. მას აქეთ არსად სჩანდა. ანოს დარდი და ვარამი დაეპატრონა, ღამეების თევით თითქმის დასუსტდა, ტიტკო კი მიისწრაფოდა მოუთმენლად სახლისაკენ, კრემლებიც კი წამოუვიდნენ, როდესაც დაინახა დედ-მამის სახლი. ზაქარიამ ჩაიკრა გულში და ბევრი იტირა, აღარ გაუხსენებია საყვედური, არამედ შეშინებული უყურებდა გამხდარ შვილს. სჯეროდა, რაც კი ეთქვათ ამაზე, რომ ლამის ჯავრით დაქლექდესო და ვალი გდევთ უპა-

ტრონოთო. თუმცა პირველში დიდად იმწუთხეს ტიტკოს შერიგება, მისი მოგონება, მაგრამ გულში ფარულად ყველას დარდი ჰქონდათ. მაგდანს ლოცვისთვის თავი დაენებებინა, ეხვეწებოდა შვილს, რომ შინ დაებრუნებინათ ტიტკო. ზაქარია განაგრძობდა ისევ მუქარას, მაგრამ ეს მუქარა თანდათან სუსტდებოდა, ცხადად ეტყობოდა ბრძოლა, რომელიც აეტეხნა მშობლიურს სიყვარულს თავ-მოყვარობასთან.

— რაო? ვაპატო? როგორ თუ ვაპატო? მერე რა უნდა მერქვას? რა?.. მოკვდეს რა, რა მენაღვლებ! — შესძახებდა ეს და სიკვდილის ხსენებაზე თვითონაც შეკრთებოდა; ეს ყელში დუღილით მოსულ კრემლებს ძალ-დატანებით ყლაპავდა, ცდილობდა თავი შეემაგრებინა. უნებურ კმაყოფილებას ჰგრძნობდა, როდესაც მიაკვდებოდნენ ცოლი და დედა.

— რა გინდათ, თქვე უწყალოებო, დამიბრუნეთ ჩემი შვილი! — შესძახებდა ეფემია და გულ-შელონებული მიესვენებოდა ბალიშებზე. მაკინეს კი გული მცხდიოდა, რომ მშობლები ასეთს სისუსტეს იჩენდნენ, ვერ შელევოდნენ ტიტკოს და უეჭველია დღეს თუ ხვალ აზნაურა ქალი ყველას თავზე დააჯდებოდათ. ბევრ ამისთანა სიტყვებს ხარჯავდა, მაგრამ მაინც ვერ დააშლინა ტიტკოს შერიგება. ზაქარიამ ვეღარ გაუძლო ეფემიას მწუხარებასა, თუმცა თვითონ მომეტებულად სწყუროდა შვილის ნახვა.

— რა მეტი ღონეა! უნდა დავიბარო ის ლაწირაკი, ისა! — იტყოდა ეს და თან თავს დაანდობდა ხელებზე და ფიქრებს მიეცემოდა.

— კარგია, ქალო-და, შენ მაინც გაჩერდი! პატარა მომსვენეთ... რაც გინდათ, ქენით, დაიბარეთ. მე არ გიშლით-და!.. მარტო იმ პირობით, რომ ის ის ვიღაც არის არ დაგვანახვოს თვალითა!.. გეყურებათ? იმისი ამ სახლში მოსვლა და ჩემი სიკვდილი ერთი იქმნება. დაჯექი, დასწერე ტელეგრამა. — მიუბრუნდა გაიანეს, რომელიც დაემორჩილა მამის ბრძანებას. ეფემიას ამდროს სასუნებლით აბრუნებდნენ, რადგან ტირილისაგან დაოსლებულიყო. ზაქარია დადიოდა აჩქარებულის ნაბიჯით, ხან

გაჩერდებოდა გაიანეს-წინ და ხარბად თვალს ადევნებდა მის კალმის მოძრაობასა...

— არა, არა, ეგ რა დაგიწერია, ქალო, ეგ არ უნდა!... ეჭვგერა სწერ! მოიტა ისევ აქა!—გამოართვა ქალაღდი, გახია შუაზე, დაუწყუო წერა, მაგრამ არც თავისი ნაწერი მოსღიოდა თვალშია, მალ-მალ ხევედა, გულ-მოსული წამოდგებოდა და ისევ რავდენისამე საათის შემდეგ ჩაუჯღებოდა. ძლივს საღამოზე მოახერხა გაგზავნა. აგერა მოუვიღათ ტიტუკო, ყველა გულში სიამოვნებდა, გარდა მაკინესი... ამათ კიღევაჯ გადავიწყებოღათ, აღარ ახსოვღათ, ხან არც კი ეჯერათ, თუ ტიტუკოს მათთვის ოღდესმე რაიმე უსიამოვნობა მიეყენებინა, ურჩობა გაეწია. ეფემია მოღონიერღა... გაღმიმბუღლის სახით შეჭყურებღა შვილს, ტიტუკოჯ თან და თან გამხიარულღა, იწყუო ჩვეუღებრივი ცხოვრება თავის დედ-მამის ოჯახში, მაგრამ მაკინეს უკმეხი ქცევა, ხანღისხან სიტყვებით გაღმოკრული მათრახები უგვაროებისა და „მუჟიკების“ შესახებ წითელ ატლასის ფერად გახღიღა ხოღმე... სხვები კი კრინტს არა სძრავდენენ, მაგრამ რაჯ უფრო ღრო მიღიოღა, ტიტუკოს ცოღთან დაბრუნების სურვიღი უძღიერდებოღა... კი ვერ მოეხერხებინა ჯერჯერობით მისი გამოკღაპრება. ეს ნაძღღადევაღ თავ-შეკავებული მღგომარეობა აღვიღი ასატანი არ იყო და ტიტუკო მუღდამ მოწყენით იყურებოღა. ზაქარია ამჩნევეღა ნაღვეღს, თითქო მიზეზსაჯ მიხეღღრიღი იყო.

— სწორედ იმაზე ღონობს აი!.. იქ უნღა წასვღა და კი ვეღარ გაუბეღნია!—გაიფიქრებღა, როღდესაჯ დაინახავღა ტიტუკოს. მაგრამ მაკინეს დაწიშვნამ კიღეგ რავდენსამე კვირეს შეაყენა ტიტუკო თავ-შემავრებული, ცოღს კი შეატყობინა, რომ მალე დაუბრუნდებოღა... ბოღოს გაღასწყვიტა მომზადებულიყო წასასეღელღად, და თუ ჰკითხავდენენ, ჰირღაპირ გამოეცხადებინა, გაეთავებინა აწ ავად, აწ კარგად.

— არა, ესენი ჩემ მღგომარეობში არ შემოღიან, —ამბობღა გულში ტიტუკო, თან აღავებღა ბარგსა...



— რა ამბავია, შვილო, საით მიემგზავრები? — ჰკითხა ამ დროს ზაქარიამ, რომელიც შემოვიდა ოთახში და, რა დანახა, ტიტუკოს მთელი თავისი ბარგი ჩაელაგებინა, გაოცებულმა დაუწყო ცქერა... ტიტუკო გაწითლდა, მაგრამ მაინც მტკიცედ უპასუხა მშობელს:

— მაშ როდემდის ვიყო, მამა-ჩემო, აქა? აქი გნახეთ, მადლობა ღმერთსა, მშვიდობით დამხვდით, ახლა კი უნდა წავიდე...

— ჰმ!... გვნახე?... როდემდის იყვე აქა?... ეგ რა საკითხავია?... შენს სახლში როდემდის იყვე?... რატომ წინად არ მოგდიოდნენ ეგ აზრები, ბიჭო?

— წინად მარტოდ-მარტო ვიყავი... ეხლა კი...

— ეხლა რაღაა? — ტიტუკომ აიღო თავი, პირდაპირ თვალებში შეხედა მშობელს და წარმოსთქვა:

— ეხლა ცოლი მყავს, მამა-ჩემო, და მოვალე ვარ მასთან ვიცხოვრო...

ზაქარიას ლახვარივით მოხვდა შეილის ასეთი უშიშარი, მტკიცე პასუხი, წარბი შეიკრა მრისხანედ...

— ჰმ! მოვალეც!... — წაილაპარაკა მან თავშემავრებით... აღარ იცოდა, რა ეთქვა, ან როგორ მოქცეოდა შვილსა, ეს მარტო აღელვებული დადიოდა გაჩუმებული. ტიტუკოს გულს კი ეფონა, რადგან დიდი ხნის შემალანებელი ტვირთი ძლივს მოიშორა. ამან გადასწყვიტა, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრად დასდგომოდა, თუმცა მამა ეცოდებოდა.

— იმასთან მიღიხარ? — იკითხა კარგა მღელვარების შემდეგ ზაქარიამ.

— დიად, მაშ აბა სად წავიდე?

— როდემდის დარჩები?

— სანამ შევიძლებ თავის რჩენასა...

— მერე?

— მერე რაც იქნება — იქნეს... თუ გავვიჭირდება, ჯერ შევებრძოლებით, თუ მოვერიეთ — ხომ კარგი, თუ არა — და სიკვდილს აღარ დავიშორებთ...

ზაქარიამ აიტუნა ხველა.

— მანდამდის რად მიყვანე შენი თავი, შვილო? ვინ არის დამნაშავე?—ძლივს მოახერხა მან კითხვა.

— ისევ ჩემი თავი, მამავ. რაც კაცმა იკისროს, უნდა კიდევ გაიტანოს.

— განა ახლა ნანობ?

— სრულდებიდაც არა... ოჰ, მპატიე ძვირფასო მშობელო, მპატიე, რაც გაწყენინე... შენს უნებურად მოვიქეცი.— შესძახა ტიტკომი, მივიდა, გამოართვა ხელები და დაუწყა მხურვალედ კოცნა. ზაქარიას გული აუჩუყდა... მან მოხვია ხელი და მიიკრა გულზე... წუთს დაავიწყდა მღურვა, საყვედური, რა დანიხა ბავშვივით ატირებული ვაჟკაცი შვილი.

— მაშ იმისთვის მიდიხარ, ბიჭო?—ჰკითხავდა ათრთოლებულის ხმით დაძლეული ზაქარია...

— მაშ რა ვქნა, მამა, აბა რა?... თავს ხომ ვერ დავანებებ? ვერ დავიმაღავ, რომ ის მიყვარს სიცოცხლეზე მეტად. არ შემიძლიან შორს ყოფნა, საცა ისაა, მეც იქ უნდა ვიყვე. ოხ, მამა-ჩემო, ნუ თუ არას დროს არ გამოგიცდია შენ ჩემს ხანში სიყვარული?... რას იტყობდი, ნეტაი, რომ ეთქვათ, მოშორდი თქვენს გულის სათაყვანოსაო?

ზაქარიას არ გამოეცადა ასეთი ძლიერი გრძობა ამის დროს. ამას ენახა ეფემია, რადგან მეტად ყმაწვილი იყო, მამას ებრძანა მისი შერთვა და შეერთა... უყვარდა ეფემია? რასაკვირველია, როგორც დედა ამის შვილებისა, როგორც მეუღლე... სხვა ფრივ ან კი რგორ უნდა მოჰქცეოდა ზაქარია, თუ არ შეეყვარებინა თავისი ცოლშვილი, ოჯახი? მაინც ზაქარიას სახეს ჩრდილმა გადურბინა, რადგან წინდაწინ ატყობდა თავის თავს, თუ როგორ დააბოლოვებდა საქმეს, თითქო არც ძალიან უნდოდა და სხვა ნაირად მოქცევაც არ შეიძლებოდა... ეს ჩამოჯდა ტახტზე, თავი დაჰკიდა ძირსა.

— ნახვამდის ჩემო მამავ!—უთხრა ამ დროს ტიტკომი, რომელიც უკვე სამგზავროდ მორთულიყო... ეს მივიდა, თითქმის ხელი შეახო მშობელს, რომელიც თითქო აღარასა ჰგრძობდა!... ეს შვილის სიტყვაზე გამოერკვია.

— ჰა, მაშ მიდიხარ, არ იშლი? ჰმ... როდის მოხვალ კიდევ?— ძლივას დაუმატა მან...

— სწორედ არ ვიცი... ჩავიგდებ თუ არა ხელში თავისუფალ დროს, მოვალ.

ზაქარიამ გახსნა პორტმანე, ამოიღო კარგა ბლომად ფული და მისცა შვილსა.

— აჰა, დაგჭირდება!— ტიტუკომ კვლად მადლობით დაუკოცნა ხელები...

— ეჰ, ტიტუკო, შენი აგრე სიარული რომ არ მოხერხდება, ჩვენზე სირცხვილია, შვილო... ბარემ არ გექნა ეს საქმე— კარგი იყო, მაგრამ ეხლა რას იზამ!... ისევ აქ მოიყვანე ი შენი ცოლი. სხვის კარეთათ როდემდის უნდა ატარო? რაც იყო— იყო... მოიყვანე...— დაუმატა ზაქარიამ და თითქმის ძალა წართმეული ისევ დაეშვა ტახტზე, მიიფარა თვალებზე ხელი და იწყო ქვითინი... ტიტუკოს მამის მწუხარების დანახვაზე სინდისის ქეჯნამ თითქმის სული შეუფუტა, ეს მოეხვია მუხლებზე და წინანდელზე მეტად მოსთხოვა მშობელს ვედრებით შენდობა, პატიება.

ანსტასია კასთავა

(გაგრძელება იქნება)

ბ რ ჟ უ ა ლ მ ბ ი

დრამა სამ მოქმედებად *)

მოქმედება მეორე

იგივე ოთახი, დღე.

სცენა პირველი

(ჭერგანი ყავას სვამს. ირინე წიგნს ჩასცქერის. ჭერგანი მიუახლოვდება, ის ყურადღებას არ აქცევს; მოუთმენლობა დაეტყობა, წიგნს ხელიდან გამოვლევს.)

ჭერგანი. თუმცა ძალიან ცდილობ, შენთან ბაასიც კი შემსზიზღო, მაგრამ იძულებული ვარ ცოტა ხანს საქმეზე გელაპარაკო. ეს რამდენიმე ხანია, რადღაც ზღუდე გაკლე ჩვენ შორის; სულ იმას გაიმახი—აჟადა ვარო. ხან ნერგებო, ხან სიცხეო, ხან თავის ტკივილიო! მეგონა, მართლაც აჟადა არის-მეთქი, მაგრამ ახლა კი დარწმუნებით ვიცი, რომ სამარცხინოდ ვტყუებოდი. შენ ავადმყოფობისა არა გჭირს და თუ მაინცა და მაინც ავადმყოფობა გნებავს, მე იძულებული ვიქნები ცოტა სასტიკ საშუალებას მივმართო შენს მოსარჩენად... რადგან ქალაქის ყოფა-ცხოვრება და დასშული ჭაერი ასე გასუსტებს და გასწულებს, რა გაეწეობა, სოფელში წავიდეთ. სოფლად, მე დარწმუნე-

*) „მომბე“ № II, 1897 წ.

ბული ვარ, უკეთობა დაგუტყობა. მაინც ვადაც მისდიოდა ამ სავსლს ამ დღეებში... ხომ არაფერს იტყვი წინააღმდეგს? არაფერს.

ქერგანი. (დაცინვით) მას გადავწყვიტოთ სად ვიცხვავრებთ, ჩვენს სოფელში, თუ ბიძიჩემისას? ორივეს ღამისი მდებარეობა აქვს და მშვენიერი ჭაბა-წყალი; ორივე ტყით არის მოცული. რომელიც გინდა აირჩიე, რადგან იქ უფრო შენ იცხვავრებ, ვიდრე მე. მე საქმეები მაქვს, სიარულს მოკუნდები და შენ ვიფხვს კვლავ მოიცვლი იქიდან. იქნება მოთიქრება გინდა, შეღარება. რადის მომცემ ჰასუსს?

ირანი. არც რადის. ბრძანეთ, სოფელში ვიცხვავროთ, მე წინააღმდეგი არა მოგასსენეთ-რა, თქვენი ნებაა. ოღონდ—გადაწყვიტულს გუუბნებით, მომავალი მე არ შემეხება, მომავლისას მე ნურას მკითხავთ! ჩვენ საერთო აღარ გვაქვს-რა! ჩვენ საერთო საზრუნავი აღარ გვაქვს და აღარც გვექნება. მე რომ მკითხოთ, ჩვენთვის ერთად უფროსად ვი შეუძლებულად მიმიჩნია, რადგან ჩვენ ერთმანერთის სიძულვილის მეტი აღარ დაგუტყენიანარ.

ქერგანი. შენი ბრალაა. შენ იმისთანა საქმეს მიშვრები, რომ ვიდევან... არა, სახელი ქმრისა მერქვას და... ასეთს შეურაცყოფას, ასე მასხარად აკლებას ჩემს დღეში კერავინ გამიბუდავდა... გარკად მოიქვე და...

ირანი. თითქო ჩემსედ იყოს დამოკიდებული! რომ შეშეძლოს, ხომ არც ასე ვიტანჯებოდი. რა ექნა, აღარ შემიძლიან!

ქერგანი. თუგი აქამდის შეშეძლო?

ირანი. რა იცით, რომ აქამდის ვი შეშეძლო?! ჩემი ნატვრა, ჩემი ღონისძიება უფროსის ის იყო, რომ შეშეძარებოდა ის კაცი, რომელსაც ბუდი ქმრად მარგუნებდა. და განა მართო მე? უკვლავ ქალი, უკვლავ ახლად გათხოვილი ქალი ამას ნატვრებს. დიალ, ბერი კვანდა, ბერი კვანდა ჩემს თავს; რომ შეშეძლებოდა, გულს ამოვიგლეჯდი, ჩემი გონების ურჩის, ჩემს დამღუბველს გულს. მაგრამ კერას გავხდი! მოვიქანტე, მეტი აღარ შემიძლიან! გეფიცებით-მეტი აღარ შემიძლიან.



რა გჭნა—არ მიუვარსართ და რა წყალში გადავეარდე! განა არა ეცდილობ? მაგრამ რამდენიც ძალა დაკატანე ჩემს თავს, იმდენად მეტად შეშინებდი.

ჭერგანი. (თავდავიწვებით) კმარა! კმარა!.. ღანძლავსედ უარესია უოკელი შენი სიტყვა! მას აგრე ქალბატონო?! მას მე ქმარი აღარა გუოფილვარ! მას მე უფლება აღარა მქონია-რა! მას...

ირინე. მე ჩემი მოვასსენეთ...

ჭერგანი. მერე რომ მომასსენეთ? მერე? დასკვნა, ქალბატონო, დასკვნა?

ირინე. დასკვნა თქვენვე გამოიყვანეთ.

ჭერგანი. მე გამოვიყვან! ჩემებურ დასკვნას!.. არა, რის იმედი გაქვს, ნეტავი ვიცოდე!

ირინე. თქვენა?

ჭერგანი. მე? გიყვს წამლობა უნდა, სხვა რის იმედი უნდა მქონდეს?

ირინე. რა! ნეტავი მართლა გიყვი ვიყო.

სცენა მორაი

ივინივე და მარამი.

მარამი. დმერთო ჩემო! ვიდეკა ჩსუბობთ? რა არის, რითი არ მოგწინდათ?

ჭერგანი. თქვენთვის დამითმია ბურთი და მოკდანია. ერთი ყურბი დაუგდეთ, რას რომავს! ნუ გეშინიანთ, კითხვა არ დაგტირდებათ, თითონვე იტყვის ყველაფერს! ყურბი დაუგდეთ, თუ საგაყეთი არ მოგაკონოთ აქაურობამ. (გაღის).

სცენა მინამი

ირინე და მარამი.

მარამი. რა არის, ქალო? რა დაგემართა?

ირინე. ის დამემართა, რომ თავი გელარ შემეკავებია. მოთმინებასაც თავისი სამხლვარი მქონია.

მარიაძე. მანინ, რა მოხდა?

ირინე. ხომ გახსოვს, გუშინ რადსაც შემუჭრებოდა; დღეს მიუჭრა ამისრულა. ქალაქში ცხოვრება აღარ მინდა, სოფელში გადასახლდეთო. სედავ, რას მიშვრება! აჭაურობას უნდა მომაშოროს, ტოლ-სწორი დამაკარგვინოს, ნათესაებში გამომწევიტოს და სადღაც მთაში, სოფელში დამამწევიტოს! სოფელში კი არა, ციხეში მამწევიტოს და შეცინოვებდ თითონ იქნება.

მარიაძე. კარგი ერთი!

ირინე. არა, ეს კი შეტის-შეტია! სისკა გზა აღარა არის-რას: ან უნდა გაეიყარნეთ, ან არა და...

მარიაძე. ან არა და?

ირინე. თავს მოვიკლავ.

მარიაძე. ნუ, გენაცვებ, მაგას ნუ გამაგონებ.

ირინე. ახლაც იტყვი, მოითმინე! ახლა ხომ დაწყებინდი, რომ მოთმენა შეუძლებელია. ნუმი ხარ, მარიაძე, თუ...

მარიაძე. (მოეხვევა). არა გრცხვინან! განა იჭვი გაქვს? შენი რომ არ ვყოფილიყავ, ხომ არც მოთმენას გირჩევდი... ისეთი საშინელი არ არის შენი ქმარი და რა კენა, როგორ-არა ვთქვა! იქნება გგონია, სხვამ მოგითმინოს მაგდენი? იქნება გგონია სხვამ მოითმინოს, რომ ცოლი ცოლობას არ უწევდეს? მაღლიერიც უნდა იყუ... .

ირინე. რის მაღლიერი?

მარიაძე. იმისი, რომ მხეცურად არ მოგეჭვება, თუმცა ღირსი კი იქნებოდა.

ირინე. არა, მარიაძე, შენ გუფს რომ დაუკვირდეს, მოთმენას არ მიჩვენებდი. თუ ქალის ადამიანია, მასაც უნდა უჭონდეს ზიროვნული ღირსება, და ზიროვნული ღირსება ისეთი წმინდა რამ არის, რომ მას ქალი თვით ქმარსაც კერანაცვალს.

მარიაძე. უნდა ანაცვალა, თუ გინდა შენი მოკვლეობა ახსრულა და ზატოისანი ქალის სასული გერქვას.

- ირანუ. დიერთმა დამიფაროს! მე ჩემს დღეში არ დავიჯერებ, რომ მაგრე ნამალადევი იყოს ჰატიოსნება.
- მარამ. ეგ არის შენი მოვალეობა, მაგასეე ვაბრძანებს სუული და სარწმუნოება, მაგასეე გავალებს ჩვენი საზოგადოება. შენ კი გალაში დამწყვედუელი ჩიტივით ფარტხალებ და რადასაც წრბინებს... ქვეყანას შენ ვერ შესტელი, ჩემო ირანუ!
- ირანუ. ეგ შეუძლებელია! სარწმუნოება სრულიადაც არ მოითხოვს მაგგვარ დამტირებას ადამიანის ღიჭსებისას. ან ვის შეუძლიან ჩემდა უნებურად, ჩემის გულის და სულის წინააღმდეგ, განაგოს ჩემი ტანი? ეგ არის თქვენი ჰატიოსნება? ეგ არის თქვენი ქორწინება? წმინდა, ღვთაებრივ წმინდა დაწესებულება უვიცთ, გარყენილთ ჩაკვიცდათ ხელში და ისე გავისკრიათ, ისე შეგირცხეკენიათ იგი, რომ შიგ კეთილს კელადას ხედავთ. არა, კაცი დასანსაკად მიუღდეს, ავსნე მიწუევივით მეზინლებოდეს და თანაც იძულებული ვიყო მისს სასიამოვნო საგნად გაკხდე, როცა კი მოისურვებს. ის ნეტარებას გრძნობდეს და მე კი ზინდ-მოტეული მის სიკვიდელს შეკანტროდე შემოქმედს! შერცხეკენილი, თავ-ლაფუდასხმული, უნამუსო უნდა იყოს ქალი, რომ...
- მარამ. ირანუ, შენ გიუვარს ვინძე?
- ირანუ. რადა გგონია?!...
- მარამ. იმიტომ რომ აგრე გატარებთ ქალი ვისთვისე ღანა-რაკობს... მარტო ახრი ქალს მაგეებს ვერ ათქმევენებს.
- ირანუ. თუნდა აგრეც იყოს. მით უფრო უნდა ვრდილობდე ჩემს განთავისუფლებას.
- მარამ. რა კენა, როგორ არ გითხრა, ჩემო ირანუ. ვინც უნდა იყოს შენი ქმარი, აგრევე შეიძლება, სიცოცხლეს ჩამწარებს... და ამის მიზეზი, გარწმუნებს, ის არ იქნება.
- ირანუ. მე ის ჰატარა გოგონა კი ნულარ გგონივარ, რომელიც ამ ათის წლის წინად მშობელ დედასავით მოგენდო, შენ რომ უთხარი—ქერგანი უნდა შეირთოკო. უფროსი

იყავ, მეგონა საკმარისი გამოცდილება აქვს-მეთქი. მე
 კი არ ვაუთხრავდი მაშინ, მე გამათხრავთ. სულ სხვა ვიყავ
 მაშინ, იმდენად სხვა, რომ ესლა ველარც კი წარმოძი-
 დგინია, რა უნდა ვუთხროდი იმ დროს; მეგონი სრუ-
 ლად არაფერი! ესლა კი ვგრძნობ, რომ მეც ვარ რამე,
 მეც ჩემი «მე» მქონია, ვინც რა მინდა და რა არ მინდა,
 რა შემიძლიან და რა არ შემიძლიან. ჭოდა—აღარ შემი-
 ძლიან! შემიძრალე, მარამ, გული აღარა მტკეს. სასო-
 წარკვეთილება მერევა, მიშველე რამე!

- მარამ.** განუძი, გენატვა, განუძი! რა გქნა, რა გიშველოა?
- ირინე.** ვითომ არ იცოდე! სომ დამზირდი! ვინც ძლიან გი-
 მხელდება, მაგრამ... მარამ, შენ თვით განკებამ მოგა-
 ვლიან დღეს ჩვენსა.
- მარამ.** მამ მარჩა? აღარა გეშველებათ რა?!
- ირინე.** აღარაფერი. წადი, ესლავე ნახე და მოეფაზარაკე. სუფე-
 ლაფერი უთხარ, სუფეკლა საშუალება იხმარე... ოღონდ
 მოახერხე როგორმე... მე ველარც ვაკვარნებ: კიდევ რომ
 უნდოდეს, ჯობით არ იზამს, ზასუნის წილ გიყი ხარო
 მეტყვის. შენ კი მოგისმენს. განა არა სულ შენს ქება-
 შია, გონებას გიქებას, სიღინჯეს, სიღარბაისლეს.
- მარამ.** რისთვის უნდა ვაყარნეთ, ქალო? მიზენი არა განდათ-
 რა? რა ვუთხრა, რომ მკითხოს?
- ირინე.** მიზენი? ოღონდ დათანხმდეს და მიზენს მერე ვიზონით...
 მე ვიკისრებ, ვეკლაფერს მე დავაბრალე, ოღონდ... ეგ
 ადვილია, მარამ! საქმე მის დათანხმებას. ჩემი სიცო-
 ცხლე, ჩემი თავისუფლება შენ ხელთ არის, ვინძლო
 მიშველო რამე... არ შეკრთე! თუ შემოგოტიოს, შენც
 გაუმარდი! დაუმტკიცე, შეესვეწე, თუ გინდა შეაშინე კიდევ.
 დაუმეჭრე... ჭოდა რა, დაუმეჭრე! იცოდეთ, მე არა
 ვხუმრობ.

სცენა მართხი

იგინივე და მსახური.

მსახური. ბატონი დაკურნიე—თქვენს ნახვას ნდომულობს.
 ირინე. მობრძანდეს. (მსახური გავა.)

სცენა მისუთი

მარიაძე. მობრძანდესო? რა დროსია, ქალო?.. იქნება იცის რამე?
 ირინე. იოტის რდენიც არა იცის-რა... მაგრამ თუნდა კიდევ
 იცოდეს... მარიაძე, ნუ თუ გამკიცხავდი?.. (სიუმე)
 მარიაძე. (მოეხვევა, ტირილით) არა, ჩემო ირინე, არა! მე შენ გერ
 გიღაღატებ. (გავა)

სცენა მამძხე

ირინე და მისეილ.

მისეილ. მამატიეთ, ველარ გავძეილ.
 ირინე. (ალერსით) ველარ გასძეილთ... არ უნდა მოსულიყავით...
 არ უნდა მოსულიყავით!
 მისეილ. ვიცი, ბატონო!.. თქვენც შეგვირდით, ჩემს თავსაც
 შეკვიციე, მაგრამ წარმოდგინეთ—სომ შეიძლება წარმო-
 დგინოთ, რომ თქვენც არა ნაკლებ გიყვარვართ და...
 ირინე. წარმოდგინოთ. მერე?...
 მისეილ. წარმოდგინეთ, რომ თქვენც არა ნაკლებ გიყვარვართ და
 მაშინ ერთმანეთის უნახაობა თქვენ უფრო შეგაწუხებდათ,
 ვიდრე მე...
 ირინე. რა? ვითომ და რადაო?
 მისეილ. იმიტომ რომ მე უკვე გადაწყვეტილი მაქვს, ვერ მივალ,
 ვერ ვნახავ-მეთქი. თქვენ კი, თქვენ არა იცით-რა და
 ძეილთ...

- ირინე.** მერე, მერე?
- მისეილ.** დიაღ, ჩემს მოლოდინში ხართ, ჩემ გზასკად გიჭირავთ თვალი. მუდით და მე კი არ მოგდივარ. იცით რა საშინელებას ეს დაუსრულებელი ლოდინი?!
- ირინე.** რას აკეთებდით, რასა ფიქრობდით, რაც ხანი აღარ მინახავს ხართ? როგორ გგონიათ — განა არ შეიძლება ამ ყოფას ბოლო მიკვდოს?
- მისეილ.** შეუძლებელია! მაგასკად ფიქრიც კი ვერ გამიბედნია! თქვენ? მაცას ფიქრობდით?
- ირინე.** განუშორებელივ თვალწინ მიდგას ეს თერ-მისდილი სასკე, ეს სკედიანი თვალები, ეს ავადმყოფობისაგან მისუსტებული გული. თვალწინ მიდგას და მარტო თქვენი ავადმყოფობა უფრო მაწუხებს, ვიდრე ჩვენ უიშვლემდგომარეობა. სულ იმას ვფიქრობ, მორჩება, თვალი გაუბრწყინდება, სიმსიარულე დაეტყობს და ბედნიერი იქნება მეთქი. აღბად მერე ასევე განუშორებელივ გიდეგპართ თვალწინ... ასე როგორიცა ვარ, და როგორიც შეიძლება ვიყო.
- მისეილ.** სულ თქვენა გხედავთ, სულ თვალწინ მიდგევს ხართ თქვენ, ციური შვენებით მოსილი, ქვეყნად ნეტარების მიყენელი. გიყურებთ და არ მჯერა: ამ ანგელოსს ჩემამდე ვინ მოაღწევინებდა - მეთქი. მაგრამ არა! ჩემთან ხართ, ჩემი ხართ! სულით ხორცამდე ჩემი ხართ და დამშლელი არავინა გეყავს. გიყურებთ და მიგვირს: სინაღისი რატომ არ გეჭეჭნის, სინანულს მანაც რატომ არა გგრძნობთ? რატომ საყვედურს არავინ გეპტყვის?... იქნება ვისამე სიკვდილმა შეგვკავრთა? მაგრამ არა, არვინ მომიკვლარა...
- ირინე.** იგივე ჩვენება! იგივე წმინდა, სპეტაკი ჩვენება, იმითომ რომ სულით ერთნი ვართ და ცის სივრცესავით უსამსლვრო არის ჩვენ სიუვარული. ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ სხვის ღალატით ბედნიერების მოპოვება შეიძლება. და თუ ოცნებამ შესძლო და შეგვკავრთა, გვი-



კვირს, სინდისს რად ჩასძინებია, რატომ სინანულს
 არასა კერძობთ. — იცოდეთ, კარგა ხანია, თუძნა თქვენ-
 თვის არა მითქვამს-რა, სულ იმის ზრუნვაში ვარ, რომ
 ამ უოფას ბოლო მოეუღა.

მისეილ-
 ირინე.

კვ შეუძლებელია.

აი ესლა სწუდება ჩვენი ბედ-იღბალი. მარამი ძეგრანთან
 არის და სთხოვს — თავის-უფლებს დამიბრუნოს. რას გაი-
 კვირკეთ? ამას უფრო უნდა ენატრებოდეს თავის-უფლე-
 ბა. ჩვენი ერთად უფონა, ერთად ცხოვრება აღარ შეგვიძლია.
 ჩვენი ცხოვრება გაუთავებელი ზრუნობა და უსიამოვნობა-
 ღა იქნება. განშორება არა სჯობიან, ერთმანეთს სიცოცხ-
 ლეს მანც აღარ ჩავსმამებთ. არა სჯობიან გავიყარნეთ,
 ადამიანურად გავშორდეთ ერთმანეთს და სსკაცან კეძებოთ
 ბედნიერება?

მისეილ.
 ირინე.

და თქვენა გგონიათ, რომ... .

დაიღ, მე გგონია, რომ უნდა დათანხმდეს. რა ვიცი, რად
 უნდა გაკერძდეს, რად უნდა მითხრას უარი? ის უფრო
 არ უნდა გაუბრძოდეს ამ ვოჯჯოხეთისა? ჩვენი ბოლო მანც
 ეს არის და დღეს იქნება, თუ სვალ...

მისეილ.
 ირინე.

ნეტავი აგრე!

მანამ კი ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან: ამას წინად
 გთხოვთ, ნუ წასვალთ-მეთქი... ბევრი რამ შეიცვალა
 მის შემდეგ. დიდი ცვლილება ხდება დღეს ჩვენს ცხოვ-
 რებაში და კარგი იქნებოდა, რომ მას ჩვენც ღირსეულად
 მივგებებოდით.

მისეილ.
 ირინე.

იქნება ასლა წასულა მიბრძანოთ?

დაიღ! თუ დმერთმა ინება და თავი დაავლწიე, ერთი
 წლის შემდეგ დაბრუნდებით. მაგრამ თუ ბედმა გვიმუხთლას
 და ეს სამარცხეინო ბრწყალები ვერ ავიხსენი (ტირილით)
 საუკუნოდ უნდა გავშორდეთ მაშინ ერთმანეთს.

მისეილ.
 ირინე.

ირინე!...

საუკუნოდ გავშორდებით ერთმანეთს და ღირსეულადაც
 ვიგლოვებთ... ერთმანეთს კვარავთ! სომ დანიშულები



ვართ მე და თქვენ? სედავთ, რა მწარე სუძობა სტოდნის ცხოვრებას: ცოდნას უნდა გტიროდეთ, ცოდნას უნდა გვლავობდეთ.

მისეილ. რა ადვილად ბრძანებთ? არა, ბატონო, მე აქედან გელარსად წავალ. კიდეც რომ მინდოდეს, ვეღარსად წავალ! სადღაა უწინდელი სიმაგრე გულისა, რომ ერთი კი შეთქვა—მივდივარ-მეთქი და უკან აღარ მომესვენა!? ერთ დღესაც ვერ გაუძლებ უთქვენოდ. მე თქვენთან უნდა ვიყო, თქვენს გენჯავდეთ, ახლა სადმე გგრობოდეთ. ცოტა ხანს რომ მოგმორდეთ კიდეც, საჭიროა ჩემს ხელს თქვენი ხელების სითბო შერჩენოდეს, უურში თქვენი ხმა მიწვრიალებდეს და გუულში ღვიოდეს იმედი თქვენი ნახვისა. (მიიზიდავს აღელვებულ ირინეს და მოწიწებით მოეხვევა).

ირინე. ნუ, გენაცვა, ნუ! ნუ ამაღლებებ! ნუ მომიგვავ ჩემის თავის იმედს. მე გუულწრფელად მწამს ჩემი ჰატიოსნება და ვინმე ეს რწმენა არ გამიცრუვო. მომიხმარე, გამამსნევე, რომ დღეს — იქნება დღეიდან იწებოდეს ჩვენი ბედნიერება — ანაფერი მთავრადეს ჩემს სიამაყეს. ეცადე, სანახურად არ გამისადო დღევანდელი დღე. (გაუხსლტება) გამიშვი! მე სომ შენი დანიშნული ვარ!

მისეილ. შენ ჩემი ღმერთი ხარ... იყავნ ნება შენი!

ირინე. ახლა კი წადი! წადი!

მისეილ. წავიდე? მანამ გავიგებდე რამეს, მე ჩემი დამემართება!

ირინე. შეგატყობინებ.

მისეილ. რომ ვერ მოასერსო? რომ ვერც მომწერო და ვერც გამომიგზავნო ვინმე?

ირინე. (ბალკონს უჩვენებს) აგერ იქ დამიცადე. რაც უნდა მოხდეს, არ შემოხვიდე. შორს იყავ! ბაღში ჩადი! მაგრამ ნურც დამალვები: თქვენ ჩემსას ბრძანდებით და ჩემი თხოვნით მეღვით. წადით! მგონი მოდიან. (მიხეილი გავა).

სცენა მთავრი

ირანე და მარამი.

მარამი. (უცბად შემოვარდება) წავიდა?! მადლობა ღმერთს! შექე-
 შინდა, აქ არა ნახოს-მეთქი! შექეშინდა, კანკალმა ამიტანა!
 თავად ცოფისა ჭურის და ახლა ისიც რომ აქ დასვე-
 დროდა!...

ირანე. უარსედ არის?

მარამი. თითონვე გითხრას, აგერა მოდის.

სცენა მარამი

ივინივე და ქერგანი.

ქერგანი. მას ვიურებით რაღა, ქაღალტონო! ეგ გასწავლათ თქვენმა
 დამ!

ირანე. ჩემს დას ნუ გადასწვდით!

ქერგანი. მას მაგ საზინდარ წინადადებათ თავდება თქვენი ბუტი-
 აობა, თქვენი განასობა და ნურკები? ეგ იურ თქვენი თვალთ-
 მსქცობა.

ირანე. თქვენ კარგად იცით, რომ მე თვალთმსქცობისა არა-
 გინდი-რა. ან რა საჭიროა? მას აქეთ, რაც ჩემდა საუბე-
 დურად თქვენ სასლში ვარ, მე ყოველთვის განკენებდით
 ჩემს თქვენდამი სიმულვილს... რა მაქვს დასამალავი?
 დღესაც ზირდაზირ მოგასსენებთ, დავილაღე, ამდენ წვა-
 ლებას კელარ გაუძლებ და რადგან ეს თქვენსედ არის
 დამოკიდებული, ჩემს დას კათხონინე და ახლა მერა
 გთხვოთ, მაკმარეთ, ამ წამებს მომარჩინეთ.

ქერგანი. რა სულელია! ღმერთო, რა სულელია! ვის ელანარაკები,
 ვის? საზოგადოებრივი წეს-წესობების და განონების
 მიმდეკარს მაგასა მკადრებ?! ნება მოვცე, რომ შეაფურთხო



საზოგადოებასაც, მის წყობილებასაც, მის კანონებსაც
გაგვიშვებ, გაგანთავისუფლო—წადი ცხოვრებაში გარყვნი-
ლება და გასწინდება შეიტანე-მეთქი!

მარამი. დიქითა, რა დროს პრინციპებისა? ადამიანი იღუპება—
იმას არად აგდებთ და მოწყობისაწინა—საზოგადოებრივ
წეს-წყობილების მფარველი ვარა.

ჭერგანი. მას თქვენ რა გნებათ? უპრინციპოდ, უზნობოდ ცხო-
ვრება თქვენი დისაჰით?.. ხომ ხედავთ, რა კარგი ნაყოფი
ძიანძის... რაგორ მოგწონთ?

მარამი. მეც მინდოდა, ეს არ მომხდარიყო, მაგრამ...

ჭერგანი. გამაღობთ.

მარამი. თქვენს გულს დაეკითხეთ, რად ჯავრობთ? რად გიკვირთ,
და დას კეძმაგებოდეს? მე რომ თქვენი გულგუთილობა
არ ვიცი, ხომ არც ასე შეგეგვიწებოდით. მე შეგონა,
კიდეც გაიმეებათ-მეთქი. რა არის ერთხელ, თქვენს სი-
სიცოცხლეში ერთხელ მაინც თქვენს პრინციპებს ვა
არა, თქვენს გულს დაეკითხეთ და ადამიანურად გან-
საჯოთ საჭმე.

ჭერგანი. იცით, მარამი... თქვენმა დამ ისურვა თქვენი გარკვევა ამ
საჭმეში და მე ვი... მე უნაკლები არ მინდა. ეს საჭმე
მარტო მე და ირინეს შეგვესება და მარტო მე და ირინემ
უნდა გავათავოთ იგი.

ირინე. (მარამს) რა, არ წახვიდე!

ჭერგანი. (ირინეს) ნუ გეშინიან! მე შენ არა გცემ... გაიმება ვი,
საბუთი გეჭნება. (მარამს) კიდეც გეტყვი, მარამი, ამ
საჭმეს ბოლო უნდა მოეღოს და ამისთვის საჭიროა ამ
სახლში მარტო ჩემი, გეუფრებათ, მარტო ჩემი ნება და
სურვილი სრულდებოდეს. ჩვენ მოწამე არავინ გვირდა.

მარამი. რა, რა გულგუთა ყოფილხარ!

ირინე. (თავის ოთახისკენ მიჰყავს) აქ დამიცხდე.

მარამი. (ჰიოტონის) მამატიკე, ვერა გიშეუფრება მე უბედურმა.

სენა მცხა

ირინე და ჭერგანი.

ირინე. რა გინდათ ჩემგან? გინდათ სასოწარკვეთილებამდე მიმი-
 უყანოთ? გინდათ სულთ სორცამდე დამღუპოთ?

ჭერგანი. მე მინდა გონებასჯედ მოგიყვანო.

ირინე. ერთი გამატყუებინეთ, რა გაქვთ ჩემი თხოვნის წინააღმდეგი?
 მე თქვენი კვლავაა გამიგია-რა. მითხარით, რად გინდი-
 კართ? ან იქნება ამოდუნა უსამოგნების შემდეგ კიდევ
 სთქვამთ, მიყვარხარ?

ჭერგანი. არა, არ მიყვარხარ. სინჯობა ჩამამწარე და წარსულის
 დაბრუნება რომ შეიძლება...

ირინე. მას სამაგიეროს მიხედვით რაღა? გნებავთ ჭკერი ამო-
 ყაროთ, მასწამოთ და ჩემი კენესით დასტყუეთ!

ჭერგანი. კგ ჩემი უფლებას და კიდევ ვინმარება, თუ საჭირო იქნება.
 არა, უკეთესს გეტყვი. ყურთ დამიგდე! ჩვენი ჭკრის
 წერის დღეს მე და შენ ღვთისა წინაშე ვირობა დაჯდეთ,
 რომლის ძალით მე ცოლიანი ვარა ვაგნდი. ამ ვირობით,
 ესე იგი ჭკრწინების ძალით ჩემი საზოგადოებრივი
 ღირსება ერთი-ორად იქცა; ერთი-ორად ვიქვეც მე
 არა მარტო შეძლებით, არამედ ზნეობრივადაც. მას შე-
 ძდებო, მე კარგად ვიცი ის ვირობა, რომლითაც შენ
 შეგვეკარი, კარგად შევისწავლე და ისე ვიქვეცდი, რომ
 იგი არაფრით დამერღვია, რადგან ჩემგან მის დარღვევა
 ჩემი დამცირება, ჩემი შერცხება იქნებოდა. შენ კი მომ-
 დგომინარ—გაკეთებინეთ! იგი კი რა არის ჩემთვის
 კგ ვაფარ! ჩემი დამცირება, ქუდის მოხდა, თავსდაფის-
 დასხმა. შენ გინდა ნახევარ კაცად მქცო, ჩემი ღირსების,
 ჩემი ზნეობის ნახევარი წამართვა! ნახევარ სახე
 გამპარსო და ისე მატარო ქვეყნის სამახარაოდ! მერე
 რისთვის? მხოლოდ იმართომ, რომ ქალბატონს ჩემთან



ყოფნა მოსწყინდა! არა! დამეთანხმე, ჩემი საბჭოელები უფრო ძვირად ღირან, ვიდრე შენები. მაგ ნიადაგზედ შატოლსანი ქალი ფეხს ვერ მოამაგრებს და თუ მოამაგრა, აღარც შატოლსანი იქნება.

იონე. ცილსა მწამებთ: მე მაგ ნიადაგზედ არა ვდგეკარ. მე მარტო იმას ვამბობ, რომ ჩვენ შორის ცოლ-ჭმრობა უგვი შესწუდა და ძალად მის განსაღება შეუძლებელია. მე მარტო იმას ვამბობ, რომ სიცოცხლე სიყვარულია და ჩვენს შორის ვი სიძულვილის მეტი არაფერია: ადამიანის დანიშნულება ის არის, სიკეთე სთესოს და მით ბედნიერება მოიპოვოს, ჩვენ ვი ერთმანეთის ვიბრით დაბრძკებულნი ერთმანეთის წყენას-ღა ვცდილობთ. ერთად ამისთანა ცხოვრებას, ძგონი...

ქერგანი. შენი ბრალად, შენი! შენ ისე მოაწყე საქმე, რომ ჩემს სახლში ჩემი ცოლი ჩემთვის უცხო ვირად იქნა! უცხო ბრძანდები? ძალიან კარგი! ოღონდ ნუ დაივიწყებ, რომ მე კანონისამებრ ცოტა რამ უფლება მაქვს შენზედ და მით ისე ვისარებებე...

იონე. კარგი ერთი! შეიძლება კანონი სრულს უფლებას გაძლე-ვდეთ ჩემს მზითველზედ, ჩემს ფულზედ და მამულებზედ, მაგრამ მე ჩემს დღეში არ დავიჯერებ, რომ კანონმა სრულ საკუთრებად, უუზომოწრილ უმად გავიხადოთ თქვენივე სწორი ადამიანი.

ქერგანი. ახალი აზრები! ეგ თვით ქორწინების უარ-ყოფას! ქორწინება მით არის წმინდა, რომ მის დარღვევა ჩვენს სურვილზედ არ არის დამოკიდებული.

იონე. ტყუილია! წარსული სულ სხვას ამტკიცებს: ქორწინება დარღვეულად ითვლებოდა, როდესაც ერთი მკუდლეთი-განა უარს აცხადებდა... არც ჩვენი კანონების ისე სასტიკია...

ქერგანი. ვინ მოგახსენა?

იონე. ვეჭიღმა.

ქერგანი. ოჰო! ებძნ გაბედე?

- ირინე. ვითომ-და რატომ? თვით სამღვთო სჯულებაც ამას ამტკიცებს! მე იმისთანას არას ჩავდივარ, რომ საზოგადოებრივი ზნეობას შეურაცხველობდეს და მის წესწებობებს არღვევდეს. სიძულვილი საკმარის საბუთად არის აღიარებული, რომ ცოლ-ქმარი გაიყარნენ. კაცი მიუღდას, მიუღდას დღეს უფრო ძალიან, ვიდრე გუშინ, და სწავ კიდევ უფრო ძალიან, ვიდრე დღეს, განა ეს არა გმარა, რომ გაიყარნეთ? ამასუდ მეტი, ამასუდ მძლავრი საბუთი მე ვეღარა წარმომიდგენია-რა.
- ქერგანი. ჩვენი კანონებით ვი ცოლ-ქმართ გაურა შეუძლებელია, თუნდა ორივეს სურვილიც იყოს.
- ირინე. თუ ვი ორივეს სურვილი იქნება, სომ კიდევ გაიყარებან. კანონმდებლობა მამინ უნდა ჩაჭიოს, როცა ერთსა სურს და მეორეს ვი არა.
- ქერგანი. ჯერ მაგრე განვითარებული არა ყოფილან ჩვენი კანონმდებლები. რას იზამ!
- ირინე. იმას ვიზამ, რომ გზას ვიზოვნი რასმე.
- ქერგანი. ვერას იზოვნი. ვერ იტყვი, ცუდად შეკადება; ვერ იტყვი, მღანძვას და მკენებსო; ვერ იტყვი, მღალატობსო! რამდენადაც მე ვიცი—იმისთანა არაფერი ჩამიდგინა, რომ სასჯელში მიმცენ და ღირსება ამყარონ; მამსადამე, ვერას გააწეობ. მე ქმარი ვარ და კანონის ძალით კიდევაც ვიქნები.
- ირინე. ისე გატიტირებთ საქმეს, რომ გაურას თქვენვე რდილობდეთ!
- ქერგანი. ჰო, მაგ იმედით ბრძანდებოდა!
- ირინე. რატომ? სომ შეიძლება ისე ვიტყვოდეთ... ისეთ მდგომარეობაში ჩავატოთ... .
- ქერგანი. არ შეიძლება.
- ირინე. მაგასაც ვინახავთ.
- ქერგანი. გაიწევე, ღვამს მოგიტერ.
- ირინე. ღვამის გაწევეტაც გამიგონია.
- ქერგანი. ზოლიციას მივმართავ! ხელშეკრულს მოვათრევენ ისეგ შენს ქმართან... დიალ! კანონი მაგის უფლებასაც მამღვკს.

ირინე. ვიბრძა რომ გამოიტაცოს და... ზატოისანი კაცის უღირსი გაგხდე?

ქერგანი. მანინ აქ უნდა ეგდო! ჩემი ნებაა და აქ უნდა იყუე! ჩემი სურვილია! შენ ვუელაფერში მართალი ხარ, მაგრამ ჩემი სურვილია და მასხადაძე შენც ჩემი სურვილისამებრ უნდა იქცეოდე, რადგან შენთვის კანონია ჩემი სურვილი. ხელში მუეკხარ და არ გაგიშვებ.

ირინე. ბატონ-ემობა გადავარდა, მონები განთავისუფლეს, ამ საუკუნეს თავისუფლების საუკუნეს უწოდებენ და ჩვენ კი... ჩვენ რა სახსუნებულნი ვართ, ჩვენ ხომ ადამიანები არ ვართ! ქალი—ცოლი უნდა იყოს ვისიმე და ცოლი ხომ სულთ ხორცადვე საკუთრებას თავის ქმრისა და ბატონისა. მონოზანმა რომ მონდომოს, ღვთისადმი დადებულს ფიცს გასტესს და მონასტრიდგან გამოვა; და კაცისადმი მიცემულს ზირობას ცოლობისას კი ვერ უნდა კარლევადეთ? ადამიანის სულს და ხორცს, თითონ კი არა, მისდა უნებურად ქმარი განაგებდეს?! არა, მე ეს ვერ შემიგნია! მე ეს არა მწამს! არა მწამს და არც ავიტან!

ქერგანი. აიტან და აგრე! ესლა კი სრულიად დავრწმუნდი. ჩემი სურვილი, რომ სოფელში ვიცხოვროთ, რაც შეიძლება სასქაროდ უნდა ასრულდეს. იქ გირჩევნა! იქ დამშვიდდები, გონებასუდ მოხვალ და შერ მომასვენებ.

ირინე. ეგ შეუძლებელია!

ქერგანი. ეგ ჩემი ნებაა!

ირინე. (ვეღრებით) მაგას ნუ იზამთ! რად გინდათ ჩემი დაღუპვა?

ქარგანი. (მოიშორებს) თუ დმერთი გწამს მაგ კიდეც თავი დაანახე. როცა მე მქონდა სათხოვარი, მგონი არ შემიწუხებინარ მაგკვარი ვედრებით.

ირინე. (დაჩოქილი) შემიბრალეთ! მომისმინეთ!..

ქერგანი. მე ჩემის სიტყვის შესცვლას ჩვეული არა ვარ. რაცა ვთქვი, ვთქვი! შემდეგ ში, დავრწმუნებული ვარ, დამიმაღლებ კიდეც, რომ ავ გზას ავაცდინე. (გავა)

სენა მათე

ირინე. (მარტო. ცოტა ხანს გიჟივით რჩება. მერე მივარდება ბალკონის კარს, საიდგანაც მიხეილი შემოვარდება და გულში ჩაიკრავს.)
 შენ? შენ? შენ რა გინდა მიყავი!

მოქმედება მესამე.

დიდი ოთახი სოფელში. უკან ბაღში გასავალი ღია კარი, აქეთ იქით—კარები.

სენა პირველი

(ჭერვანი წიგნებს ალაგებს. ვალანტონი ანკვს ასწორებს.)

ვალანტონ. მას არ მოდიხარ?... თქვენ და თქვენი საქმეები!

ჭერვანი. რა გუნა, ბატონო, მე დამრჩა ამ სახლის დიასახლისობა. აგერ ათი წელიწადია, რაც აქა ვართ და ერთხელ არ მისხლავს, ირინეს უურადდება მიეჭრიას რისთვისმე. ბუკრი გესაუბრე, ბუკრი, მაგრამ ვერა გაუწეუ-რა.

ვალანტონ. მე კი არ ვიცი! სომ გახსოვთ, რა ძალდატანებით წამოიყვანეთ ქალაქიდან. მას რა გგონათ?

ჭერვანი. კრიჭა! ათი წელიწადია მას შემდეგ!

ვალანტონ. თუნდა ასე იყო! ქალისთანა ბუტია სომ არა გაუხეინა-რა ღმერთს! ქმარი რომ არა ჰყავდეს, თავის თავს გაუბუტება!.. ისეთ ბუტ-ბუტს მოჭეება, რომ..

ჭერვანი. არა, გული მოიბრუნა! საქმე არ ესერსება, თორემ დარ-წმუნებული ვარ, მე არ მომსგებდა. ეჭვს რაც იყო, იყო! ღვთისა წინაშე, ესლა კელარას დავედურება; მორჩა, გათავდა ის არეულობა! მადლობა ღმერთს, რომ მაგრა მეჭირა მამინ ირინე, თორემ საუკუნოდ დაიღუპებოდა. ფოლადივით მაგარი ხელით მეჭირა და...

ვალანტონ. ბრწყალებით, განა!

ქერგანი. მ.შ ან იცით. მე ჰატიოსნად შეკასრულე ჩემი მოკალეობა.

გალანტონ. შირად თქვენდამი, თუ თქვენც იტყუით.

ქერგანი. დიაღ... არა, არც ირინე უნდა შემდურებოდეს! ჩემი მადლობელი უნდა იყოს, თუ დღეს ჰატიოსანი ქალია და ქმარ-შვილის ჰატონი. მე რომ იმისთვის აღვირბი მიმეშვა, ვინ იცის რამდენჯერ წაიბოროდიკებდა, ან სხად მოიტყებდა კისერს. ხომ გავსოვთ, რა აზრებით იყო გატარებული? იცით, მე ვამაყობ, რომ იმ დროს ისე გუელმაგრად შევებრძოლე ირინეს ახირებას. სოფელში რომ არ წამოვს-უღლიყვით კი დავიღუპებოდი. სოფელში თავისი იცის: გონებაზედ მოვიდა, დამშვიდდა, დაწყნარდა. მერე შვილიც მოგვეტა და მამინ ხომ სრულად დარწმუნდა, რომ მორჩილებისთანა კარგი არაფერია, ვისაც კი ტკბილი ცხოვრება ნებას.

გალანტონ. რასაკვირველია, უნდა დაგმორჩილებოდათ. ოცის წლის განმავლობაში მაგას როგორ ვერ ისწავლიდა?

ქერგანი. ხომ აგრეა და, აბა წარმოადგინეთ, ესლაც კი შევხირდებით ხოლმე ხანდახან! ისე, მოულოდნელად, გამოტყუვრება რამე და... აი ესლაც, ერთი რამ მინდა ვაცნობო... ვინც არ დამენთანხმება, წინაღმდეგობას გამიწვეს, მაგრამ რა გაეწეობა? უამისობა შეუძლებელი უფილია.

გალანტონ. კიდევ ჩხუბს აპირობთ?

ქერგანი. სავანი იმისთანაა, რომ შეიძლება სახსურადაც გაგვიხდეს საქმე; ჩემი ბიჭივოს სწავლას მოგასსენებთ. მე მინდა ქალაქის პანსიონში მივტე, ირინე სულ სხვას გაიძისის.

გალანტონ. რა არის, დალოცვილო!.. ჩვენს წასკლამდე მინც მოითინეთ... აი წავალთ და მამინ ინსუბეთ, რამდენიც გნებავთ.

ქერგანი. კე შეუძლებელია. ხვალ სწავლა იწეება და პანსიონში სიტყვა მივეცი, ჩამოვიყვან-მეთქი თუ დღეს არ წავკედი, დაგვეჩანდებით. ირინეს რომ ჭკითხათ, ბავშვს თავის დღეში არ მოიშორებდა. რამდენჯერაც ვასხენე, ქალაქს



უნდა წავიფუნა-მეთქი, ისეთი შემოძირა, რომ გადა-
ვწყვიტე, უკანასკნელ დრომდე ხმა აღარ ამოძვლო და
ბოლოს...

ვალანტონ. როგორ, ჯერ არ გითქვამთ? ჯერ ნება არ გაქვთ
იჩინესი და ბავშვი გი ზანსიონში მიახარეთ?

ქერგანი. რამდენჯერაც ვკითხე, უარი მითხრა მეჩუ იცით რა
უარი? ძველებური, ასირბული უარი, რომელიც მე უწინ-
დელ არეულობის ნიშნად მქვებება. მეც გაზრდილი, რომ
ჩემი დაყენებით არ გამეფარებინა და საქმე არ წამე-
ხდინა. ასე იქნებოდა, თუ ისე, დედაშვილას გაშორება
აუცილებლად უნდა მომხდარიყო და მამასადაც რაც გვიან
გაიგებდა ამას ირინე, იმდენად ნაკლებ უსიამოვნებას
მომაყენებდა.

ვალანტონ. დიაღ, დიაღ! იმდენად ნაკლებს... (წასვლას აპირებს) იმის
პირობა მანც მოძვრით, რომ ჩემს მოსკლამდე გათავი-
ბული იქნება ყველა... შერბილებული დამსკვდებით... მე გი
მივდივარ... რა მოტევი გიპოვებე ყოფილში, რა მოტევი!

ქერგანი. რა უფრო სკდება?

ვალანტონ. იქ მკონი ყველანაირი თვესია.

ქერგანი. მანც რა უფრო სკდება ანკესს?

ვალანტონ. ანკესს? არაფერი, წარმოადგინეთ არაფერი!

ქერგანი. მას არა გცოდნიათ!

ვალანტონ. მე არა მცოდნია?! არა, ბატონო, თქვენს თვესებს
არა სცოდნიათ სტუმრის პატივისცემა! გვერდთ გა-
უვლიან, ანკესსა სინჯავენ, შორიდან სუნჯვენ, გათამა-
შებსაც გი ვერ უბედავენ! მადი შენა და!... როგორ
მოგწონთ, ჭა, არა გცოდნიათო! — ნახვამდის! (ვადის)

სცენა მორაი

(**ჭერგანი.** **ირინე** და **მარია**ში ბალიდან შემოდინან; ირინეს ჰალარა შერევიან, თალხი ტანისამოსი აცვიან. მარიაშ მინდვრის ყვავილები მოაქვს.)

მარია. რა ძალან დაგილაღე!

ჭერგანი. შორსა ბრძანდებოდით?

მარია. მთელი ყორული შემოკარეთ. მერე მინდორში გაგედით...

ჭერგანი. ჩემს ყორულს ისეთი ღობე ავლიან, რომ მინდორში ვერსად გასვდივართ.

მარია. გადაიყვლილი გასვართ. ის-იყორითი დედაგინი გადმოვიდა, სარტეხი მოჭქანდა წყაღზედ.

ჭერგანი. ვაიმე, ვაიმე! მას ღობეც გადამითუეს! (ირინეს) მერე შენ რა უთხარ?

ირინე. მოგვიტოხე, რა უნდა მეთქვან?

ჭერგანი. სხვა არაფერი?

ირინე. სხვა რა? ქინაქინას დაგვირდი, შვილი ჭყოლიან ავად.

ჭერგანი. (ქულს აიღებს) ზანდურის ცემით გაგსეთქვამ იმ...

მარია. ნეტაც რა მრჯოდა, რა ძალაზარაკებდა?

ჭერგანი. რა უნდა? სხვის მამულში რად შედის? რა უფლებას აქვს, რომ ღობეს მითუღვს?

მარია. ეჭ, კარგით ერთი! შეგვიმარხვით ეგ საწყალი უფლებას და ხან აქეთ და ხან იქით!

ჭერგანი. ყველამ რომ ჩემსავით იცოდეს თავისი უფლებანი და გალდებულენი, მერწმუნეთ, ქვეყანას სამოთხედ გადაქცევოდა. (ვადის)

სცენა მისამი

მარია. რად გაუშვი? ვერ შეაყენებდი?

ირინე. მის სურვილს წინ ვინ აღუდგება?! მე მარტო იმას-ღა ვცდილობ, რომ უცხად სადმე წინ არ შეგეფეთო მის ნებას.



- მარიაძე.** ირინე, ნუთუ დრომ წამალი კერა დასდო - რა შენს გულს?!
- ირინე.** კერაფერი.
- მარიაძე.** მაინც, ძეგლებურად ხომ აღარა ჩსუბობთ?
- ირინე.** საჩხუბარი ესლას ერთილა გვაქვს, მაგრამ იმისთანა საშაში და მნიშვნელოვანია ეს საგანი, რომ დაწყებას კერც ერთი კერ ვბედავთ.
- მარიაძე.** რაა, რა საგანია?!
- ირინე.** ჩემი რენეს სწავლა.
- მარიაძე.** რა, გენდურება, ქალიან ანებავრება? არცა სტუეის, გარ-წმუნებ.
- ირინე.** მიუვარს და რა გქნა?! მხოლოდ იმიტომ არ მოვიკალ თავი, რომ ჩემი რენე ობლად არ დაძრჩენოდა; ესლაც, თუ ცოცხალი გარ, მარტო რენესთვის... უჩემოდ ერთ თვესაც კერ გასტანდა! მე გაცოცხლებ რენეს და რენე მე მაცოცხლებს. ჩვენი განშორება და ჩვენი სიკვდილი ერთი იქნება. სხვას, უცხოს, უცნობს მივანდო ჩემი შვილი? ჩემი შატარა, ნორჩი სული და გული? თავის-დღეში არა! ის სხვასთან კერ გასძლებს, სხვაგან კერ ისეირებს, დატყნება, თავდაც სუსტია. ჩემი ტანჯვა, ჩემი სეკდა სულ საწყალს ბავშუს ერგო წილად და აძი-ტომ არის ასე დაღანებული და დასუსტებული.
- მარიაძე.** ჯერ ხომ არა უთქვამს-რა შენთვის ქერგანს?
- ირინე.** რამდენჯერმე. უთუოდ ქალაქს უნდა გავკზავნო სასწავლებლად. ბოლოს დროს აღარას ამბობს, ერთობა სამერმისოდ გადასდო. ხომ იცო, რა სასიათის გარია. არათურს დაერიდება, ქვეყანას გადათელავს, ოღონდ თავისი გაიყვანოს; მაგრამ ამ საქმეში კი როგორღაც მერიდება, თითქო ჭკრძნობს, რომ დედასთან შებმა და შვილის წართმევა ადვილი საქმე არ არის. ჭო და მერი-დოს! ლომივით გავმაცრდება და თუ გაჭირდა შეუდ შევაკვლები, ვინც კი ჩემი რენეს წართმევას მომიხდომებს.



მარიაძე. სადღას ჩემი ირინე! ეს ბავშვი რომ არ ყოფილიყო, ცოცხლებში აღარ ერეკოდა. ვაი ჩვენი ბრალი! რა ცუდ-უბრალოდ დაიქსაქსა შენი ცხოვრება! განა შენ ვი ღირსი არ იყავ ბედნიერებისა? განა შენ ვი ღირსი არ იყავ საკეთრივ შენთვის, შენა გულის გასასარებლად გეცხოვრას რამე? სშინად ჩავთვებებავარ შენს ყოფა-ცხოვრებას და... აღბად ბედნიერებისათვის არ იყავ...

ირინე. (ჩაფიქრებული) ვინ იცის?

მარიაძე. არა! არა! რა ცუდ-უბრალოდ გაიარა სიყმაწვილეში; ერთბეწვას ნუგეშა არსაით იყო. მგონი ისე მოგიკვდა გული... ირინე, ესლას რომ შეიძლებოდა... ნუ თუ შენი გული კვლარ მოთება?...

ირინე. რას ამბობ, მარიაძე?

მარიაძე. განა უთუოდ გულში უნდა გიჯდე, რომ შენი ღარდი ვიცოდე. განა არ ვიცი, საით მიისწრაფოდა შენი ოცნება. არა გითქვამს-რას, მაგრამ მე კარგად ვგრძნობდი შენს გულის-წუხილს.

ირინე. მაინც არ ვიცი, რის თქმა გინდა.

მარიაძე. ბარეი არ უნდა მომეგონებინა შენთვის წარსული, მაგრამ რომ იცოდე, რამდენსა ვთვებრობ.

ირინე. სთქვი და გამაგებინე!

მარიაძე. ან რა არის მანდ სამრახისი, რომ დამიმალო. მე მგონი, ირინე, შენ მიხეილი გინდოდა საქმროდ.

ირინე. შეიძლება.

მარიაძე. ხედავ! ნეტავი ავრე ყოფილიყო... მაგრამ იცი, ირინე, მაშინ უფრო უბედური იქნებოდა. განა მეტი-ღას უბედურება ვიდეკ იქნება: შენს საწადელს მიაღწიო და უცხად სეულიდან გამოგაცნალოს მუნთაღმა ბედმა!

ირინე. ეჰ, მარიაძე! თავს დამანებებდით, რა გინდოდათ ჩემგან? ერთი დღის სიცოცხლე მაინც მექნებოდა ჩემებური, გულით ნანატრი! მერე... დანარჩენს მე ვაკუძკვებოდა.

მარიაძე. ვიდეკ კვ არის, რომ კერ ვაკუძკვებოდა-და! თორემ განა შენი მტერი ვიყავი? აბა ნამდვილს, ჭეშმარიტ ტანჯვას მაშინ



ნახავდი. მე ვერცეი წარმომიდგენია: მიყვარდეს, ციურა ნეტარებით ვსტებებოდე საყვარელ ქმართან და ურბად ხელიდან გამომეცალოს! ხელში მომიკვდეს!..

ირანე. მე რომ შემეერთო, არ მოკვდებოდა, მე გადავარჩენდი. ჩემი ალერსით ვუწამლებდი, ჩემი სიყვარულით მოკუვლიდი. მე აკაცდენდი იმ მარტოობას, იმ ობლობას სულისას, რომელმაც ნელ-ნელა გული დაუღრღინა და ბოლო მოუღო. ვინ იცის, იქნება ძალადან... გულმკვდარი იყო, იმედ-მისდილი...

მარიაშ. ძალად კი არა, შენგან არ მიკვირს, ჭლეჭი იყო, ჭლეჭის შვილი!

ირანე. გაჩუმიდი, მარიაშ!

მარიაშ. რა დაგემართა?

ირანე. არაფერი... საშინელებაა სიკვდილი!..

სცენა მეოთხე

რენე. (სირბილით) დედა! დედა!

ირანე. (ხელ-გაშლილი მიეგებება) მოდი, ჩემო სიცოცხლე, ჩემო მასარებულე! დაიცა, ჯერ დაგეგონო! (აიტაცებს და ჰკოცნის) რა ნაზი ხარ, შვილო! რა სუსტი ხარ, რა ფერმკრთალი! უნდა გამაგრდე! უნდა იგიყო, იცელქო! ირბინე, აიკვლ აჭაურობა!..

რენე. მამამა — დღეს სხვაგან წაგიყვანო.

ირანე. ვერ მოგართუეს, ჩემო ბატონო! თქვენ კარგად იცით, რომ უჩემოდ ვერსად წაბრძანდებით.

რენე. რატომ, დედა?

ირანე. იმიტომ რომ... გენაცვალეთ, ოფელში ცურავს! სად იყავ, შვილო? აკი გაკვეთილსა სწავლობდი,

სცენა მესამე

ივინივე და ჭერგანი

- ჭერგანი.** ეგ იმას ამტკიცებს, რომ ამ კაპიტონს მასწავლებელი-
ქალებისა აღარა სწამს-რას და სხვას მასწავლებელი უნდა
მოკუებნეთ.
- ივინე.** წადი, გამოიცვალე! გეუწრება, თავით ფეხამდე...
- ჭერგანი.** კრაქა!
- მარიაშ.** ეგ მე მომანდე, მე გამოუტყველი. ერთი კარგადან და-
ტუქსავ... მამ რის დედადა ვარ! (ხუმრობით შეუტევის).
მგონი მამინ სიცილის გუნებაზედ აღარ იყო... (ნახად)
და არც ტირილის გუნებაზედ. (გადის და რენე მიჰყავს).

სცენა მეოთხე

ივინე და ჭერგანი

- ჭერგანი.** სწორედ რენეს შესახებ მინდა მოკვლავანაკო. უნდა
გადავწვიტოთ რამე, ასე არ იქნება.
- ივინე.** რაღა დღეს მოგინდათ?
- ჭერგანი.** დრო გადის. მეტი დაგვიანება შეუძლებელია.
- ივინე.** რატომ?
- ჭერგანი.** იმიტომ რომ აგერ ათი წლისა სრულდება და, გიმეორებს,
დრო მისდის.
- ივინე.** მერე?
- ჭერგანი.** პატარაობისას ბავშვს დედასთან ყოფნა უჩვეულობა: დედის-
თანად კერავინ აღზრდის მის ჩვილ გულს და გონებას.
იმიტომ შენ მოგანდე ჩვენი შვილის აღზრდა და აქამდე
მე მაგ საქმეში არ გაგრეულებარ, ხსლავ კი...
- ივინე.** ხსლავ რაღას?
- ჭერგანი.** ხსლავ კი, ბავშვი აღარ არის და მე არ მინდა, რომ ჩემი
შვილი ქალურად, ქალაქურად იზრდებოდეს.



ირანიე. მიბრძნეთ, როგორ უნდა იზრდებოდეს და მეც სწორედ ისე მოვიჭრევა.

ტერგანი. ბავშვის აღზრდის მე იმდენივე ვიცი, რაც შენ, ესე იგი, სრულად არაფერი. ეს კი კარგად ვიცი, რომ ესლა რენე უნდა სწავლობდეს და შინ კი ვერას ისწავლის.

ირანიე. თუ მე და ის ქალი ვერას ვასწავლით, მასწავლებელი დაუჭირეთ. მაგასევე ადვილი რა არის.

ტერგანი. საუკუნოდ დაგლუშავთ ჩვენს შვილს. როგორ იქნება, ბავშვი ისე აღიზარდოს, რომ ბავშვებში არ ერიოს? მოკლებული იყოს ყოველ-გვარ დისციპლინას და თვით-მოქმედებას? ამხანაგებში ვირველებას არ ცდილობდეს, თავის ტოლებს არ ეჯობებოდეს?! მხოლოდ ზანსიონში და შემდეგ გიმნაზიაში შეიძლება ღირსეულ კაცად იქცეს და დედ-მამის მადლიერი და მასწავლებელი კაცი დადგეს.

ირანიე. სწორედ მაგისი მეშინოდა. რამდენჯერ უნდა გითხრათ, ჩემი მოშორება და რენეს განწირვა ერთი იქნება. იცოდეთ, უჩემოდ მის სიცოცხლე შეუძლებელია.

ტერგანი. კარგი ერთი, სირცხვილია სხვა არა იყოს-რა! შვილი ვის არა ჰყოლია, რომ აგრე არ გადაიკრულა. ამას რაღა ჩინინი უნდა, რომ შინ, თავის დედ-მამასთან ბავშვი ვერას ისწავლას; თუნდა მართლ იმიტომ რომ გაგიყუბით გიყვარს და ანებებებ! რეჩნი! აფუტებ! ისე დაბრძანებული ხარ სიყვარულით, რომ არ შეგიძლიან სასტიკად მოეჭრე.

ირანიე. და თქვენ გნებავთ სხვას მიაზაროთ, რომ სასტიკად მოეჭრენ ჩემს შატარა ავად-მყოფს? რატომ არ ხედავთ, რომ სნეულია? რატომ არ გჟვრათ ჩემი? დედის გული ყოველთვის უკვდავ ჰქონობს. ოჰ, დამერწმუნეთ, დიდი დღე არა აქვს რენეს. თუ სნეულება არ ეტყობა, ეგ იმიტომ რომ მე ვერდთა ვეყარ, მე ვუვლი. სიომ რომ დაჭკრას ოდნავ, მაშინადვე ხეკლა აუვარდება. დამე რომ ნახოთ, გაგიკვირებთ, სულ ოფელში ცურავს.

- ქერგანი.** მერე მეც მაგას არა ვჩივი! შენ ისე ანუბიერებ საბრალო ბავშვს, რომ ღამის ძაღად დაასწავლო. თავი დანებე, თავისუფლად გავიდეს, ჭკურზედ იყოს, ყველაფერს შეეჩვიოს, რომ ცოტათი მაინც მომიტრდეს.
- ირანი.** ჩემი შვილი უჩემოდ გერსად გავა.
- ქერგანი.** ჩემი შვილი ჩემს ნებაზედ აღიზრდება, სწორედ ისე, როგორადაც იზრდება უოკული ჰატოსისანი კაცის შვილი. საშობაოდ, სააღდგომოდ და მთელი წაფხული შინ გუფლდება, მკონი საკმარისია! მე ქალაქს სშირად დაკვივარ, სშირადა ვნახავ. მოინდომებ და ქალაქს შენც ჩახკალ, თუ გი ცხენებს ეცლებათ.
- ირანი.** მე ვაიდე იმას გუფხებით, რომ ავად არის, ძალიან ავად. განსაცდელშია არის, გუფურებათ? მე ვარჯად ვიცი, რასაც ვამბობ... ეჭიმებმა მითხრეს.
- ქერგანი.** ვინ ეჭიმებმა?
- ირანი.** ყველამ. ვინც გი გამოჩენილი ეჭიმი არის სადმე, ყველას ვახკენე.
- ქერგანი.** მე რას მიძლავდი? ახირებულის თქვენმა მხემ! მერე რაო, რა სჭირს, რა სტკიავა?
- ირანი.** ეჭიმებმა სთქვეს, რომ... რომ...
- ქერგანი.** რაო? რა სთქვეს?
- ირანი.** ძალიან საშიშ მდგომარეობაში არისო და... მხალოდ დედის სიყვარულს შეუძლიან გადაარჩინოსო... დიდა მოკლას და გაფთხილება უნდა, თორემ...
- ქერგანი.** შენა ხარ სუფელი, თუ მე მასუფელი? რომ იტყვიან, ავად არისო, განა იმას გი არ იტყვიან—ერთ არის ავადან! ჭო-და ვიდევს გკითხავ: რა სჭირს, რით არის ავად?
- ირანი.** რომ იცოდეთ, რა უდემართოდა მტანჯავთ! რატომ არ გჯერათ? ხომ ხედავთ, რომ...
- ქერგანი.** თუ ეჭიმთხანც აგრე იქცეოდით, რასაკვირველია, ყველა იმას იტყვოდა, რაც შენა გსურდა და ვიამებოდა. ვინ იქნებოდა, რომ ასეთი შეშლილი დედა ენახს და არ შევბრალებოდა? დასწვევლას დემართმა! შენ მკონი სნეული არსად ეოფი-

ლხარ, მე კიდევ... რა ვინც, ჩემს დღეში თითი არ წამოდ-
 ტკივნია და ჩვენს შვილი სხეული რად უნდა იყოს?
 მიკვირს ღმერთმანი! იცო რა გითხრა, მოდი გავათავოთ:
 ერთი წელიწადი იყოს პანსიონში და თუ ერთი-ათად
 არ იქცეს, აი ეს უწყაში მომზარსე.

ირანი. ერთი წელიწადი გი არა, ერთ დღესაც არსად გაგუშვებ.

ქერგანი. ღმერთმანი?!

ირანი. დილ! ერთ დღესაც არსად გაგუშვებ! ერთ დღეს!

ქერგანი. ძლიან გარგი... მეც გიყო ვიყავ, რომ ტყუილ-უბრალოდ
 თავს ვიწუხებდი... წადა და რაც საჭიროა ჩაგვიღებ:
 დღეს რენე ქალაქს მიმყავს.

ირანი. რა?

ქერგანი. სადილს უკან მივდივართ. არ დაგვკავიანო!

ირანი. მაგას გაბედავთ? მაგას იკადრებთ?!

ქერგანი. სადილი რაც შეიძლება ადრე იყოს!

ირანი. მსმ აგრე? გერ წაიყვანთ! მე იძულებული ვარ ჩემი შვილი
 ამ განსაცდელს გადავარჩინო. თქვენ ჩემი არა გჯერათ?
 სრდებით და ის გი არ იცით, რომ თქვენი შენდომა რენეს
 სიკვდილია. ეგ შეუძლებელია!

ქერგანი. კმარა! მე შეგონა მოკდრაგე, დავიმორჩილე-მეთქი და ეს
 ისევე ძველებურად მიკურბდება. თითქო არ მიცნობდეს!
 გახსოვს, ირანი?.. მამის ქმრის უფლება იყო დღეს მამის
 უფლება იქნება.

ირანი. ნუ იკვებით, სიარტსკილია! გამარჯვება თქვენ დაგრჩათ,
 მაგრამ ზოგი გამარჯვება დამარტსებასედ უფრო სამარ-
 ტსენია. თქვენ გგონიათ, თავი რომ მოგიხსართ... გული
 სიძულვილით შეკსებოდა! იცით, მე რომ თავი დავტუნე...
 მას შემდეგ თქვენთვის თვალი აღარ გამისწორებია!
 დღეს თქვენს წინაშე თქვენი ცოლი გი არა, დღეს აქ
 დედა და თქვენ გი არა, მთელი ქვეყანა რომ დამესჯოს
 მთელი ქვეყნის უფლებებით, მე მანტ ჩემსას ვიზამ!

ქერგანი. სადაც მამა, იქ დედას შვილზედ არავითარი უფლება
 არა აქვს.



- ირინე. დედა და შეიდი! რა საჭიროა აქ უფლებას და კანონები! ჩვენ უფლებასჩვენ სიუჟეტურად. ცხრა თვე ვატარებ, მუშა ვაწვდებ, უსუფდგმუფდოს სული შთავებურ, მე ჩემი არსება იმას გარდავეტ, რომ მან განაგრძოს ჩემი სიცოცხლე და თქვენ რაღაც უფლებასხედ მუღაზარაკებით?
- ქერგანი. ცხრა თვე ვი არა, ოც და ცხრაც რომ ვეატარებინა, კანონის ძალით მე ჩემს შეიღეს...
- ირინე. ვიდეკ კანონი?! მამინ იყო და მაგით მარობით, მაგით მომკალით! ესლა ვიდეკ მაკ არაღლით გნებათ დამკზბნით? ჟალათით დამდგომისართ, ხელთ მანკილით აკომართავთ თქვენი კანონი და გამარჯვებით სტკებებით!
- ქერგანი. შენ რაც გინდა სთქვი ჭ შევი ჩემს შეიღეს ჩემებურად...
- ირინე. ნუ თუ ვერ გავბედავ?! ოჰ, როგორ დავამცინებ! როგორ განანებ! როგორ შეგირცხვენ მაკ კანონებით აღჭურვილ უფლებას! სულ შესამად ამოგადენ მაკ...
- ქერგანი. მე ჩემს შეიღეს...
- ირინე. თქვენი არ არის!
- ქერგანი. ჩემი უფროა, ვიდრე შენი.
- ირინე. არა მეთქი, არა!
- ქერგანი. წადი, ბარგი ჩავკილაგე!
- ირინე. იციო...
- ქერგანი. მაშ მე ესლავ მივდივარ! ესლავ შევამეკინებ!
- ირინე. (გზას შეუკრავს) დემროსა ვივინავ, მარტო ჩემი!
- ქერგანი. (ხელსა ჰკრავს) შეიღი მამისა!
- ირინე. (იმედ-მიხილი) თქვენ მას მამა არა სართ!
- ქერგანი. სომ არა ბოდავ!!
- ირინე. (სრულიად დამშვიდებული, თითქო გულს ლოდი მოეშვია) არა ვბოდავ... ჭეშმარიტებას მოგასსენებთ.
- ქერგანი. რა სთქვი? შენ იცი, რა სთქვი?
- ირინე. ვიცი.
- ქერგანი. გინდა გამაგიყო? ეკ სიტყვები! დემროსა ნუ დამკვრებინოს! ამასთანა შეუარცხოფა! თუ მაგით გინდა გადამისადლა?!. სთქვი რაღა! სთქვი!



იონი. აგრე არ გჷყურათ?! საბუთუბი გნებუთ? დამტკიცება?! ბატონი ბრძანდებოთ... თქვენ ყოველთვის ბატონი ბრძანდებოთ! გასსოკოთ?... ჩემი ოთახის კარი დაგაკეტოთ... სუყველას საშუალება ვინამარე, რომ განგ შორებოდით როგორმე... გასსოკოთ, მუსელ მოდრეკილი გევედრებოდით?... ხომ გასსოკოთ, რა მიზასუხეთ მაშინ თქვენს მონას, თქვენს ტყვეს, თქვენს საქონელს?... გეხსომებათ...

ქერგანი. (გოყვივით) მერე! მერე!

იონი. ხომ იცით, რა საშინლად მიუღლით, როგორ მეზინდებოდით?! მაშ რამე მაიძულას რომ თქვენს ყინს დაკეოროჩილე? რამე მაიძულას?

ქერგანი. ოჰ, დმერთო!

იონი. ორსულად ვიყავ... როგორ დამეძალას ჩემი მდგომარება? თქვენ მოგატყუეთ, რომ ჩემი შვილი გადამეჩინას და ახლას მართლად გეუბნებით, რომ ჩემი შვილი გადაკარჩინა.

ქერგანი. (მივარდება, მუშტ-მოღერებული) ოჰ, უნამუსო!

იონი. (ზარს მისწვდება) გოგო-ბიჭისას არა გრცხვენიათ?!

ქერგანი. (შესდება) შენგან არც კი გამიკვირდება-და! დარეკე, რაღას! დაუბასე და შეატყობინე, ჩემს ქმარს გულაღატე-თქო!

იონი. თქვენ მიმიყვანეთ მანდამდე, თქვენ, თქვენი უფლებებით და განონებით. თქვენი ბრალას! თქვენი ბრალას და თვით დმერთმაც რომ განატყობოთ, მე ვერ განატყობთ!

ქერგანი. ვინ არის?... გინობ?

იონი. შეიძლება იცნობდეთ.

ქერგანი. სახელი? გვარი?

იონი. რა საჭიროას?

ქერგანი. აქ მოდიოდა?

იონი. არა. აქვე, სულ ახლას.

ქერგანი. როგორ მოხდა, დმერთო ჩემო! ვერ გამიგია სად, როგორ სედავლით ერთმანეთს?

იონი. მე უფრო ვერ გამიგია.

ქერგანი. ხშირად სედავლით?

იონი. თქვენ რა?

ქერგანი. ესლაცა სედავთ?

ირინე. არა... დიდი ხნია, სხვაგან წავიდა, შორს... საუკუნოდ.

ქერგანი. და შენი საყვარლის შვილი ჩემი შვილი უნდა იყოს?! ვთქვა რაღა, თავზედ ლაფს დამასხამენ; არა ვთქვა და ეს ნაბიჯგარი ჩემს სახლში უნდა იზრდებოდეს და ჩემს გვარს ატყუებდეს!

ირინე. რა გაეწეობა? კანონმდებლებს ატრე დაუდვიათ: ავი ვარ, თუ ვარგი ვარ, მე თქვენი ცოლი ვარ და ჩემი შვილი — თქვენი შვილია.

ქერგანი. მაგას ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი. ვინცაღი, რომ გძულდი, მტრად მიგახნდი, მაგრამ მაინც იმდენ ზატოისა გცემდი, რომ იტვიც კი არა მქონია...

ირინე. ყველას თავისი იარაღი ჰქონია. თქვენ აღიჭურვეთ თქვენი ძალ-ღონით და მე ჩემი სასუსტით.

ქერგანი. მე ძალა არ მისმარია. მე ისეც მართალი ვიყავ. უფლებას მქონდა შენზედ და...

ირინე. ბუნებებს თავისი უფლებას ჰქონია.

ქერგანი. ჯერ გამარჯვება ტყუილად გისარია! აჩქარდი, თორემ მაგას არ მეტყუელი: ბავშვის მამა არა ვარ, მაგრამ მამის უფლებანი კი ისევე ჩემ სელთ არის. ჩემს ჯავრს შენ შვილზედ ამოვიყრი! ნუ გასცემდი რა!

ირინე. თქვენ ჩემ შვილთან რა სელი გაქვთ?

ქერგანი. ნუ გასცემდი რა!

ირინე. ნუთუ იქამდე სულმდაბალი ხართ...

ქერგანი. ვარ! ვარ!

ირინე, არა, ბატონო! მე თუ ცაბედე და გამოკტუდი, მხოლოდ იმისთვის, რომ საუკუნოდ სელი აგაღებინოთ ჩემ შვილზედ. მე თქვენ ადამიანი მგონისართ... განათლებული კაცი ხართ, უნდა გრძნობდეთ, რომ მაგისთანა შურის ძიებას ველურნიც კი არ იკადრებს, მსეციც კი ვერ შესძლებს.

სცენა მთხზილა

ივინივე და რენე

- ირინე. რენე!
- რენე. (შემოვარდება, ორთა შუა, ჭერგანისკენ) აკი სასეიროდ წაგიყვანო, ჰჰ მამა? ჩემი დიდ-ეუურა კიდევ შეგმანეს-და!
- ქერგანი. ოჰ, ღმერთო!
- ირინე. (თავისკენ გაიტაცებს რენეს) გაჩუმდი! გაჩუმდი!
- ქერგანი. გაისტუმრეთ...
- ირინე. გაიქმეცი დედიდა-შენთან და იქ დამიცადე, გენატყა!
- რენე. რადა ტირი, მამა? შენ რომ ტირილი არ იცი!
- ირინე. წადი, გენატყალე, წადი! (კარისკენ მიჰყავს)
- რენე. დედა, რატომ შენ კი არა ტირი? აკი სულ ტირი. შენა გგონია, არაჟინა მსედანსო, და მე კი გსედან სოღმე.
- ირინე. (გულში ჩაიკრავს) რა კქნა, შვილო, ცრემლი გამიშრა. წადი! წადი! მეც ესლავ მოვალ! (რენე გავა)

სცენა მთხზილა

ირინე და ქერგანი

- ქერგანი. ეგ ბავშვი მარტო შენია, მარტო შენი! შენთვის დამი-ლოცნია, რაც გინდა უყავი. შენ მართალი სოქევი: მაგას რას ვერბი, მაგას რა დანაშაული აქვს? საწყალს ისიც ეყოფა, რომ მამა არ ეყოლება... ოჰ, ღმერთო, ღმერთო! გულიდან უნდა ამოვირეცნო მის სიყვარული!.. არა, მომაშორეთ! წაიყვანეთ! გამეცალეთ! ორივენი წადით! მომშორდით!
- ირინე. მე არსად წავალ.
- ქერგანი. რაო?
- ირინე. ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან. ჩემი შვილი კანონიერი შთამომავალი უნდა იყოს თქვენის გვარისა, ჩემს შვილს



- შეძლება უნდა ჰქონდეს. წავიდე, ჩემი შვილი დაგღუპო?
ჩემი ხელით უელი გამოჰკრან?! მე ვერსად წავალ.
- ქერგანი. ვნასავთ, როგორც არ წასვალთ. შანდური და...
ირინე. გვიანდაა.
- ქერგანი. მომშორდით! გაუიყარნეთ! რაგინდათ ჩემგან?!
ირინე. გვიანდაა, მე აღარ მინდა. აღარც სიყმაწვილე, აღარც რამ იმედი, აღარც რამ მიზანი! წავიდა, განქრას სუყველს!
ჩემი სინჯონსლე, პირადი ჩემი სინჯონსლე წარსულში-დაა.
ჩემი მომავალი, ჩემი შვილია. სადღა წავიდე? რისთვის?
ვისთვის? აქა კარ, და აქ კექნები ბოლომდე, სიკვდილამდე.
- ქერგანი. აქ უნდა იყვე? განუშორებელივ თვალ წინ უნდა შედგას
ჩემი შერცხენს! მას მე ვიჩივლებ.
- ირინე. ძალიან კარგი. მაგრამ რით დასიტვიცებთ?
ქერგანი. იქნება უარი სთქვას?
ირინე. იქნება არ შეგრცხვით და სასად-ხოდ მათქმევინათ?.. (სირუმე)
- ქერგანი. მას რა გინდა ჩემგან? აქ იყო, ყოველ წამს გხედავდე, შენი
ხმა შესმოდაეს და თან ჩემს შერცხენსს მაგონებდე! ოო,
ჯოჯოხეთი აქვე ყოფილა!
- ირინე. მერე რა მწარე ყოფილა ეგ ჯოჯოხეთი! რად მტანჯვით
ამოდენი ხანი? რას მერჩოდით? რა დაგიშაკეთ? კმარა,
რაც მარტო ვატანჯვობდი.
- ქერგანი. ახლა მეც შეგ ჩამაბი განა, მაგ ბრტყალებით?
ირინე. უბედურებისა ჩვენი უღელი და ერთად უნდა გწიოთ.
- ქერგანი. მე უბრალო ვარ! ღმერთმა ხომ იცის—უდანაშაულო ვარ.
სულ შენი ბრალა!
- ირინე. აქ დანაშავე არავინ არის. აქ ორი უბედურია... და უბე-
დურებაში ყველა თანასწორია.

ო. მ—ანი

ეზვი განდგომილისა

«მამაო ჩემო, თანაწარმხედინ,
თუ შესაძლო არს, ეს სასუმიელი!»
წარმოსთქვა ქრისტემ გეთსემნის მტილში
და დაანთხია მდუღარე ცრემლი...

— ნუ თუ ის არის?! — გაოცდა ჰეტრე —
ის... თვითონ დმერთი და ძალთა ძალი?
ნუ თუ იმასაც, ვით რომ მომაკვდავს,
აშინებს და სწვავს წამების ალი?
და თუ ასეა — თავს რად არ იხსნის,
ჯაღათთა თვითვე რაღად ნებდება,
რად არ სარკებლობს ღვთიურ უფლებით?...
საცაა კიდევ ხომ გათენდება!...
მაგრამ ეს რა ვთქვი, ეს რა ვიფიქრე,
ამას რას უბნობს უცნური ენა!
ეს ხომ ეშმაკის ცდუნება არის —
და მე მატყუებს ცოდვილი სმენა!...

«მამაო ჩემო, თანაწარმხედინ,
თუ შესაძლო არს, ეს სასუმიელი!»
წარმოსთქვა ქრისტემ ხელ-აპურთბილმა
და დაანთხია კვლავ ცხარე ცრემლი...

— კიდევ ვეძრება!... კიდევ ცრემლებში
და კიდევ ძრწოლა ძრწოლის შემქნელის!
ნუ თუ არ ვსცდები — და ეს ოხვრას
თითონ მოძღვრისა და სჯულ-მდებელის?!
ვაჰ, თუ კაცია!... შვილია მიწის,

კაცური აჩის მისი ბუნება
 და მისაც ბრჭყალებს შაკრა ჩაჭკიდებს
 სიკვდილი — სულის დაძაბუნება?
 ვაჰ, თუ სამოთხე და ნეტარება,
 ანგელთური სიწმიდე შარად
 ვერ მოგვიბოვოს — და კვლავ სიკვდილი
 გარდმოვედინოს სულს გასამწარად!
 ვაჰ, თუ არ იუოს სასუფეველი,
 აქ თავდებოდეს ამ სოფლად ეველა...
 ვაჰ, თუ თავსაც კი ვეღარ უშველს,
 ვინც რომ ადგვიოთქვა ჩვენ სსნა და შველა;
 ვაი, თუ შემდეგ შთამოება
 იგი სცნას მხალად მიწისა შვილად,
 სიბრძნის, სიმართლის, მწე სიუვარულის
 შარავანდედით გარდამოსილად
 და არა დმერთად... ვაი, ეს რა ვსთქვი!
 რად წავიწეშიდე უგზურმა სული,
 რისთვის მივენდეც ცრუ ეურთა სმენას
 მე უბედური და დაცემული?!
 შემინდეც, ქრისტე! ცოდვად ნუ ჩასთვლი
 უგზურებას უგზურისასა,
 მთიდე მადლი და ამანდანი
 სამეუფოსა ბორბტისასა!...
 «მამათ ჩემო, თანაწარმხედინ,
 თუ შესაძლო არს, ეს სასუქელი!»
 წარმოსთქვა ქრისტემ კვლად მესამედ
 და დაანთხია მდღუდარე ცრემლი...

გრ. აბაშიძე

რამან განდევნა

კოეზიდან «რამიანი»

VIII*)

ს ი ტ ა

ხლო დთვის-მოშიშმა ვიდუქელმა სიტამ ჯერ არა იცოდა-რა. მას რამა უკვე შეეუდ კურთხეული ეგულებოდა, სამადლობელს მსხვე-რძლსა სწირავდა და მხიარული ქმარს მოელოდა. კრძალვით შევიდა რამა თავისს მოკაზმულს და მხიარულ სახლში და, რა დაინახა სიტა, თვის ჭმუნვას ვეღარა სძლია, ფერი წაუვიდა და ზირისახე შეეძალა. იმის დანახვით სიტას ელდა ეცა და გულ-დამწვარმა შესძახა:

«დღეს ხომ შენი შეეუდ-კურთხების დღეა; რამე, რაღად ხარ კბრე დადონებული? რატომ არ აჩრდილებს სამეფო ქოლგა შენს სახეს? რატომ არ გიქრთლებენ ნიავსა ორივე მარათი? ბრამანთა შუბლს არა გცხეს რძე და თაფლი; წინ არც გზირი და არც მკოსანი მიგიძღვის შენი ქების შემსხმელი; ქვეშედამთავანი არავინ მოგდევს საზეიმო გამოსვლაში; არ მოაქვთ ოქროს ეტლი ევაგილებით მორ-თული ოთხს მალს ცხენსა; არ მიგიძღვის სზილო სამეფო ღირსების ნიშნებით დატვირთული; და არსად არა სჩანს ტახტი ოქროთ მოჭე-დილი; და შენს სვიანობის დღესა შეეუდ-კურთხებისას მოწეენილი ხარ, რამა! მითხარ, რა მოხდა?»

გულნატკენობით შეითხველს ცოლსა რაქუს ჩამომავალმა მიუგო: «სიტა, მამა-ჩემმა განმდევნა დანდაკს ტყეში! სულ-გრძელაობით მოისმინე, ზატოისნო, თუ ვით მოხდა ეგა: ერთხელ დაზარათმა აღუთქვა კეიკეის ორის თხოვნის ასრულება, და ამ დღეს ჩემის შე-ეუდ-კურთხებისას მან მოგონა შეუეს მისი აღთქმა. ამ მიზეზით შე დანდაკს ტყეში თოთხმეტი წელი უნდა დაგეო და ჩემ-მაგიერ

*) „მოამბე“, 1897 წ., № II.



ფარატა მეფედ ეკურთხება. წასვლის წინ მოვედი შენს სანახავად. სანამ შენგან მოშორებული ვიქნები, სიტა, უმანვლად იცხოვრე; დიერთთა შიში გქონდეს და ჰატავსა სტემდე დაზარათს და დედაჩემსა. ნურას ნუ იზამ, რაც ჩემი ძმის ჰატაოსან ფარატასი მოსწონი არ იყოს, რადგან ის იქნება მეფედ, ხელმწიფედ და მიფლობელად ამ ქვეყნისა. და ნურადღეს ნუ მახსენებ მე ფარატას წინაშე, რადგან მოგწმუნებნი ვერ ითმენენ სხვის ქებას. მეფის წყრამა თავს ადვილად იკლებს და წყალბობა მხოლოდ იმას მიეწიება, ვინც მისდა მოსწონხად უბნობს და იქცევა. სხილო აღერსით ატყენს და კველი კოცნითა ჰკბენს. მეფის დიმილი და აღერსიც სშირად რისხვას გვიქადის ხოლმე. მეფე არ ზოგავს მოყვარესა, რომელიც მისთვის სათნო არ არის და ჰირიქით თავის მტერს შეიწინარებს, რომელიც ჰირფერობით ასიამოვნებს. საფრთხილით გამართებს იცხოვრო, რომ ფარატას წყალბობა არ დაკარგოს!

სიტამ სიუფარულთ და სამდურავით რამას მიუგო: «ეგ რა ხუმრობაა, რამავ!? არ დავიჯერებ და ეურსაც არ გიკვებ, თუ შენი თავის უკადრისად და არა მამაცურად ილხანაკვებ. ოჰ, რამა! ყველა მშობელი, და, ძმა და შვილი თავის კერძო ბედნიერებას ეძებს და ყველას თავის ცალკე ხვედრი აქვს, მხოლოდ ცოლის სვე და ხვედრი მეუღლისასთან გაუურვლია. ვიცი რაც უნდა ვირჩიო: მე შენთან ტყეში ვიცხოვრებ, რადგან არც მამას, არც დედას და არც შვილსა, არამედ მხოლოდ თავის მეუღლეს უნდა მიჰქუვენ ცოლი სიცოცხლესა და სიკვდილიანც. თუ დღეს გინდა უდაბურს ტყეში წახვიდე, შენ წინ ბაღახს გაუთელავ, რომ მჭრელმა ფოთოლმა ფეხი არ გატკინოს. მეუღლის ჩრდილი ცოლისთვის სამეფო დარბაზის სიმიდირესა და ზეციერს ნეტარებაზედ უმჯობესია. ესრე მასწავლეს სიურმითვე მშობლებმა და აღარ მიჭირს სწავლება თუ ვით უნდა მოვიქცე. ტყეში ისევე ბედნიერი ვიქნები, ვითომც მშობლების სხელში ვცხოვრებდე, და არაფრის ნადვლი არ მექნება, მეუღლის მოვალეობის გარდა. შენი მიმეღლი, ჩემო გულგვანო გმირო, მწვანე ტყეშიაც ბედნიერი ვიქნები. შენ თუ ყველასი ფარი ხარ, — ჩემი ხომ უმეტესს, და შენგან ვით განვიწირები? რა მიხარია, რომ ტყესა ვნახავ, წყარობსა და მოკამკამე ნაკადულსა. უზრუნველ და უშიშრად შენს

შეარველობის ქვეშ, ჩემო გმირო, ვიცნოვრებ და საუკუნეები ჩემთვის ერთ ღამესავით გავლენ. თვით ზეტაშიაც, რამა, შენგან მოშორებული ვერ გავძლებდი. უშენოდ ბედი არ მეკულება, უშენოდ ზეტა არ მენატრება!»

ესრედ მოუბარს სიტას რაქუს ჩამომავალმა უძახუნა: «მატიონსნო სიტავ, მოისმინე რაც შენს სიკეთისათვის გირჩიო: ჩემთან წამოსვლის წადილი გულიდან გადაიგდე და აქ დარჩი! ტყე მუდამ ჭირით სასუსა და სრულს სიამოვნებას კაცი იქ ვერ ჰპოვებს. იქ ლომის ბრდღვინვა ჩანჩქერის ხშუვილთან ირევა; უდაბურში სწილონი თამაშობენ, და დანახვის უმაღლ თავს დაგეტყვიან. —საშიშა და საზარელია ტყე! მდინარენი და ჭაობნი გზას უკვრენ მგზავრსა; მათ ნაპირებზე ხვითქი ბორდღავს და სწილო მძვინვარებს; იქ ძეძვნარს და მჭრელს ბალახებში დაქნილი გზა არ გადის; იქ კაცი გარეულ ხილით იკვებება, და მოსვენებისა და ძილის მძებნელი ცარიელს მიწაზედ წვება და გამხმარს ფოთლებზე იძინებს; იქ იქედნი ბალახში დამკრებიან და გველნი წყლის ზირას იკლავებებიან; ჰებენ ღრიანკალი, ფალანგი და გუნდნი მუშლისა, კოდოსი და კვირტისა. —საზარელია ტყე! ძნელი და საშიშაა ტყეში ცხოვრება, სიტა! ნუდარ ჰლამი ჩემთან წამოსვლას, შენ ვერ აიტან ტყეში ცხოვრებას!»

სიტამ სიუვარულითა და სიამაყით რამას კინებდა დაუწყო: «ნეტა რადს ფიქრობდა მამა-ჩემი, ვედექელი ჯანაკა, მეფე მათილისა²²), როდესაც რამა სიძელ აირჩია — დიაცი კაცის სახითა? განა ტყუილი ან უმეტრება იქნება, ახლა თუ ხალხმა დაცინვითა სთქვას: «გაჰქრა რამას სახელი, ვით ბალახი ხვარშაკით გადამწვარა!?» რა გაშინებს ეგრე, რამა, რომ შენი ერთგულის ცოდვის განწირვას ჰლამი? მე შენთვის თავი დამიდგია და შენ გარდა არავინ მეკულება, ნუ თუ სხვის ხელში გინდა ჩამავდო? ნუ წახვალ უჩემოდ! საცა შენა ხარ, იქ მე ბედნიერი ვიქნები. მგზავრობა მე ვერ დამდღის: შენთან ისე ვივლი, ვითამც ნახზე მეუფლოს; შენ თუ წაკევიბი, ძეძვი აბრეშუმად მიმანდება, ასკილი — ხავერდად, და ქარის შემოყრილი მტკეერი — სახდალის სუნელითა თანასწორად. ოჰ, რა სიამოვნება იქნება

²²) ვიღება — ქვეყანა, რომელსაც ახლი ეწოდება ტირხუთ, მდებარე ორს მდინარეს შუა: ვანდაკი (ახლანდელი გუნდუკი) და კავზიკი (ახლანდელი კოზი).

რბილ ხაფხაფს ან შწვანე ბალახზედ მოსვენება! გარეული ხილი შენის ხელთ მოწვდენილი, — ცოტა იუფს თუ ბევრი, — ამრიცხსავით გემრიელი შეჩვენება. არასოდეს არ ვახსენებ არც დედ-მამას და არც სამშობლოს; არასოდეს არ ვიზამ, რაც შენი მოსაწონი არ იქმნება, და თავს არ მოგაბეზრებ. ზეტა იქ არის, სადაც შენა ხარ და ჭოჭოხეთი — სადაც შენ არ მეუფლები! მაშ ნუ წახვალ, რამა, უჩემოდ! თუ უჩემოდ წახვალ, დღესვე თავს მოვიკლავ, რომ მტრებისაგან თავი დავიხსნა. უსამსლოდღაც მოგვედები ნადულისაგან, რომ რამამ გაშწირა!»

ესრედ საბრალოდ სჩიოდა სიტა. რამას გულზედ დაეცა, გულ-ამოსვენით თხვრიდა და სტიროდა; ცრემლის ნაგუბარი თვალებიდან წამოსქდა, ვით ნაპერწკალი აჩნის ხიდან²¹).

გულში ჩაიკრა რამამ მტირალი სიტა და ეუბნებოდა: «სიტა, უშენოდ თვით ზეტა არ შენატრება. აღარაფრის შეშინიან, თუ ჩემთან წამოხვალა და უდანობში ცხოვრება გადაწყვიტე, და ჩემს ბედნიერებას წინ აღარ აუღდგები. მაშ მოემზადე მგზავრობისა და ტყეში ცხოვრებისათვის. — გაეცე ოქრო ბრამანთა და საჭმელი გლახაკათვის. ტანისამოსი, ძვირფასი სამკაული და ეველა ჩვენი ქონება, რაც კაცის გულს ახარებს, ეველა გაუწილადე ჩვენს ერთგულ მისხურთა!»

და სიტა, გახარებული, რომ რამამ თავისთან წასვლის ნება მისცა, სწრაფად გავიდა, რათა თავისი და რამას ქონება გაეცა.

*

ერთი გარგას²²) ჩამომავალი, შავგვრემანი ბრამანი ტრიჰაქტა, ტყეში სცხოვრებდა. ღარიბი იყო, და ბართის და აჩქით თავის სარჩოს ძლივსა შოულობდა. მივიდა მასთან მისი ცოლი შვილებითა, სიღარიბისაგან დაუძღურებული, და უთხრა: «ბარსა და აჩქის თავი დაანებე, და რაც გითხრა, ისა ჰქენ: წადი ზირიან რამასთან, იქნება რამე გიწყალობოსო.» ბრამანმა ცოლს გაუგონა, სელად წამოიხსა დაგლეჴილი ფარაჴა და რამასთან წავიდა. დაუბრკოლებლივ მიადწია

²¹) არნი—*premna spinosa*, ხე, რომელიც ცოტა ხუხისაგან ინთობა.

²²) გარგა—ბრამას შვილი, ბრძენი და ერთი უძველესს ვარსკვლავმრიცხველთაგანი ინდოეთისა.

დარბაზის მესხეთე კარსა და, რა ეახლა რამას, ესრე უთხრა: «გლახაკი და უძღური ვინმე მიწის-მუშაკი ვარ, და მრავალი შვილის ზატრინი. — ნუ დამივიწიებ, რაქუს ჩამომავალა!» რამამ მხიარულად უხასუსხა: «უკანასკნელი-და ათასი ძროხა დამრჩა გაუცემელი, თუ აქედან ჯოხს ესერი და მიახვედრებ — შენი იოხ!» მარდად შემოირტყა ტრიჟატამ წელზედ თავისი ფარაჯა, დაატრიალა ჯოხი და რაც ძალა მოსდევდა გაისროლა. ჯოხი ხელიდან სრიალით გაუსხლტა, ჰუერში მადლა ავარდა და დაეცა იმ ადგილს შუა, სადაც რამას ნახირი სძოვდა. ზირიანი რამა მოეხვია ბრამანს და უთხრა: «ნუ გამიწურები, რომ ესეთი ხუმრობა კგადრე! ათასი ძროხა თავის მწვემსებით შენი იოხ, და თუ კიდევ სხვა რამე გინდა, შითხარი და იმასაც მოგცემ.» — «ახლა დმერთთა მსხვერზლს შეესწირავდიო!» მიუგო ტრიჟატამ. რამამ ბძანა ნახირი ბრამანის ქოხისკენ წაესხათ, და რაც სამსხვერზლოდ საჭირო იყო, ისიც დაურთო.

IX

გამოთხოვება რამასი მეფესთან.

ორნი რაქუს ჩამომავალნი და სიტა მეუთის დარბაზს მივიდნენ და რამამ უთხრა სუმანტრას: «მოახსენე მეფეს ჩვენი მოსულა». მეეტლე შევიდა დარბაზს და გულზედ ხელ-დაკრეფილი დადონებულს მეფეს წარუდგა. ზირველ, მისი გამარჯვება და სვიანობა ინატრ და მერე წუნარად მოახსენა: «მეუფო, შენი შვილი, მამაცთაგან უზატონსესი, დარბაზის კართან დგას. მან გასცა ეოველი თვისი ქონება, თვისთა მოყვარეთ გამოეთხოვა და ახლა შენი ნახვა სწადიან; მას შემდეგ ტყეში წავა. ხელმწიფეო ქვეყნისავ, მეუურის ქველობით, — ვით შხის დმერთი ცეცხლის შარავანდედით, — შემეობილი რამა მიიდე!» — და მეფემ უთხრა: «შემოიყვანე ჩემი ძვირფასი შვილი, სუმანტრავ!»

რა თავისი შვილი შემოსული დაინახა, მეფე ადგა და მის მიგებებას ლამოდა, მაგრამ ვერ შესძლო და ქვე დაეშავა. რამა გულზედ ხელ-დაკრეფილი მივიდა დაზარათთან და უთხრა: «მშვიდობით, დიდებულო ხელმწიფეო, მეუფო და ბატონო ჩვენო! ახლა



მზადა ვარ შორს დანდაკს ტუეში წავიდე. სიტას და ლაქშმანსაც უნდათ უდაბნოში წამომეყენენ. ვერა საბუთითა და ვერა შეტონებით ვერ დავაშლეკინე. მაშ დავკვითხოვე სამნივე და იყავ უნადლოდ, ხელმწიფეო ქვეყნისა!»

გულ-მოწვევითა მოხუცმა მეფემ რამას ესრე მიუგო: «აჲ რამა, შე დაბრძალებული ვიყავი, როდესაც კეიკეის თხოვნის ასრულებას აღუთქვი. შენ მაგას ნურად მიიხვევ და აიძიის მფლობელად დარჩი!» შერე გულზედ ხელ-დაკრეფით კეიკეის შეეხვეწა: «მოწყალე იყავ, ზატოისანო დედოფლო! უბედური, შვილის მთხოვნელი შენი მეფე და მეუღლე შენ გვედრები. უქმად ნუ მათქმევინებ, ჩემო სუყვარელო, ახლა ამ სიტუაციას! მოწყალეა მოიდე, ჩემო ძვირფასო, და ზატოისანი შენი გული მოღბეს! მოწყალე იყავ, მეუღლეო, და სამეფო შენის ხელადან რამამ სანუქრად მიიღოს,—მაშინ შენი სხელი მთელს ქვეყანას მოეთინება. შევიდის-თვალბიანს სიტას შეხედე, ნუ თუ ამას ოდესმე უწყენინებაა შენთვის? მართალია, რამას განდევნას დავიბრდი, მაგრამ ნუ თუ ჯოჯოხეთისა არ გეშინიან, რომ ნაზი ჯანაქას ქალი ტუეში გინდა აცხოვრო?» ესრედ ეუბნებოდა მეფე ხელ-გაშერობით კეიკეის, მაგრამ უღმობელმა დედოფალმა მას სიტუა არ გასცა. დიდ ხანს უტვრეტდა კეიკეის მეფე ზასუნის მომლოდინე და უგონო ქვე დაცა.

ხოლო სუმანტას გული რისხვით ენთებოდა, მოუთმენლად თავს იქნევდა, ხელი-ხელს სცემდა, ოხვრიდა და გაბრაზებული კბილებს ადრჴენდა. მივიდა კეიკეისთან და ისრისაებრ ბასრ სიტუაციას გულში სტუორცნიდა: «შენ სძაგელო, შენგან დიაღამც მოსალოდნელია, რომ შენის მეუღლის, ზატოისან დაზარათის, თხოვნას არ შეიწყურებ! ზენაარ, არისდა რომელიმე სიავე, რომ შენის ხელიდან ვერ გამოვიდეს?! შენ ქმარის მკვლეელი ხარ, სხლის ამომთხვრელი!... იფოს შენი შვილი ფარატა აიძიის მფლობელად,—ჩვენ კი ვეველანი რამასთან ერთად უდაბნოს გადავიკარგებით. არცერთი ბრამანი არ დარჩება სადაც შენ იქნები, რადგან შენ ისეთი ცოდვა განგიზრახავს, რომელიც ქვეყანაზედ არ გაგონილა. ზენაარ, სსწყაულს ვხედავ, რომ ეს დედა-მიწა,—რომელზედაც შენ ჩვენს საზაროდ იარები,—არ გასქდა და არ გშთანთქა შენა! სსწყაულია, რომ ნეტარ-ცხონე-



ბულთა წმიდათა წვევა ცეცხლისა სხივად თავს არ დაგება, რამას განდევნისათვის! დაიღამე, ვინც ამრა-ხეს მოჭკვეთს და მის მაგიერ ნიშნას ჩარგავს, რაც უნდა რწვეიდე და უგლიდე, ტბილ ნაყოფს ვერ მოჭკრებს. აგრეთვე შენი ავი ჟინიანობა შენ დედისაგან მოგდგამს; და მართლად ნათქვამია, რომ ნიშნა-ხიდან თათული არ ჩამოსწვეთსო. ერთმა წმიდა კაცმა მამა-შენს მიჭმადლა ნიჭი უგლას სულთა და ზირუტყვთა ენის გატებისა. — ერთხელ დამის შეუდროებაში მამა-შენს ჟირიმიფის³⁶ წივილი მოესმა, და რადგან კარგად ენიშნა ნათქვამის აზრი, ხმა-მადლა გაეცინა. ამაზედ დედა-შენი გაჟავრდა და ჰკითხა: «რას იტანიო?» მეუფე უხასუნა: «ჩემი სიცილის მიზეზი რომ გითხრა, აუცილებლად დღესვე მოგვედებო. — შენ გინდ იტოცხლე, გინდ მოკვდი, მე კი მაინც უნდა მითხრაო, — დაიჟინა დედა-შენმა, — ჩემს თავს შენს სასაცილოდ არ გავიხდიო. — ილაჟ-გაწვეუტილი მამა-შენი წავიდა იმ წმიდა კაცთან და თავის ცოლის სათხოვარი უამბო. კეთილმა კაცმა მეუფეს უბძანა: «ან შენ უნდა მოკვდე, ან ცოლი უნდა გააგდო!» მეუფეც წმიდას ბძანებისამებრ მოაქტა, განდევნა დედოფალი, დედა-შენი, და ახლად დმერთსავით სვიანად ცხოვრებს. შენც დედაშენსავით ჟინიანობით გაშმაგებულხარ, გინდა მეუფე ბორბოტა გზით არჩინო და სძრახი საქმე ჩაადენინო. დაიღამე მართლად თქმულა ხალხში ანდაზად: ძე მამას დაეკვანება და ასული — დედასო. მაგრამ როგორც შენ გინდა, ეგრედ არ იქნება! შეისმინე, დედოფალო, დიდებულ მეუფის სიტყვა, შეიწინარე მეუღლის თხოვნა, და ქვეუნი მკაღითად გახდები! იქამდის ავკაცთა რჩევით ნუ შესცდები, რომ მოვალეობის მაგიერ ხელმწიფეს უსამართლობა თავს მოახვიო. საშინელი სირცხვილი იქნება შენთვის, დედოფალო, ქვეუნი წინაშე, თუ რამა მამასთან მოშორებული უდაბურ ტყეში იცხოვრებს!»

ესრედ ეუბნებოდა სუმანტრა კეიკეის ხან ლაღსა და ხან წყნარს სიტყვას, სამეფო დარბაზში ხალხის წინ, და იმედოვნებდა მისი გული მოკლბო; მაგრამ დედოფალი უსიტყვო, უღმობელ და შეუბრალებელი იყო, და ზირისახის ფერიც არა ჰსცვლია.

³⁶) ერთგვარი უსხეულო სული, მოჩვენება.



მერე ცრემლიანმა მეფემ სუმანტრას უთხრა: «მეეტლემე ჩემს ოთხივე მხედრობა²⁷⁾, კარგად აღჭურვილი, შეივაროს და რაქუს ჩამომაგაღს ტეეში წაჭუყვს. მდიდარმა ვაჭრებმაც მოაკროფონ დიდძალი და კარგად შეიარაღებული ლაშქარი ჩემს საყვარელ შვილისათვის. ეველას, ვინც რამის მოეყარეა და ვისიც სამსახური მას დასჭირდება, ეველას ჯამაგირი უხვად მიეც, რომ ტეეში ეახლან. უკეთესი საჭურველი, ეოველეგვარი იარაღი და ეტლნი თან გაატანე; მონადირენი და ეუღლახნი გზაში აცილებდნენ. ეველა ჩემი საქონელი, ბედლებში დაწეობილი ბრინჯი, ეველა ეკ ხანდაუხმელად რამის ტეეში აახლე. სნამდის აქ აიოძიაში ზატიოსანი ფარატა მეფედ იჯდება, რამის უდაბნოში ეველაფერი უხვად უნდა ჰქონდეს, რასაც მოიწადინებდეს.»

რა დაზარათ ესრე ამბობდა, კეიკეი გაფითრდა და, ზარდაცემულმა, მეფეს უთხრა: «ნუ თუ გინდა, ჩემმა შვილმა დვინის ნაცვლად ნაურთი სვას, და აკლებული და ეველასკან დატოვებული სხელმწიფო მას სამკვიდროდ ერგოს?»

ურცხვად მოუბარს დედოფალსა მეფემ მიუტო: «უნამუსო, ხომ მივდივარ, — რაღად მდეენი? რაღად მკადებ ახალს ტვირთსა? ჩემს ნებაზედ არ უნდა იეოს? ნუ თუ რამის სამკვიდრებელი მოვაკლო?»

განძვინებულმა კეიკეიმ უზახუს: «შენს გვარშივე არ იეო ერთხელ, რომ სავარა მეფემ თავის უფროსს შვილს აზამანჯსა მეშვიდრობა ჩამოართვა? ახასაც შეუძლიან ისე წავიდეს.»

დაზარათს რა ეს სიტყვა ესმა, დაიძახა: «ვაი მე, ვაი მე!» და ეველა მსმენელს შერცხვა; მაგრამ დედოფალმა ამას ეურიც არ ათხოვა.

მერე წამოდგა სიძარტა, ზატიოსანი ბრამანი, და კეიკეის უთხრა: «აზამანჯმა შეიბურა რამდენიმე ეშაწვილი, გზახე რომ თამაშობდნენ, და თავისს შესაქტევრად, სხარელმა, სარაუს ზვირთებში დაარჩო. შეძრწუნებულმა მოქალაქეებმა მეფეს უთხრეს: «ხელმწიფო, ჩვენს შორის ერთი ირჩიე: ან აზამანჯი, ან ჩვენა!» ხოლო მეფემ ჰკითხა: «რამ გაწეენინათ ეგრეო?» და ქვეშევრდომთა შესჩვილეს: «შე-

²⁷⁾ ინდოეთის მხედრობა ოთხს ნაწილად განიყოფებოდა: სპილოთ-მბრძოლნი, ეტლით-მბრძოლნი, ცხენოსანნი და ქვეითა-ჯარი.



ნმა ზიარებამ თავის შესატყვევად ჩვენი შედეგები წააღებო ჩვენი
 ჩო. > რა მეფემ მოქალაქეთა საზიარო მოხმინა, მათდა საზოგადო-
 ფისათვის, თავის ავ შეიღეს სამკვიდრო წაართვა და სამუდამოდ
 განდევნა; ავსავამ აიკიდა ტომარა და თავისი დღეები ტყეში წაწა-
 ლით დაღია. — ესრედ იყო განდევნილი ახამანჯი თავის მამისკან.
 ხოლო რამამ რაღა ბოროტება ჩაიდინა, რომ განდევნის დირსი ეო-
 ფილიუს? რამას ნაკუთქვანებს ვერცერთს ვხედავთ, ნუ თუ შენ
 შეგიმხნევა ეკეთი დასასჯელი დანაშაულები? მართლთა გზით მსგულ-
 ლისა და ხატოისანის კაცის განდევნა ხომ უსამართლობაა, და ინდრას
 დიდებს და ბრწყინვალეებს დაბნელებს!... მაშ რამას სვიანობას წინ
 ნუღარ აუდგები, დედოფალო, და გახსოვდეს რა სირცხვილიც მო-
 გელის მაგისათვის! >

სიძარტას სიტყვის შემდეგ რამამ თავ-მდაბლად დაიწყო საუ-
 ბარი: «მეფეო, მე ეს სოფელი უარეუვ და ტყის უდაბნოში ვიცნო-
 ვრე, — რაღა მინდა ლაშქარი? ან რას ვაქნევ დიდ-დაღ ბარკს? ვინც
 სწილეს უარ-ჭეოფს, საწვეეტს რაღა ინაღვლის? ან ვინც თა-
 ვის კეთილშობილს ცხენს სხვას აჩუქებს, მისთვის ადვირს რაღა
 ფასი ექნება, ან რაშია გამიყენებს? მეც რაში უნდა გამომადგეს
 შედრება, თუ თან წავიყვან? უკლასთვის მადლობელი ვარ, თან
 მხოლოდ ჩემს სრმაღსა და მშვიდდს წავიდებ. ეს ქვეყანა ზურითა
 და საქონლით უხვი, თავისის ხალხით ჩემის ხატოისანის ძმის ხე-
 ლში დარჩეს, ხოლო რაც შენ კეიკის აღუთქვი, ხელ-შეუვალად
 ასრულდეს, რომ ზიარანი გამოხვიდე. მეკი, შენის ბრძანებისამებრ,
 ტყეში წავალ, რადგან არც ამ საწუთრო სვიანობას და არც ხელ-
 წიფობას ისე არა ვნადვლობ, როგორც შენი ბრძანებისა ასრულება
 მწადან. დასთმე მწუხარება და შეჭირვების ცრემლი შეიშრე! ვით
 ზღვას — მდინარეთ მეფეს — ახგარება ვერასოდეს ვერ აადელებს, კბ-
 რეთვე მე არა მგამა საწუთრო მორჭმა, ხელმწიფობა და სვიანობა.
 მე მხოლოდ შენი სიტყვის მიუშინდარობა მინდა და შენი შეუცოდ-
 ველობა. მაშ მხნედ იყავ! ჩვენ ჭირი არა წავკვიდიება-რა. მხიარუ-
 ლად ვიცნოვრებთ ტყეში, სადაც მშვიდი ქურციკი სძლავს და მთრი-
 ნველთა ფერად-ფერადი გუნდნი ჰგალობენ. თოთხმეტის წლის შემ-
 დებ კრთმანეთს ჯანმრთელს და ბედნიერს ვნახავთ. ნუღარ სწუხ,



ხელმწიფეო, თვარა შენ რომ ჭმუნვამ გძლიოს, სევდიანთა და მტრის რაღათა ნუგეშს როგორღა სცემ? დედა-ჩემსა, რომელსაც ჩემის მოშორებით აქამდის გამოუცდელი ჭირი ხვდამია, შენს მიფარველობას შევაყვდრებ. — მოხედე და შენს წყალობას და ზატოვისცემას ნუ მოაკლებ, მამაცთა ხელმწიფეო, რომ ჩემი გაურა დასთმოს!»

მწუხარებით გვემუღმა შევემ ტირილით რამას უთხრა: «ჩემო გულისთაღ-საყვარელო შვილო, წადი ბედნიერსა და სსინხარულო ნახვამდის! დაუბრკალეუელი იყოს შენი გზა და ნურა სსიში ნუ შეგკითხვეს!»

შერე შტირალი დაზარათ სუმანტრას მიუბრუნდა: «მაშ შეპბი მაღი ცხენები და ეტლი მოამზადე, და სამეფოს სამზღვარს გარეთ გააცილე ჩემი საყვარელი შვილი! აი, მისი სათნობის სმაგიერო, — სულ-გრძელი გმირი თავის მშობლისაგან უდაბნოს უნდა განიდე-ნოს!»...

სუმანტრამ, შევის ბძახებით, სწრაფად შეპბა ცხენები.

ამასობაში, სიტა რამას დედასთან გამოსათხოველად მივიდა. კავზალია თავის რძალს მოეხვია, აკოცა და უთხრა: «ავნი არიან ამ წუთის-სოფლის დედაკაცნი: თავიანთ მეუღლესა, მცველს და მარჩენელს ზატოვს აღარა სცემენ, თუ რაიმე უბედურება თავს დაატყდა. დედა-კაცის თვისება ისეთია, რომ ერთ წამის ჭირში დიდი ხნის ბედნიერება ავიწყდება. ძხელია მისი გულ-სრულობა და მისი გრძნობა ერთს წუთს ჰქრება. ვერც ზატოვისნობითა და ქველობით, ვერც სიბრძნითა და ნიჭიერებით და ვერც ერთგულობით კაცი მისს გულს ვერ მოიგებს, რადგან ქალის გული უხანაა. ხოლო სათნო ქალსა, ერთგულობისა და ზნეობის დამცველს და ღვთის-მოშიშს თავისი ქმარი ღმერთთა სწორად მიახნია. ნუ შეიძულეპ ჩემს შვილს, თუ განდევნილი ტყეში იცხოვრებს. სვიანი იყოს თუ უბედური, შენს ქმარს ღვთაების სწორად უნდა სთვლიდე!»

ამ დროსვე დაქმნანა თავის დედას ეახლა, რათა თავგანებით მას ფეხთა მთხვევიერა; და სუმიტრამ თავის შვილს უთხრა: «სინხარულით ნებას გაძლევე ტყეში წახვიდე, საითაც მეგობრობის მოვალეობა მიგიწვევს. ნიდაგ რამას სამსახურისათვის ზრუნვიდე; მდიდარი იყოს თუ ღარიბი, შენს უფროსს ძმას ეოველთვის უჯერებ-



დე, — კბ კეთილ კაცთა შოვალეობას. ნუ დაივიწყებ შენს გვარში მტკიცედ დაცულს ჩვეულებას: დმერთთა შიშსა და მათდა უხვად მსხვერპლის შეწირვასა და ბრძოლაში გულადობას და სიკვდილამდე ერთგულებას! რამა დახარათად მიგანხდეს და სიტას ჩემდა სწორად ზატივის სტემდე! და უდაბური ტყე შენთვის აიძიად იყოს! წადი, ჩემო სანგარელო შეილო, ნახვამდის! წადი შენის ბედისა, მოღვაწეობისა და გამარჯვებისათვის! წადი შენთა მტერთა დასადუ-
ზავად! »

მეეტლე სუმანტრა გულზედ ხელ-დაკრეფილი, — ვით მათადი ინდრას წინაშე, — რამის ეახლა და მახსენა: «სვიანიმც იყავ, მთავარო! ეტლზე შეჯექ, ჩინებულა გმირო, და სწრაფად მიგიყვან სიათაც მიბძახებ.»

ორნივე რაქუს ჩამომავალნი და სიტა, გულზედ ხელ-დაკრეფილნი, თავ-მდაბლად შეფეს ფეხთა ემთხვივნენ და მარჯვნივ გარს შემოუარეს. მერე მართული სიტა მსიარულის გულით ოქროს ეტლზედ ავიდა, და მას შემდეგ — ძმანი რამა და ლაქშმანა. ეტლში ელაგა სიტასთვის ტანისამოსი და სავაკული, მახლის ნახუქარი, და ძმათვის — ხრმალ-ფარი და მშვილდ-ისარი ერთმანერთზედ დაწყობილი. სულ ეველა მზად იყო, და სუმანტრამ გარკვა ფიციხი ცხენები.

მასინ სრულად ქალაქი აიძიისა აშფოთდა. ერმა და მოხუცი, ვით მწუურავალი წყაროსკენ, მირბოდა რამასთან, შემოეხვია და შეეტლეს შეჭბდაოდ: «მოსწიე სდავე, სუმანტრავ, ხელა, ნუ ჩქარობ! დაგვაცა, რამის ჭვრეტით გავძლეთ. ზეხანარ, რამის დედას რკინის გული ჰქონებია, რომ არ გაუსქდა. სვიანიმც იყავ, ზატიოსანო სიტავ! შენს ქმარს ჩრდილსავით მისდევ, და ვით მზის შუქი მერე მთასა²⁵⁾, არა შორდები. დიდება შენდა ლაქშმანა, რომ ცსურს გმირს

²⁵⁾ ინდოელების რწმუნებით მიწის შუა გულში დგას მთა „მერუ“, 100,000 იოჯანის (ინდოეთის მილი) სიმაღლისა, რომლის 84,000 იოჯანი მიწის ზემოდ არის და 16,000 — მიწის ქვემოდ. მერუ-მთაზედ ცხოვრობენ დმერთნი. მას გარშემოერთყმიან; ვით ყვავილის ფოთოლნი ბუტკსა, ოთხი, — ზოგის თქმით კი, შვიდი, — და შენებული მზარე ქვეყნისა (იყლიმი?), და მათ შორის სამხრეთის მზარეს ქვეყანა გამოეყოფილა, სადაც მდებარეობს ინდოეთი. მზე, მთვარე და ვარსკვლავნი პატრისა სტემენ წმიდი მთასა და მარჯვნივ გარშემოთელიან, რადგან ვისიმე მარჯვნივ გარშემოთა პატრისცემას ნიშნავს, როგორც სჩანს ამ პოემის ზოგიერთ ადგილიდან. მზე ჩადის, რათა მიწის ქვემოდ მთის კერძიც გაანათლოს, ესრედ მერუ-მთას არასოდეს მზის სინათლე არ აქლია.

ემსახურო, — ეგ სურვილი შენი სიბრძნეა და შენი ბედნიერება და ეგ გაგიდებს სასუფეველის კარს!» რამა იძახდა: «ჩქარა, სუმანტრაგ!» ხალხი კი ჭევირთდა: «ნელა, დადექიო!» შეეძლო ორივეს ვერ დაუჭერებდა და, რამის ბრძანებისამებრ, ფიცხი ცხენები გარეკა. მამანდა ჩამოჩნა ხალხი, ხოლო მისი ნატრა და ცრემლი რამის აცილებდა.

ვიდრე წამსვლელთა ნაკვთი მტვერში სჩანდა, დაზარათ რამის თვალს არ აშორებდა. ვიდრე თავისს საუფარულ შვილს, მისს მოვალეობის მტკიცე აღმსრულებელს, თვალთ ხელავდა, მეფე უძრავად იდგა გზასად; ხოლო უკანასკნელი მტვრის ბუჩი სიშორეში გაქრა, მეფე ქვე დაეცა. მის საშველად კავზალია მიეშურა, და მარცხენა მხარეს კეიკეი მკვირცხლად ამოუდგა. მეფემ, რა კეიკეი დაინახა, რისხვით შეჭკვილა: «შენ, კეიკეი, ბედითათ გაჩენილო, ხელს ნუ მახლებ და თვალთ ნუ დაშინახებო! ჩემი ცოლი აღარა ხარ, და შენათათვის მე არა მგამა, და ისინიც მე ვერ შემეხებიათ. რადგან თვმოუვარეობით შენი მოვალეობა დაგაფიწედა, მეც გუდიდან გადამიტლიხარ. მე რომ ხელი მოგეც და საქვეუროდ შენთან დაჰქარწინდი, — ეველას უარყოფი აქა და საიქიოსაც. და თუ ფარატა კმაყოფილი ამ სახემწიფოს ტახტზე ავა, მე რომ ვცხონდები, მის მხვერბლის შემოწირვას არ შევიწინარებ!»

ესრედ ამბობდა გარისხებული მეფე, და შერე მტირაღმა განაგრძო: «აი კვალი ეტლისა, რომელიც ჩემს შვილს მამორებს; აი ნატრულადი ცხენებისა, რომელნიც მას მიაფრენენ; თვით რამის კი ჩემს დღეში ვეღარ ვნახავ! კავზალიის სახლს მიმივანეთ, რამის დედასთან, — სხვაგან გული ვერსად გამიდღებს.» და ბარბაცობით მიმავალი მეფე კავზალიის დარბაზს მიიყვანეს, იქ ჩაწვა ქვეშაგებში და კავზალია უკვლიდა.



რამის მკვლევრობა.

ცხენები მაჭკროდნენ. მკვლევრებმა მრავალი სოფელი, ენებო და ტეე გაიარეს; და როდესაც მიაღწიეს სიანდიკის მდინარეს, სა-



დაც თავდება მანუს სხემწიფო, და სდაც არე ფარშავანთა და გარეულ-ბატის კივლით სავსეა, რამამ შეეტლე სუმანტრას უთხრა: «როდის იქნება სარაუს ტყიან ნაპირზე კვლავ ვინადირო, ჩემს მშობლებთან შემოქცეულმა? ოჰ, გულით ვნატრობ ამ ნადირობას, რადგან მეფისათვის ნადირობაზედ უამესი გასართობი არა არის-რას!» მერე აიძობისაკენ ზირი მიაქცია და გულზედ ხელ-დაკრეფით სთქვა: «მშვიდობით, ქალაქთა შორის უმშვენიერესო! მშვიდობით, დმურთნო, რომელთა იხებეთ აიძობაში დასახლება და მისი მიფარველობა! ერთმანერთს ოდესმე ვნახავთ, ტყიდან რომ დაგბრუნდება. მამა-ჩემი მამის ვაღისაგან გათავისუფლებული იქნება და მე მხიარული ჩემს მშობლებთან ვიცნობრებს!» და მიწის-მუშაკთა, რომელნიც მას ცხა და ცხა აცილებდნენ, ხელ-გაპერობით უთხრა: «თქვენ უკვე დამიმტკიცეთ თქვენი ერთგულობა და სიეფარული, ახლა კი შინ წადით, ბედნიერად იუფით, და თქვენს საქმეს შეუდექით!» — გლეხებმა ზატოვისცემით თავი დაუკრეს, მარჯვნივ კარშემოუარეს და გლოვით წავიდნენ.

რამა, ვით შხე დაღამებისას, თან და თან მათ თვალთაგან მიეფარა. მამაცთა გმირი კოზალას ქვეყანაში შევიდა და გვერდი აუქცია ბრინჯის ეანებსა და სძოვრებს, ბადებსა და ამრას წაღკოტებს და წყლით სავსე აუხებს, — მხარესა დასახლებულს უზრუნველის, ბედნიერის და ზნე-კეთლის ხაღხითა, სდაც საკურთხეველნი და ქვებნი ხშირად იდგნენ.

მამის გამოხნდა წმინდა და ცივი წყალი განგასი, ციდან მომდინარისა. ზატოისანმა რაქუს ჩამომავალმა, რა ეს ზვირთების მაგორბედი მდინარე დაინახა, სუმანტრას უთხრა: «აქ შეაუენე ცხენები, შეეტლე! აი, წყლის-პირის მოშორებით სჩანს ლამაზი იხ-გუდის ხე, ფოთლებ და ვეავილებ უხვად გამოხსმული, — იქ დავიდაპუთ. მინდა უმშვენიერესის და უწმინდესის მდინარის ჭვრეტით გაუძდე, რომელსაც დმურთნი, დემონნი, პირუტყვნი, კველნი და ფრინველნი თავყანს სცემენ!» — «იუოს ნება თქვენი», უპასუხა სუმანტრამ და ხისკენ ცხენები გალდა. აქ ჩამოხტნენ მგზავრები, დაიკეს ხის ფოთლები და დაიძინეს. ხოლო ლაქშმანა, ხეს მიურდობილი, გუშავად იდგა და სუმანტრამ, რამას ქველობაზედ მასთან სუბარით, დამე გაათევა.



გავიდა ღამე. და გამოდვიძებულმა რამამ ლაქშმანს უთხრა: «ბრწყინვალე მზე ამოდის, განვლო წმინდა ღამე. აი, შავი კოკადა-ხიტი კიდევ მდურის და ტუიდან მამალ-ფარშევანგების უივილი ისმის. მადე! დროა გავიდეთ წმინდა განგას გაღმა!» ძმებმა სმალ-კაზარჭი შემოირტყეს და სიტასთან ერთად წელის ზირს წავიდნენ. ხოლო სუმანტრა მათ დაეწია და გულზედ ხელ-დაკრეფილმა ჰქოთხა: «მე რაღა უნდა ვქნათ?» ზატოისანმა რამამ მიუგო: «შინ წადიო, შენი სამსახური აღარ დაგგებინდება. ეტლს აქა ვტოვებთ და ტყეში ქვეითნი წავალთ.» სუმანტრა შედგა ნადვლიანი, და მტორალი წამსვლელთ თვალს ადევნიდა, ხოლო მათ სწრაფად ჩაიარეს წელის-ხაზირი და დიდებულს მდინარეს მიადგნენ.

წელის-ხირს რამამ ნავი ნახა და ლაქშმანს უთხრა: «შედეგ მაცნავზედ და სიტას ხელი მოაწოდეთ.» ლაქშმანამ სიტა ნავში ჩასვა და მერე თითონაც ჩაჯდა. ბოლოს, ავიდა რამა და ვით მდევლებმა და გმირმა ღონჯა დაიწყო; მგზავრებმა კი წესისამებრ განგას წმინდა წყალი მოსვეს და დიდებულს მდინარეს თაყვანი სცეს. მერე ზატოისანმა რაქუს ჩამომავალმა მენაკეთ უბძანა ნავი აესნათ, და ნიხით გაქანებული ნავი ზვირთებში სწრაფად შეცურდა. რა მდინარეს შუა შევიდნენ, სიტამ გულზე ხელ-დაკრეფით ესრე სთქვა: «აჰა დიდის ხელმწიფისა, ბრძენის დაზარათის შვილი! იცუვდი მას, განგავ, რათა ბუნდობად ასრულოს რაც ვალად აძევს. თოთხმეტს წელს ტყეში იცხოვრებს ჩემთან და თავის ძმასთან, და როდესაც შინ დავბრუნდებით, მისხვერბლს შემოგწირავ, ზეცეერო მდინარე! ოკვანეს მუუდღეთ, ბრამას ქვეუნიდან მომდინარეთ, გადიდებ და თაყვანს გცემ!»

მგზავრნი გავიდნენ მდინარეს გაღმა, გადმოხტნენ ნავიდან და გზას გაუდგნენ. და რამამ სთქვა: «შენ წინ გაგვიძე, ლაქშმანა, და ჩვენს ფარად იყავ, შენს შემდეგ — სიტა და უკანასკნელ — მე თქვენ ორივეს მტკვლად ვაქნებო. ჯერ ძნელს არასა შევმთხვევავართ, ლაქშმანა, მაგრამ სიტა დღესვე გამოსდის ტუის სამიხელებას. ესლა შევდივართ ტყეში, უდაბურს და უშენს მხარეს, სადაც არც ყანა და არც ბადი ჰქუავის და სადაც ფრიალო კლდენი გადმოწოლიან.» მგზავრნი შევიდნენ სმირსა და ხმაურობით სავსე ტყეში. ყველა



უცნობ ხეს, ბუჩქს და ყვავილს, რომელიც ტურფა სიტას ჯერ არ ენახა, რამას ჰკითხავდა; და ლაქშმანს სწრაფად ყვავილსა და მცენარეს გასასინჯავად მიართმევდა. დიდი გზა გაიარეს და ბოლოს ერთ ლეღვის ხეს მიადგნენ, ასზედ მეტი შტო მიწამდე რომ ჩამოეშვირა, და ძირში ახკარა წყალი ამოსჩქეფდა. აქ მგზავრებმა წყურვილი მოიკლეს, ტუცხლი დასნოეს და რამას ისრით მოკლეული ტახი შესწვეს; სკამეს და მერე ლეღვის ძირს დამე კაატარეს, ერთი მეორის მორიგე გუშაგობით.

ესრედ იარეს მრავალი დღე, მრავალი წყალი გავლეს, მრავალი უნახავი ხე ნახეს და მრავალი ტყის მხეცი მოჰკლეს. უკანასკნელ, ჩიტრავუთის უცხო მთასთან მიადგნენ და რაქუს ჩამომავალმა ლაქშმანს და სიტას უთხრა: «აი, სიტა, გაზაფხულის ბვირგვინით მართული კინსუქის ხე, თავის აღისთერ ყვავილებით თითქმის დავივსო. აი, ვიღვას ხე კაცის-მოუფლელი დგას, მწიფე კაკლებით დატვირთული და შტოებით თავის ნაყოფს ჩვენს საჭმელად მოგვაწოდებს. ხედავ, ლაქშმანა, ხეებიდან თაფლი როგორ ჩამოსწვეთს? იქიდან მწეურის შტკვინა მოისმის, აქ მხიარულ ფარშევანგის ევილი! ზენაარ, არც მეფობის სურვილი და არც ქალაქში ელონის ნატვრა ჩემს გულს არ ეკარება, მას აქეთ, რაც ტყე ვნახე და მისი მშვენიერება! ხედავ, ჩემო თვალის ჩინო, წამოწეულნი მთის წვერნი ცაში ვით ამართულან?—ზოგი მზინავის ვერცხლის სითეთრით მცნიმციმებს, ზოგი სისხლივით წითლად ღანღანებს, ზოგი ბიემუნდისავით მოვეითანეობს და ზოგი ზურმუხტისავებრ მწვანება. მათი ბროლის ბრწეინვალება და ქვების სიჭრელე, ვით უვავილთა ფრადობა ან ვარსკვლავთ კამკამი, თვალს ახარებს. აქა სძლავს ქურციკის ხრო; კაცს უვნებელი დადის აფთარი, ვეფხი და დათვი, და ფრინველთა ურიცხვი გუნდი ბუდობს; აქ სიკრილე, ხილი და ყვავილი კაცს გულს ულხენს. რა გრილს ჩრდილს მოგვუფენს ეს ვეპა ლეღვის ხე! აქ გავძლებით ქორფა ამრასი და ჯამბუს ხილით, — ერთი ტბილ წვერს მოგვცემს და მეორე — გემრიელ ზეთს; სხვა ხენი კი თავიანთ სუნხელებით დაგვატკბობენ! რა ტურფად ბრწეინავს ის კლდე, საიდანაც ქვებზედ გადაფრქვეული წყარო ჩამოსჩქერს! ვიშ, ამ სიოსა, ხეობიდან ყვავილის სუნხელებსა ხელის მობერვით რომ

მთქვეს! ესეთი ყოფა ვის არ გაახარებს, ჩემო თვალის ჩინა? თუ აქ ყოფნა საშუალოდ მსვედროდა, შენთან ერთად, ჩემო ტურთავ, და ლაქშმანსთან, სინარულით დაფრჩხობდი. მას დაფრჩეთ აქა! აგვი-შენე, ლაქშმანა, ქონი, აი იქ კლდის ძირში, სადაც წმინდა წყარო ჩამოდის.»

ლაქშმანამ მოსჭრა ხენი და მალე ქონი ააშენა, და რა მზად იყო, რამამ სთქვა: «ახლა ვაკურთხეთ ჩვენი სადგური, და რადგან აქ დიდ ხანს ვიცნობდით, მსხვერპლი დიდებით შევწირეთ! ლაქშმანა სწრაფად წავიდა და უბიწო დედალი ქურციკი მოჰკვია, ჩაგდო მთლად ცეცხლში და შესწვა. რამამ ზირი დაიბანა და, სჯულის მცოდნემ, ყოველი წესი რიგზედ ასრულა, წარმოსთქვა შესაფერი ღონეები, აღადგინა სამსხვერპლენი და გააძღო ყოველნი არსნი ხილითა და მწვანის ძირებით, წყლითა და შემწვარის ხორციით, ბაღახითა და ვედას წარმოთქმით. და ამის შემდეგ რაქუს ჩამომავალნი და სიტა ქონში შევიდნენ.

XI

დაზარათის სიკვდილი.

ესრედ ცნობრებდა ტყეში რამა სიტასა და ლაქშმანსთან ერთად.

შინ კი მტირადი კავზაღია დაზარათს ეუბნებოდა: «ჰე ხელმწიფეო, შენის მოწველებითა, სიკეთით და გულ-ჩვილობით სამსავე ქვეყანაში ნაქები ხარ; მას როგორდა უნდა ითმენდე, რომ შენმა დეიძმა-შვილებმა და ნებიერთაში გაზრდილმა სიტამ ტყეში იცნობონ? ჩემო თვალის სინათლე, სიტა, შავ-ზილფიანი, ნახა, სვიანობაში გაზრდილი, ვით აიტანს ეინჯას ან ზათხულის სიცხეს? დიდ-თვალეიანი სიტა, ტკბილ სჯემედს დაჩვეული, ახლა ტყის ხილითა და გარეულის ბრინჯით ვით უნდა იკვებებოდეს? სიტა, რომელსაც საკრავთა მუსიკობისა და სიმღერის ხმის გარდა არა სმენია რა, მხეტია საზარელს დმუვიდს ვით უნდა ისმენდეს? სადა ზის ახლა რამა, თავის ძმით, ხელზედ თავ-დაურდნობილი? როდისდა ვნა-



ხვ ლოტუსის მსგავსს რამას სხვის? ზენაარ, ეს ჩემი გული აღმა-
სისაა, რამას მოშორებით ათასს ნაწილად რომ არ გასქდა! დაბრუნ-
დება განა როდისმე რამა უღაბნადან თითხმეტის წლის შემდეგ, და
ჩაბარებს განა მაშინ სამეფოს ფარატა? არა მჭერა! ნადიმად ზოგნი
მხლელად თავიანთ ნათესავებს მიიწვევენ ხოლმე, და როდესაც ესე-
ნი გაძდებაან, მაშინ სუფრაზედ ბრამანებს მიიხატავენ. მაგრამ
ხატისანი კაცი სხვის ნახორხალს არა სჭამს, თუნდა ამიტაც უთა-
ვაზონ; მეტად თავმომწონა, რომ თვით ღმერთთა ნახუფრადს მიე-
კაროს. ვეჭვ, ისე არ მოხდეს, რომ უფროსმა და უკეთესმა ძმამ
არ დაწუნოს ის სამეფო, რომლითაც უმცროსი ძმა უკვე დამტკა-
რიყოს. ვეფხი სხვის ნაგლეჯს ნადირს არა სჭამს; ეგრეთვე მამაცთა
შორის ვეფხი, რამა, სხვის ნახმარს ითაკილებს. მეტად ამაყია, რომ
ეს სახელმწიფო სხვის ხელიდან ჩაიბაროს, ვით სასმელი სიფიცხე
გამქრალი, ან მსხვერპლი სომა-დაკლებული.²⁵⁾ შენი შვილი სამუ-
დამოდ მოაშორე ბედნიერებასა და ხელმწიფობას და, ვით თევზმა
თავისს წვრილმანის შთანქმელმა, დაღუბე. ზირველი შესათარი დე-
დაკაცისა მისი ქმარია, მეორე — შვილი, მესამე — მშობლები, მეოთ-
ხეს კი ვერსად ვერ ვხედავს. შენ ჩემი შესათარი ადარ ხარ; რამა,
განდევნილი, ტყეში ცხოვრებს და ჩემს მშობლებს მოშორებული
ვარ, — სრულად დავიღუბე! >

კავხალია რომ ამ მწარე სიტყვას ეუბნებოდა, მოხუცი მეფე,
მწუხარებისაგ ცნობა-მიხდილი, მობრუნდა და გონს მოვიდა. დიდ ხანს
მღუღარედ ოხვრიდა და ცოლს შესტკეროდა; მერე დიდს სატანებელს
ჩავარდა და მოაკონდა თავისი ძველი ცოდვა, ერთხელ სიყრმეში უნე-
ბლიედ რომ შეეშთხვა მშვილდფოსნობისას, და ამ ცოდვას ველავ ნანო-
ბდა, სწუხდა თავის საყვარელ შვილის რამასათვის და ჭმუნვა გაუო-
რკეტდა. გულზედ ხელ-დაკრეფილმა და თავ-დაღუნულმა მეფემ კან-
კლით დედოფალს მიუგო: «შეშობრაღე, კავხალია! ხელავ, გულზედ
ხელ-დაკრეფით შენ წინა ვდგევარ! შენ ხომ უცხოსაც აღერისანად
და ღმობიერად ეპურბობი. სათნო ქალი თავის მეუღლეს, — დირსი
იყოს თუ არა, — ნიადგ ზატყისა სტემს, ვით ზეცით მოფენილს

²⁵⁾ სომა — მცენარეს წვეენია, დამატრობელი, თეთრი, გემოდ მწარე და მწვავი. სომა საღმრთო სასმელია და იხმარება მსხვერპლ-შესაწირავის შესაპურებლად.

ხილულს დმერთსა. მამ ნუღარ მუევედრებ მე მწუნსარებასა, თუმცა თვით შენ მწუნსარებით კვემული ხარ, შენის სათნობით განთქმულად დედოფალად!»

რას ესმა კავზალიას მეფის სამუდარო სიტყვა, თვალთ ცრემლინი გადმოსცვივდა, მის ფეხთა შუბლით შეეხა და კრძალვით ესრე უთხრა: «მეძინაა დე! ხედავ, შენ წინ თავს ვიხრი და მიწასევე გვდივარ. საკვდილის დირსი ვარ და ჩემს სიახლესაც ნუღარ დასთმობ. ის ცალი, რომელსაც ბრძენი და კეთილი მეუღლე მოწყალებსა და დამობიერებს ეხვეწებოდეს, ცოლად წოდების დირსი არ არის. ჩემი მოვალეობა მტკიცედ ვიცი და შენც, სამართლიანსა, გიცნობ, მაგ. რამ შვილის ნადვლით ეგ სიტყვა მაინც წამცდა. მწუნსარება სულის სიმტკიცის მუდმურებელია და გონების დამბრმავებელი; მწუნსარება უოფლის მძლეველია და ვერც ერთი მტერი მას ვერ დაუღარება. მტრისგან ნაკადარს ადამიანი გაუძლებს, ხოლო უხილველ გულის-მდრღნელს მწუნსარებას ეი ვერ დასთმობს. ხუთი დღეა მხოლოდ გასული მას აქეთ, რაც რამა უდაბნოს წავიდა, მაგრამ ეგ ხუთი დღე მწუნსარებითა და ნადვლით ხუთ წელიწადს უდრის. მხოლოდ რამასე ვიფიქრობ და ვნადვლობ, და სევედა, ვით ზღვა მდინარეთა შერთვით, დღითი-დღე მიანდლებს!»

სინამ კავზალია ამას ამბობდა, შემოღამდა და დღონებულს მეფეს, ცოლისგან ნუგეშ-ცემულს, ჩაქინა; მაგრამ, მწუნსარებისგან კვლავ გამოფხიზლებულს, მადე ძილი გაუტყდა. მექქესე ღამეს, მას შემდეგ, რაც რამა უდაბნოს წავიდა, დაზარათს ღამის წველიადში თავისი შეცოდება მოაგონდა და სთქვა:

«კავზალია, თუ ჯერ არა გძინავს, უური დამიგდე, და სიტყვას ნუ გამაწვევტინებ. ჩემო სავარელი, რაცა ვის ამ საწუთროს ეწევა, — ბედი თუ უბედურობა, — ეველა დირსეულად ჰხვდება და მისი საქციელის მაგიერია. ვინც საქმეს ხელ-ჰყოფს და მისის შედეგის სიმძიმეს კარგად არ ასწონს, — გინდ კეთილად შეასრულოს საქმე, გინდ ბედიოდად, — მაინც ემაწვიდეს დაარქმევენ. ვინც ამრას ხეს მოჰკვეთს და ხალხის შეინახავს, იმ იმედით ვითომც მისი ნაყოფიც



მისი ყვავილის შესაყერი გამოვაო, ის ხილის დროს ინადვლის. ³⁹⁾ ვინც კერე შედეგის დაუდევრელად მოქცევა, იგი ზღაპრის დასწერ-გველსავით ნაყოფის შემწიფების დროს ინახებს. მეც მოვკვეთე ამ-რას ხე და მის ადგილას ზღაპრის ჩაგრე, და აი მისი ნაყოფიც, რამას განდევნა, ჩემს სავაგლასოდ მომწიფებული! დიდი ხანია მას აქეთ, — ჩემის უმაწვილობისას, — კარგის მშვილდდონის სხელის მოსაზრებლად, რომელიც უხილავს მიზანს სტეოტრინის, ერთხელ ხმას ვუმიზნე, — მაშინ შემემთხვია მძიმე ცოდო და ესლანდელი ჩემი მწუხარება იმ ცოდვის სამაგიეროა. ვით უმაწვილი მომაკვდინებულ სამსლას დაქწათება, ან ბოროტის სულისაგან მოხიბლული კაცი განს-ცდელისაკენ გაქურება, კერევე მე ეს ჭირი ჩემის მშვილდდონობით უნებლიედ წავიკადე.»

*

«შენ ჯერ გასათხოვარი იყავ, დედოფლო, მე კი უმაწვილი, რომელსაც ერთხელ წვიმიანობის მშუენიერი დრო, ჩემი ღვინის განმრავლებელი, დადგა. მიწის ზოხიერების ამომზიდველი მიზე იმ საშინელს მხარესკენ მიიქტა, სდაც იამა მკვდრებზედა ქსურუფეს. ⁴⁰⁾ მადე ზაფხულის სიცხეება დასცხრა, გამოჩნდნენ სანატრელნი დრუბელნი, და ჩათაკა, ბაყაი და ფარშევანგი ვეკლგან მხიარულად თამაშობდა. ⁴¹⁾ ნედლს შტრებზედ ფრინველთა გუნდნი წვიმიანის ქარის მობერვით ირწეოდა. ქარიშხალით ჩამობანილი მთა, მხიარულ ჩათაკებით აჭრებებული, ზღვასავით ბრწეინავდა; და ხეებთან მიწითა და ფოთლებით გაკვეთულ-გაწითლებული წყალი ასს ნადვარეკად გველსავით დეკეში ჩამოსცურავდა. მას ჟამსა ნეტარებისას ჩემი ნორჩი ძალის სწორტუნელად წავკელ მშვილდ-ისარით და სარაუ-მდინარეს ჩაუევე. კარეული კამბეჩი, დამით წყალთან ჩამომავალი, ან მწეურ-

³⁹⁾ ამრა — *magnifera indica* — ხე, რომელიც წვრილ თეთრს ყვავილს ის-ხამს და დიდრონ და გემრიელს ხილსა. პალაზა ანუ კინსუკა — *butea frondosa* — ისხამს მშუენიერ წითელს ყვავილსა და შეუქმველ ხილსა.

⁴⁰⁾ იამა — დმერთი სიკედლისა, სამხრეთის მხრის მფლობელი.

⁴¹⁾ ჩათაკა — *Cuculus melanoleucus* — ფრინველია, რომელიც, ინდოელების რწმუნებისამებრ, წვიმის ცვარით იკვებება, მაშასადამე, რასაკვირველია, წვიმიან დრუბელის დანახვა უხარბან. ბაყაის სხენება პოეზიის უკადრისობად ვერ ჩაითვლება, თუ სახეში მივიღებთ, რომ ინდოეთში მრავალ-გვარი ფერად-ფერადი ხის-ბაყაი ბუდობს.



ვალი სწილად, ან სხვა ტუის მსეტი ვლამოდი მომეკლა. მაშინ დაშინ
 წუვდადში ერთგან, საითაც თვალი ვერ მიმიწვდებდა, ხმაურობა
 მომესმა, თითქო კაკით წყალს ავსებენო, ან თითქო სწილად ხარ-
 თუმით წყალს სრუტავსო. სწრაფად დავადე მშვილდის გველსავით
 მზინავი ისარი და, გულ-დაჯერებულმა, რომ მიზანს არ ავადებენ,
 ხმას ვსტეორტე.»

«და რა გავარდა ისარი, კაცის ხმა მესმა: „ვინ მე, ვინ დამკლავდა!
 ვინ არის აქ განდგეილის მკვლელი? დამე წულის ამოსადებლად ჩამო-
 ვედი. ჩემს დედაში ვის ვაწეებინე? რიშისავით⁴²⁾ უახვარ-უიარაღოდ
 ტეეში გვხვარებ და ტუის ხილით ვიკვებები, რას ერჩიან ჩემს სი-
 ცოცხლეს? ვის არკებს ჩემი სიკვდილი? ვინ არის, ვისაც ესეთი
 ამაო და უაზრო კაცის-კვლა ცოდვად არ მიაჩნია? ჩემს სიკვდილს
 ისრე არ ვნადვლობ, როგორც ჩემი საუვარელი დედ-მამა მებრალება.
 ჩემმა მხცოვან მშობლებმა, ერთადე უსინათლოთა, რომელთაც აშდენ
 ხანს ვინახავდი, ახლა როგორღა უნდა იცხოვრონ? ესრედ ერთის
 ისრისკან დავიდუბენით მე და ჩემი მშობლები. ვინ არის უღვთო,
 ვინც ესრე სასიკვდილოდ გავწირა!“»

«რა ეს საბრალეო ხმა მესმა, ზარდაცემულსა მშვილდ-ისარი
 ხელიდან გამისხლტა. რეტიანი და გონება-მიხილი წაველ საიდანაც
 ხმა ისმოდა და ვნახე განდგეილის შვილი ჩემგან დავადილი; წულის-
 შირს იწვა, გრძელ და ხუტუტ თმა-გაშლილი, ტანი კაკიდან გადმოქ-
 ცეულის წულით დასველებოდა და შლამითა და სისხლით მოვრილი
 ჰქონდა და წუელულისკან მწარედ იტანჯებოდა. რა შემომხედა, შმაგ-
 სავით ავთრთოდდი, მისი სიტყვა კი ნაკვერცხლსავით გულს მეცა:
 „რა დავიშავე, სეფის-წულო, რომ ისრით დამკლავდა? ნუ თუ მით
 გაწეებინე, რომ ჩემ მშობლებისთვის წყალი უნდა მიმეტანა? ვაი,
 ეს ისარი, ჩემს გულში გამსჭვალული, ჩემს დედ-მამას გულს დაე-
 სო! ახლა უძლურნი მოხუნნი სწუხან და მეღიან გული გაიგრილონ
 ცივი წულით, რომელიც მწუერვალთათვის უნდა მიმეწოდებინა. ნუ
 თუ ამაო იყო ეველა ჩემი სასოება და სინანული, რომ მამა-ჩემმა
 ვერც კი სცნოს თავის შვილის სიკვდილი? მაგრამ თუ სცნას კიდევ,

⁴²⁾ რიში—მისანი, ბრძენი, მგოსანი; ვედს, საღმრთო-წერილის საგალობელ-
 თა შეთხზვა რიშებს მიეწერება.

რადას მიშველის, როდესაც თვითონ ადგომის დონე აღარ აქვს? მონადირესკან დაკადილს სწილას მისი ტოლი რადას არკებს? მამა-ჩემთან მალე წადი, რაქუს ჩამომავალა, და რაც მოხდა ეკვლა უაშბე, რომ მისი რისხვა, ტუის გადაშვეულ ტენსლსავით, არ მოკე-წიოს. აი ეს ბილიკი მიკიუვასნს მამა-ჩემის სავანესთან. წადი და გული დაუმშვიდე, თვარა განრისხებული დაგწვევლის. ამომართვი, მეფეო, ეს ისარი, თორემ მისი ზირი ძვლები ტვიანს მიდრდნის, თითქო ადიდებული წყალი თავის ნაზარებს ჰგლეჯსო! „

ამას რომ შეუბნობდა, არ ვიცოდი ამხსრულებინა, თუ არა, მისი თხრობა. ჩემს გულში ვამბობდი: თუცა ისარი აწუხებს, მაგრამ ამორთმევივთ ვაი თუ მოკვდეს! და ესრედ მკრთალი და მწუხარები-სკან განება-დაფანტული რომ ვიდექი, განდეგილის შვილი ჩემ გაუბედობის მიზეზს მიხვდა. სულთა-მებრძოლი იწვა და ტანი სსიკვდილად ეკრუნჩხებოდა; ბოლოს, ძლიავსდა მითხრა: „მე სიკ-ვდილისა არ მეშინიან და მტკიცე გულით ავიტან ტანჯვას! შენ, მთა-ვარო, ნუ გგონია, რომ ბრამანის მოკვლის ცოდვა გეღება. — მე ორ-ჯელ შობილი არა ვარ, ნუ გეშინიან. დედა-ჩემი სუდრას და მამა—ვაისია!“ ⁴²) ესრე რომ ამბობდა და მიწაზე იკლანებოდა, მე ტა-ნიდან ისარი ამფართვი, მან გაშტერებული თვალი შემომამხურა და სული დაღია. მამინ-და მოკვდი განებას და შევიკენ რა საშინელი ბრალი დამდებოდა ჩემს უნებურად; მას მკვდარს თავს ვადექი მარ-ტო და ვიკოხებდი რა უნდა მექნა. ავიდე კაკა, ცივის წელით ავა-ვსე და დავადექი გზას, რომელსაც განდეგილის სავანესთან უნდა მივეუვანე.

«იქ ვნახე მოხუცი და უძლეური მშობლები ჩემგან მოკლეულის ერმისა; უსინათლონი უმატარებლად დარჩენილნი, ვით ფრანგულნი ფრთა შეკვეცილნი, ისინდენ და თავიანთ შვილზე ღაზარაკობდნენ. რა განდეგილს ჩემი ფეხის ხმა ესმა, მომიბრუნდა და მითხრა: „სად იყავ აქამდის, შვილო? მოგვეც ჩქარა, წყალი დაგვალკვიე! უთუოდ წყლის-ნაზირას თამაშობდი, დედა-შენი კი აქ შენთვის სწუხდა. ჩვენ

⁴²) ბრამანი მიჩნეულია ორჯელ-შობილად: პირველ, ზორციელად, ბუნებისა-მებრ და მეორედ—სულიერად, სამღვთო-წერილის შესწავლით. ვაისია—ვიქარნი და მიწის შემმუშეებელი; სუდრა—მსახურნი და ყმანი.

უღონოთა საყუდელი ხარ და უსინათლოთა თვალი, — ჩვენი საცრც-
 ხლე შენზედ ჰქიდა! რატომ არის მეტეუი, შვილო? »

« მღაბლის ხმითა და ენა-მოდებით, თითქო აზრი მაკრთებაო, დაფიწვე მე საშინელი ამბავი: „შენი შვილი არა ვარ, ჰე წმინდაო, მე ვარ დაზარათ მხედარი, ჩემის ცოდვით დიდს უბედურებაში ჩავარდნი-
 ლი. შვილდ-ისრით სარაჟს ზირს დავდიოდა, ნადირი მინდოდა მო-
 შეკლა, სხილო წელის დასაღვეად ჩამოსული. მდინარით ხმა მესმა, თითქო კოკით წყალს ავსებენო. სხილოა, ვიფიქრე და ვსტორცე ისარი. წელის ზირს მივაჭურე და ვნახე მიწაზე დატეხული განდე-
 გილი, თითქმის უსულო, გულს ისარ-დასლობილი. მის ბძანებით მი-
 ვეღ და გულიდან მტანჯველი ისარი ამოვართვი, და მისი სული ზეცას ავიდა, მის მშობელთა ბედისათვის ნადეულ-ტეხული. ესრედ მოგვალ, ჩემს უნებურად, ჰე წმინდაო, შენი შვილი. რაც ახლა უნ-
 და მოხდეს, განდეგილო, შენ მიბძანე! » »

« რა მოისმინა წმინდა რაშიმ საზარელი ამბავი, ჩემგან ცოდ-
 ვლისაგან ნაამბობი, დიდად შეიჭირვა, ზირისაზე ცრემლით ჩამოე-
 ბანა, ოხვრიდა და მწუხარებისაგან გონება-მიხდილი მე გულზედ
 ხელ-დაკრეფილს მეუბნებოდა: „თვით შენ თუ არ უოფილაიყავ, სე-
 ფის-წულო, მავ საზარელ ამბის მოხრობელი, აქვე თავიშე ათასს
 ნაწილად გაგკლდომიდა! მხედარის ხელით განდეგილის განზრახ-მო-
 კვლა თვით ინდრას ტახტის ბრწეინვალებას დაახნელებდა. ხოლო რა-
 დგან კაცის-კვლა შენ უნებურად შეკემთხვა, — იცოცხლე, რაქუს ნა-
 ტამალო, რათა რაქუს ჩამომავლობა არ შეწუდეს! » » და კვლავცა მი-
 თხრა: „იქ მიგვიუვანე, მეფეო, მინდა უკანასკნელ მოვეხვიო ჩემს
 საყვარელს შვილს, უძრავად მიწაზე მწოლარესა, სისხლით მოსვრიდს
 და განდეგილის დატეხვილ ტანსაცმელით მოსიღისა სამართლის ხელმ-
 წიფის ემას! » »⁴³⁾.

« მწუხარე განდეგილი და მისი ცოლი წელის-ზირს მოვიუვანე
 და ვუშველე თავიანთ შვილისათვის ხელი შეეხათ. მშობლები დაე-
 ცნენ შვილის გვამთან და მამა ესრე მოსთქმიდა: „რატომ არ
 მომესალმები, შვილო, და რატომ ხმას არა მტემ? რას წვეხარ აქ,

⁴³⁾ იამა — ღმერთი სიკვდილისა, იგივე ხელმწიფე სამართლისა, მეფე სიბარ-
 თლისა.

მიწახედ, ხომ არ მიწერები? მას თუ აღარ გიყვარვარ, შენს ერთ-
გულ დედას შეხედე, — ამას ხომ მოეხვევი, შვილო?! ერთი სიტყვა
მანტე გამოეცი! ხუ თუ ვეღარ გავიგონებ შენს ტუბილს ხმას, რომ-
ლითაც მუუდრო ღამეს საღმრთო სატკალოელთა ჰქათხულობდი ხოლმე?
ვინ მომავოდებს საღამოობით ნაკურთხს წყალს? ვინ ამინთებს ტე-
ხლს? ვინ აღერსით გვერდთ-მომიჯდება, როდესაც მოგერიდებოდი
ხოლმე, რომ სწავლაში ხელი არ შემეშალა? ვინ მომიტანს ხილსა
და ვით სანატრელს სტუმარს ვინ მითავაზებს? — მე ხომ ვეღარა-
ფრის გაკეთება და ზოგნა შემოძლიან! ეს მოხუცებულა და უსინათლო
დედა-შენი, შენ რომ დაგხაროდა, მე როგორღა ვარჩინო? ოჰ, დარ-
ჩი, ხუ წახვალ, გულითადად შვილო, იამას საშინელ სახლს! ხვალ
მე თვითონ მიგოყვან, დედაც თან წამოგუყვება, და იამას იქ მოვა-
სხენებ: მომეც ჩემი შვილი, მეფეო, რომ მოუგლეღნი არ დავრჩეთ,
— და ზენაარ, ჩემს თხზვანზე უარს ვერ მეტყვიან! როგორც ნა-
მდვილია ესა, რომ ამ შემცოდემ უბრალოდ მოგკლა, ეგრეთვე ჭეშმა-
რიტია შენი ასვლა გმირთა ზეცაში. სადაც მამანია, იაში შეუ-
დრეკელნი და გულს მსხვილ-დასობით დამხობილნი, განისვენებენ,
იქ იყოს შენი სამკვიდრებელი!“ »

«ესრედ მოსთქმიდა უსინათლო მოხუცი, მწუნარებისაგან უფრო
დაბრმავებული, და შვილის დასამარხავად ხმელს შეშას აგროვებდა
და წყალს აზურებდა. მამინ გამოხნდა განდეგილის შვილის სული,
გარდაცვალებულის და განათლებულის სახით, და თავისს ნადგომ
გვამზედ ამართებულმა მშობელთ უთხრა: „თქვენის მადლით მე
ნეტართა სამკვიდრებელი მომენიჭა, თქვენც მალე იქნებით ჩემთან
ნეტარნი!“ » ჩვენს თვალ-წინ გარდაცვალებულის სული ცაში ამაღლდა.
ხოლო განდეგილმა მე, გულზედ ხელ-დაკრეფილსა, მითხრა: „ახლა
მეც მომკალ, მეფეო, სიკვდილი ჩემთვის ბედნიერებაა. მაგრამ
რადგან ჩემი ერთად-ერთი შვილი, თუმცა შენს უნებლიედ, წამა-
რთვი, მას ჩემი წუკვლაც მოისმინე. რაც მე ჩემის შვილის სიკვდი-
ლით მწუნარება გამოვიარე, იგივე ჭირი შენც გამოსცადე შენს დედას
აღსსრულიანს!“ » ამ სიტყვასედ მოხუცმა კონტანს ტენხლი წაუკადა
და შვილის გვამთან ერთად ორთავე მშობელთა თავი დაიწვეს.



«ეს არის ჩემი გონების ამრევი და გულის მამძიმებელი ბრძოლი, ეს არის ჩემი ცოდვა, სიურმეში მშვილდოსნობისას რომ მეწია! და ეს მწუნარება ჩემი შეცდომის მაგიერია. ღირსის განდევლის მძიმე წვევლა ჩემს თავსა ახლა სრულდება, დედოფლო, რადგან ჩემი შვილის ხალვლითა ვკვდები!»

ესრედ უბნობდა მტირალი მეფე, და მერე თრთოფით დედოფალს უთხრა: ვეღარა გხედავ, კავზალია, ხელი მომეც! ოჰ, ნეტავი ერთხელ კიდევ მოეცა რამის ჩემთვის ხელი, და აქ მდგარიყო სვიანი, მეფედ ნაკურთხი, მაშინ იქნება სიცოცხლე კვლავ მენატრა. ოჰ, რა ჩემ თავის უღირსად მოგვექცია რამის, და ის კი, რაქუს ჩამომავალი, რა ზატოისნებით მომეზურა! შეიძლება ბრძენმა კაცმა თავისი ბედითი შვილი განდევნოს, მაგრამ სად არის ის განდევნილი შვილი, თავის მამას რომ არ ეძღუროდეს? თვალთ ვეღარ გხედავ, დედოფლო, გონება მეფანტება. აი, სიკვდილის მოციქულნი, კავზალია, ჩემს წასაყვანად მომადგნენ! ოჰ, ამახედ უარესი ტანჯვა განა იქნება, რომ უკანასკნელ წამს ჩემს შვილსა, ერთგულსა, მამაცს, ზატოისნს, საყვარელ რამის ვერა ვხედავ! მისის მოშორების სევდა სიცოცხლეს ისე მიღვეს, თითქო მზის სიცხე ცვარს აქარვებსო. ზენაარ, აღამიანნი კი არა, დმურთნი იქნებიან, ვინც თოთხმეტის წლის შემდეგ მის სანატრელს მოელვარე ზირსა ხახვენ! გონება შემდურევა, კავზალია, გული თითქო გადამელაია. ხედვასა და სმენას, შეხებასა და გემებას შორის კავშირი გასწედა, და გონებასთან ერთად გრძნობაც შევსება, ვით უკანასკნელი მბუჟტავი ალი ღამზარისა, რომელსაც ზეთი ელევა. გულის წუხილი ისე უღონოდ და უშველად მიზიდავს, თითქო მთიდან გადმოქანებულ დვარს თავისი ნაზირები მიაქვსო. ოჰ, რაქუს ჩამომავლო, მხარგებლო, ჩემო სევდის გამქარვებლო, ჩემო წინამძღოლო, ჩემო საყვარელო, გულითადად შვილო! სადა ხარ ახლა ჩემგან მოშორებული? ვაი, კავზალია, ვეღარას ვხედავ! ოჰ, ღვთის-მოშიშო სუმიტრავ! აი ჩემი მტერი, საზარელი კეიკეი, ჩემის სახლის შემარცხიხიებული!»

ესრედ ჰტოდებდა მეფე დაზარათ რამის დედის სახლში, და მოკვდა.

თუხური ლექსები

დ. როსტომაშვილის-მიერ შეკრებილი

დაისთველ-ხმელა ზამთარმა ნეტარ ვის თუშის ჭირადა;
 ბოსელთს არს ღუის ღუხუმი ავათ თუ მაგის ჭირადა.
 მთით ღეკის მონადირემა ღუხუმს მოჭკიდა თვალია,
 შევუღეს შუა ღამის ხანს ღუხუმსა ბოსლის კარია,
 გამაიძიეს ბოსელი, ღუხუმ მოხეღეს ვაჟია.
 ვაჭ ღედას ღუხუმისას, თოფი დამიმტვრია ტალია,
 ადარც გადმომეფა ხანჯალი, მედინა სისხლის ღვარია!
 გამაიფანეს ღუხუმი, ვიწროთ შეუერეს მხარია;
 გამართეს საღეკეთოდა, წინ დაუუენეს ცხვარია.
 ჩამაიფანეს ღეკეთში, შემოეხეგვა ჯარია:
 ეს თუ იყო ღუის ღუხუმ—ეს ჩვენი ნიაფ-ღვარია.

საფლავზედ შემახანდინეს როგორც ნაკურთხი ხარია.
 შეხდა-შეშუზნდა ღუხუმი, წელთამც შემარტყას ხმალია.
 ქალმა შეხედა, ატირდა, ღუხუმს ნუ მოჭკლამთ—ბრალია.
 ქაღო, შენც თუში, მეც თუში, ჩემ სიკვდილ არა ვამია,
 კიდენ დარჩება თუშეთში, მადლ შემაირტყას ხმალია,—
 შორად წაიდოს საგძალი, მტრისა არ ჭამოს ჯავრია.
 თუშეთს წისქვილში ატირდა ხანა, თორღვანს ქალია:
 „შენ მამა ჩემო თორღვაო, წელთ ნუღარ გერთყას ხმალია,
 ნუღამც გეხტოს ღეკები, ნუღამც გეუაროს ჯარია!
 გამომიფანეს ღეკებმა, გამომიჯარეს კარია,

შიშით მომიკლეს ღვეანი, სისხლის დაღვა ტბანია,
 ხელნ დასტერს, უბეს ჩამიწვევს, ქალმან დაფიტერ თმანია.
 გამმართეს საღვეეთითა, უკან მბრუნებს ქარია.
 ესე ქარ არა უოფილა, ღვეანის ცოდვთ-ბრალა!
 დაგნაეუ საყურ-ბეჭედი, იმითა ვნიშნე გზანია;
 მკლავით ვიუარენ ზოდტენი, მღვევართ გაიგონ კვალა.
 უთხარით ჩემსა საქმარს, მადლ შემაირტვას ხმალა;
 მამულთაც ჩიღველებსა— ჩემს ქმარს უჭირონ მხარია.
 სოფლად თუ ვერას ჩამოფლენ, მთიდან წაუსხან ცხვარია.
 სახსარს ნუ დადონდებთან, სათუშო აღარ ვარია,
 რჯუელიან ხელ-უკადრები ურჯულთ ნებას ვარია;
 მაჭმევენ ცხენ-გვიცას ხორცსა, ბუსურბანია ვარია».

მღმინი-კახიცი ისტორია

ნაწილი პირველი

1789

ერკმან-შატრანასა

XV

შოველის წასვლის შემდეგ სულ სათემო კრების საქმეებზედ-ლა ვლაპარაკობდით; ზოგი ამბობდა, სამივე წოდების—თავად-აზნაურობის, სამღვდელოების და ხალხის წარმომადგენელნი ერთად იქნებიან და სხდომაც ერთად ექნებათო; ზოგი კი სულ სხვა აზრისა იყო: თავად-აზნაურნი და სამღვდელონი მაგას თავის დღეში არ იზამენ და ცალცალკე იქნებიანო; დიდი სჯა და ბაასი გვექონდა ამის შესახებ, თუმცა დარწმუნებით ჯერ არა ვიცოდით-რა.

მეფის ბრძანებაში ეწერა, ხალხს იმდენი წარმომადგენელი ეყოლება, რამდენიც თავად-აზნაურთ და სამღვდელოებას ერთადაო; ამიტომ ჩვენ გვინდოდა ყოველი კითხვა ისე გადაწყვეტილიყო, რომ ცალცალკე დაჰკითხებოდნენ ყოველ წარმომადგენელს და ხმები ისე მოეგროვებინათ; მაშინ გამარჯვება ჩვენი იქნებოდა და ბატონ-ყმობისა იქნება სახსენებელიც აღარსად დარჩენილიყო; თავად-აზნაურობა და სასულიერო წოდება კარგადა ჰგრძობდა ამას და ამბობდა,—ცალცალკე ყოფილიყო; წარმომადგენელს კი არა, ყოველ წოდებას უნდა დავეკითხოთ და ხმები ისე მოვაგროვოთო; მაშინ, რასაკვირველია, ისინი გვა-

*) «მოამბე» № II, 1897 წ.

ჯობებდნენ: იმათ ყოველთვის ორი ხმა ექნებოდათ, ჩვენ კი ერთი, და ბატონ-ეშობის გადაგდების მაგივრად, უფრო მძიმე უღელს დაგვადებდნენ ქედზედ.

აბა მაშინ უნდა გენახათ, რა გაბრაზებული იყვნენ ნათლია-ჩემი, ლეტუმიე, კომარი და ერთობ ყველანი, ვისაც კი ცოტა რამ შეგნება ჰქონდა და ამ კითხვის საშინელ შედეგსა ჰგრძნობდა. შებინდებოდა თუ არა და შეწყდებოდა მუშაობა, შევიკრიბებოდიო ჩვენი მუხის ქვეშ და ზოგი თავისას გაიძახოდა, ზოგი თავისას. შინ ისე ცხელოდა, რომ აგერ რამდენიმე ხანია სკამები გარეთ გავიტანეთ და ჩვენი დუქნის სტუმრებსაც მუხის ქვეშ, ჩრდილში მივიღებდით ხოლმე. იმისთანა ცხელი გაზაფხული ჩემს დღეში აღარსად მახსოვს; ჯერ ისევ აპრილი იდგა და იწოდა ქვეყანა; მართალია, შემდეგში, მაისში დიდი ქარები და წვიმები დაიჭირა, მაგრამ აპრილში ისე ცხელოდა, რომ შუაგული ზაფხული გეგონებოდათ. მე და ვალენტინს ისე დაგვცხებოდა ხოლმე სამქედლოში, რომ პერანგის ამარა-ლა ვმუშაობდით.

— ბიჭო, მიხო! აქ გამოდი ერთი! — შემომძახებდა წამ და უწყუმ ნათლია-ჩემი და მეც უნდა გაესულიყავ, ამეწია ერთი უშველებელი კოკა ცივ-ცივი წყალი და ზედ თავზე დამეშვა. — ხომ დავიწვი, ასე რომ არ გავგრილდეო! — რიგოს ცოლი მაგდანი — იქვე, ჩვენ პირდაპირ იდგა — სიცილითა კედებოდა ხოლმე.

ერთი სიტყვით, ძალიან ცხელოდა და ისე მოველოდით დაღამებას და აგრილებას, როგორც მონაზანი სულის ცხონებას. ამოვიდოდა მთვარე, დავსხდებოდით ჩვენი მუხის ქვეშ, ერთ ხელადა თეთრ ღვინოს ამოვიტანდით და ისეთი ამბავი გვქონდა, თითქო მქედელი ლერუს დუქანში კი არა, თვით საერო კრების სხდომაზე ვართო.

სულ გარეთ იყვნენ დიდით პატარამდე; ქალები თავიანთ ხელსაქმეს გამოიტანდნენ, ბავშვები იქვე თამაშობდნენ და ისეთი მხიარული ხმაურობა იდგა ქუჩაში, რომ გიამებოდათ. ჩვენ კი ვისხედით მუხის ქვეშ და დაურიდებლივ ვბაასობდით. ვიცოდით, რომ ყოველი ჩვენი სიტყვა საქვეყნოდ გახ-



დებოდა, მაგრამ რალაცა იმედი გვიღვივოდა გულში და შიშს გვაეწიყებდა.

ხანდახან მარგალიტაც მოვიდოდა ხოლმე. იქვე განზე გავდგებოდით და ჩვენთვის ტკბილად ვჭიკჭიკებდით, ვიღრე უფროსების ბაასს გაბრაზება არ დაეტყობოდა და ჩვენც არ წაგვიტყუებდა: ვნახოთ ერთი რასა ჯავრობენო. უფრო ნათლიაჩემი და ლეტუმიე ბრაზობდნენ. წამოხტებოდა ლეტუმიე, რაც ძალი ლ ლონე ჰქონდა მუშტს დაჰკრავდა სტოლს ლ დაიყვირებდა:

— კმარა! ასე ცხოვრება შეუძლებელია! პირუტყვები ხომ არა ვართ! ჩვენ უნდა საქვეყნოდ გამოვაცხადოთ, რომ რაცა ვართ, ჩვენა ვართ, ჩვენ, გლეხ-კაცები!

ნათლი-ჯალაბი კი თავის სტოლსა ჩივოდა:

— ღვთის გულისთვის, ბატონო ლეტუმიე, სტოლმა რა დაგიშავათ?! მავასაც ხომ ხმა არა აქვს, რომ მებატონეებს მიუღდეს!

ასე, ამგვარად მიმდინარეობდა ჩვენი ცხოვრება; დღე დღეს მისდევდა, კვირა—კვირას და მე არ მახსოვს, რომ ისეთი კმაყოფილი ვყოფილიყავ როდისმე ჩემი ბედისა, როგორც იმ გაზაფხულს ვიყავი, როდესაც თავისუფლად შევეტრფოდი ჩემს მარგალიტას, თუმცა ვერა ვბედავდი და ვერ ვეუბნებოდი, როგორ მიყვარდა. არა, ისე ბედნიერი მე ჩემს დღეში აღარასად ვყოფილვარ!

ერთს საღამოს, ასე რვა საათი იქნებოდა, ჩვეულებისამებრ ვისხედით მუხის ქვეშ და ვლაპარაკობდით. ლეტუმიე რალასაც გაჰყვიროდა, კოშარს თავისი გძელი ცხვირი წვერში წაეყო და გაჩუმებული ჩიბუხს ეწეოდა. ჩვენთვის უშიშრად, უდარდელად ვლაპარაკობდით და მგონი ყველაზედ უშიშრად კოშარი ბრძანდებოდა, თუმცა სწორედ იმ დღეს შემოეტანა ფარულად სამზღვარ გარედან ერთი ტომარა თამბაქო. თავისი ხელობა—ხურო იყო—მაძღარ ლუკმას ვერ აქმევდა და ძალიან რომ გაუჭირდებოდა, სამზღვარს გავიდოდა, გრაუჭტალში სულ იაფად ერთ კარგ ტომარა თამბაქოს იყიდდა და შემოაპარებდა როგორმე; ჩვენში კი თამბაქოს იმისთანა დიდი ბა-

ქი ელო, რომ მამასისხლად იყიდებოდა; რასაკვირველია, ყველანი ასე შემოპარებულსა ყიდულობდნენ, რადგან გირვანქას ერთ აბაზად შოულობდნენ და დუქანში კი მანეთადაც ძნელი საშოვარი იყო.

პოლიტიკური ბაასი ჩვეულებისამებრ ათ საათამდე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ჯერ მგონი ცხრაც არ იყო, რომ ვილაც კაცმა შემოალო ქუჩის კარი და წელი ნაბიჯით წამოვიდა ჩვენკენ. თან ორი ქანდარმი მოსდევდა; მოდიოდა და სულ აქეთ-იქით იყურებოდა, თითქო რაღასაც ზვერამს და დაეძებსო. მოვიდა, მოგვიახლოვდა. ეს გახლდათ მატურინ პულე, დაბალ-დაბალი, საშობაო ქუბივით ჩასუქებული, ჩაგრვალელებული, ჩაწითლებული, სამკეცი დაბაბით შემკული პულე. ამბობდნენ, იმისთანა უცნაური მჭამელია, რომ ერთი კარგი ბატკანი საუზმედ არ ეყოფაო, და მეორე კიდევ სადილადაო. აბა რას ეყოფოდა ამისთანა მჭამელს თავისი მცირე ჯამაგირი—საღლაც მონასტერში მეკარედ იყო? და მარტო ჯამაგირზედ რომ ყოფილიყო, შიმშილით მოკვდებოდა. იქნება სწორედ ამიტომ იყო, რომ პულე არც დედას დაინდობდა, არც მამას, არც და-ძმას და ნათესავს, ოღონდ კუჭი გაეძლო როგორმე. თვით ღმერთსაც კი დააბეზლებდა, ოღონდ დასაბეზლებელი ჯილდო ეშოვნა და თუმცა ღორისავეთ უგუნური შეხედულობა ჰქონდა, იმისთანა გაიძვერა რამ იყო, რომ უბაჟოდ შემოპარებული საქონელი არსად გამოეპარებოდა. დღე და ღამ სულ იმის ცდაში იყო, მახეში გავაბა ვინმეო და თუ ცხოვრობდა, დასაბეზლებელი ჯილდოთი უფრო ცხოვრობოდა, ვიდრე თავის ჯამაგირით. აი რა ცუდია მუცლის აყოლა: გულის მუცელი გადაეფარება და ადამიანს ჭამისა და სმის გარდა აღარა მოაგონდება-რა!

მოდიოდა და ორივე ქანდარმიც თან მოსდევდა, ორივე უზარმაზარი მშვენიერი წარმოსადეგი ვაჟკაცები, თუმცა ყვავილისაგან დასახიზრებული კი იყვნენ. ძალიან მძვინვარებდა რევოლიუციის წინ ყვავილი: ადამიანი შვილს ვერსადა ნახავდით, რომ ამ სენს თავისი ნიშანი არ დაეღო. საცა ლამაზ ქალს



შეხედვბოდით, ყვაილისაგან უნდა ყოფილიყო წამხდარი, და კაცები კიდევ უარესად დასახიჩრებული იყვნენ; მეტადრე ბერი იყო ცალ-თვალი და უსინათლო! ხომ ასე იყო და ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელი იყო ყვაილის აცრის შემოღება! უფრო ძნელი, ვიდრე კართოფილის შემოღება იყო. ხალხი ყოველთვის წინააღმდეგობას გაუწევს ხოლმე იმას, რაც იმისთვის სასარგებლოა. ეს არის ხალხის უბედურობა!

მოვიდნენ, შორი-ახლო გაჩერდნენ და პულემ ყველანი დაგვათვალიერა. დიდი კმაყოფილება დაეტყო. მერე კოშარს დააქტერდა და სთქვა:

— ემანდა! ახლა კი აღარსად წაგვივა!

ყველანი აღვშფოთდით, რადგან მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ კოშარი თვით პულეს უზიღამდა თამბაქოს და სულ მუქთად უზიღამდა. მაგრამ პულე კოშარს კი არა, ღვიძლ ძმას არ დაინდობდა და არ დაინდო კიდევ:

— ემანდა! შეჰკარით!

ორივენი კოშარს მივარდნენ. საწყალს ჩიბუხი გავარდა, ორივე ხელებით სტოლს დაებლაუჭა და ყვირილი დაიწყო:

— რას მერჩით?! რა დავაშავე?!!

სახტად დავრჩით ყველანი. შეშინებულნი ვუყურებდით ერთმანეთს და ველარა მოგვესაზრა-რა. პულე კი იცინოდა, თითქო ადამიანის ტანჯვა გულს უხარებსო:

— რა უნდა დაგეშავებინა! წუხელ გრაუჭტალიდან ცოტა რამ სანაქებო თამბაქო შემოვიტანია და იმისთვის გიახელით... საბძელში რომა გაქვს ყავრის ფიცრებში მიმალული.

მაშინ კი ყველანი დავრწმუნდით, რომ კოშარი დაებედლებინა ვისმე; თავისივე შურიანი მეზობელი დააბედლებდა, თორემ ასე ზედმიწევნით პულეს რა ეცოდინებოდა? ყველანი შევკრთით, რადგან ამ დანაშაულისათვის უბედურს საუკუნოდ მთა-მადნებში სამუშაოდ გაისტუმრებდნენ სადმე.

შემკრთალნი, გაქვავებულნი ვიდექით და ხმის ამოღებასაც კი ველარ ვახერხებდით, რადგან პოლიციის წინააღმდეგობისათვის მაშინ ერთი-ათად სასტიკადა სჯიდნენ დამნაშავეთ, ვიდრე



დღესა: სულ-ყველაფერს წაართმევდნენ, რაც კი რამ ებადათ — სახლ-კარს, მამულს, საქონელს და ავეჯს და თითონ საღმე შორს, მარსელს გაგზავნიდნენ სახელმწიფო გემებზედ სამუ-შაოდ. გაგზავნიდნენ და ის იყო და ისა! — ვეღარც ცოცხალსა ნახავდა ვინმე, ვეღარც მკვდარსა! სულიან-ხორციანად დაღუ-პული იყო თავის ცოლშვილისა და დედ-მამისათვის! რამდენი კაცი გაუღებდურებიათ ამგვარად ჩვენს მთაში! თვით ჩვენ სოფელშიაც საწყალი მოხუცებულის ქენევივის შვილი ამის-თვის დაკარგეს. პულემ დააბეზლა თურმე, სამზღვარ გარედან მარილი შემოიტანაო და დაიჭირეს საწყალი ქვრივის დედის-ერთა შვილი და საუკუნოდ გამოასალმეს თავის სამშობლო მიწა-წყალს. ამბობდნენ — უბედური იქ გაგზავნეს, სადაც პილ-პილი და შაქრის ლელწამი მოდისო. რაც რამ ებადათ, ისიც წაართვეს და იმის შემდეგ ქენევივი მოწყალეობით-ლა ცხოვ-რობდა.

წარმოიდგინეთ, როგორ შეგვეშინდებოდა პულე რომ და-ვინახეთ.

— აბა, შეჰკარით! — ყვიროდა პულე; — შეჰკარით და წა-ვიდეთ!

კოშარი კი სტოლს ებლაუქებოდა და თავისას იძახდა:

— ვერ წამიყვანთ, ვერა!

ღვთის წყალობა გაქვთ ლეტუმის ხმა ჩაუვარდა! ისე გა-ჩუმებულიყო, თითქო თევზით პირში წყალი უდგასო. ჩხავა-ნა კატაო, სწორედ ამისთანა კაცებზე არის ნათქვამი: ყვირის და ყვირის, თითქო უნდა, რომ თავის თავი მოატყუოს — ნახე რა ბიჭი ვარო! და ერთი დღის სავალზე რომ ქანდარმი მოა-ჩვენოთ, შიშით გული გაუსკდება! და ხშირად გულ-მაგარი და მამაცი სწორედ ის არის ხოლმე, ვინც ყველას მშიშრად და მხდლალად მიაჩნდა.

იმდენი სწიეს ქანდარმებმა, იმდენი აჯანჯლარეს ჩვენი კო-შარი, რომ კინალამ აგლიჯეს კიდეც, მაგრამ ამ დროს მარგა-ლიტამ — იქვე ჩემს გვერდით იდგა — დაარღვია სიჩუმე:

— ფთხილად, ბატონო პულე! თქვენ უფლება არა გაქვთ ეს კაცი დაიჭიროთ!



და იმოდენა ხალხი—იქ მყოფნი და გარედან შემოსულნი—უცხად ჩვენკენ მობრუნდნენ; ნათლია-ჩემი, ლეტუშიე, ნათლი-ჯალაბი... მომაკვდავის ფერი ეღვა ყველას. განა არა, ყველამ იცნო მარგალიტას ხმა, მაგრამ თავის ყურისა არა სჯეროდათ: მარგალიტა ამას როგორ გაბედავდა? და შიშითა თრთოდნენ. ყველაზე გაკვირვებული და განცვიფრებული კი თვით პულე ბრძანდებოდა. თავი მალლა აეღო, ჩასისხლიანებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ჰკვირობდა:

— ეინ, ვინ იყო თავხედი, თავხედ ხელ-აღებული, რომ ეს გამიბედაო?! ჩემს დღეში ჩემთვის არავის-რა გაუბედნია და ხედავთ აქ რა მკადრესო?!

ასე გვიყურა ცოტა ხანი და მერე შეჰყვირა:

— რომელი ხარ, რომ მეფის წინააღმდეგობასა ჰბედავ?

მარგალიტამ ისე მშვიდად უპასუხა, თითქო აქ არაფერიაო:

— მე გახლავართ, ბატონო პულე, მარგალიტა ოველი, ხალხის წარმომადგენლის შოველის ქალი. ცუდ საქმეს სჩადიხართ, ბატონო, ძალიან ცუდ საქმეს; თქვენ გნებავთ, კაცი დაიჭიროთ, თუმცა მსაჯულის ბრძანება კი არა გაქვთ.

მერე აღგა და პულესა და ქანდარმებს მიუახლოვდა, რომლებიც ჯერ მაინც თავს არ ანებებდნენ კოშარს.

— ნუ თუ მეფის ბრძანება არ იცით? ვილასაც დაუბეზლებია და თქვენც ჰბედავთ და კაცს იჭერთ საღამოს ექვსი საათის შემდეგ, თუმცა მეფის ბრძანებით ეგ აკრძალულია! იქნება გნებავთ, ძალა დაატანოთ, ღამე სახლში შეუვარდეთ და სახლი გაუჩხრიკოთ. აგრე რომ იყოს, მაგის უფლება რომა გქონდეთ, ყველა მაწანწალა და ქურდი მაგით ისარგებლებს და საცა გაკეთებულ კაცსა ნახავს, სახლში შეუვარდება: მეფის ბრძანებით სახლი უნდა გაგიჩხრიკოვო! ქვეყანა ქურდებს დარჩებათ, მეფის ბრძანებით რომ არ იყოს ეგ აკრძალული. მეფის ბრძანება—სახლის გასაჩხრეკად დღით მობრძანდეთ და თან ორი პატიოსანი კაცი დაისწროთ.

ისეთი დინჯად, უშიშრად ლაპარაკობდა, გეგონებოდათ თითონ შოველიაო. პულეს კი თანდათან ბრაზი ერევოდა, თავს



ძლივს-ლა იმაგრებდა, სულ კანკალებდა იმ სისქე კაცმა მან-
გალიტას სიტყვებმა ცოტა ჩვენც გონებაზე მოგვიყვანა. ეზო-
ში და გარეთ ქუჩაში კი ხალხი მოგროვილიყო, მთელი სო-
ფელი თავს დაგვსხმოდა და ჩუმი დრტვინვა ისმოდა. უცბად
მოხუცებულის ხმა გაისმა, მოხუცებული ჟენევივის ტირილი
და წყევლა-კრულვა:

— ვერ გაძეხი განა, შე წაწყმედილო, შენა! ჩემი შვილი,
ჩემი უბედური ფრანსუა არ გეყოფოდა!? სისხლი მოგწყურდა
განა, შე გულ-მკვდარო! ის არ გეყოფოდა?! ახლა წვრილ შვი-
ლის კაცის დაღუპვა მოიწადინე?!

საწყალი ბებერი! მოიწვედა და ყვარჯენს უქნევდა პუ-
ლეს.

— სად არის ჩემი ბიჭი, შე ღვთის მტერო, შე იუდავ,
შენა! შენ გამიუბედურე, შენა, შე იუდის კერძო! ღმერთო,
ღმერთო! ნუ თუ სამართალი აღარა გაქვს, შე დალოცვილო,
შენა! ნუ თუ ასე უნდა ინავარდოს ამ სულით-ხორცამდე
წაწყმედიმა! ერთხელაც იქნება მოკვდები, შე უბედურო,
კას ხომ არ შეაბერდები. იქ არ წარსდგები, ღვთისა წინაშე!
იქ დაგხვდება ჩემი უბედური შვილი და იქ გაგისწორდება, იქა!

ისეთი ხმით მოსთქვამდა მოხუცებული, რომ დავიწვით
იმის საცოდავობით. ხალხი ნელ-ნელა გარს გვერტყმოდა და
მუქარა გაისმოდა. პულე შეკრთა. ამ დროს ნათლია-ჩემი წა-
მოდგა წინ და უთხრა:

— ნუ თუ იმ უბედურის ტირილი არ გესმით, ბატონო
პულე! საშინელებაა, საშინელება! რა ადამიანი უნდა იყოს,
რომ ეგ ცოდვა ედვას და ხელმეორედაც კიდევ სცოდავდეს?..

ჟენევივი აღარას ამობდა, მაგრამ იმისთანად ქვითინებდა,
რომ ჩვენც აგვატირა ყველანი.

— დიად, ბატონო პულე, საშინელებაა, რასაც თქვენ
სჩადიხართ. დაფიქრდით, ასწონ-დასწონეთ თქვენი საქციელი-
სულ დროში ვართ, შეიძლება ხვალ უარესი დღე დაგვიდგეს,
და ყველაზედ უარესი პოლიციის მოხელეებს და ჟანდა-
რებებს! წლეულს ეს მეხუთედ მოდიხართ ჩვენ სოფელში და



ღამით გვივარდებით სახლში. შარშან ზამთარ კიდევ ლუტცელ ბურგში ბრძანდებოდით და შუალამისას შეუვარდით ოჯახში ერთ საწყალ კაცს. დღეს მოგიტმენენ, ხვალ... და ზევ კი, იქნება აღარც კი მოგიტმინონ. მერე ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ, უმფროსებმა და მოხუცებულებმა? ჩვენ რა ვქნათ, რომ წინამდევობა გაგიწიოსთ ეინმე? ჩვენც თქვენ დაგეხმაროთ, სიმართლისა და მეფის ბრძანების წინააღმდეგ? ჩვენც თქვენ დაგეხმაროთ, თუმცა ვიცით, რომ მეფის ბრძანებას არღვევთ და ფეხითა სთელავთ? თქვენ დაგეხმაროთ, თუ იმათ, ვინც მართალია, ვისაც უსამართლოდ ეკიდებით და დაღუპვას უპირებთ? თქვენ დაგეხმაროთ თუ იმას, ვინც თავის უფლების დაცვასა ცდილობს? დაფიქრდით, ბატონო, ღეთის-გულისთვის, დაფიქრდით! მე ამის მეტს არას მოგახსენებთ!

ესა სთქვა ნათლია-ჩემმა და იქვე სტოლთან დაჯდა. ხალხი კი უფრო და უფრო გრგვინავდა. ეზოში რომ ვეღარ ეტევიდნენ, ღობეზედ ამომძვრალიყვნენ, ვნახოთ რითი გათავდება ეს საქმეო. კოშარი კი თავისას გაიძახოდა:

— არ წამოვალ! რომ მომკლათ, არ წამოვალ! ჯერ ბრძანება მოიტანეთ!

ბუღემა ნახა, რომ თანდარმებიც შემინდნენ და თითქმის თავი დაანებეს კოშარს; ნახა, რომ რაც უნდა ებრძანებინა, ისინი აღარ დაემორჩილებოდნენ და ჯავრის ამოსაყრელად მარგალიტასკენ წამოვიდა. უცბად გამოიწია და შემოუტია:

— სულ შენი ბრაღია, შე... კალვინისტო, შენა! შენ რომ აქ არა ყოფილიყავი, სუყველაფერი კარგად გარიგდებოდა, შე ეშპაკის თესლო, შენა!

სისხლი თავში ავარდნოდა და ისე მორბოდა მარგალიტასკენ ინდოურივით გაფხვერილი, თითქო უნდა მიეზრდეს და თმებით ათრიოსო. მოვარდა... ის იყო ხელი აიღო და მეც წავიწიე წინა. თვალი თვალში გავუშტერე და გულში კი მიხაროდა:

— ნეტავი დაჰკრა, ნეტავი დაჰკრა, შე უბედურო, რომ ფიცხლავ ანდერძი ავიგო-მეთქი!

ისე შევეყურებდი, თითქო ხელში მიჭირავს ღ ლაბაბიან თავს ქვაზედ ვუგლიო.

უცბად ფერი წაუვიდა და უკან დაიწია.

— კარგი, — სთქვა ბოლოს პულემ, — ხვალ იყოს! განა ხვალ კი ველარ მოვალთ!

ჟანდარმები ძალიან კარგად ჰხედავდნენ ხალხის მღელვარებას და მუქარას და ძალიანაც იამათ ეს რომ გაიგეს. კოშმარს მაშინვე თავი დაანებეს და ისიც წამოდგა და წელში გასწორდა; საკინძე ჩამოგლეჯილი ჰქონდა, ოფლში იწურებოდა და ისეთი ფერი ედვა, თითქო სულთმობრძავე არისო.

მე კი არ ვიძროდი ჩემი ალაგიდან. მარგალიტა რომ მობრუნდა და ყურება დამიწყო, გონებაზე მარტო მაშინ მოვედდი და მარტო მაშინ შევნიშნე, რომ იმოდენა ხალხი მე შემომყურებდა. ისე მეწყინა პულეს წასვლა, ისე მეწყინა, რომ საღ-სალამათი მიდიოდა, რომ კინაღამ გამოვუდექი; ძალიან ჩხუბის გუნებაზედ ვიყავი იმ საღამოს და გული მიბრაზდებოდა, ისე რად გავუშვი, რატომ კარგად არ ჩავბუნენ-მეთქი!... საღდაა ის დრო! ჟამნი რბიან და ჩვენცა გვევლიან! თორემ რად უნდა მიკვირდეს მაშინდელი ჩემი გაბრაზება და ჩხუბის სურვილი! თვრამეტი წლისა მარტო ერთხელ არის აღამიანი, მკლავიც მაშინ შესწევს და სიყვარულის ალითაც მაშინ იწვის. პულეს კი არა, მთელს ქვეყანას შევებრძოლებოდი ნაშინ!

კარგა ხანი მიყურა მარგალიტამ და მერე სიცილით მი-თხრა:

— ხედავ, მიხო, როგორ მიძუნძულებენ!

— მგაზზედ უკეთესს ვერას იზამდნენ, — ვუბასუხე მე.

მგერამ ჯერ ქუჩაში არც კი გასულიყვნენ, რომ საშინელი ყიჟინი დასცა ხალხმა. ზოგი რაღასაც უყვიროდა, ნიშნს უგებდა, ზოგი უსტვენდა, ზოგი გულიანადა ხარხარებდა; მთელ ჩვენ უბანში თავიდან ბოლომდე ყიჟინი და პულეს დაცინვა ისმოდა. კოშარიც ამ ხმაურობამ მოიყვანა გონზედ. მიიხედ-მოიხედა, თითქო აღარცკი ახსოვს რა მოხდაო და ხელადით დვინოსა სწევდა, მოიყუდა და უსუნთქლივ გამოცალა.



— აჩქარდით, ბატონო კოშარ,—ეუბნევიდა მარგალიტა,—თუ მართლა სახიფათო გაქვთ რამე, ჩქარა ტყეში მიმალეთ, თორემ ხვალ გვიან-ლა იქნება.

უნდა გენახათ, რა კმაყოფილი იყო ჩვენი პატარა მარგალიტა და რა ბედნიერი იყო საწყალი კოშარი. ხელადა დასდგა, ღ მარგალიტასკენ წამოვიდა; დარწმუნებული ვარ, მადლობა უნდა გადაეხადნა, მაგრამ ჯერ ისევ კანკალებდა შიშისაგან. თითქო რალაც მოაგონდაო, ხმაც აღარ ამოიღო, არც კი გამოგვეთხოვა და გიჟივით მოჰკურცხლა თავის სახლისკენ.

აკი მოგახსენებთ, მთელი სოფელი თავს დაგვედო. იმისთანა მხიარული ხმაურობა გაისმოდა ჩვენს ეზოში, იმისთანა გამარჯვებული ხუმრობა და სიმღერები, გეგონებოდათ ღდეობაა და ღამისსათველად მოსულა ხალხიო. პულე და ჟანდარმები ჯერ შორს არ იქნებოდნენ და, რასაკვირველია, კარგად გაიგებდნენ ჩვენი სიმხიარულის შიზებს. რა გუნებაზედ იქნებოდნენ? მეტადრე პულე! კაცი სანადიროდ წავიდა და თითონ კი გაება მახეში!

გახარებულმა ნათლია-ჩემმა ღვინოა მოატანინა და იმ ღამეს კიდედ ღიდი ხანი ვისხედით მუხის ქვეშ. ან რა დაგვაძინებდა? ყველა იმას გაიძახდა,—მარგალიტა რომ არა ყოფილიყო, მე მიწდადა კარგი პასუხი გამეცა იმ მამბებლარა პულესთვისაო,—მაგრამ ამავე ღროს იმასაც ამბობდნენ, რომ კოშარი მარგალიტამ დაიხსნა განსაცდელისაგანაო.

— გამოჰკრილი შოველია, ჩვენი პატარა მარგალიტა,— იძახდა ნათლია-ჩემი,—ისევე უშიშარი, ისევე პირში-მთქმელი და დაურიდებელი. ახლა რამდენს გაიცინებს შოველი ამ ამბავს რომ გაიგებს! რამდენს გაიცინებს, რომ ეტყვიან—შენმა გოგომ ჟანდარმები გააქციაო!

მეც იქვე მარგალიტას ახლო ვიდექი და გაჩუმებული ყურს ვუგდებდი ამ ღაპარაკს. ჩემზედ უბედნიერესი მგონი სხვა არავინ ყოფილიყო ჩვენს მაზრაში!

და ბოლოს, როცა ღაპარაკით მოვიღალენით და შინისკენ წასასვლელად ავიშალენით, როდესაც ნათლია-ჩემმა ეზოს



კარი მოკეტა და უკანასკნელად დაგვიძახა: — ღამე მშვიდობისაო, მეგობრებო! ღმერთმა ნუ მოგიშალოთ დღევანდელისთანა გამარჯვებო! — როდესაც ზოგი ზევით წავიდა და ზოგი ქვევით, მე და მარგალიტა სულ უკან დავრჩით და ნელი ნაბიჯით წავედით შოველიანთკენ.

მშვენიერი, მთვარიანი ღამე იყო; ჩუმი წყნარი ღამე, ფოთლოცი კი არსადა შრიალებდა. აქა-იქ კარებს მიხურავდნენ, ან ღამე მშვიდობისაო, ერთმანეთს ეთხოვებოდნენ; ეს რომ არ ყოფილიყო, ადამიანის ხმაურობას რომ არ დაერღვია ღამის სიჩუმე, სწორედ ის დრო წარმოვიდგებოდით, როდესაც, როგორ ამობენ, ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვავ!

სახლამდე მივიყვანე მარგალიტა. აგერა ამშვენებულ მსხალის ჩრდილში ჩამალული პატარა სახლი; აგერა დაბალ-დაბალი ღობე; აგერა იქვე სახლის გვერდიდგან მოჩუხჩუხე ანკარა წყარო; ისე მიყუჩებულა იქაურობა, ისეთი მყუდროებაა ყველგან, რომ ხმის ამოღებას ველარა ვბედავთ. ვდგევართ ერთად და ერთმანეთისთვის თვალი ვერ მოგვიშორებია.

დიდი ხანი ვიყავით ასე; მერე ისევ მარგალიტამ დაიწყო ლაპარაკი:

— რა ღამეა, მიხო! — დაეწაფა, წყალი დალია, პირი მოიწმინდა... — იცი, მიხო, შენ რომ არა ყოფილიყავი... მთელი სოფლის ბიჭები იქ იყვნენ და... არა, ყველაზედ ყოჩალი შენა ყოფილხარ! იქნება გგონია, არ ვიცოდი, რომ ჩემს უკან იდექი! ღმერთო, რა საშინელი სანახავი იყავი! ჰო და კიდევ შენ შეაშინე პულე, რომ ისე მოძურწა-და! კულ-ამოძუებული მიეშურებოდა ის უბედური, ისა! — მეუბნებოდა მარგალიტა და გულიანად იცინოდა.

— ნეტავ რას ფიქრობდი იმ დროს, მიხო, რომ ისეთი საშინელი სახე გქონდა!

— მე იმასა ვფიქრობდი, რომ, თუ ღმერთი გაუწყრა და მარგალიტას ხელი ახლო, ან ცუდი სიტყვა აკადრა რამე, აქვე, ამ წამსვე გავაქრობ-მეთქი.

დამაშტერდა. გაწითლდა...

— მერე ხომ შენც დაიღუპებოდი?

— ჯერ კი იმას გავსრესდი-და! მერე ჩემთვის რაც უნდა ექნათ!

რა კარგად მაგონდება ყველაფერი! თვალ-წინ მიდგას პატარა მარგალიტა, თვალ-წინ მიდგას ის ნეტარი, წყნარი ღამე; თვალ-წინ მიდგას ჩემი მარგალიტა და გარკვევით მესმის ყოველი იმისი სიტყვა. რა კარგი რამა ხარ, სიყვარულო! მაშინ მარგალიტა თექვსმეტის წლისა იყო და ჩემს თვალში ღღესაც არ დაბერებულა.

ცოტა ხანი კიდევ ვიყავით გაჩუმებულნი! მერე თითქო ფიქრიდან გამოერკვაო, მივიდა მარგალიტა, კარი გააღო... უცხად გამოობრუნდა, ხელი გამომაწოდა და აღელვებული ხმით მითხრა:

— ღამე შშვიდობისა, მიხო! გმადლობ!

და ვიგრძენ რომ ხელი მომიჭირა. ღმერთო, როგორ ამიკანკალდა გული!

კარი მოკეტა. ვიდექ და გაშტერებული ვუყურებდი მარგალიტას სადგომს. ზემო ოთახში შუქი გამოჩნდა. ეტყობა დასაძინებლად ემზადება-მეთქი, ვიფიქრე და შინისკენ წავედი.

მივდიოდი და სიხარულისაგან ატოკებულს გულს ძლივს-და ვიმაგრებდი:

იცის მარგალიტამ, იცის, რომ მიყვარს!

იმისთანა აღელვებული და ალტაცებული ჩემს ღღეში არსად ეყოფილვარ.

XVI

გადაწყვეტილი მქონდა— მარგალიტა ჩემი უნდა ყოფილიყო.

— ჯერ პატარაა, ვიძახდი ჩემს გულში, ჯერ პატარაა; მაგრამ ამ თხუთმეტ თვეზედ თვრამეტი წლისა გახდება და მაშინ გაიგებს, რა დიდი ბედნიერებაა ქალისთვის გათხოვება. მით უფრო გაიგებს, რომ მე ჩემ სიყვარულს აღარ დავეშალავ

და რაკი ნახავს, რომ ასე გაგივებით მიყვარს, შევთანხმდებით და საბრძოლველად მოვემზადებით. მაშინ უყურეთ დედინჩემის ყვირილს; აბა რას ინდომებს „ურჯულოს, კალვინისტს?“ ჩვენი მღვდელიც დედინჩემისკენ იქნება და მთელი სოფელიც. მაგრამ ეგ არაფერი! მე დარწმუნებული ვარ, მამა-ჩემი დიდად ისიამოვნებს და მამა-შვილურადაც დამლოცავს, როდესაც ავუხსნი, რა ძალიან მიყვარს ჩემი მარგალიტა და რა ბედნიერება იქნება ჩემთვის იმის შერთვა. უიმისოდ ღმერთმა ერთ დღესაც ნუ მაცოცხლოს-მეთქი, ვეტყვი, და დარწმუნებული ვარ, მამა-ჩემი მხარს მომცემს და არც დედას შეუშინდება, არც მთელ სოფელს. ბევრიც რომ იყაყანონ, მე ჩემსას ვიზამ! ჯვარს დავიწვროთ, კატრვანის გზაზედ სადმე რულეტში პატარა სამჭედლოს დავდგამ და დავიწყებ მუშაობას. კაცს მკლავი უჭრიდეს, თორემ საქმე არსად მოაკლდება. იქნება ნათლია-ჩემივით ერთი პატარა დუქანიც გავხსნა! რა ბედნიერ ვარსკვლავზედ ვყოფილვარ დაბადებული, ღმერთო! მერე თუ შვილიც მოგვეცა!.. იჯავროს დედა-ჩემმა! დამებადება ბაღლი, ერთი ორ-სამ კვირას დავიცდი; მერე დავიწყებ სიარულს და თავს დავუკრამ დედა-ჩემს. მივალ და ვეტყვი: აი დედა-ჩემო, აჰა დასწყევლე, თუ შეგიძლიან! გული მოუღებება, თვალს ცრემლი მოერევვა, იქნება ბევრიც იყვიროს, მაგრამ შეგვირიგდება და ისევ ძველებურად, ტკბილად ვიცხოვრებთ.

გამიტაცებდნენ ხოლმე ეს ფიქრები და ამიჩქროლდებოდა გული.

ან არა და შოველი მომაგონდებოდა. არა მეონი, რომ იუკადრისოს ჩემი სიძობა. რა ვიცი, ჩემზედ უკეთესი ვინ უნდა უნდოდეს? ყმაწვილი ბიჭი ვარ, კარგი მუშა-ბიჭი, კარგი ხელოსანი! ლოთი მე არა ვირ და შფოთი. თუ დღეს არა მაქვს-რა, ხვალ მექნება, რა? კაცს შრომა უყვარდეს, თორემ ღმერთი მოწყალეა, ყველაფერს შეიძენს. არა, შოველისა შიში არა მაქვს, იმას კიდევ იამება.

და გამიმზიარულდებოდა გული. საქმე გათავებული, გარისგებული შეგოა და ქვეყანაზედ ჩემზედ უბედნიერესი და უძლიერესი აღარავინ მიმაჩნდა.

მაგრამ ცრუია წუთი-სოფელი: გაგაქცევს, გაგაქცევს და როგორც იტყვი—ავერა მივედი, მიზანს მივახწიეო, წაგაბორძიკებს და ყირამალა გადაგატრიალებს.

ერთ დილას, პულე რომ გაგაქციეთ იმის შემდეგ მეხუთე თუ მეექვსე დღეს, ებრაელი შმულის ცხენსა ვჭედდით, რომ ეზოში ზემოუბნელი სტეჭენის ცალი შემოვიდა. ქალაქში ყოფილიყო, მწვანილი და კვერცხები გაეყიდა და შინისკენ მიდიოდა. მივიდა, ნათლია-ჩემს მიესალმა და წერილი მიაწოდა:

— ფოსტით მოსულიყო, ბატონო ლერუ, და მე გამომატანეს ქალაქიდან.

გადახედა ნათლია-ჩემმა და დაინახა თუ არა, მეციდან არისო, შეჰყვირა:

— შოველის წერილი! მკლავს მოვიკრი, თუ ეს შოველის წერილი არ იყოს! აქ მოდი, მიხო! აბა ერთი წაიკითხე, ის ოხერი სათვალეები შინ დამრჩენია!

გავხსენი წერილი და დავიწყე ხმა-მალღივ კითხვა. მაგრამ თავშივე, სულ ათი სტრიქონი არ წამეკითხა, რომ ავკანკალდი და კინალამ გული წამივიდა. შოველი იწერებოდა, სათემო კრებამ საერო კრების წარმომადგენელად ამირჩია და ჩემს მარგალიტას უთხარით, რაც შეიძლება მალე წამოვიდეს, ქ. მეც-ში ყასაბხანის ქუჩაში: ერთი დუქანია სახელად: „თიხის ჯამი“, იქ მიკითხოს; აჩქარდეს, რადგან, მოვა თუ არა, მაშინვე ვერსალისაკენ უნდა გავემგზავროთო.

გძელი, გძელზედ გძელი წერილი იყო და მე კი ამის მეტი არა დამხსომებია—რა. მე მარტო ის გავიგე, რომ მარგალიტა უნდა წასულიყო და სხვა რა ეწერა, რას ვკითხულობდი, იმისი აღარა მენაღვლებოდა—რა. ჩვენებური დიაკვანივით შეუგნებელად ვკითხულობდი წერილს და რომ გავათავე, იქვე კუნძზედ დავეშვი.

ნათლია-ჩემი კი შინისკენ გაექანა ყვირილით:

— ეკატერინე, სათემო კრებასაც შოველი ამოურჩევია ხალხის წარმომადგენელად და ახლა ვერსალს მიდის საერო კრებაზედ! ეკატერინე!

ეს რომ შეიტყო ვალენტინმა, ხელები აღაბურო და შე-
 ჰლაღაღა:

— რა დღეს შემასწარ, ღმერთო! შოველი სასახლეში უნ-
 და იყოს? იმოდენა დიდებულებთან და ეპისკოპოსებთან ერ-
 თად! ღმერთო, ღმერთო!

— ვითომ-და რატომო, — შემოუტია მოხუცებულმა შშულ-
 მა, — შოველი ძალიან ჭკვიანი კაცია, ნამდვილი ვაჭრული კა-
 ცია! რითი დაუფარდება ის დიდებულებს და ეპისკოპოსებს?

მე კი ცეცხლი მეკიდებოდა:

— მორჩა, გათავდა! იქნება თვალითაც ვეღარსად ვნახო
 ჩემი მარგალიტა! წავა და ვინ იცის!..

ხალხისა რომ არ შემრცხვენოდა, ქვითინს დავიწყებდი.
 თან მწარე ფიქრები მერეოდნენ და უფრო გულს მიკლავდნენ:
 — ჰაი თუ დამცინებდნენ, რომ სკოდნოდათ, რომ მარგალი-
 ტა მიყვარს. ჰაი თუ მასხარად ამიგდებდნენ! არა, სად ერთი
 უბრალო მჭედელი და სად ხალხის წარმომადგენელი! საიდან
 სადაო?.. მარგალიტა ცაშია და მე კი ქვესკნელში!..

ქუჩაში ხალხი შეგროვდა: მეზობლები გამოვიდნენ, ნათ-
 ლი-ჯალაბი, ნიკოლი... მოდიოდნენ და ყვიროდნენ:

— შოველი ვერსალში მიდის, საერო კრებას უნდა და-
 ესწრას, ხალხის წარმომადგენელად ამოურჩევიათ!

და ემატებოდა და ემატებოდა ხალხი. ნათლია-ჩემი სამ-
 ქედლოში შემოეარდა და შემოგვეყვირა:

— სულ არ გადაგვრია ამ ამბავმა, დასწყევლა ღმერთმა
 ეშმაკი! ბიჭო, მიხო, ჩაირბინე, მარგალიტას შეატყობინე!

წამოვდექი, მაგრამ რა? ისე მეძნელებოდა იმისი ნახვა,
 თითქო ჩემს მარგალიტასთან კი არა, სულ უცხო ქალთან მივ-
 დივარო. მეშინოდა — ტირილი არ დავიწყო, ჩემი სიყვარული
 არ გავუმეღაფნო და საქმე სასაცილოდ არ გავიხადო-მეთქი.
 ისე მეშინოდა, რომ შოველის სახლთან რომ მივედი, კარებ-
 თან ავიტუხებ და კარგა ხანი შესვლას ვერა ვებედავდი.

მარგალიტა სარეცხს აუთოებდა და ძალიან გაიკვირვა ჩე-
 მი მისვლა; გაიკვირებდა, მაშ არა? როგორც ვმუშაობდით სა-
 მქედლოში, ისე პერანგა წამოვსულიყავი სახელოებ-აწეული.

— რა მოხდა, მიხო?— შემომძახა შეშინებულმა.

— კარგი ამბავი მომაქვს, ნუ გეშინიან!

— მაინც?

— მამა-შენი ხალხის წარმომადგენელად აურჩევიათ და ვერ-საღს მიდის საერო კრებაზედ.

მეგონა იამება-მეთქი. ის კი გაყვიოლდა, დაბარბაცდა და ფერ-მიხდილი ფეხზედ ძლივს-ლა იდგა.

— რა დაგემართა, მარგალიტა?

პასუხის გაცემა ვერარ შესძლო.— ალბად სიხარულისაგან მოუყვიდა-მეთქი, — ვიფიქრე, მაგრამ ამ დროს მარგალიტას ცრემლი გადმოსცივდა და უცბად გულში ჩამიკრა. მომეხვია და იძახდა:

— ოჰ, მიხო! რომ იცოდე, რა ბედნიერია დღეს მამა-ჩემი!

მყავდა ისე გულში ჩაკრული ჩემი პატარა მარგალიტა და მიკვირდა, — ნეტავ ისე მწარედ რა ატირებს-მეთქი? — თავი ვეღარ შეეკავებინა და ისე გულ-ამოსკენით ტიროდა, რომ მთელი ტანითა თრთოდა, ტიროდა და მე კი ჩემსას შევევდრო-დი ღმერთსა: — ნეტავი შეიძლობოდეს, ასე გულში ჩაკონებუბული მყავდეს, ერთმანეთი საუკუნოდ აღარავინ განგვაშოროს-მეთქი. თან გული მიბრაზდებოდა და ჩემს თავს ვეკითხებო-დი: — რაღა, რად უნდა დავკარგო, რად უნდა დავთმო! აბა მოვიდნენ და წამართვან? აბა მოვიდნენ?!

მაგრამ ვინ უნდა მისულიყო? მამა იბარებდა, მამას შვილს ხომ არ წავართმევდი?

დიდი ხანი იტირა მარგალიტამ. მერე ხელიდან გამი-სხლტა, პარს წყალი შეისხა და სიცილით მითხრა:

— რა სულელი რამა ვარ, მიხო? არა, რა მქონდა სატი-რელი, რა მატირებდა?

მე აღარა ვუპასუხე-რა. ან რა უნდა მეთქვა? მე ჩემს მარგალიტას შევეტრფოდი და უკანასკნელად შევეყურებდი სი-ყვარულით სავსე თვალებით. მარგალიტა კი ვერას ხედავდა.

მერე მოვიდა ხელი დამიჭირა და მითხრა:

— აბა წავიდეთ, მიხო! წავიდეთ!

ჩვენი დუქნის დიდი დარბაზი გატენილი იყო ხალხით. მე ვერ აგიწეროთ, როგორ ულოცავდნენ მარგალიტას შოველის არჩევას. ჯერ ნათლია-ჩემმა, ნათლიჯალაბმა და ნიკოლმა გადაჰკოცნეს; მერე სოფლის მოხუცებულებმა სათითაოდ მიულოცეს და ხელი ჩამოართვეს. ისეთი მოწიწებით ებაბებოდნენ ჩვენ პატარა მარგალიტას ლეტუმიე, ჰურე და თვით მოხუცებული რიგო, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. კარგა ღამემდის, დიდ ვახშმაზამდის ხალხით სავსე იყო ჩვენი დუქანი; რიგი მიდიოდა, რიგი მოდიოდა, და ყველას მარგალიტას ნახვა და მილოცვა უნდოდა. განა მარტო ვაჟიკაცები? ქალები. ბავშვები, სულ იქ იყვნენ და სულ მარგალიტას ეხვევოდნენ. დიდი ძალი ღვინო დაილია იმ ღამეს, დიდი ძალი! სულ შოველის სადღეგრძელოსა სვამდნენ. ისეთი ხმაურობა იდგა, გეგონებოდათ ქორწილიაო. და ყველაზედ მეტად თვით ნათლია-ჩემი ყვიროდა თავის რიხიანი ხმით.

— შეგარცხვინა ღმერთმა, მიხო, შეგარცხვინა!—ვიძახდი ჩემს გულში. მთელი სოფელი ხარობს, დიდსა და პატარას იამა შოველის და მარგალიტას ბედნიერება და შენ კი თავპირი ჩამოგტირის?! არა გრცხვენინა!?

ჩემთან მარტო ვალენტინი იჯდა და თავისებურად მოსთქვამდა:

— მეორედ მოსვლაა, თქვენი ქირიმეთ, მეორედ მოსვლა, თორემ ვიღაცა მაწანწალა მეწვრილმანეს სასახლეში ვინ შეუშვებდა?! ეს სწორედ მეორედ მოსვლაა, რომ დიდი და პატარა აღარავის გააჩნია; მთა-ბარი გასწორებულა და დიდებულ მებატონესთან ვიღაცა შოველი უნდა გამოიჭიმოს—მე ხალხის წარმომადგენელი ვარო! ქრისტიანი მაინცა ყოფილიყო!

იქნება არც კი დამიჯეროთ, ისე ვიყავ აღრენილი, რომ მეც ვეთანახმებოდი. ნეტავ რა იქნა ჩემი მხნეობა? იქ დარჩენა შეუძლებელი-და იყო, იმოდენა ხალხში. დარბაზში რომ ადგილი აღარ იყო, მარგალიტა სამზარეულოში გასულიყო და ვისაც იმის ნახვა უნდოდა, იქ უნდა შესულიყო და იქ მიე-

ლოცნა. მე კი წამოვავლე ჩემს ქუდს ხელი და წავედი. მეც არ ვიცოდი საით მივდიოდი. გავედი მინდორში და გზას გავეყვი.

სამაგალითო გაზაფხული იდგა და იმისთანა პირი უჩანდა ჯეჯილს, იტყოდით ღმერთს თავისი კალთა აქ დაუბერტყიაო. ყვაოდა იქაურობა, ჰაერში ფრინველების ჟრიამული იდგა. მე კი დაღონებული, გულმოკლული მივდიოდი და იმისთანა უიმედობა და სასოწარკვეთილება მერეოდა, რომ სიცოცხლე მძიმე ტვირთად მიმაჩნდა.

თუნდა სამჯერ მივეგდე მწვანეზედ ღონემიხდილი, მაგრამ შვებას ვერსად ვპოვებდი: ერთსა და იმავე აზრს მოეცვა ჩემი სული და გული და საშინელი სისწრაფით მერეოდა და მიმორჩილებდა. ან რილას იმედი უნდა მქონოდა? მარტოდ-მარტო ვიყავ, ვიღუპებოდი და არც მხსნელი მოჩანდა ვინმე არც გულ-შემატკივარი!

მორჩა!... სიკვდილის მეტი აღარა დამრჩენია-რა!

ამის მეტი აღარა მაგონდებოდა-რა.

ბოლოს, როცა დაღამდა, ავდექ და ჩემდა-უნებურად შინისკენ წავედი. ჩვენ უბანში, იქვე ჩვენს ახლო მხიარული სიმღერა ისმოდა. ცოტა ხანი ყური დავუგდე და ვთქვი:

— ნეტავი რა გაქვთ გასახარელი? სიცოცხლე ცრემლის ზღვა არის და სიყვარული—სიზმარი!

შინ შევედი. მამა-ჩემი კალათებს სწნავდა, დედა ჯარას უჯდა. ჩვეულებრივ მივესალმე. გადმომხედა საწყალმა მამა-ჩემმა და შემომყვირა:

— რამ გაგაყვითლა აგრე? ავად ხომ არა ხარ, შვილო?

არ ვიცოდი რა მეპასუხნა, მაგრამ დედა-ჩემმა არ დამაცადა:

— ავად კი არა-და! ვერა ხედავ, დაღეულია! ცოტა მეტი მოსვლია შოველის სადღეგრძელო!

— მართალსა ბრძანებ, დედა,—ვეუთხარი მე მწარი ღიმილით,—მართალსა ბრძანებ, ცოტა მეტი მომივიდა. რას იზამ?



ეგ იმისთანა შემთხვევა იყო, რომ იქაც რომ არ დამეღონა, სად-
ლა დაეღვევდი?

— რა გიშავს, შვილო!— მითხრა ტკბილად მამამ და ხე-
ლი მომხვია, — დავწეკი, დაიძინე!

გამოვეთხოვე და ავედი ჩემს ყავარში. კიბეზედ ძლივს ავე-
დი, მუხლები შეკეცებოდა. ავედი, სანთელი ავანთე. იქვე ჩემს
გვერდით პატარა სტეფანეს ეძინა. ეუყურებდი და ცრემლი მე-
რეოდა.

— ღმერთო, რა ძალიანა ჰგავს მამას! გამოჭრილი მამა-
ჩემია!

გული ამომიჯდა და ტირილი დავიწყე. კარგა ხანი ვიყა-
ვი ასე. მერე დავეწოდე, ვაკოცე და აღთქმა დავუდე ჩემს პა-
ტარა ძმას:

— ვფიცავ, მე შენ არ გიღალატებ! რაც კი მებადა, ყვე-
ლა წამართვა ღმერთმა, მე აღარა შემარჩინა—რა! ჰო—და ვფი-
ცავ, შენთვის-ლა გავიჭირებ და შენთვის-ლა ვიცხოვრებ. იქ-
ნება შენ უფრო ბედნიერი იყო! იქნება შენი შეყვარებული არ-
სად წავიდეს და შენ მაინც მოგცეს ღმერთმა, რაც ჩემთვის
დაიშურა!

დავწეკი, მაგრამ ვაი იმ დაწოლას! მთელი ღამე თვალი
არ მომიხუჭნია! სულ იმას ფიქრობდი, უნდა გავმაგრდე, თო-
რემ გამიგებენ და ქვეყნის სალაპარაკოდ გავხდები-მეთქი.—
და უნდა გავმაგრებულიყავი კიდევ, თორემ რომ გავგოთ,
მარგალიტა მიყვარდა, მაშინ იქნებოდა ჩემი შერცხვენა! მთე-
ლი ღამე სულ ამ ფიქრებში ვიყავი, მთელი ღამე სულ გამა-
გრებას და გამხნევებას ვცდილობდი და მეორე დღეს ისე დამ-
შვიდებული მივედი სამქედლოში, თითქო ჩემს დღეში დარდი-
სა არა მცოდნია—რაო.

მარგალიტას სანახავად ახლა სხვა სოფლებელიც მოდიო-
დნენ და არამც თუ სოფლებელი, ქალაქიდანაც კი ამოვიდნენ
ვინც კი წარჩინებული პირნი იყვნენ. კერძო პირთ თან მო-
ჰყვნენ მოსამსახურე პირნი და ყველა, ვინც საზოგადოება-
ში გარეული იყო და უკან ჩამორჩენა არ უნდოდა, ყველა



მარგალიტას სანახავად და მოსალოცად მოდიოდა. ღმერთმა ხომ იცის, რომ მარგალიტა იმათ არც მამით იცნობდა და არც დედით, მაგრამ მოდიოდნენ თავთავიანთი სამსახურის შესაფერი ტანისამოსით მორთული! მოდიოდნენ ჩვენი მაზრის წარმომადგენელის ბ. შოველის ქალის მოსაკითხად და მისალოცავად. ულოცავდნენ და უცინოდნენ, თითქო მართლა გულით უხარიანთ შოველის ამორჩევაო! და გულში რომ ჩაგებდნათ კი, იქნება შოველის სიმტრის მეტი არა ედოთ-რა. სწორედ გუგული მოვაგონდებოდათ, რომელიც გაკეთებულს მზამხარეულს ბუდეს დაებატრონება და თითონ კი ერთ ბწყერ ჩაღას არ მიიტანს იმის გასაკეთებლად. ამ ვაებატრონებისთვის უმთავრესი ის იყო, გარემოებით ესარგებლათ და მძიმედ თავის დაკვრით და მოკითხვით და მილოცვით კარგი ჯამაგირიანი ადგილი ეშოვნათ. ვიდრე შოველს ამოირჩევდნენ, რომ ენახათ საღმე, იქნება მარგალიტასთვის და იმის მამისთვის სალამიც არ მიეცათ და ახლა კი თითონ მოგვადგნენ კარსა, მოგვიკითხეს, და მოწიწებითა გვთხოვეს: თუ გნებავდეთ რამე, ნუ დაგვერიდებით თქვენს უმორჩილეს მონებსაო! მერე რისთვის? მართა იმისთვის, რომ შოველი ვერსალშია, სასახლეში დაიარება და იმის შემწეობით საქმეს ვავირიგებთო! ფუ, შეარცხვინათ ღმერთმა! ბრაზი მერეოდა და ძლივს-ლა ვიმაგრებდი თავს. მინდოდა მივარდნოდი და იმ უსინიდისოებზედ ამომეყარა ჩემი ჯავრი!

ნათლია-ჩემი, ნათლი-ჯალაბი და მარგალიტა მიიღებდნენ ხოლმე მისალოცად მოსულ სტუმრებს. მე და ვალენტინი ჩვენთვის სამკედლოში ვმუშაობდით და იქიდან ეხედავდით ყველაფერს. ჩემზედ არა-ნაკლებ ჯავრობდა ვალენტინი, მაგრამ იმას სულ სხვა აჯავრებდა:

— უყურე, მიხო! აგერა ბატონი მსაჯული! აგერა ბატონი ხაზინადარი. ხედავ რა მძიმედ დაუკრა თავი! აბა ზრდილობა მაგასა ჰქვიან, აი! აგერ ბურნუთის კოლოფი გახსნა. უყურე, რა ლამაზად ამოიღო! ხედავ, რა კობტად ჩამოიწმინდა დაბნეული ბურნუთი! თუნდა დავიფიცავ, წმინდა კარდინალი-

საგან ისწავლიდა, თორემ ბურნუთს მაგრე მოხდენილად წმინდა კარდინალის-გარდა არავინა სწევს. ჰო-და რაც კარდინალის სასახლეს მოუხდება, უბრალო დუქანში არ გამოდგება, არა! ისიც ვისთან, ვილაცა შოველის გომბიოსთან! ღმერთო! ნახე როგორ შემოტრიალდა ქუსლზედ! ვერ დაინახე, მიხო! ქუსლზედ შემოტრიალდა და ყველას ერთობ დაუკრა-თავი!

რა იმათი თავის თავკრისა მცხელოდა, კაცი აღარ ვიყავი: იმოდენა დიდებულებს რომ ვხედავდი მარგალიტასთან, უფრო მეტად ვგრძნობდი, რა საშინელი ზღვარი იდვა მე და იმის შუა. თუ ჩვენ, უვიცთ, არ ვიცოდით, რა დიდი რამ იყო საერო კრების წარმომადგენლობა, ამ ქალაქელებმა ხომ კარგად იცოდნენ. აღბად დიდი კაცი გამხდარა შოველი, რომ ყველა იმის ქალის სანახავად მოეშურებოდა. ტყუილ-უბრალოდ თავს რად შეიწუხებდნენ! იმისთანა პატიოსანი ხალხი ეხვია მარგალიტას, იმისთანა მდიდარი და წარჩინებული ყმაწვილ-კაცობა, რომ ზედაც აღარ შემომხედავდა. მე თითონ ვგრძნობდი, რომ დიდი სისულელე მოუვიდოდა, რომ ეხლა მარგალიტას, ვინმე დიდებული ყმაწვილი კაცის მაგივრად, ერთი ღარიბ-ღატაკი, გლეხის ბიჭი, უბრალო მჭედელი შეერთო. მე თითონ ვგრძნობდი, რომ დიდი სისულელე მოუვიდოდა და მით უფრო ვიტანჯებოდი.

ხუთ საათამდე არ გამოლოყუნან სტუმრები. მარგალიტა იმ ღამეს უნდა წასულიყო პარიზისკენ მიმავალ დილიიანსით. ნათლია-ჩემმა თავისი მაფრაშა ათხოვა, მამინაცვლისაგან დარჩენოდა ერთი კარგი მოზრდილი მაფრაშა; აგერ ოცდაათი წელიწადია არ გვიხმარიაო, მითხრა და კარგად გასინჯე, იქნება დაკრება მოუწდესო. ჩამოვიტანე, გავსინჯე. ვთქვი, მოდი მივდგები და სულ ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ-მეთქი, მაგრამ მომაგონდა, რომ მარგალიტასთვის ვამზადებდი, მომაგონდა, რომ ეს უკანასკნელად ეცხმარებოდი ჩემს მარგალიტას და თვალი ცრემლით ამევსო. მივდექი და ისე შევაკეთე, იმისთანა სიყვარულით და ალერსით ებერტყავდი და ვაკერებდი, თითქო მინდა ჩემი გულის პასუხი დავაბაროვო.



ხუთ საათზედ მარგალიტა შინ წავიდა და რადგან მაფრა-
შა სრულიად მზად მქონდა, ვალენტინს ვუთხარი—დავიღალე,
კოტას გავივლი და შენ, თუ არ დამზარდები, ეს მაფრაშა
მარგალიტას მიუტანე-მეთქი. მაშინვე წამოიკიდა და წავიდა.
მე კი იმისთანა ყოფაში ვიყავ, რომ იქ მისვლას ვერ შევძლე-
ბდი; ვიცოდი, რომ თუ კი მარტოს შევხვდებოდი, აღარც ჩემს
სიყვარულს დაფუძალავდი. ამიტომ, ისევ მორიდება ვამჯობინე,
ჩაეცვი და დუქანში შევედი.

ღვთის მადლით, ყველანი წასულრიცხვენ. ნათლია-ჩემი
დახლსა სთვლიდა და იმისთანა კარგ გუნებაზედ იყო, რომ
სულ ჰარი-ჰარალოს გაიძახოდა. თან თავის დუქნის ქებაში იყო:
არა, სად გინახამთ სხვა დუქანი, რომ ამდენი წარჩინებულნი
და დიდებულნი სწვევოდნენო? ნათლი-ჯალაბი ხომ უფრო
მხიარულად იყო.

ნიკოლი სუფრასა შლიდა.

ნათლია-ჩემმა რომ დამინახა, მითხრა, მარგალიტა საჩქა-
როდ შენაყრდა და ახლა შინ არის და ბარგსა და შოველი-
სთვის წიგნებს ალაგებსო. მაფრაშისა მკითხა, დახეული ხომ
არ იყოვო? და მეც მოვახსენე—დავაკერე და ვალენტინს გავა-
ტანე-მეთქი.

სწორედ იმ დროს შემოვიდა ვლალენტინი და მაშინვე
პურის საქმელად დავსხედით.

ვიფიქრე, რვა საათზედ უფრო აღრე შინ წავალ, ისე რომ
არავის რას ვეტყვი-მეთქი. ან რაღა საქირო იყო ნახვა და
გამოთხოვება? ჩვენ-შორის ყველაფერი გათავებული იყო და,
მაშასადამე, რაც მალე განვშორდებოდით ერთმანეთს, ის ემჯო-
ბინებოდა.

წავიდეს-მეთქი, ვფიქრობდი. ნათლია-ჩემი მისწერს შო-
ველს, რომ შეუძლოდ ვიყავი და იმიტომ ვეღარ ვნახე. ან არა
და, ვიღას ვახსოვარ, რომ მაშინვე თვალში ეცეთ, რატომ მი-
ხო არ მოვიდაო? არც კი მოვაგონდები!

ააღაგეს სუფრა და მეც გამოვედი. კარგად ჩამობნელე-
ბულიყო. შოველიანთ ზემო ოთახში სანთელი ენთო. დავდექი



და ფანჯრებს ყურება დავუწყე, მაგრამ ფანჯარასთან მარგალიტა მოვიდა და მეც გამოვბრუნდი და აჩქარებული ნაბიჯით, თითქმის სირბილით გავწვიე შინისკენ. ის-იყო მეორე ქუჩაში უნდა შემეხვია, რომ მარგალიტას ხმა შემომესმა:

— მიხო! მიხო!

შევდექი. ისე მომხვდა იმის ძახილი, თითქო გულზე ლოდი მეღო და ამაცილდესო.

— რა გინდა, მარგალიტა?

ვეგრძნობდი, რომ გული გულის ალაგას ვეღარ შემეკავებინა.

— როგორ თუ რა მინდა? ამოდი ცოტა ხანი. ხომ იცი, მივდივარ. ეს არის ეხლა შენს სანახავად მოვლილი.

ავედი ფერ-მიხილილი, ენა-დაბმული. მარგალიტა თავის პატარა ოთახში იყო. მაფრავა უკვე გაეცხო და აქეთ-იქით იყურებოდა.

— ნეტავი კი არა დამავიწყდეს რა და! ძალიანა ვჩქარობდი! ძირში წიგნები ჩავაწყე, მერე სარეცხი და სულ ზევით ჩემი ორი კაბა. მგონი ყველაფერი ჩავალაგე. რა ვიცი, კი აღარა სჩანს რა და!

მე კი ვიდექი გაშტერებული და ხმა ვერ ამომეღო.

— იცი, მიხო, სახლი შენ უნდა ჩავაბარო, თვალი გეჭიროს. აქ მოდი!

ხელი დამიჭირა და სამზარეულოს უკან პატარა საკუქნაოში გამიყვანა, რომელშიაც ცარიელი თაროების მეტი არა იყო-რა.

— აი, მიხო, აქ შეგვინახავ მსხალსა და, თუ ხომანდულმა მოისხა, ცოტა ვაშლსაც. ბევრი არა იქნება-რა, მაგრამ მით უფრო უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ბევრი არ იქნება. გაიგე, მიხო?

— გავიგე, მარგალიტა, გავიგე! — ვუპასუხე და თავს ძლივსლა ვიმაგრებდი.

თავის მამის საწოლი ოთახი მაჩვენა, პატარა მარანი და მერე ეზოში გამიყვანა. ცალ-ცალკე ჩამაბარა ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი და მეტადრე მაისის ვარდები.



— თუ გინდა, მიხო, რომ მე და შენ ყოველთვის მეგობრები ვიყოთ, ამ ვარდებს ძალიან გაუფთხილდი, ამის ფასს არაფერს გაბარებ.

— მაგათ კარგად მოფუფლი, მაგრამ რას აქნევ აქაურ ვარდებს, თუ კი შენ სხვაგან მიდიხარ-შეთქი, — ვფიქრობდი.

ვერძნობდი, რომ გულში ტკბილი იმედი შემომეპარა და რაღაც ნეტარებას მიქაღდა. გული ამემღვრა, თვალთაგან კინალამ მდულარება წამსკდა და ჩემს თავს ვეკიანებოდლი:

— ღმერთო! ნუ თუ უკანასკნელად ვხედავ ჩემს მარგალიტას?

ისევ სახლში შევედით და ახლა შოველის წიგნები მაჩვენა. მწყობრად იყვნენ დალაგებული ორ ფანჯარას შუა და ეტყობოდა, რომ ამათ პატრონს ამაზედ უძვირფასესი არა ებადარა.

— მანამ ჩვენ იქ ვიქნებით, მიხო, ვინძლო ეს წიგნები სულ გადაიკითხო. გასაღები შენ გექნება, ჩამოდი ხოლმე, როცა კი მოკლით იყო და იკითხე. ისწავლე, მიხო! უსწავლელი კაცი არაფერია, სრულიად არაფერი!

გულში შეპარული ტკბილი იმედი კი უფრო და უფრო იზრდებოდა. ვხედავდი, რომ წასვლის დროსაც კი ჩემზე ზრუნავდა და სწორედ იმას მირჩევდა, რაც თვითონ მეც აუცილებელ საქმეობად მიმაჩნდა ყველა ადამიანისთვის. ვხედავდი, რომ ჩემზედა ზრუნავდა და გული მიკვნესდა:

— განა მარგალიტას კი არ ვუყვარვარ? ვუყვარვარ, მაგრამ... ოჰ, რა ბედნიერები ვიქნებოდით!

— აი გასაღები, მიხო! ვინძლო ხშირად დახედო აქაურობას, თორემ ცოტა არ იყოს ნესტიანია კედლები და შმორის სუნი დადგება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი რიგზედ დაგვხვდება, როდესაც შინ დავბრუნდებით.

— ნუ თუ კიდევ დაბრუნდებით, მარგალიტა? მაშ დროებით მიდიხართ? — შევეყვირე გახარებულმა. ხმა მიკანკალებდა, სულს ძლივს-ლა ვიბრუნებდი.

— აბა, რა საკითხავია?!— შემომიტია განცვიფრებულმა მარგალიტამ,— მაშ იქ რა უნდა გავაკეთოთ, შე სულელი, შენა? იქნება გგონია, სასახლეში მილიონები დაგვირიგონ და საცხოვრებლადაც საუკუნოდ იქ დავრჩეთ?

და სიცილი წასკდა.

— მოვალთ, მაშ იქ ხომ არ დავრჩებით! მოვალთ და გარწმუნებ, უფრო ღარიბნი მოვალთ, ვიდრე აქედან მივიღვართ. როგორც კი ხალხის უფლებანი კანონიერად აღიარებულ იქნებიან, ჩვენ ჩვენს ქოხს მოვეპატრონებით და ძველებურად წიგნების და საწვრილმანოს ვაჭრობას დავიწყებთ. იქნება წლეულსვე მოვიდეთ, თუ არა—და მერმის უთუოდ დავბრუნდებით.

— ოჰ, მარგალიტა! მე კი მეგონა, საუკუნოდა გზორდებოდი!— და უცბად ცრემლი წამსკდა; გული ამომიჯდა და ბავშვივით ქვითინი დამაწყებინა. მაფრაშაზედ ჩამოვჯექი და თვალვებზედ ხელები მივიფარე; სირცხვილით ვიწოდი, რომ ჩემი გულის საიდუმლო გავაგებინე და თან ღმერთს მადლობას ვსწირავდი, რაკი დავრწმუნდი, რომ მარგალიტა ისევ მოვიდოდა. მარგალიტა გაჩუმებული დამყურებდა. კარგა ხანი ვიყავით ასე, რადგან ვეღარ მოვიბრუნე გული. უცბად ვიგრძენ, რომ მხარზედ ხელი დამადო და თითქო ელვამ გამიბრინა მთელს ტანშიო, ფეხზედ წამოვხტი. გაყვითლებული, სახე-შეშლილი იდგა მარგალიტა და ისე უბრწყინავდნენ შავი თვალები, თითქო ცეცხლს აფრქვევენო!

ხელით წიგნები მანიშნა და ტკბილად მითხრა:

— ეცადე, მიხო, და მამაჩემსაც შეუყვარდები.

სანთელი აიღო და კარებისკენ გასწია, მეც წამოვიკიდე მაფრაშა და თან გავყევი. მინდოდა კიდევ მეთქვა რამე, მაგრამ ხმის ამოდებას ვეღარ ვახერხებდი.

გამოვედით, კარი დავკეტეთ და გასაღები კი ჯიბეში ჩავიდე. ცა ვარსკვლავებით იყო მოქედილი, მთვარე კაშკაშებდა, და მშვენიერი გრილი სიო ჰბერავდა. მეც აღარა მაწუხებდარა, გული დამშვიდებული მქონდა და შევძახე:

— რა ღამეა, მარგალიტა, რა ღამეა! მადლობა ღმერთს, რომ ასეთი კარგი დარი დაგიდგა. მგზავრობაში ავი დარისთანა საძაგელი არა იქნება-რა!

ისეთი მხიარული ვიყავი, თითქო სიკვდილის პირს ვიყავ და უცბად გამომაბრუნეს. მარგალიტა კი ჩაფიქრებული იყო და ნათლია-ჩემის დუქნამდე ხმა არ ამოუღია. აქ კი მითხრა:

— არ დაივიწყო, მიხო, რასაც დამპირდი!

დილიდან ათ საათზედ უნდა გამოევლო და უნდა აფჩქარებულიყავით, თორემ ველარც კი მივუსწრებდით. ყველანი გამოეთხოვნენ, ყველამ გადაჰკოცნეს, მე და ნათლია-ჩემის გარდა, რადგან ჩვენ ქალაქამდე უნდა გავყოლოდით. გადავიწერეთ პირჯვარი, ვახსენეთ ღმერთი და გზას გაუდექით. ნიკოლი და ნათლი-ჯალაბი გზაზედ გამოვიდნენ და გვიყვიროდნენ:

— ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეს, მარგალიტა! ვინძლო მალე დაბრძანდეთ!

მარგალიტაც მადლობას უხდიდა:

— გმადლობთ! გმადლობთ! თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა!

ისე მიმქონდა იმოდენა მათრაშა, თითქო ბუმბული იყოსო. მე და მარგალიტა ერთად მივდიოდით. გზაში თუნდა სამჯერა მკითხა:

— ძალიან მძიმეა, მიხო, მათრაშა?

— რამ გაამძიმა, მარგალიტა, რას ამბობ!

ნათლია-ჩემი წინ მიგვიძლეოდა და გვაჩქარებდა:

— აფჩქარდეთ, დილიდანსმა არ გაგვისწროს!

— ცოტა ხანს უკან ქალაქსაც მივატანეთ. საფრანგეთის კარებში შევიარეთ; ქუჩის ბოლოში უნდა ჩავსულვიყავით, იქ სადაც დღეს ლუცის სახლია, რადგან დილიდანსი იქა ჩერდებოდა. ჯერ ნახევარი ქუჩაც არ ჩავველო, რომ მოედნიდან მომავალი დილიდანსის გრიალი შემოგვესმა და ჩვენც აფჩქარდით, თითქმის გაირბოდით.



— ძალიან დროზედ კი მოეუსწართ, აი! — სთქვა ნათლიანმა ჩემმა და ისე ქშინაედა, თითქო წისკვილის ქვა უზიდნიაო.

ის-იყო მოვედით და დილიჯანსმაც შემოაშუქა ეკლესიის ქუჩიდან. ჩვენდა სასიამოვნოდ ჩვენი ბებერი შშულიც იქ და გვხვდა, ებრაელი შშული. ისიც თურმე მეცს მიემგზავრებოდა-

დილიჯანსი გაჩერდა. რამდენიმე ალაგი კიდევ იყო თავისუფალი. ნათლია-ჩემმა დალოცა მარგალიტა, აკოცა... მე მაფრაშა დავაკარ დილიჯანსს და ვიდექი ისე, მარგალიტასთან მისვლას ვერა ვბედავდი.

— მოდი რაღა, მიხო! — დამიძახა მარგალიტამ და ლოცა გამომიშვირა.

მივვარდი, მოვეხვიე... ის კი ჩამურჩულვდა:

— ისწავლე, მიხო! ისწავლე!

შშული კიდევ ჩამჯდარიყო დილიჯანსში.

— თქვენთვის ჩამიბარებია, ბატონო შშულ, შოველის ქალი. იმედი მაქვს პატრონობას გაუწევთ.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — უბასუხა მოხუცებულმა ებრაელმა, ჩვენი წარმომადგენლის ქალს არავინ შეაწუხებს, ენდეთ ღმერთს, ისე მივიყვან, რომ ცივ ნიავსაც კი არსად დავაკარბ.

ძალიან კმაყოფილი ვიყავი, რომ ჩემი მარგალიტა სულ მარტო არ იქნებოდა უცნობ მგზავრებთან და ძველი ნაცნობი ჩვენებურივე თანამოგზაური ეყოლებოდა. აგერა ფანჯარაში გადმოყო თავი და ხელი გადმომავწოდა. ცოტა ხანს უკან კონდუქტორიც მოვიდა და თავისი ალაგი დაიჭირა.

— აბა, გაუჯავრდი! — შესძახა მეეტლეს.

დაიძრა უზარმაზარი დილიჯანსი.

— მშვიდობით, მარგალიტა, მშვიდობით!

— მშვიდობით, ბატონო ლერუ! მშვიდობით, მიხო!

წინ დილიჯანსი მიდიოდა და უკან ჩვენ მივდევდით ჩაფიქრებულები. საფრანგეთის კარი კიდევ ნელა გაიარა და მერე-



კი ისე გაჰკრა, რომ მტვერს-ლა ვხედავდით შორს სარბურგის გზაზედ.

— ხვალ დილით რვა საათზედ ქ. მეცში შეველენ, — სთქვა ნათლია-ჩემმა. — შოველი წინ გამოეგებება მარგალიტას და ხუთი-ექვსი დღის შემდეგ ვერსალში იქნებიან.

მე გაჩუმებული მივდედი.

ჩვენს სოფელში ძალიან გვიან ავედით. მე პირდაპირ შინ წავედი. ჩვენებს ღრმა ძილით ეძინათ. ავედი ჩემს ყავარში, მივეგდე და მკვდარივით მივიძინე.

(* ამჟამად მწიგნობარი)

ო. მ—ანა

(გაგრძელება იქნება)

დედის სიყვარული

მოთხრობა

კარმენ სილვასი *)

აღმოსავლეთ მოლდავიაში, პიეტრასა და ფოლტიჩენოს შუა წყლის პირას თვალ-აუწვდენელ მთის მწვერვალზედ დღესაც მოჩანს ძველის ციხის ნანგრევები. ერთ დროს დიდებული და მიუვალის ციხე-სიმაგრისა მარტო ნანგრევები-ღა დარჩენილა და იმასაც დღეს-ხვალ სრულიად გაანადგურებენ იქვე მთის ძირში მდებარე სოფლის მკვიდრნი; დაანგრევნ დიდებულს ნაშთს წარსულისას და ქვას თავიანთ შენობებს მოახმარებენ.

უწინ კი მართლა დიდებული და მიუვალი იყო ეს ციხე. ბევრი მტერი ჰყავდა მოლდავიას, ხშირად დასხმიან თავს ურჯულონი მოლდავიის მთავარს სტეფანე-ძლიერს, მაგრამ მთის მწვერვალზედ ამაყად ამართულ დროშისთვის კი ვერა დაუკლიათ-რა. მტერს ვაჟკაცურად გაეგებებოდა მთავარი სტეფანე... შეებრძოლებოდა; ხშირად მძიმედ დაჭრილი, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებული დაბრუნდებოდა შინ და ყოველს გამარჯვებაზედ თითო ეკკლესიას ააგებდა ღვთის სადიდებლად.

კვლავ შემოესია მოლდავიას ურჯულოს ჯარი. ჩვეულებრივ წინ-დაუხვდა მტერს მთავარი სტეფანე და საშინელი ბრძოლა აუტეხა; დიდი ხანი იბრძოლეს, მოიქანცნენ მებრძოლნი. მოიქანცნენ მთავარი სტეფანეს მხლებელნი, მოიქანცნენ, თითქო

*) Carmen Silva: La mère d'Etienne-le-grand.

ბედმა უმუხთლა და გამარჯვებას ჩვეული ღღეს სამარცხინოდ
უნდა დამარცხდესო.

ზემოთ მთის მწვერვალზედ აგებულს სიმაგრეში ორი ქალი-
ლა დარჩენილიყო: მთავრის მეუღლე და მთავრის დედა. ორიც
ბრძოლის ველს გადასცქეროდნენ. ცხარი ცრემლი სდიოდა
მთავრის მეუღლეს, გული მისდიოდა, ხან იმედ-მიხილი თვა-
ლებზედ ხელს მიიფარებდა და ხან ისევ მებრძოლთ გადახედავ-
და და კელავ გული უწუხდებოდა.

მთავრის დედა კი ამაყად, ხმის-ამოუღებლივ გადასცქეროდა
ფიცხელს ომს, თითქო ცოცხალი აღამიანი კი არა, მარმარი-
ლოა გამოქანდაკებულიო. მდიდრად მორთული, მთელი ღღის
უჭმელ-უსმელი უნძრევლად იდგა ციხის კედელზედ, თითქო
შორს მებრძოლს შეიღს ამხნევებსო. ხან და ხან — რძალი შეებ-
რალეზოდა — მხარზედ ხელს დაადებდა და ნუგეშსა-სცემდა. მაგ-
წამ იმის რიხიანი ხმა იმედმიხილის გულის გზას ვერ აგებდა
და ვერ დაემშვიდებინა.

მოიქანცნენ მთავარის მხლებელნი, უკან დაიწიეს. თვით
გამარჯვებას ჩვეული მთავარიც კი უკან იხევდა.

— მოჰკლავენ, დედავ!

— არა, შეილო, ნუ გეშინიან. ჯერ მზე ისევ ზევით იქ-
ნება, რომ გამარჯვებული მოვა ჩემი სტეფანე. — იმისთანა ხმით
უთხრა ეს სიტყვები, ისეთი რწმენა და იმედი იხატებოდა მის
კილოში, რომ მტირალს ცრემლი შეუშრო.

და უცბად გაქენებული ცხენის ფეხის ხმა შემოესმათ და
ვიღამაც საშინელი ძალით დაარაკუნა კარი.

— სტეფანე! წავიდე, კარი გაუღო!

გადახედა მოხუცებულმა თავის რძალს და იქვე შეაყენა.
კარის გასაღებად თითონ ჩავიდა წყნარი ნაბიჯით.

— ვინა ხარ? — ჰკითხა შიგნიდან და კარს კი არ უღებდა.

— შენი სტეფანე, დედა!

— ჩემი სტეფანე?! დიდი თავხედი ყოფილხარ, ვილაცხა
ხარ, რომ ჩემი დიდებული შეიღის სახელს ირქმევ და მით
გინდა შემომეპარო.

— დედა, გამიღე! შენი სტეფანე ვარ! კვალ და კვალ მომდევს ურჯულო... დაჭრილი ვარ, დამარცხებული! სისხლის ღვარი მდის!

— ჩემი სტეფანე მაგას ვერ იტყოდა. შენ ვილაც უცხო ხარ, ჩემთვის უცნობი. ჩემი შეილი რომ დაბრუნდება, გამარჯვებული დაბრუნდება. ჩემი შეილი ეხლა ბრძოლის ველზედ არის და თავის ქვეყნის მტერს ეკვეთება. რა მწუხარება მომაყენე, უცნობო, რომ მითხარ, შენი შეილი ვარო! იცოდე, შენ აქ ვერ შემოხვალ, თუ კი გამარჯვება არ შეგიძლიან! წადი, ბრძოლის ველზედ მოსძებნე პატიოსანი სიკვდილი და მეც მაშინ გაგიწევ დედობას და ცხარე ცრემლს დავაფრქვევ შენს საფლავზედ!

მუხლებში ჩაუვარდა დედამთილს მთავრის მეუღლე, მღუღარე ცრემლით, ცხარე გოდებით შეჰღალადა, მაგრამ უღმობელს გული ვერ მოუღობო.

თავი დაღუნა შერცხვენილმა, შეწუხებულმა მთავარმა.

მაგრამ უცბად წელში გასწორდა, დამარცხებულ მხლებელთ გადახედა და იმისთანა ხმა ამოაღებინა თავის საყვირს, რომ მკვდარსაც წამოაყენებდა სამარიდან და საბრძოლველად გაიტაცებდა. საყვირის ხმაზედ ისევ შეკრბნენ დამარცხებულნი, გარს შემოეხვივნენ საყვარელს მთავარს და დარცხვენილნი ისე გააფთრდნენ, ისე შეეხალნენ მტერს, თითქო ზღვის ტალღა მოდის და მოგრგვინავსო. კვლავ შეეტაკნენ მტერს, წინ გაირეკეს ურჯულონი და ისე სრისეს, რომ ამბის წამლებიც აღარ გადარჩა.

ბრძოლის ყიყინა უფრო და უფრო შორიდან მოესმოდათ ციხის კედლიდან მაყურებელთა.

შორს გაეგება დედა თავის შეილს. შორსვე ჩამოხტა ცხენიდან მთავარი, ფეხით მივიდა დედასთან და დაიჩოქა.

— ეს გამარჯვება შენია, დედა!

გული აუჩქროლდა მოხუცებულს, თვალს ცრემლი მოეჩოჩა. სიყვარულით ჩაიკრა გულში მთავარმა თავისი გახარებელი მეუღლე და წასჩურჩულა:



— შენ ხომ გამიღებდი?

— ოჰ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, როგორა ვწუხდი...

— ვიცი გიყვარვარ, მაგრამ დღეა-ჩემს უფრო მეტად ვყვარებივარ,— უბასუხა ხმა-მალღივ მთავარმა.

ილია ილიაძე

X

(ოქტომბერი)

[Faint, illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page]

ღირსი ვარ ამისა, ღირსი!...

(მტიული)

საშინლად მინდოდა ზღვაზედ მზის ამოსვლას მენახა და, მომერა თუ არა ზღვიით მოგზაურობის შემთხვევას, სიხარულით წამოვიძახე: — ეხლა კი ვნახავ!..»

მთელ ღამეს გურდელელსავით მეძინა. წამ-და-უწეშ სხათს დაგხედავდი და ისეკ ბალიშზედ მივდებდი თავს...

— დროა! — გავიფიქრე, მესუეთ სხათი რომ დაიწყო და წინააზრდა წამოვადქეი, რომ მეზობელი არ შემეწუხებინა, რომელიც გულიანად სვრინავდა, და ფეხ-აგრეთით გემის ბანისკენ გავეშურე.

ჯერ ისეკ ბინდ-ბუნდი იყო. ნაწვეპტ-ნაწვეპტი ღრუბლები აქაიქ უქრავად მიჭკროდნენ ცას და გაცრიაგებული კარსკვლავები კი ოდნავ-ლა ბუუტავდნენ.

ცოტა არ იყო, კიდევან ციოდა და ამის გამო ჰალტო შემოვიფურქვე, ხელები სახელელებში დავძალე და პირდაპირ გემის ცხვირისკენ გავეწიე, რადგანაც პირი აღმოსავლეთისაკენ ჭჭუნდა.

— ოჲ, ჩემს მეტს, სხვასაც სდომნია მზის ამოსვლის ნახვა! — უსიტყვოდ წამოვიძახე, როდესაც თვალი მოკვარ გემის ცხვირთან ვაწვილს.

გაიგო თუ არა ჩემი მისვლა, არ ვიცი. გაშტერებით სიკრტეს განცქეროდა; ჩემს მისვლასზედ არც კი განძრეულა. კიდევან გამიკვირდა, რომ ამ სიტყვეში ჰალტო-გადაღედილი იყო და შუბლიც ცივ რკინის ბოძისთვის მიეჭვნა. იმის ახლო დასველ თოგზედ ჩამოვჯექი; ერთი კიდეე შევხედე უნრობს და მეც ფიქრებმა გამიტანეს.



«რას არსებას ადამიანი, — ვეკითხებოდი ჩემს თავს, — რომ ამისთანა უფესურესს ებრძვის, უმიშრად ენდობას თავისგან მოგონილ მანქანას, რომელიც ასე გულადად, უდარდელად მიახრდევს ზღვის ტალღებს და უდარდელადვე ქვეთქვით-ვიშვიშებს?...»

მავეერიგებდა ადამიანის გონებას, გამჭრიახობას, მცრამი...

«ოხ, რას შესაბრალოსია იგივე მედიდური გონება ადამიანისა ბუნების სიდიადესთან შედარებით!.. რას სიმცირესს, უარსაობას და მსხსრიაობას წარმოადგენს ეს მედიდურება, ამაყობა ადამიანისა!.. ხომ სავმარისისა სულ ერთი წამი, რომ მიფშენიტოს, მიფწოს ეს ამაყად მიმტურნავი და ზღვის ტალღების მიმარღვეველი გემი და...»

«განჭრას ადამიანის ოცნებას, ამაყობას და მედიდურებას!..»

«რადღაც მღილი, რადღაც სარღდავი მატლი, რომელსაც ადამიანი ეწოდება... ეწოდება... ეწოდება... ე...»

უნდა-ური ამბავი დამემართას: ახრთა მიმდინარეობას შემიწყდა, მსოფლოდ სიტყვა «ეწოდება»-და დარურნავდა ჩემს გონებასში და ისიც კვალს ვერას სტოვებდა; გული, აქნობამდის ბოღმით ავსილი, უნებურად შეზავდა სიამოვნებით და, ბოლოს, სულ სარკესავით გადამეწმინდა, ტუნები ვი ღიმიად, ვარდსავით, გადამეწმინდნ...

განჭრენ, მიფიანტენ მწარე ფაქტები და...

ახ, მეც განვიბნე, დავკინდი, ჩემი არსება დანაწილდა, ტავთურგანდა და შეუერთდა იმ ბურთს, რომელსაც წა და ზღვა, კიდევებით ერთმანეთს მიწებებულნი, წარმოადგენდნენ!.. გავფართოვდი. ჩემი ვირგუნება აღარ არსებოდა. მე ბუნებამ ჩამთქა და მე კიდევ — ბუნებას, რომელსაც სიმისარულე შეჭნარგოდა და სულ უნებურად ჩემი არსებას აეყოლია.

წა და ზღვა ერთმანეთს ეცილებოდნენ. ზვეით და ქვეით ნაწვევით-ნაწვევითად მოფანტულ ღრუბლებს და მათს გარსს ცელქად ეცვლებოდათ ფერი, და ეს ფერი, თითქო სანხის ბურთიაო, ისე გამოჭკრთოდა. აგერ ვირგული ნაბერწკალიც ამოვარდა ზღვიდან! ვირგულს მუორე მოჭყვა, მუორეს — მესამე და სულ შეუძინეკლად ის ადგილი, სიდიანაც ნაბერწკალი ამოვარდა, ცეცხლად ანთო. ბურთს ფერი უფრო გაუსბუტკავდა, გაუნახდა. ცეცხლი ვი უფრო და უფრო დიდ ადგილს იჭკრდა, ცეცხლის გარსი თავისს ფერსა ჭკარგავდა, ცისფერს



ურთდებოდა. და ამ დროს მშემსც ზღვიდან თავი ამოჭყდებოდა. ჭეუჭელაჯა, წინწკლები ისე ზღვას უბრუნდებოდნენ და...

ფერადიანი ბურთიც გასკდა. ცამს და ზღვამ თავისი ფერი მიიღო და შეც...

— სას! — შემომესმა შესაზარი ხმა ამ დროს, და ტანი შემოთამაშდა.

მივიხედე იქით, საიდანაც ხმა შემომესმა და...

თვალებს აკვესებდა, თითებს იკუნტდა და ფეხს აბრაგუნებდა ის სასლგაზდა ფმწვილი, რომელიც მზის ამოსვლამდის ენასე.

შემეშინდა. ისე შესაზარი სასე ჭქონდა, რომ ტანში ურუნს-ტელმა გამიბინა.

— მაფურთხონ, მაფურთხონ, მათეფურთხონ!.. — წამოიხრან-ტელა საცოდავად და ქვითინი მოძთო...

— ფმწვილო, ფმწვილო! — ტანის თრთოლავით გუუნებოდი და განძრევიდი, რომ გამომეჭვიას. მაგრამ ის მანინ ქვითინებდა და უახროდ გაიძახდა: — მაფურთხონ, მაფურთხონ, ღირსი ვარ!..»

— გამომეჭვიეთ, გეუფრებათ?! — დაუფვირე და ხელები ძირს მაგრად ჩამოკვით ჩამოგვლიჯე.

— ჰას!.. ვინა ხართ, რა გინდათ?! — დაბნევით მიპასუხა და მოელვარე თვალები წელში-გამართულმა მომაზურა.

მე ვერ გაუძულე იმის თვალების მზერას და შეკვრთი; ცოტა არ იყო, დაეიბენ.

— რა უნდა მინდოდეს? — ცოტა ხნის შემდეგ გუზასეხე, როდესაც გონება მოვიკრიფე: — თქვენი სასოწარკვეთილებითი ხმა შემომესმა, და მე ჩემი თავი მოკალედ ვცან, თუ კი რითიმე შემეძლება, სამსახური გაგიწიოთ.

— თქვენ?! ხა, ხა, ხა!.. თქვენ გინდათ სამსახური გაგიწიოთ?! ხა, ხა, ხა!.. თქვენც გინდათ მაფურთხოთ?! გამომოდიოთ!..

— ფმწვილო, ვინც თქვენი ამ უკანასკნელ წამების მოწამე იყო, არა მგონია, იმას მოფურთხება შემეძლოს...

— რის მოწამე?!.

— თქვენის სულს-კვეთებისა, ხნეობრივად ტანჯვისა...

— მე ვიტანჯები?!.



— მკობი!..

— მართლაც ამბობ, უცნობო, მართლაც ამბობ. — ცოტა ხნის სინუძის შემდეგ მიზანუხსა, — მართლაც ამბობ: მე ვიტანჯები და მინდოდა კიდევაც გაჭქრეგოდი ამ ტანჯვას. სულ რამდენისამე წამის წინ მინდოდა გამოკვლამებოდი ტანჯვას, სამუდამოდ მომეშორებინა თავიდან, მაგრამ...

ყმაწვილო, ხომ სამხდალვა თავის მოკვლას?! ანა?..

— თავის მოკვლას სხვა-და-სხვა მიზეზები იწვევს. ზოგი მიზეზი შესაწინააბრებელია და ზოგი...

— ეებს!... რა მიზეზები უნდა იყოს?!.. ახა გაანჩიე: მე განვიზრახე თავის მოკვლა იმისთვის, რომ საზოგადოებამ მიცნო, რა გაციტ კივაყო, და ამისთვის შეეზინდდი, ფურთხება დამიწყო...

— თქვენ მაგთი მანტ კერა გამაგებინეთ-რა.

— ახა!.. რად ანის ადამიანი ისეთი, რომ უთუოდ ყოველის-ფერი უნდა გაიგოს?..

— თუ ყველაფერი არ შეიტყო, თავის მსჯავრს ვერ იქონებს. — გუზას-უხე მე და იმის მითრთლარე სახეს დაჯცქედი.

— მსჯავრი, მსჯავრი... ხა, ხა, ხა!.. — გადინარსნარს ხელის ჩაქნევით და საჩქაროდ გამშორდა.

თვალი გაუყოლო. მთვრალივით მირანტანტებდა და თან ხელებს იჭნეკდა. ცოტა ხნობით გემის ბანის მოაჯარს მიეურდნო და ზღვას დააშტერდა.

შემეშინდა. «მართლა, თავი არ დაიდრჩის»-მეუქა, — გავიფიქრე და განვიზრახე მიზანუხსა, რომ შემძლებოდა დაჭერა, თუ, ვინცობაა, ზღვაში ჩავარდნას მოისურვებდა. მაგრამ ყმაწვილი მოტრიალდა და ისეკ აჩქარებელი ნაბიჯით ჩემსკენ წამოვიდა.

— ყმაწვილო! — მომმართა მწესარე სახით, როდესაც მოვიდა ჩემთან და მკლავში ხელა წამავლო: — ნუ მკითხავთ, «ვინა ვარ.» ეს ხომ სულ ერთია თქვენთვის!..

— მართლაც ამბობთ, და ანცა მსურს გაიგო თქვენი ვინაობა.

— მაშ ყური დამიგდეთ. რა მხეციტ გინდა აილო, რა ცხლკელიც უნდა იყოს, რა სულდგმულიც უნდა დაასახელოთ, ყველა თავის თავს ემსგავსება ყოველთვის. მგელი კრავობას ვერ გასწევს,



დათვი—ძაღვობას და ღორი კიდეკ—მტრედობას. ადამიანი კი წარ-
მომადგენელია უოკელგვარის ცხოველისა. მასში უოკელგვარი მხეცია
მოთავსებული, და შეუძლიან უოკელგვარი მხეცობა, სისამაგლე ჩა-
დინოს. რა მხეცს დამოსახელებ, რომ ადამიანი, თუ კი გარემოებს
ნებსა აძლევს, არ დაემტკიცოს?! არა?! ჭა!..—აღვსებული თვა-
ლები თვალეში გამიყარა და ძვალეზე ისე მომიჭირა ხელი, რომ
ხელი გამეშვებინებინა, მაგრამ თავი შევიმაგრე და ზასუნად თავი
დაუუქნე.

— ჭა-და მას რა არის ადამიანი... მხეცთა-მხეცია... მაგრამ ამ
მხეცთა-მხეცობას, თავის სისამაგლეს ჭმაღავს, ჭმუჭუნის და ისე
უფროთხილდება ამის გამომყვანებას, როგორც თვალის სინათლეს,
თვალის ჩინს... თვალის ჩინს კი არა... რა გითხრათ?.. რას დავადა-
რო?.. თითქო წმიდანთა-წმიდას შეადგენდესო, ისე უფროთხილდება
ამ საიდუმლოთა საიდუმლოებას... ბეკრ სისამაგლეს, ბეკრ საზინ-
დრობას ჩაიდენს, მოიმოქმედებს კაცი, რომლის მოწამეც მხოლოდ
თითონ არის და სხვა არავინ... შეიძლება, თავის ცხოვრებაში არა-
ვითარი სისამაგლე არა ჩაედინოს-რა, მაგრამ განზრახვით კი, მერ-
წმუნე, ბეკრი სისამაგლე განურახსავს, და ეს ხომ სულ ერთია! აბა
ერთ წამს ჩაჭხედეთ თქვენს გულს და... მგონი, შეგეშინდეთ კი-
დეკარ!..

— უმაწვილო, შეურაცხყოფის ნება არა გაქვთ!—წყრომით მივ-
მართე და ხელი გავაშვებანი.

— აახ!.. განა თქვენზედ ვამბობ?.. მე სრულებით თქვენ არა
მეკანდით სასეშა... მაგრამ თქვენი წყრომა კი იმას მიმტვიცნებს, რომ
ადამიანი საშინლად უფროთხის იმის გამომყვანებას, რის მოწამეც
მხოლოდ თითონ არის...

მინდოდა კიდეკ მკვასუნსა, მაგრამ თავი შევიმაგრე, რომ არ
გამეჭვარებინა და თავისი ღაზარაკი არ შეეწვიტნა.

— ნუ კი იფიქრებთ, — განზგრძო, — ვითომ კარგი რისამე მო-
წამე იყოს?! არა. კარგს ისე არას მოიმოქმედებს, რომ სხვა მო-
წამად არ დაისწროს, ან კიდეკ არას განიზრახავს, რომ ქვეყანა
არ შეჭყვროს. არა. მხოლოდ სისამაგლეს უფროთხილდება, მხოლოდ
თავის მხეცობის გამომყვანებას უფროთხის და არა სხვა რასმე...



ახა ახლა თქვენ აიღეთ და რომელიმე ადამიანი გადმოაბრუნეთ, ფქვილის ტომარასავით გამობურტყეთ, ყოველი მისი საიდუმლოთა საიდუმლო გამოამჟღავნეთ და მაშინ, მერწმუნეთ, არა-სასიამოვნო სურათს დანახვით... არა-სასიამოვნოს კი არა, საზიზღარს, შესაყარს!..


მე საზოგადოება ვატიოხსან კარად მიცნობდა. მეც ვაფასებდი ამას და ვრდილობდი, რომ ეს სახელი შემიჩნებოდა. თუ კი რაიმე მხეცობა ჩემში არსებობდა, კმალავდი; მეშინოდა, რომ არ გამოამჟღავნებულყოფო და ვატიოხსან ადამიანის სახელი არ შემებლავა, მაგრამ ფეხი გადამიბრუნდა; სულ უბრალო შემთხვევამ გადმოაბრუნა, და ყოველივე ჩემი დაფარული გამოამჟღავნა. რაც კი მხოლოდ მე უნდა მცოდნოდა, ყველამ შეიტყო და, რასაკვირველია, ზიზღით დამიწყო ტყუარს; თითოთ საჩვენებელი გავსდი... ხა, ხა, ხა!.. აღარც ერთი ხელს არ მიწვდიდა და იმანაც კი, გვეურებათ, იმანაც კი, რომელსაც თაყვანსა ვსცემდი, ვადმურთებდი, რომელიც მარწმუნებდა: — «მიუყარსარო», — აღარ მიმიღო! ხა, ხა, ხა, გვეურებათ, აღარ მიმიღო!.. სულ უმნიშვნელო ჩემი მოქმედება და განზრახვაც კი გადაიღდა, მთად კარდიქმანა, და საზოგადოებამ ყიყინა დამცა... იყიყინე!.. მათურთხე!.. ჩამქოლე!.. მაგრამ ერთ წამს შენი ზიზღი შეასრე და ოდნავ თვალი გადახვე შენს ჯურღმულს! შენც, უმანკოების ღვთაებავ, აგრე მოაქეცი და მხოლოდ მაშინ, თუ ურდოველი ხარ, ჩამქოლე... ხა, ხა, ხა!.. განა მაგას გაჭბედავ?! არა მგონია!..

მაგრამ რაებსა ვბოდავ?! არ გეგონოთ, უძწვილო, ვითომც მე ამითი თავის გამართლება მინდოდა. არა. საზოგადოება მართალია. ღირსეულად მათურთხებს, მიყიყინებს და ზიზღით მეჭტევა. სხვას რომ ჩემი საქმე დაჭმართნოდა, ვირველად მე კესროდი ქვას და ყიყინას დავცემდი, თუმიცა კი, შეიძლება, იმაზედ უარესი ეყოფილიყო. ყველასაც უნდა უყიყინონ, თუ კი შეატყეს ვისმე. ყველა ღირსი იქმნება ამ სასჯელისა. ამ სასჯელს არავინ არ უნდა გაეჭტეს. მე კი გაჭტევას ვაპირობდი. აი, ხომ მხედავ, ესლა ზღვით ვმოგზაურობ, იმ საზოგადოებას მოვშორდი, რომელმაც გამიცნა საძაროთლიანად. თავის მოკვლაც განვიზრახე. მინდოდა სამუდამოდ მოვშორებოდი, გაეჭტეოდი ტანჯვას, მაგრამ ამ მშენიერმა დილამ



გონს მომიყვანა და დამხანსვა ჩემი სიმსდალე. დამნაშავედ და
 ამისთვის, რა სასტიკი სასჯელიც უნდა იყოს, მოკვლე ვარ ზვიტა-
 ნო და არა ვცდილობდე იმის თავიდან აცილებას. განა გამამართლებს
 თავის მოკვლას?!. არა. კვ უფრო გამამტყუნებს, ჩემს სიმსდალეს
 დამტკიცებს. დამნაშავედ კნობ ჩემს თავს, და ამისთვის სასჯე-
 ლის ატანაც უნდა შევსძლო... მე საზოგადოებაში ვცნობობდი,
 იმის აზრს ვაფასებდი, მინდოდა იმ საზოგადოებაში ზატიოსან
 კაცის სახელი მეტარებინა და ამავე დროს ვი, გეუფრებათ, უზა-
 ტიოსნოდ კომქმედობდი. სიკეთეს სათვალსაწინოდ ვაკეთებდი და
 იმას, რაც ზატიოსან კაცის სახელს შეჭბდალავს, ვმაღავდი. ეს ხომ
 უზატიოსნობაა, არა?!. სულითა და გულით უნდა ზატიოსანი გეო-
 ფილიყავი, დაფარული არა უნდა მქონოდა-რა, ჩემი ყოველივე უნდა
 ცნადი გეოფილიყე ვეკლასთვის და მამინ ეს აღარ დამემართებოდა.
 ამისთვის, ღირსი ვარ სასჯელისა. დეე, მათურთხოს საზოგადო-
 ბამ, მიუყინოს საზოგადოებამ!.. ღირსი ვარ!.. მე უგანვე დაგებრუნ-
 დები!.. უგანვე დაგებრუნდები იმავე საზოგადოებას, აი ამ ნაკოსად-
 გურში მოკუნდი მეორე კემს და უგანვე დაგებრუნდები, რომ ყოველ
 ნაბიჯზედ მათურთხოს, მიუყინოს ამ საზოგადოებამ. ღირსი ვარ
 ამის, ღირსი!..

შ. არაგვისპირელი



საქართველოს სამეფოს მოხელენი

სქართველოს სამეფოში, როგორც ყოველს სახელმწიფოში, განაგებდნენ შინაურ და უცხო საქმეებს, შემოსავალს და გასავალს, სამაროაღს და წესწყობილებას, ჯარს და ცალკე პროვინციებს, განათლების და სასულიერო მოთხოვნილებას მეფისაგან დანიშნულნი პირნი—მოხელენი, რომელნიც სხვა და სხვა დროს განსხვავებულ სახელ-წოდებით იხსენებიან. ამ მოხელეების სია ჯერ არ ყოფილა ჩვენში შემდგარი და არც გამოკვლეულია, რა შოვალეებით და უფლებით იყვნენ ისინი აღჭურვილნი. ჩვენ გვსურს მკითხველს მივაწოდოთ ანბანზედ ჩამოთვლილი მოხელეთა სახელწოდებანი და მხოლოდ შემდეგ მოვეუძებნოთ მათ სათავე, აღვნიშნოთ მათი კომპეტენციის შეცვლის ისტორია, დავყოთ სისტემატიურ ჯგუფად.

ახდანბაშა—თავი წყლის მზიდველთა. სუფრაზედ მეფეს ტაშტს-წურწუმას მიუტანს. („დასტურ-ლამა“, გვ. 78.)

ახანაშია—სახლთუხუცესი.¹⁾ ამას ებარა სამეფო შესავალ-გასავალი. „ამან უწყოდა წესნი და რიგნი სამეფოსანი, თათბირობა და საბაასონი მეფისანი.“ (ვახუშტ. ისტ. გვ. 8.)

ახანაგა (სომხურად ათაპაგ), თარგმანებით მამა-პატრონი, ესე იგი პირველი მინისტრი, დიდი ვეზირი, უმაღლესი გამგე, მზრდელი ყრმამთაფრისა, სახელმწიფო პატრონისა ყმაწვილობის დროს. ეს ხელისუფლობა, მიღებული ქართველთ მეფეთაგან

¹⁾ ნახე ჩემი „პატონ-ყობა“, გვ. 130. ამონაწერი „Дѣла груз.“ Гл. Арх. Мин. Иностр. д. 1768—71 гг.: „ხელისუფალნი მეფის კარისა ძველად ენითა ქართველთა ვითარ იწოდებოდნენ და ანუ აწ ვითარ იწოდებიან“. სახლთუხუცესზე ნახე შემდეგ.

სელჯუკების სულთანთა მიზადვით, პირველად იხსენიება თამარ მეფის დროს. ვახუშტი ამბობს, ვითომც შემდეგ „ათაბაგობის შეძინებისა არღარა იწოდებოდა სპასალარი სპასალარად, არამედ ათაბაგად“. მაგრამ ეს შეცდომაა. ამ ორთა ხელისუფალთა შორის კავშირი არ არსებობს. სპასალარი ჰნიშნავს სპათა უფროსს; ათაბაგს, „ქართლის ცხოვრების“ თქმითვე, უხმობენ ათაბაგობით მეფეთა და სულტანთა გამზრდელთა, ვითარცა წესია სულტანთა. ორივე ეს მოხელეობა ჩვენში შემდეგაც ხმარებაშია და გარდა ამისა სჩანს, რომ ათაბაგობა სპასალარზე უმაღლეს ღირსებად ითვლებოდა: „იყო ათაბაგობა უმეტეს სხვათა ერისთავთა განდიდებული. ეს იყო ვეზირი კარისა მეფისასა;“ „ავაგ, რომელი ამირ სპასალარობისაგან ათაბაგ იქნა.“ სჩანს, რომ მეფეთა მემკვიდრეები ხანდახან იზრდებოდნენ ათაბაგის სახლში. გიორგი ბრწყინვალემ ათაბაგ სარგისისძეს ყვარყვარეს მიანიჭა ათაბაგობა და ამ დროიდან ათაბაგობა გარდიქცა გვარად ახალციხელ ანუ ჯაყელთ სახლში და იმათ სამთავროს, ყვარყვარეს ათაბაგობაში, დაერქვა საათაბაგო. (Du laurier, Recueil... Docum. armen, Paris, 1869, I, 835, S.-Martin, Memoires hist. et géorg. sur l'Arménie, Paris, 1819, II., 251. „ქარ. ცხ.“, I, 318, 332, 339, 320, 348, 365, 449; 154. ვახუშტი, ბაქრადის გამოცემა, ტფილ. 1885, 12 და შენიშვნა 12, 13. Грузин. церк. гуджары Д. Пурцеладзе, Т. 1881, გვ. 170.)

ათასასთავი — უფროსი, გამგე ათასიან მხედართა გუნდისა. შეადარე ამას ასასთავი — ას თავიან გუნდის უფროსი; აგრეთვე ათასთავი — ათ თავიანი გუნდის უფროსი. ხანდახან ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ქიზიყის ასისთავს შერმაზანს მეფე ნაზარლიხანმა უბოძა საშვილიშვილოდ ასისთავობა. Двор. грамоты, изд. Пурцеладзе, გვ. 9. (Т. 1881). შეადარე ასასთავი გამგე ასიან მხედართ გუნდისა.

ამილახორა — ქართულად სპარსული ენიდან გადმოღებული ამილახორის მაგივრად იხმარებოდა ვზინდართ უხუცესი ანუ მეჯინიბეთ უხუცესი. ეს თანამდებობა ებოძებოდა მეფის კარის

მოხელეს და უდრის ევროპიულს ობერშტალმეისტერს. „ამისი ხელისა იყო მეჯინიბენი, შიკრიკნი, პაიქნი, ჯინიბნი, ჰუნენი ჯოგნი, რემანი მეფისანი (ვახუშტი, ისტ. 8). ამილახვარი-თანამდებობა დროთა განმავლობით გარდიქცა გვარად ამილახვართა, რომელთა შთამომავლობის ისტორია იწყება იოთამ ზედგინიძისგან ²⁾ († 1465). „ივერია“, 1891, 237. Закавказ. В. 1845.

ამირეჯაბა—არაბულიდან საქართველოში შემოტანილი, ეჯიბთ უხუცესის ანუ მანდატურთ-უხუცესის აღსანიშნენლად, უდრის ახლანდელს გენერალ-ადიუტანტს. ეს სამეფო კარის თანამდებობა შეიქნა მემკვიდრეობითი მოხელეობად და ერთს შტოს ფალავანდინათ ჩამომავლობისას დაერქვა გვარად ამირი-ჯიბიანი. (Annuaire de la noblesse de Russie. S. Pb. 1889, p. 26). როსტომ მეფემ მანდატურთ-უხუცესი სპარსული ტერმინით გარდაქმნა ეშიყალარად (ვახუშტი, ისტ., გვ. 17).

ამირი იხსენება 1602 წ. ერთს მეფე ლუარსაბის სიგელში, რომლითაც გიორგი თარხან მოურავს ქაღაქას ამირს ებოძა სოფელი ქაშლაჩი. ამირი, დ. ფურცელაძის შენიშვნით, სარდალი იყო რომელიმე რაზმის ნაწილისა (Двор. грам. Пурцеладзе, стр. 4.).

ამიღბანდი. მეფე ვახტანგ I 1707 წ. გუჯარში თავის თავს უწოდებს: „სრულიად ერანის სპასალარად, სპაპეტად და ამიღბანად, ესე იგი главнокомандующий-დ. (Церков. гуджары, 78). შეად. „დასტურ-ლამა“.

ამბარდანია. (სპარს. ანბარდარ) სურსათის ზედამხედველი, პროვიანტის კომისიის უფროსი. („დასტურ-ლამა“, 164).

ბაზაეთ-უხუცესი. (ბაზიერ—დამგერშეელი და ზედამხედველი ბაზთა-მიმინოთა)—უფროსი ბაზიერთა, ობერეგერმეისტერი grand veneur ევროპის სამეფო სასახლისა. (Крестьян. грам., 20, 1.). ამას ებარნენ ბაზნი, ბაზიერნი, მუძალენი, ტყეთა და

²⁾ იოთამ ზედგინიძის შთამომავლობას უბოძებს მეფე გიორგი (1445—1469) თავის ვადაჩენისათვის სპასპეტობას (სარდლობას) ქართლისას, მოურაობას გორისას, ციხეთა და მამულთა და მეფის კარის ამილახვრობას. ამილახვრობა გარდიქცა ქართლის სარდლობად.

ველთა მცველნი სანადიროთა მეფისათა (ვახუშტი, ისტ., 8.) Brosset. Voyage, I, 60. დილარიანი, ქრისტ. ჩუბანიშვილისა, I, 111. ბაზიერთ ხუცის შესახებ „დასტურ-ლამა.“ გვ. 19.

ბეკლაზბეგ—გამგებელი პროვინციისა სპარსეთში, გუბერნატორი ანუ გენერალ-გუბერნატორი. დავით იმამყულიხანი 1772 წ. გუჯარში თავის თავს უწოდებს ბეგლარ-ბეგად, Церк. гудж. стр. 2. ნახე კიდევ იქვე გვ. 78. „დასტურ-ლამა“ გვ 56.

ბოქაული—იასაული ს. ს. ორბელიანის ახსნით (იასაული ნახე შემდეგ). ბოქაულთ-უხუცესი—უფროსი, თავი ბოქაულთა (პრისტავთა). შესაფერი ჯიღღო სამსახურისთვის ეძლეოდათ ბოქაულებს და ბოქაულთ-უხუცესს, როგორც სჩანს Двор. грам. გვ. 11, 43, 61. ბოქაულნი (ანუ ბოქოულნი) და თვით ბოქაულთ-უხუცესნი ხელთ იყვნენ მანდატურ-უხუცესისა. „ბოქაულთ-ხუცის სარგოსათვის“ ნახე „დასტურ-ლამა“, გვ. 16.

ბჟენა („შუანი“)—მოსამართლე-მაშუალნი გიორგის „ძეგლის დებით“.

გზინა—სოფლის უმცროსი მოხელე (разсылной), რომელიც თანამდებობის გამო განთავისუფლებული იყო ჯარში სამსახურისგან (Церк. гудж. 72).

ეზოს მოძღვარი—ამის ხელისა იყო ყოველნი საგანგონი მეფისანი, ხარჯნი წარსაგებელნი, წესნი და რიგნი დარბაზისა, მეფისა ტაბლისა და სანოვაგისა (ვახუშტი, ისტ., გვ. 8), ეზოს-მოძღვარი უღრის ახლანდელს ჰოამეისტერს.

ემბზანი—ობერცერემონიშისტერი.

ერისთავი—თემის თავი, გამგე გაცალკეველბული მხარისა, შემდეგ სარდალი ანუ სპასპეტი (воевода) რომელიმე მხრის ჯარისა. მეფის შვილებს ეძლეოდათ საქართველოს კუთხეები საქრასთოდ („რეკის ძეთა მისცეს ჰერეთი და კახეთი საერისთავოდ“. ვახუშტი, გვ. 78. ნახე კიდევ გვ. 75 და 134. „ქარ.-ცხ.“ 146, 149. შემდეგ ერისთავი გარდიქცა გვარად და ერისთავობა გახდა მემკვიდრეობითი თანამდებობად.

ეშაკადასპაში (ეშყაბაში)—მანდატურთუხუცესია, ესე იგი უფროსი ხელარგნოსანთ, ხელჯოხიანთ, მეფის გარემდგომთ

(ს. ს. ორბელიანი, შეადარე „დასტურ-ლამა“, გვ. 5). დ. ფუცე-
 ლაძის აღსანიშნავი იგი უდრის გენერალ-ადიუტანტს.³⁾ ემიკალასბაშს
 მიანდობდნენ ხოლმე უმთავრესს გამგეობას მეურნეობის გაუმ-
 ჯობესობის შესახებ, თვალ-ყური უნდა ედევნათ წყლის რუების
 ჯეროვან შენახვისთვის და სასოფლო შემოსავლის ანგარიშის-
 თვის. (Двор. гр. 84) იგინი ინიშნებოდნენ მეფის მიერ სისხლის
 ფასის აღსრულებაში მოსაყვანად და გაფანტული ყმების ბა-
 ტონთან დასაბრუნებლად (Крестьян. гр. 23 და 26).

ეჯიბა — „ძველათ მეფეთა შორის საქართველოსათა იყო
 სახელი ანუ ხარისხი. ამ ეჯიბის ხელთ იყვნენ ყოველნი ტა-
 ძრეულნი მეფისანი და ნადიმსა შინა იგივე მიუგებდა მეფისა
 წინ დარბაისელთა და მას ეტყოდნენ დარბაზის ერნი, რაი
 ენებათ მეფისა მოხსენებად და ამის მიერ მიეცემოდათ პასუხი
 და მის წინა პირველ ვერვინ შევიდის თვინიერ მისა. ხოლო
 ამირ-ეჯობა ინიშნავს უპირველესსა ეჯიბსა... („კალმასობა“,
 გვ. 74.) ეჯიბი არაბულიდან ქართულად ინიშნავს წინამდგომს,
 „მეფის მიერ მოლაპარაკეს“ (ს. ორბელიანის ახსნითაც). იგი უდრის
 ეხლანდელს კამერგერს, Chambellan'ს.

ეჯიბა — სასახლის მინისტრი (ფურცელაძე, Церк. гр., 79).

ეკზარა — მინისტრი და უახლოესი მეფის მრჩეველი (Церк.
 гр., 96) ვეზირს და მდივნებს ეძღეოდათ ერთად აბანოს შემო-
 სავლიდან ნახევარი ნაწილი („დასტურ-ლამა“ გვ. 6). მის სარგო-
 ზედ დაწვრილებით ნახე „დასტურ-ლამა“ გვ. 32. ვეზირად ხში-
 რად სამღვდელი პირნიც ყოფილან. „ქარ.-ცხ.“, 307, 308.

ზანდაბა — მეჯინიბე, ვზინდართ უხუცესი — მეჯინიბეთ
 უხუცესი, ახლანდელი შტალმეისტერი და ობერ-შტალმეისტე-
 რი. Двор. гр., 63.

თავლადიბა — შემოსავლის მიმღები.

თარსუღა — გამგე (правитель—Двор. гр. 21) სანოვაგეთა
 გამსყიდველთ ყურის-მგდებელი. Кр. акты, გვ. 20.

³⁾ „ბატონი რომ ტახტზედ ბრძანდებოდეს იმას პირდაპირ ბოძთან ერთი
 აქეთ და ერთი იქით ემიკალასბაშთან დადგებოდნენ. იმ ბოძიდან ორს ბოძს ქვეით
 ზელჯობიანები ან სოობათ იასაულები რიგზედ დადგებიან. შემოსულ დარბაისელთ
 ემიკალასბაშნი ადგილს უჩვენებდნენ“. („დასტურ-ლამა“ 78).



იასაული (ესაული) ორგვარია: ერთი ამსრულებელი განაჩენისა და მეორე გამომკითხველი, გამომძიებელი. („ვახტანგის კანონები“, მუხლი 4). შეადარე Крестьян. გრ. გვ. 8 და 27. იასაულს შეეძლო დამნაშავეთა დასჯა. „დავთარ-ხანის იასაულების და ყაფიჩის სარგო“ განწესებულია „დასტურ-ლამაში“, გვ. 24.

ღაშქარნობა—უფროსობა ეული ხალხისა (?). მეფე ერეკლე ენიკოლოფოვს უბოძებს „лашкарноба по кочующимъ народамъ.“ Двор. გრ. გვ. 24.

ღაშქარნავისა—მოხელე, რომელიც აწარმოებდა ჯარის მიწერ-მოწერას და მხედართა სიას (Кр. акты, გვ. 25) Войсковой писарь.

მამასახლისა—უფროსი გამგე სოფლისა, აღმსრულებელი მეფის ბრძანებისა და მოსამართლეთ განაჩენისა. წყალობად ებოძებოდათ ამოვარდნილი სოფელი, შეეძლო იჯარით აეღო მამული. მამასახლისი ინიშნებოდა ქალაქებშიაც, სადაც მათ ებარათ სხვათა შორის ძმათა შორის ქონების განაწილების საქმე. მამასახლისთან ერთად იხსენებიან ნაცვალი, ქეთხუდი და ლაღელა(?) Кр. акты გვ. 3, 10, 13, 24, 37, 50. Церк. гудж. 38. გასამყრელოდ მოურავს ხარი, ნიცვალს აბასი, მამასახლისსაც აბასი. საჩექმე თუ იმ ქვეყანას გათხოვდეს მოურავს ექვსი შაური, მამასახლისს აბასი, თუ სხვა ქვეყანას წაიყვანოს, მოურავს 5 აბასი, მამასახლისს აბასი. „დასტურ-ლამა“, 11.

მამფაღა — „ლექსი მამთალი წარმომდგარა სიტყვიდან მეფე და რადგანაც ტაოს ბაგრატიონები არაბების შიშით ვერ ჰბედავდნენ მეფედ წოდებასა, ამის გამო იმათ მიუთვისებიათ მამფლობა, რომელიც უდრის მთავარს, პატრიკს, ერისთავს, უფალს“ (ბაქრაძე, ისტ., გვ. 213. მისივე Статьи по ист. и древ. Грузии, გვ. 27. Церк. гудж. 120.)

მარზპანა — მარზპანი, მარზპანი, წარმომდგარია სპარსული სიტყვიდან მარზ—საზღვარი და პან—მცველი. მარზპანი ჰნიშნავს საზღვრის მცველსა და ძველადეი ხმარებულთა სომხეთში და საქართველოშიაც ვახტანგ გორგასლანის დროდან. (S.-Martin, Mém. sur l'Arménie, I, 320, n. 2. Brosset, Voyage, XI, 30. ბაქრაძე, ისტ. 186.)

მანდატურა (მანდატორი) ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს ვეჟილს. ბიზანტიაში სასახლის მოხელეს ებოძებოდა მანდატორობა. მანდატურს ს. ს. ორბელიანი სთარგმნის იასაულად. მანდატურ-უხუცესი უდრის ბიზანტიის promandator (Rambaud. L'empire grec, 202). „მანდატურ-უხუცესის ხელისა იყო: მანდატურნი, ბოქაულთ-უხუცესნი, ბოქაულნი, მებქენი, მეკარენი, ქონდაქარნი, სარანგანი და ნადიმობისა წესი და წინაძლოლა მეფისა, მოხსენება ნადიმსა და ამხედრებულისა ამის მიერ იყო მეფისა (ვახუშტი, ისტ. 8). მოკლედ: მანდატური—„ხელარგნოსანი, მეფეთ გარეთ მდებარე“, მანდატურთ-უხუცესი აწინდელი გენერალ-ადიუტანტი. Церк. гудж. 70.

მდივანი—მწერალი. „ამის სარგო: ზარაფხანიდამ თუმანი თორმეტ-ნახევარი, ტყვის ბაჟიდამ, ყაფნიდამ, არაყხანიდამ და სხვა („დასტურლ.“, გვ. 50). მდივანი იყვნენ წესით უმაღლესნი და უმაღლესნი: მეფისთანანი პატივით უმაღლესნი, ვითარცა იტყვის: მდივანსა ჩვენსა ჩოლოყაშვილსა არა რა ეკადროს, თვინიერ დიდისა შეცდომისათვის მეფისა, მარჯვენე ცერი მოეჭრას; ამისგან კიდე არა რაი“ (ვახუშტი, გვ. 8). იყვნენ მდივანი⁴⁾ სარდლისა, სახლთხუცისა, მდივანბეგისა, მოლარეთ ხუცისა, (секретарь, письмоводитель), მდივანბეგი—საბჭოს და სასამართლოს წევრი (Крестьян. акты, 5, 23, 37, 60. „Церк. гр.“ 99. „Двор. гр.“ 30). ქართლის აღწერის დროს დავთარს დაიქერს. „დასტურლ.“ გვ. 10, 13. „ვახტანგის კანონ.“ § 3.

მდივანთ უხუცესა—უფროსი მსახური⁵⁾ („Церк. гр.“ 84, 89. ნახე კიდევ „Двор. гр.“ გვ. 7, 13, 29, 33, 44, 45).

მეხადახე—იხმარებოდა იმავე მნიშვნელობით, როგორც ახლა. მხოლოდ მეხალახებად ინიშნებოდნენ აგრეთვე სამეფო მამულებშიაც და გასამსჯელოდ ეძლეოდათ შემოსავლის ნახევარი ნაწილი. („Двор. гр.“ 13. შეადარე „დასტურ-ლაშა“ გვ. 10. 73 და საფრანგეთში droit de blaire).

⁴⁾ სამეფო მდივანზედ ნახე „ვახტანგის“ კანონები § 100.

⁵⁾ სასამართლოს წარმოებამდე ნახე Brosset, Introduction, p. CXC.



მეითარა—ცხენის მომვლელი, მეჯინბე, აგრეთვე ცემულ დარბაისელი („დასტურ-ლამა“ გვ. 176, ახსნა პეტრე უმიკაშვილისა); მეითარი—მოხელე, მღვარი წინაშე მეფისა და მიმართმევი ცხვირსახოცისა („დასტურ-ლამა“ 60 გვ. და დ. ჩუბინაშვილის განმარტება). მეითარი სასახლის მოხელე იყო, როგორც სჩანს სიგელებიდან. „ტანისამოსი მის ხელთ არის“ (Гардероби-мейстеръ დ. ყოფიანის ახსნით). მეფებამეტე საუკუნის დამლევს მეითარს ჯამაგირიც ეძლეოდა და შემოსავალიც, რომელიც ამ თანამდებობასთან ეკუთვნოდათ. სანოვავე საშფო სამზარეულოდან ებოძებოდათ. („Двор. гр.“ 32).

მეკელარე—ეკლესიის მოხელე, კელაპტრის ამანთებელი, იმ კელაპტრის, რომელიც შეიწირებოდა სიძის მიერ სიმპრის ან სიდედრის კუბოზედ ასანთებლად („Двор. гр.“ 45).

მეკულუხე—ღვინოზედ კულუხის ამკრეფი. იგი ხან გადაქრილი იყო, ხან კი შემოსავალზედ იყო დამყარებული (ჩემი „ბატონ-ყმობა“ გვ. 93).

მეკლდისპურე—შემკრები კოდის პურისა.

მელაქა—ორი იყო საქართველოში: ერთი სომხითის და ერთი ტფილისის. პირველი იყო სომხითში დიდებულ თავადთა ცოტა ნაკლები ხარისხით, მაგრამ სარდალთა მსგავსი, მეორე იყო თავი ტფილისის ქალაქის ვაჭართა, ხელოსანთა და სომხებისა. ეს ხარისხი გადადიოდა საშვილიშვილოდ, უკანასკნელს დროს ბებუთაანთ გვარში. **სამელაქა**—ხარჯია მელიქის შესანახად, რომელსაც იხდიდნენ ბატონთა ყმანი („Кр. акты“, გვ. 4, „Церк. гудж.“ გვ. 108). მელიქი ტფილისისა იღებდა მონაწილეობას სასსაჯულოში, როცა საქალაქო საქმეები ანუ მოქალაქეთა პროცესი ირჩეოდა („Кр. ак.“ 46). საქალაქო შემოსავალი—**მახტა** იყო მელიქის განგებაში. მეფის ბრძანებით ამ მახტას იგი ხარჯავდა, რასაც საჭიროება მოითხოვდა („Кр. акты“ გვ. 58). ცხოვრობდა იგი, თუ თავისუფალი მოიძეებოდა, სახელმწიფო სახლში (ib. გვ. 76). გარდა შემოსავლისა და სახელმწიფო სახლისა მელიქს ებოძებოდა სახნავსათესი მამული და ვენახები („Двор. гр.“ 5. ნახე კიდევ მე-

ლიქსდ „Кр. акты“, გვ. 42, „Церк. гудж.“ გვ. 7, „Двор. гр.“ გვ. 3). მელიქი—ტფილისის მმართველი განაგებდა უახლოესს ქალაქთან სოფლებსაც. იშვიათად ქალაქის მელიქს ემატებოდა ერთი კიდევ სახელწოდება: „მელიქ-მამასახლისი“. ამგვარად აწერს ხელს „მელიქ-მამასახლისი ავეტიქა“. გუჯარბში ებოუ-ულობთ კიდევ ერთს მელიქ-მამასახლისს ალა ახშარბეკოს. („Кр. акты“, გვ. 29, „Церк. гр.“ 65, „Двор. гр.“ 18).

მეძაღუ—მალის ამღები.

მეძანდაბი—მესტუმრე. „სტუმართ უნდა მემანდარი გაუძღვეს“. „დასტურლ.“ გვ. 59.

მეძანკე—მარნის უფოსი.

მეძაქაფეთ-უხუცესა—სუფრის თავს მდგომი.

მესაუბე—ხარჯის ამკრეფი, „დასტ.“ გვ. 73.

მესტუმრეთ-უხუცესა—ამის ხელისა იყო მესტუმრენი; ეს მოაწვევდა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა და შერისხვაც ამის მიერ იყო მეფისგან.

მეტაბღე (სუფრაჯი)—Стольникъ.

მეკურგე—მზრუნველი ეკლესია-მონასტერთა. „Церк. гр.“ გვ. 75.

მეღვინე—ღვინის მიმრთმევი სამეფო სადილობედ, მეღვინეთ-უხუცესი; ამის ხელობა იყო: მეწდენი და მესასმისენი, მეფისა და ღვინის — ღვინის საქმის მოხელე. ობერშენკ ახლანდელს სამეფო სასახლეში.

მეეურთღე—მცველი საძოვრის ადგილისა.

მეძადღეთ-ხუცა—მის სარგოსთვის „დასტურლ.“ გვ. 63.

მეჭაშნაკე და მეშაბბატე—სასახლის მოხელენი—სასმელის ყურის-მგდებელნი.

მეჯანაბეთ-უხუცესა—მას ეკუთვნის „დასტურალამას“ (გვ. 42) განწესებით: თითო ხელი ცხენის მუქამალი იარაღი, წელიწადში თითო ცხენის ქერი; წილი აქვს ბატონის უნაგირ-იარაღის გამონაცვალში. მისია დუშალიკის ნახევარი.

მონა-უხუცესას ხელისა იყო ყოველნი მეფის როქის სპანი, თვინიერ ციხე-ქალაქთა.



მოდღადი—მცველი სახელმწიფო ბეჭედისა. „Кр. акты“ გვ. 20, 65. დ. ყიფიანის აზრით „представитель просителей“.

მოურაფი⁶⁾—გამგებელი რომლისამე ადგილ-მაზრისა, მეფისგან დანიშნული და არა მემკვიდრეობით დაყენებული. („Двор. гр.“ გვ. 5, 12, 15). ცნობილნი არიან მოურაფნი ახალქალაქისა, ატენისა, თიონეთისა, ქისხევისა, გორისა, ქალაქისა, ველისციხისა, დავით გარეჯისა, კუჭატანისა, არაგვისა, ცაგერისა და სხავ. იყო მოურაფი განსაკუთრებით „ქალაქთა და ციხეთა“ („Двор. гр.“ გვ. 16, 18, 23, 35, 43, 62. „Кр. акты“ გვ. 62). მოურაფს ეძლეოდა ყმებისაგან ხარჯი, ხანდახან ფულად კომლზედ ორი შაური ანუ მეტ-ნაკლები. მტერთა დარბევიდან ებოძებოდა შესაფერი ნაწილი („Кр. ак.“ გვ. 28—29). მესამედი ნაწილი ეძლეოდა კიდევ იმ შემოსავლიდან, რომელიც ერთმეოდათ ჯარში ვინც არ გავიდოდა. ქურდების წართმეული ფულებიდანაც $\frac{1}{3}$ ნაწილი მოურაფისა იყო. აგრეთვე ჯარიმიდან. მის მოვალეობას შეადგენდა შეეკრიბა საეკლესიო ღალა—კულუხი (ნახე „Кр. акты“ გვ. 62, 71, 73, 76, 79—80. „Церк. гр.“ 30, 54, 72, 90, 145).

მოდღაზა—ამის ხელისა იყო: ყოველნი განსაგებელნი მეფისა ხარჯნი და წარსაგებელნი („ნახე ეზოს მოძღვარი“) „Кр. ак.“ 34. „Двор. гр.“ 22.

მოდარეთხუცესა: „ამის ხელისა იყო რაიცა მეფის თეთრი ანუ ლარნი თვისთა საკუთართა ზედა ანუ ქველის საქმისად უხმდა და მის ქვეშე დაწესებულნი მოლარენი. იგი უდრის ახლანდელს ფინანსთა მინისტრს (ვახუშტი, ისტ. 8. შეადარე „Двор. гр.“ 22, 53. „Кр. акты“ 37, 55. „Церк. гр.“ 114. მის სარგოზე „დასტურლ.“ გვ. 59.) დუშალიკიღამ ნახევარი მისია.

მიდღასა—სომეხთა ეკლესიის მნათე. „Крестьян.“ 72.

მოხელე—მმართველი, სამოქალაქო წარმომადგენელი ეკლესია-მონასტერთა გამგეობაში. „Церк. гр.“ 30.

⁶⁾ მოურაფის „დებულობაზედ“ ნახე „დასტურლომა“ გვ. 8. მოურაფნი ანუ გამგებელი „ქსნის და არაგვის ერისთავთა თანაშემწენი—გიორგის „ქველის დება“ ნახე.

მკლადე—ლალის ამკრეფი. ლალის რაოდენობა დამოკიდებული იყო მოსავალზე და ადგილ-მამულებზე. „დასტურ-ლამა“ გვ. 17, 25, 26 და ჩემი „ბატონ-ყმობა“ გვ. 91—92. „Двор. гр.“ 19 და სხვა.

მსახურთ¹⁾-უხუცესის ხელისა იყვნენ სალაშქრო საქურველისა და იარაღის მსახურნი და ციხე-ქალაქთა მცველნი სპანი მეფისანი.

მუშათ-უხუცესი — ზედამხედველი სასოფლო გზათა და მუშათა. „Двор. акты“, 47.

მუნში — სასახლის მოხელე(?). „Двор. акты“, 24.

მუსტოფა — ანგარის დამწერი. „დასტურლამა“ უნიშნავს ოცს თუმანს ჯამაგირად.

მუჯირი — პურის მალაზიის ზედამხედველი. „Черк. гр.“, 72.

ნაზარი — ხაზინდარი სასახლეში (აბრამიდი). „იარაღის საქმე და კეთება ყოველი სალაროს ნაზირის საქმე“ („დასტ.“ 43). ორგვარი ნაზირი იცის დასტურლამამ: სალაროსი და ქარხნისა, (გვ. 64 და 65).

ნაგვადი — საქალაქო ნაცვალის უდრის ახლანდელს პოლიციეისტერს. იგი ინიშნებოდა მეფის მიერ. სოფლად იგი მეორე პირი იყო მამასახლისის შემდეგ. „Двор. гр.“ 18, „Кр. акты“ 3, 5, 37, 50; „Черк. гр.“ 30. „დასტურლ.“ გვ. 9. მოურავს თავის გასამტეხლო 5 აბასი, ნაცვალს ორი შაური; ესე იგი $\frac{1}{10}$ ნაწილი პირველთან შედარებით. „დასტურ.“ გვ. 11.

ნეკრესდობა — მმართველი ნეკრესის ეკკლესიის მამულეობისა. „Двор. гр.“ 16.

პატიაშხი (პატიახში) ბერძნულიდან ინიშნავს საზღვრის მცველსა. პატიახშებად იწოდებოდნენ გუგარის ანუ საქართველოს სომხეთის მთავარნი. S.-Martin. Mém. I, 79. „ქ.-ცხ.“ I, 57, 122 და სხვა.

სახლთხუცესი ანუ აბრამიდი (ნახე „აბრამიდი“) ობერ-გოფმარშალი. სახლთხუცესი ინიშნებოდა სასახლის გარეშე მო-

¹⁾ მსახური — დამალი წოდებიდან გამოსული მოხელე, რომლის სისხლის ფასი უდრის არხილიკონის და მესამე ხარისხის ვაჭრის სისხლს. „ვებტანგის“ კანონები § 32.

ხელედაც სათანადო შემოსავლით. მაგალითად, ცნობილია კახეთის სახლთხუცესი, ედიშერი ჩოლოყაშვილი, როგორც რუსეთშიაც სასახლის ტიტულით აღჭურვილი ინიშნებოდნენ სხვადასხვა თანამდებობაზედ. „Двор. гр.“ 13, 15, 35, 43, 61. „Кр. ак.“ 4, 43, 49, 52, 57. „Церк. гр.“ 15—16, 124. აბანოს შემოსავლიდან ნახევარი სახლთხუცესისა არის. „დასტურლ. გვ. 6. მის სარგოზედ ib., გვ. 77).

სარდარა (სარდალი) სპარსულიდან ქართულად ინიშნავს მოთავეს, ერის ანუ მხედრობის თავს. შესაძლებელი იყო სარდრობა სხვა თანამდებობასთანაც ყოფილიყო შეერთებული, მაგალითად, სახლთხუცესობასთან („Кр. ак.“ გვ. 57. „Двор. гр.“ 124) ან მოურაობასთან დასავლეთ საქართველოში (ibid. 111), სარდრობასთან დაკავშირებული იყო შესაფერი გამორჩენა და შემოსავალი. („Двор. гр.“ 7). სარდარი წვერი იყო უმაღლესი სასამართლოსი („Церк. гудж.“ 79). სარდაზი იგზავნება ქართლის ასაწერად („დასტურლ.“, 13).

სპასაღაბა — სპასპეტი სპარსულიდან ინიშნავს მხედართმთავარს. ვახუშტის სიტყვით, ამის ხელისანი იყვნენ ყოველთა სავაზიროთა და თათბირთა პირველობა და ყოველთა ერისთავთა უხუცესობა. ესევე შეჰკრებდა ლაშქართა და ხარკსა სამეფოსა და ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა. სპასპეტად საეკლესიო მამულის მხედართა ინიშნებოდა მიტროპოლიტი (მაგ. რუსთავისა, „Церк. г.“ 2). სპასპეტი, სპასალარი და ამილბარი ერთმნიშვნელოვანი თანამდებობაა (ibid., 78).

სუფრაჯი (ჩუნჩერახი) „ამის ხელისა იყო მზარეულთ უხუცესნი, მეტაბლენი, მზარეულნი, მეპურენი, მერწყეულნი, მგოსანნი, მემწყობრენი, ბუკთა, ტაბლაკთა და სხვათა მცემელნი“ (ვახუშტი, ისტ. 8). სუფრაჯი სასახლის მოხელე იყო. ეს სახელწოდება სპარსული ენიდან არის შემოტანილი. („Двор. гр.“, 8. „Церк. гудж.“ 29.)

ფარეშა — მსახური სახლის მორთულობისა, ფარეშთუხუცესი — ვახუშტი ამბობს: „ამის ხელისა იყო ფარეშნი, ნოხნი (ორხონი), კარავნი, ოთახნი, მნათენი და ყოველნი საგე-

ბელნი, დილიტონი (ტახტნი), სკამნი, სავარძელნი, სრა-ფარდაგნი (სამეფო დარბაზის ფარდა), ფარდანი და მნენი (მსახურნი) მისნი და მერწყეულნი“. სპარსულიდან ფარეში ნიშნავს ახლანდელს კამერდინერს (Кр. акты“, 9, 43). ფარეშთავლადარს აბარია ტფილისში ბაღებთა შორის წყლით მორწყვის საქმე („დასტურლ.“, 17).

ქალანთარი—სამაზრო მმართველი და სახელმწიფო ხარჯის ამკრეფი. საყურადღებოა, რომ ქალანთარობა სხვა მრავალ-მნიშვნელოვან თანამდებობასთან შეერთდებოდა ხოლმე. ერეკლე მეფე გურგენიძეს აბარებს თელავის, თარულის, დიდუბის მოურავის და ქიზიყის ქალანთარის თანამდებობას („Двор. гр.“ 21).

უსტაზაში—ვაჭართა და ხელოსანთა თავი („Кр. акты“, 77) რომელიც ჰკრეფავდა საამქრო ხარჯს.

ქორეკოზი—ბერძნულად „მეფის მონაცალეს ჰქვიან“.

ქითხუდა—ქალაქის წარმომადგენელი, რომელსაც ირჩევდნენ ქალაქის მცხოვრებლები („Кр. ак.“, 24, 37).

ქემხა (ქეხხი)—სოფლის მმართველი („Двор. гр.“ 5, 19. „Церк. гудж.“ 72).

ვაფიზი—დარაჯი, ყიფიჩბაში, მეკარეთა უფროსი. („დასტურ-ლაშა“ გვ. 17).

ეულანადასა—მონათხუცესი, „ამის ხელისა იყო ყოველნი მეფის როქის სპანი, თვინიერ ციხე-ქალაქთა“, (ვახუშტი, ისტ. გვ. 8).

ეულუდა—მოსამსახურე, მონა. ყულარაღას ჯამაგირი 12 თუმანი. იგი თავს ადგია ბატონს („დასტურ-ლაშა“ 94).

ხასადაბა—მეფის საკუთარი მოხელე („Двор. гр.“ 19) სხვადასხვა ხეობებში. „თერთმეტის თავს სამს წილს ზვრებიდამ მოურავი და ხასადარი გაიყოფს“ („დასტურლაშა“, გვ. 9).

ხევისთავი—განგე ხეობისა. ამ თანამდებობის აღსრულებისათვის განწესებული იყო რიგი „დასტურ-ლაშაში“ („Двор. ак.“ 14, 12, 18 ხევის-თავი—ущельные старшины). ნახე „ძეგლის დება“. შეადარე თემისთავნი.

ცხას თავი — კომენდანტი ციხისა (ვახუშტი, ისტ. 111, 112 და სხვა). „ციხის მცველი“ „აღბუღას კანონები“ § 97. ჩუნჩკასა — (ნახე სუფრაჯი).

ჩაბანბეგა. „სამს წელიწადს ერთხელ წავა და დასთვლის ცხვარს“ („დასტურლ.“, 86). — СЧЕТНЫЙ ЧИНОВНИКЪ.

ჯაბადარა — (ნახე მეაბჯრე) ზედამხედველი ჯაბახანისა, არსენალისა.

ჯაბადართ-უხუცესობა — თავი ჯაბადართა. „კალმასობა“ გვ. 48.

ჯანაშანა — ხელმწიფის მოადგილედ მჯდომი გამგებელი. მის სარგოზედ ნახე „დასტურ-ლამა“ გვ. 31.

ჯანჩა — მაღლად ყვირილით მძახებელი მოხელე, სახალხოდ გამომცხადებელი მთაერობის განკარგულებისა. „იმათი სამსახური ეს არის: დილას მოვიდოდნენ, კარზედ იდგნენ, როგორც ხელჯოხიანი, ისრე გარედან კაცს დაითხოვდნენ... ბატონის ცხენზედ შეჯდომაზედ უმაღლესხედბოდნენ და ჯარს შესხდომას დაუძახებდნენ“. ჯარჩი სარდალსაც იახლებოდა. მას ეძლეოდა ჯამაგირიც და სურსათიც („დასტურ-ლამა“ 106 გვ.).

ა. ხახანაშვილი

პირითადი განმარტები სალიტერატურო კრიტიკის¹⁾

ადოლფ გატფელდტისა

როდესაც რომლისაჲმე მწერლის ნაწარმოებს გაარჩევენ და დაფასებენ, ამას ეძახიან კრიტიკას. მაგრამ დაფასება ნაწარმოების დამფასებლის სურვილსა და ნებაზე არ უნდა იყოს დამყარებული, არამედ უნდა დასაბუთდეს, თუ რადა სცნო დამფასებელმა იგი სურსტან ღირსეულ ნაწარმოებად, რადგანაც კრიტიკოსს აზრად აქვს: უხელომდევანელს და სწორე გზაზედ დაყენოს საზოგადოების აზრი, თუ რომ იგი საკმაოდ არ მომწიფებულა, შეასწოროს იგი, თუ რომ სცდება, დასაბუთოს, თუ რომ დამტკიცება უნდა. მასთანადამე, დამფასებელს, ანუ კრიტიკოსს იმდენად მეტი ცოდნა მოეთხოვება, რამდენად დიდია საგანი, რომელსაც იგი ხელს ჭკიდებს.

ვიღებენი ამბობს:²⁾ «სალიტერატურო კრიტიკას რომ კაცმა გულდადებით ადევნოს თვალი, არ შეიძლება გასაკვირველად არ დაჩქეს ის გარემოება, რომ მსოფლიდ რამდენიმე კაცი საზოგადოების უფლებას ჩემულაბს, მის მაგიერადა და იმის სახელით ჭმსჯელაბს

¹⁾ ადოლფ გატფელდტმა გამოსცა თხზულება, რომელიც შეადგენს ამოკრებილს ადგილებს მე XIX საუკ. ფრანგ კრიტიკოსთა თხზულებიდან, და მას წინასიტყვაობად წარუძმდვარა ეს წერილი. რადგანაც აღნიშნული შრომა საფრანგეთის საზოგადოებისადმი იყო მიმართული, ამიტომ რუსულს თარგმანში იგი მკითხველ საზოგადოების-და შესაფერად არის შემუშავებული და, ვგონებ, ჩვენთვისაც არ იქნება ურიგო—გავაცნოთ, თუ რა ძირითადი კანონები აქვს სალიტერატურო კრიტიკას, რომელსაც ჩვენში დღემდის ქეშვარიტი გზავერ გაუკვლევია. მთარგმნელი.

²⁾ ამელ ფრანსუა ვიღმენი საფრანგეთის ცნობილი კრიტიკოსია; დაიბადა იგი 1790 წ. მის უდიდეს ნაწარმოებად ითვლება: „Discours sur la critique“ (1814 წ.) „Cours de la littérature française“ (1830 წ.) „La littérature aux dix huitième siècle“ და სხვ. მოკვდა 1867 წ.



და თავგამოდებითა და ავტორიტეტით ღვაწლავობს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც სხვებმა უნდა გამოხატონ. ეს გარემოება სწორედ საკვირველი და საოცარი იქმნებოდა, რომ მარტო შირაღისა და საგუთარის გრძნობით სელმძღვანელობდეს დამიფარებული რომელიმე მწერლის ნაწარმოებისა და არ არსებობდეს ეგრედ წოდებული კარგი და ცუდა გემოვნება. ვალტერი თავისს «ვილფ-სოფიურს ლექსიკონში» სწერს: «ამობენ, რომ გემოვნების შესახებ გამათი ტუფილია; სრულ სიმართლედ უნდა ჩავთვალოთ ეს, თუ რომ შირის გემოვნებას შევხებით, ესე იგი, თუ რომ იმაზედ დაკვირვებთ ღვაწლავს, ვის რამდენად უყვარს, ან სიძულს ესა თუ ის საჭმელი. მაგრამ სულ სხვაა, როდესაც სელმძღვანელებად ღვაწლავობთ. ჩვენთვის, რასაკვირველია, ეჭვს გარეშეა, რომ არსებობს ეგრედ წოდებული ჭეშმარიტი ზოეტური სიმშენიერე; ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ კარგის გემოვნების ხალხიც არის, რომელსაც საკმაოდ კარგად აქვს შეგნებული, თუ რა არის ეს სიმშენიერე. მაგრამ ნუ დავიფიქრებთ იმასაც, რომ არის ისეთი ცუდის გემოვნების ხალხიც, რომელსაც ეს ზოეტური სიმშენიერე არ ესმის და ვერ გაუგიათ.»

მერე, ეს გემოვნება ადამიანის სურვილზედ როდია დამყარებული. როდესაც კრიტიკოსი რომელსამე ნაწარმოებს არჩევს და აივასებს, იგი უთუოდ უკვე გარკვეულისა და ცნობილ სალიტერატურულ დოქტრინით (სწავლით) უნდა სელმძღვანელობდეს. კრიტიკოსს, რომელიც არაკითარის დოქტრინით არ სელმძღვანელობს, მსაკალი ადარებს იმ კაცს, რომელიც უსათოდა ჭკონებს დროს გამოცნობას. შეიძლება მოხდეს და გამოიყნოს, მაგრამ უფრო ადვილია შესცდეს.

ზოცესისი შემოქმედებისა ფისილოლოგის ჟერ კადემ ვერ გაურკვევია და ამიტომ ვერც დაუდგენია რაიმე გარდაწვევითი აზრი მის შესახებ. ამიტომაც ასინა იმ გარემოებისა, რომელიც უეჭვლად არსებობს და გამოიხატება შემდეგით: რომ დიდმა მწერლებმა კარგად იციან ის სალიტერატურულ გემოვნების განზნები, რომლებითაც შემოქმედების დროს სელმძღვანელობენ, — შეუძლებელია ჩვენთვის ჟერ-ჟერობით. და აი მიზეზიც ეს არის, რომ ზოცაერ-



თი დიდი მწერლები სრულიად უარს-ჭყოფდნენ სალიტერატურო კრიტიკას. ვიქტორ ჰუგო სწერს: «გენიოსი თვალ-უწვდენს მთას წარმადგენს. კაცი ან უნდა მიუახლოვდეს მხოლოდ, ან-და სრულიად მოჭმოდეს. მაგრამ თუ გარდასწევიტეთ, მიუახლოვდეთ, უნდა ჰკვირობდეთ მხოლოდ მისს სიდიადეს და სხვა არაფერი.» ვოლტერი უფრო სადისა და დიდის განების პატრონი იყო და ამიტომ კერძო თუ ადგილად წარმოსთქვამდა ასეთს უკიდურესს აზრს. ამკე დროს იგი თვითონ კრიტიკოსიც იყო და გარნელის თხზულებანიც გააჩნია. ვოლტერის აზრით, მხოლოდ ჭეშმარიტს ხელგან მწერლებსა და პოეტებს აქვთ კარგი გამოკლება და მათ შეუძლიანთ, მიშასადაძე, თვის-დაგვარ მწერალთ კრიტიკა უყარნ. ეგრედ წოდებულ ნაფიც კრიტიკოსებს მუდამ მწარედ დასცინოდან და სძულდა საშინლად, როგორ თუ გაჭბედეს და მისნი თხზულებანი გააჩნდეს? თავისს «ფილანთროფიურს ლექსიკონში» ვოლტერი ამბობს: «ჩვენის დროის გულტურულ ერთა შორის, რომელთაც გი მწეობრი ლიტერატურა აქვთ, დაიბადნენ ეგრედ წოდებულნი კრიტიკოსები-სპეციალისტები, პოეტისსიარხალური საქმის მცოდნენი; თანამდებობა ამ კრიტიკოსებისა ისეთიკვა, როგორიც თანამდებობა იმ ვასებისა და მექსიკებისა, რომლებიც ღორს ენახედ შეატეობენ ხოლმე რამდენად სული და მსუქანია იგი. ეს ლიტერატურული მექსიკები ყველა ვიტორებს ჰკიცნავენ და იწუნებენ და თვეში ორჯელ, ანუ სამჯერ საქვეყნოდ აცხადებენ, თუ ამ დროს განმავლობაში რა და რა აკადმეფობან ადმონინსო.» პოეტი და კრიტიკოსი თეოფილე გოტიე ამ ნაფიც კრიტიკოსებს უფო სასტიკად ეპფრობოდა. «კრიტიკოსობას მხოლოდ მაშინ მოჭკადებთ ხოლმე ხელს, როდესაც დარწმუნდებით, რომ არც პოეტად და არც რომანისტად არ კარგისართო» — სწერდა გოტიე ერთს თავისს რევენზენტს.

მეორე მხრივ კრიტიკოსნი, რომელნიც თეორიით არიან აღჭურვილნი, ყოველს ნიჭს კრიტიკისაგან დამოკიდებულად აღიარებენ და ამიტომაც მისგან მონურს მორწილებას თხოულობენ.

ბოიენეტრი ამბობს: «დედად სცდებანი ისინი, ვინც ფიქრობს, რომ რომელიმე ლიტერატურა კრიტიკის გარეშე და მისდა დაუხმან.»

რებლად განკითარებულყოფილს. აგერ სამსია წელაწადა, რაც კრიტიკა საფრანგეთის ლიტერატურის სულისა და გულს შეადგენსო.»

ეჭვი არ არის, მწერალი, ანუ ხელკანი ბრმად არ უნდა ეძიებინებოდეს კრიტიკის კანონებს, თუ რომ ეს კანონები იწინა და უბრუნებთ; მაგრამ მწერალი იმას კი გვერდს ვერ აქსკვეს, რაინა ქრეშმარტებისა და მშვენიერობის სამარადისო და გარდუვცდელს კანონებს შეეხება. ხოლო თუ რადესმე გადუხვეს ამ გზას, თუნდაც ავტორი დიდი და სახელ-განთქმული იყოს, მაშინ მის ნაწარმოებს კრიტიკა სასტიკად გააჩხვეს. ერთ დროს კორნელმაც თანხმობა განაცხადა ამას. «ყველა ამბობსო, — მწერდა იგი, — რომ ჩემს ტრაგედია «ჭოროციოში» კამილლას სიკვდილი ბოლოს ახდენსო. მერც გადავიკითხე, დაერწმუნდი და შეგინჯალო». გარდა ამისა, თუმცა კრიტიკის დიდი სუდგავლენა აქვს საზოგადოებისა და ავტორებსზედ, იგი დაძმავებული კარგის გემოვნებისა, თუ საკმაოდ მსკილი და მიუდგომელია; მაინც უნდა გამოვტყდეთ, დიდი გაბედულება ექმნებოდა, რომ ნიჭს მოეთხროთ უთუოდ კრიტიკის ყურ-მოჭრილი ყმა იყავო. ლიტერატურა რომ არ ყოფილიყო, კრიტიკაც არ ექმნებოდა; ამისათვისაც კრიტიკა უფრო ბევრით არის დაკლებული ლიტერატურისაგან, ვიდრე ეს უკანასკნელი შარველისაგან. ჭოროციო კრიტიკოსს სალესაც ქვას ადარებს. «სალესაკს შეუძლიან რკინასე გალესოს, რომ გააჭრეკინოს, მაგრამ თვითონ კი ჭრას არ შეუძლიანო.»

Fungar vice cotis acutum

Reddere, quae ferrum valet, exors ipsa secandi.

შემოქმედების შრომისთვის დროს მწერალი განსაკუთრებულს კანონებს ეძიებდა, მაგრამ იმავე დროს ფიქრობს, რომ იგი ამ კანონების კონტრალის გარეშე იმყოფება, რადგანაც სწორად თვისდა უნებურად სმარობს მათ. კრიტიკოსიც იმავე მშვენიერის და ქრეშმარტების კანონებითა სელმძვანელაბს. რადგანაც კრიტიკოსის მოკვლეობაა მოაგონოს ავტორს ეს კანონები, თუ რომ მან გვერდი აუხვიან, ამიტომ კრიტიკოსიც იმასვე ფიქრობს, რომ აღნიშნული საგანი მისგანვე დადგენილი.



ძირითადი კი რომა ვთქვათ, კრიტიკოსს ეს სახელმძღვანელო კანონები ისევე დიდთა მწერალთა სამკვლავთა თხზულებებთანა აქვს შექმნილი; მწერლებს კი ყოველივე ეს ზემთაგანებთან, ფალოსოფოსთან და დიდთა სუფის-მეცნიერთა შრომებთანა აქვთ შემოკრებილი და შექმნილი. მაგალითად: თუ რომ საგანი დოქტრინებს შეესება, მასთან უთუოდ ფალოსოფიას უნდა მივმართოს ადამიანმა, რადგანაც მხოლოდ ფალოსოფია ჰქსნის ყოველისავე მოვლენის ძირითადს მიზენს, ამგვარს შემთხვევაში კრიტიკოსნი მორალისტებს (ზნეობის მქადაგებულთ) მოგვკავებენ. როდესაც ლა-ბრიუერი*) ან ლა-როშფოკო***) საზოგადოების ყოფა-ქცევას ჰკიცხავენ; როდესაც ეს პირნი საზოგადოების ამა თუ იმ საქციელს აქებენ, ან იწუნებენ, ეტყვი არ არის რომელისაჲ მორალურ (ზნეობრივ) პრინციპთანა სელმძღვანელობენ. მაგრამ ეს პრინციპები იმითი შემუშავებული როდია. იგინი ამ დროს პლატონისა, არისტოტელისა, ეპიკურისა ან ზენონის სწავლას იმძღვარებენ წინ. ასეთივე მოვლენა ჰქდება ლიტერატურაშიაც: ფალოსოფოსა იმლევა ჰემმარიტს კანონებს მშვენიერობისას, რომელსაც თავისს ნაწარმოებში დიდნი მწერალნი დაგვასატყვენ ხელმე და არა კრიტიკოსნი.

მოდვიერი ამ მშვენიერობის შესახებ თავისს «დედათა სკოლის კრიტიკა»-ში აი რას ამბობს: «თქვენ უთუოდ ბევრისაგან გეჭნებათ გაგონილი, რომ სელოვნების კანონებზე უბრძნესი და უღრმესი არა არის-რა, რომ ქვეყნიერობაზედ მისებრივო საიდუმლო სხვა არა არსებობს-რა; ნუ დაიფურებთ. სწორედ რომა ესთქვათ, ეს კანონები იგივე ყველასათვის გასაგება დაკვირებაა, რომელიც სადს გონებას შეუჭმნია და დაუდგენია მოსაწყენ ან სასიამოვნო საგანთა შესახებ. და აი ამ სადს გონებას, რომელმაც წინად შეჭნიშნა ეს კანონები, შეუძლიან მუდამ ყამს გაასსენოს იგინი ადამიანს

*) ლა-ბრიუერიი საფრანგეთის გამოჩენილი მორალისტი (1645—1695). მის უმთავრეს ნაწარმოებად ითვლება „ღმისათებანი“, რომელიც უთანასწორობის წინააღმდეგ არის მიმართული. ამ ნაწარმოებში ავტორი მაღალ წოდების უზნეობასა და ბრბოს ტანჯვა-ვიებას ეხება.

**) ლა-როშფოკო საფრანგეთის ცნობილი მოღვაწე და ეკუთვნის სახელმწიფო დასს, რომელიც კარდინალის მახარინის მართველობას ეწინააღმდეგებოდა (1613—1680).

და ამ შემთხვევაში საჭირო აღარ არის არც ჭორაჭორი და არც არისტოტელის დახმარება.

უთუოდ მოლოდინი ისევე ინსტიტუტურად სელმდგანელობდა ამ მშენებლობის განხრებით, როდესაც იგი თავისს გამოვლენას სწორდა, როგორც მაგ. ჭამეროსი, ანუ ესილი. მაგრამ როდესაც ამ განხრების გარკვეულად წარმოდგენას საჭირო, ან საჭიროა პრინციში შემუშავებულ იქმნას; როდესაც საჭიროა გარკვეულ იქმნას, თუ რაიმეხანად განხილვინა არიან ივინი, რასაკვირველია, თანახმად ჩვენის სულის ძირითად თვისებათა, მასინ კი ამ შრომის ფილოსოფოსმა უნდა მოჰქვიდოს სული და არა კრიტიკოსმა. კვიპურ ზოკის ძირითადი განხრები არისტარხოსმა (იგი იყო ჭამეროსის შესანიშნავი აღმსნელი და დღესაც ექვლა მიუდგომელსა და სამკალითო კრიტიკას მისს სასელს უწოდებენ ხოლმე) და ჭორაჭორი (ავტორი «უპისტოლეთა») როდი დაადგინეს. არა! ივინი შეჰქმნა ერთმა იმ დიდის გონების ზატონ ადამიანთაგანმა, რომლებიც ფაქტებიდან მოკლესანთა განხრებს გამოიყვანენ ხოლმე, — შეჰქმნა ივინი არისტოტელმა, რომელმაც თავისს «პოეტიკა»-ში დაგვანახვა, თუ რა ძირითადი განხრები აქვს პოეტურს შემოქმედებას; ხოლო თავისს მეორე ნაწარმივთ «რეტორიკით» მსკვრმეტუველებრივ სელოვნების განხრები შეგვასწავლა. ფილოსოფია შეიწავს როგორც ღოღიკას (მართლმსჯელობის მეცნიერებას), ისე ესტეტიკასაც, რომელიც გვასწავლის და გვისხნის მეცნიერულად, თუ რა არის მშენებრება. ესტეტიკა რომ კრიტიკას დაუმორჩილოთ, ეს იმას ეგვანება, რომ განხრმდებლის ადგილას მსაჯული დაგვსვთ, ერთი სიტყვით, ჩვეულებრივს წესს-რივს წინააღმდეგეთ.

ვიცი, ბევრი იტყვის, რომ ზოგერთს კრიტიკოსს, რომელსაც ფილოსოფია კარგადა აქვს შესწავლილი, შეუძლიან შეიძინოს როგორც სასელი დიდის მსაჯულისა, ისე განხრმდებლისადაც. ვიცი, იტყვიან, რომ კრიტიკოსობის ასპარეზი შესაძლებელადაა ჰქმნის მათ მიერ (კრიტიკოსთა) აღიარებული ფილოსოფიური თეორიები (სწავლა) ცხვრებაშიაც გამოიყენონ. თავისს კრიტიკულს ეტოულს ტიტოს ღობიოსის შესახებ ტენი ასე იწყებს: «გაციო, — ამბობს სპინოზა, — მხოლოდ ნაწილია მოკლისა და იგი არ შეად-



გენს სასულმწიფოს სასულმწიფოში. მოქმედება იმ მესანიშნისა (მანქანისა), რომელსაც შეადგენს ჩვენი მე, ისრევე რაგზა მწიფობილი, როგორც ნივთიერ ქვეყნაერობის მოკლენანი, რომლის ნაწილსაც ეს მესანიშნი შეადგენს. მართალი იყო სზინოზა, თუ არა? კედღები მგაღითით დავამტვიცო, რომ სწორედ მართალი იყო. და იმ ეს მგაღითით თვით გამოკვლევა იყო ტიტოს ღიბიოსის შესახებ. ბრიუნეტრმა ამ მოკლე ხანში გამოსცა წიგნი სხვა-და-სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებთა ევოლიუციის შესახებ; აი, როგორ აღნიშნავს იგი საგანს, რომელსაც ამ შრომაში აწიკვს: ჟერტივა, რომელიც ყოფიერება სენტ-ილერისა და კიუპეს საბუნებამეტყველო ისტორიის ანალოგიაზე დამყარებული, ჩვენ კედღებით შეკვალათ, ან შეკავსოთ სხვა კრიტიკით, რომელაც დარკინის განვითარებით თეორიაზე დამყარებული. თუმცა ეს ორივე მწიწალი შესანიშნავი და გამომჩინილი მოაზრება იყვნენ; თუმცა თვითთულმა ამითგანმა შესამჩნევად გაავართოვა კრიტიკა და ბეკრი რამ ორკინაღური შესმინა,—მანც ერთიან და მეორედ, როგორც თვითონვე ამობდნენ ხოლმე, მხოლოდ სხვის ივილსოფიურ დოქტრინით სეჟიმღვანელობდნენ. აკტორს «გამოკვლევისა ტიტოს ღიბიოსის შესახებ» ასეთ დოქტრინად სზინოზას ზანტეიში ქქონდა, ხოლო ბრიუნეტრს დარკინის ტრანსფორმიზმი.

რაც შეეება იმ პოეტებს, რომელიც პოეზიის დოქტრინების შესახებ სწერენ და თანაც თეორიას პრქტიკას უერთებენ, მგაღ. როგორც ჭარაციომ თავის «ეპისტოლეში» ქქმნა, ბუალომ «Art poétique»-ში, კორნელმა თავის «სიტუებსში», რსინმა «წინსიტუებაში», ან ვიქტორ ჭუგომ მანიფესტებსში,—მათ სწორედ დიღებულად დამტვიცეს, რომ კანონებია პოეზიის იმ ნაწილისა, რომელიც მათ შეუყვარებათ, მშვენარად იციან. მართლაც და ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანი, რომელსაც რომელიმე სელობა აურჩევა, ამ სელობისა და მის განუყრელ პირობათა შესახებ არა ფიქრობდეს. ყოველს შემთხვევაში, უმეტეს ნაწილად, პოეტების თეორია ნიღაზ-ზამოფარებული მკვლავ სელოვნების იმ ფორმისა, რომელიც მას ამოურჩევა; ეს თეორიები თითქოს იმისათვის იწერებან, რომ თავისი სელობის უპირატესობა დამტვიცონ.



თავის «ეპისტოლეში» ჰორაციო მკ. საბერძნეთის ლიტერატურის ფორმას აქებს; კორნელი თავისს დრამატიულს თეორიას იფარავს მოწინააღმდეგეთაგან; ვიქტორ ჰუგო კიდევ რომანტიულ დრამას თეორიას აქებს თავისს წინასიტყვაობაში კრძეველთან, რომ ამითი კლასიკური ტრადიციის სულმთლად დაამხრს.

ამ რიგად, კრიტიკოსთა შორისაცა და პოეტებ შორისაც შეგვადებით თეორიის მიმდევართ, ვინაიდან თეორიის და პრაქტიკის ერთი მეორესთან დასხვავებულნი არიან;—მაგრამ მანინ საჭიროა უთუოდ ერთი მეორისაგან გაჯანჯიოთ თეორიის მიმდევარნი, რომელნიც თვითონ კანონებს შემოქმედებენ და დაადგენენ, ნამდვილ კრიტიკოსთაგან, რომელნიც ამ უკვე მზად შემოქმედებულ კანონებითა სარგებლობენ, რომ სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა შესახებ სჯა იქონიონ; გარდა ამისა საჭიროა მთლად მოკაშოროთ ამითი ფილანთროფოსნი, რომელთა ზეგავლენაც ცოტად თუ ბევრად ეგელას ეტყობა.

II

ახლს თეორიის მიმდევართა და კრიტიკოსთა შორისა გადაჯათვალდებოთ. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოები უნდა განჯიონ. ვინათ, რაგორ მოებრძობიან ერთნი ან მეორენი?

უბირველეს ყოვლისა ჩვენ ვინით, რომ დიდნი მწერალნი კაცის ცნობრებას ნათლად და ცოცხლად დაგვიხატებენ ხოლმე. დიდნი მწერალნი, რომელთაც შესანიშნავი ნიჭი აქვთ დაკვირვებისა, ყოველს კაცში, ვინც უნდა იყოს იგი და რომელს ქვეყანასა და ეპოქასაც უნდა ეკუთვნოდეს, აღმოაჩენენ ხოლმე ისეთს საკაცობრიო საყოველთაო ხასიათს, რომელსაც თვითეული ჩვენგანი ჰპოვებს თავისში. ამავე დროს დიდის ნიჭის პატრონს შეუძლიან შეჭმინას სრული ინდივიდუალური ტიპი, ვინაიდან ეპოქა, რომელიდანაც იგი ამ ტიპს გვიხატავს, სავსებითა აქვს შესწავლილი. რადესაც ამ გვარს ნაწარმოებებს გვიცინობთ, ჩვენ უკვე შეგვიძლიან თვით იდეათა თანდათანობითი განვითარებაც შევისწავლოთ; ამ ნაირად ჩვენ ვიცნობთ მთელის ეპოქისა, ანუ ერის სულსა და გულს; ვხვდებით,



თუ ადამიანის ხასიათზე რა ზედგაკლენას იქონიებენ სოღმე პოლიტიკური და სოციალური პირობები.

ეს კიდევ აზრადი: ამა თუ იმ სურათითა მსატრობრივისა და მართლის აღწერით, კეთილისა და ბოროტის უტყუარად დასურათებით, რომელნიც მუდამ ერთურთს ებძვიან და თანდათანობით იმარჯვებენ ერთი მხარეზედ, — დადნი მწერალნი გონებას გვიანთლებენ და ამ რიგად ყოველისთვის შესახებ, რაც კი ჩვენს გარშემო ჰსდება, შეგვიძლიან ახგარიში მივცეთ ჩვენს თავს.

დასასრულ, დადნი მწერალნი თავისი ნაწარმოებით გვიღვიძებენ უძალესსა და უწმინდესს გრძობას — აღტაცებისას. იმ დროს, როდესაც გვასწავლიან, ცდილობენ თითქმის რაც შეიძლება მეტი სურვილი გაგვიღვიძონ მათის კითხვისა, დაგვატყუონ. მაგრამ იმავე დროს, როდესაც მშენიერობის წინ თავს გვასრუებენ, გვასწავლიან, თუ რა რის ჭეშმარიტება, რა არის სიკეთე. ამ რიგად მათ შეუწყურთ ხელოვნების იმ მომხიბლველსა და ჯადოქრულს სამოღლებელში, რომელიც მათს გენიოსურს ნიჭს დიდებულისა და აღმაფრთხიანებელ სურათებით შეუქმნა.

ამ რიგად დადნი მწერალნი გვიხატავენ ნამდიდესსა და მუდმივს სურათს ადამიანის გულისას, გვიწერენ ისტორიას იმისას, თუ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში როგორ იცვლებოდა კაცა; გვიხატებენ დაუსრულებელს ბრძოლას კეთილისა და ბოროტის შორის, გვიხატავენ სსვა-და-სხვა ბრწყინვალე სურათს მშენიერობისას, რომლის მიმართაც თვითიული ჩვენგანი ისწრაფვის ოცნებით.

ამიტომაც კრიტიკა სსვა-და-სხვა გვარია სოღმე.

ერთი ნაწილი კრიტიკოსთა მხოლოდ ნაწარმოებთა გარეგნობას — სტილს აქვეყნენ ყურადღებას: ამათი ყურადღება იმაზეა მხოლოდ მიხედობილი, რომ ნაწარმოები ლამაზად იყოს დაწერილი, სსაიმოვნო საკითხი იყოს. მათის აზრით, მწერალს მეტი აღზარა მოეთხოვება-რა, თუ რომ ნაწერი მისი გვატეობს, თავისი სილამაზით გვაკმაყოფილებს. ეს არის უმთავრესი საგანი ხელოვნებისა. ამ შემთხვევაში თუ კრიტიკოსი თავისს რჩევას აძლევს ავტორს, ურჩევს მხოლოდ, თუ როგორ გაამშენიეროს გარეგნული ფორმა. ხოლო თუ აქებენ, ან ამაგებენ ნაწარმოებს, ეს ნიშნია იმი-



სი, რომ ნაწარმოები ან უსლავდება, ან-და მეტად დასცილებია იმ იდეალურს სილამაზეს, რომელსაც კრიტიკოსი ადარებს. ეს არის კრიტიკა ესტეტიური.

მეორე წიგნა კრიტიკოსთა კვათხება ავტორს, თუ მისი ნაწარმოები რა სასარგებლო ცოდნას სძენს მკითხველს საზოგადოებასა. ასეთის მიმართულების კრიტიკოსნი თხოულობენ, რომ ლიტერატურა უზიარებლეს ყოველისა ზნეობრივს განიხილოს ჭქადაგებდეს. მათის აზრით, ლიტერატურას საგნად მხოლოდ ის უნდა ჭქმოდეს, რომ რაც შეიძლება განუძვობესოდ ადამიანი. ეს არის კრიტიკა მორალისტური (ზნეობრივი) ანუ ტენდენციოზური.

მესამენი ცდილობენ ნაწარმოებში ისეთი რამ აღმოაჩინონ, რაინც ეზოჭას ან ერეკნებას ახასიათებენ. კრიტიკოსნი ასეთის მიმართულებისანი სწავლობენ მწერალს და მასთან ერთად იმ გარემოებას, რომელშია იგი სტანოვებდა, აჩვენებენ, თუ ამ გარემოებაში რა ზედგაგეზნა იჭონის მასზედ. ეს არის კრიტიკა ისტორიული.

დასასრულად, მეოთხეთა ეურადლება იმაზეა მიბურობილი, რომ საგანი სინამდვილით იყოს დასატული. ამ რიგ ნაწარმოებში იგინი ერთი მხრივ ეძებენ, რომ გატარებულა იყოს ხასიათი, რომელიც ყოველისავე ადამიანის ეუთგინილებს შეადგენს, ხოლო მეორე მხრივ დასურათებულა იყოს ის განსაკუთრებულა თვისებებიც ხასიათისა, რომელთაც ერთი ადამიანი მეორესაგან განიჩქევა. ეს არის კრიტიკა ფსიხოლოგიური.

საფრანგეთის ლიტერატურაში ამ ოთხ გეარ კრიტიკის ტიპიურ წარმომადგენლებად სარსე, დიუმა-შვილი, ტენი და ბურჟე აჩიან.

სარსე თავისს თეატრალურ ფელეტონებში უბრალად აჩვენებს, კარგია ბიესა, თუ ცუდი და რისათვის. იგი მართლაც-და შესანიშნავის სელაჩებთა და სიმისკილით უჩვენებს როგორც დირსებას, ისე სუსტს მხარეს ნაწარმოებისას. კრიტიკოსს, უმთავრესად, ანტერესებს ის—უზოჩნია, თუ არა მწერალს ძარღვი საგნისა, აუხსნიან იგი ჟურეკანად და გაუკვლეკია, ცოდნალი სტენები აქეს, თუ არა, ან რამდენად კარგად ბოლოვდება ბიესა და რამდენად ეთანსმება ასეთი დაბოლოვება ბიესის უმთავრეს აზრს.



როდესაც დიუმა თავისა, ან სხვის ნაწარმოებებს აჩვენებს, იგი უშიშრეულეს ყოველისა იმას აქცევს ყურადღებას, თუ როგორს ზედგაულებს იქონიებენ იგინი ხალხის ზნეობაზედ — კარგსა, თუ ცუდსა. ამ რიგად, დიუმის შესუბუღებით, მიწრაფი ჯერ ზნეობის მჭადგებელი უნდა იყოს.

ტენი ცდილობს ის «ძირითადი მალტივი» გამოსძებნოს, რომელიც დროისა და ეროვნების ზედგაულების ნაყოფია.

ბურჟუა თავისს რომანებში «სულის გითარებას» გვიხატავს; სოლო კრიტიკულს წერილებში გვიმტვიცნებს, რომ უშიშარტესობა იმ რომანისტებს უნდა მივანიჭოთ, რომლებიც ადამიანის სულის ნათლად დაგვანახებენ.

ამ ოთხგვარ კრიტიკას შეიძლება დავმეტოვოთ კიდევ ერთი სხვა, სულ მთლად ახალი; ეს არის მეცნიერული სალიტერატურო კრიტიკა (თითქმის საოცრად გრძობათ განა, ეს ორი ტერმინი ერთად როგორ მოთავსებულა — ?); მართლაც და საოცარი იქნებოდა, რომ ვუკვლას, ვინც კი გარემოებათ აკვირდება და ისე სწავლობს, არ ესმოდეს, რომ მეცნიერული ფორმა, რომელსაც ზოგიერთნი კრიტიკოსნი ხმარობენ, მხოლოდ გარეგნობას, ტყუილ, რომელშიაც იგი ესვენა. ამ ჩვენს საუბრებში, როდესაც ვუკვლავ მეცნიერების წინსვლათ თავბრუ-დასხმულია, ხსენებულ კრიტიკოსთ ჰსურთ ლიტერატურული ნაწარმოები ისეთის სინამდვილითა და მძინარედ იყოს აშენებულ-შეწონილი, როგორც მას სრულიად არ უხდება და არ უდგება, ამით ჰსურთ, მიწრდები ანგარიშს აძლენენ კრიტიკას, როგორც სა-მეცნიერო მონოგრაფიას; მიწრდები კი ზიზღით უხვასუხებენ, რომ ამგვარი თავისებური «მონოგრაფიები» არამც თუ არაფერს ამტვიცნებენ, ზიზღით არ შეუძლიანთ დაამტვიცნონ. ამ შეთხვევაში მეცნიერება სრულიად უნდა გაუქნაბიროთ მას, რაცა მხოლოდ მისს ფორმასა ჰბამავს: შეიძლება სინაფასს სწავლას (მოდერნობას) ისეთივე ფორმა მივცეთ, როგორც გომეტრიულს ტრანსტანს, ფორმულიებითა, თერეუმებითა და სწინააღმდეგე დამტვიცნებებით ავასოთ და სს.; მაგრამ რა გამოვიდა, რომ მოძღვრებას მანც მათემათეურს ტრანსტანს სავრთხ არა ექმნება. რა. ასევე ითქმის «სამეცნიერო კრიტიკის» შესახებაც.



ასეთის კრიტიკის წარმომადგენელია ერთის მხრივ ტენი, სო-
ლომეოვი მხრივ ბრაუნეტიერი, რომელთაც თავისს მეთოდს დო-
ქტრინული ხასიათი მისცეს. პირველმა ამთავანმა ეს მეტადი თავის
«ინგლისის ლიტერატურის ისტორიის»*) წინასიტყვაობაში
მოათავსა, სოლომეოვი აღნიშნა იგი თავისს შრომაში «სხვა-და-
სხვა გვარ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ევოლიუციისა»-ში.

არ შეიძლება განსაკვირვლად არ დარჩეს ადამიანს ის გარემოება,
თუ ან ერთსა და ან მეორეს რა შესანიშნავის წუობილებითა აქვს
აშენებელი ეს თეორია და შემუშავებული ფორმები. მაგრამ ტენის
კარგად იცნობდა, რომ მისს თეორიას ნამდვილი და სასტიკი მეც-
ნიერული ნიადაგი არა ჰქონდა, რადგანაც ერთი და იგივე ერთი, ერ-
თისა და იმავე ადგილასა და ერთსა და იმავე დროს სრულიად სხვა-
და-სხვა ტემპერამენტის მწერლებს შექქმნის სოლომეოვი. ამისათვის ტე-
ნიმ თვითონვე შეიტანა მცირე შესწორება თავისს თეორიაში. ერთი
მწერლების ხასიათს აქვითათა ჰქსნიდა; სოლომეოვი წინასიტყვაობის
ხასიათს რეაქციით. მაგრამ, ექვი არ არის, აქვითასა და რეაქციას
ერთი და იგივე მიზეზი ვერ შექქმნიდა.—ბრაუნეტიერმა იცის, რას-
კვირვებდა, რომ მისს თეორიას სხვა-და-სხვა გვარ ლიტერატურულ
ნაწარმოებთა და დარჯინის სწავლას მხოლოდ სასული აქვთ საერთო,
თუმცა თვითონ კრიტიკოსი კი ამბობს, რომ იგი დარჯინის მეთოდ-
ითა სემპლურად და სარგებლობს. მართლაც-და, უკველივე
მეცნიერული სისტემის უტყუარს ფაქტებსა და მყარებული, რომლებ-
ბიც, როგორც უტყუარნი, უცვლელადაც უნდა დარჩნენ. ამ რიგად
ბრაუნეტიერის მოკლენათავან, რომლებიც შეიძლება გამოვარებულ და გასი-
ნჯულ იქმნან, თვითონ განიხილავს გამკაცრებულ. სალიტერატურო კრიტი-
კაში კი სრულიად სხვასა ვხვდებით. კრიტიკა უტყუარს ფაქტებსა
კი არა, შემოქმედებისა და ოცნების ნაწარმოებ-ნამოქმედარსა და
მყარებული, ესე იგი ისეთ ფაქტურებსა, რომლებსაც სასტიკი ინ-
დივიდუალური ხასიათი აქვთ. ახლა ამას თვითონ კრიტიკოსის პი-
რადი მხატვრობრივი გამოვლენაც უნდა დაუშვით. ამიტომაც ფი-
სიკა და საბრაუნეტიერული ისტორია საკაცობრივი და საყოველ-

*) ეს შრომა რუსულადაც არის ხითარგმნი შემდგომის ხითაურით: «Развитіе политической и гражданской свободы въ Англіи».

თავი შენიღბულია შეადგენენ, თუ რომ იგინი სწორედ უტყუარს ფაქტებსად არიან აშენებულნი. არ არსებობს ქართული ფიზიკა ანუ კიდევ ფრანგული გეომეტრია, მაშინ როდესაც ვიცით, არსებობენ კარგად წოდებული ბერძნული, ანუ ჰეტიკური სელოკნება, რასინისა და შექსინის თეატრი, რომელთაგანაც თვითიული სხვა-და-სხვა აზრის მქონეა და ამიტომაც იგია გამომსატყუალი შედარებითი ჰე-შმარბიტებისა. ამისათვის თავისუფლად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ არც ტენისა და არც ბრიუნეტერს ჩვენთვის შენიღბული კრიტიკა არ მოუციათ და კარც თუ მოგვცემენ, თუცა ერთიცა და მეორეც შე-ნიღბულს საშუალებათ სმარობენ თავისს შრომაში. სწორე რომ ვთქვათ ვი, ბრიუნეტერის კრიტიკა ესტეტიურია, ხოლო ტენისა ისტორიული.

ის ოთხი სხვა-და-სხვა გვარი კრიტიკა, რომელიც ზემოდ აღ-გნიშნეთ, სრულიად სხვა-და-სხვა მხრივ ეხებიან და სჯიან სჯიანს. ჩვენ ქვევით გნახავთ, რომ სელოკნური ნაწარმოები შეიძლება სხვა-და-სხვა გვარად იქმნას დაფასებული ესტეტიკოსისა, მორალისტისა, ისტორი-კოსისა და ფსიხოლოგისაგან. მიზეზი ამისი ის არის, რომ სხვა-და-სხვა ნაირად ესმით სელოკნება, ზნობა, აგრეთვე ისტორიაცა და ადამიანის გულიც. როდესაც კრიტიკოსი - ესტეტიკოსი რომელსამე ნაწარმოებს არჩევს, არჩევს იმ მშენიერობის იდეის მიხედვით, რომელიც მას შეუთვისნია, არჩევს იმდენად მართლად, რამდენად მარ-თლად თვითონ აქვს იგი შეგნებულნი. მაგრამ ყველა ესტეტიკოსნიც ერთისა და იმავე აზრისანი როდი არიან მშენიერობის შესახებ. ზოგიერთთა აზრით, მშენიერობა ძველებურს ნამოქმედარშია. რამდე-ნადაც ნაწარმოები ძველებურს ნიშნებს უსლოვდება, მით უფრო უკე-თესი და უძველესია. ხოლო სხვანი, მაგალითად ბუალო, თხოუ-ლობენ, რომ ყოველივე ნაწარმოები სასტიკად იქმნას განხილული გონების კრიტიკისაგან.

„Aimez donc la raison; que toujours vos écrits
Empruntent d'elle et leur lustre et leur prix“.

ამოხსნ „L'Art poétique“ - ის ავტორი. მესამეთა აზრით, მშენ-იერობა მხოლოდ მაშინ მიეწერება, როდესაც ნაწარმოებს ქრისტიან-



ნობის ნიშანი ექმნება (შატობრინი). სწორედ გასაკვირველია, რომ ესმით მშვენიერება ასე სხვა-და-სხვანაირად. მეორე მხრივ, არა ნაკლებ გასაკვირველია ისიც, თუ როგორის სისასტიკით ებურობიან ნაწარმოებს კრიტიკოსნი, რომელთაც სულ სხვა-და-სხვა გარე წარმოდგენა აქვთ მშვენიერობის შესახებ. ერთი ჭკუნებს, კრიტიკას დამცირებს, თუ რომ სულ მცირე ნაკლს მანც არის არ უჩვენებს თუნდაც უდიდეს ნაწარმოებში; იგი არც ერთს უხერხულს ადგილს არ ამატიებს ატორს. ეჭვი არ არის, ამას იმიტომ კი არა სჩადის, რომ თავი მოიწონოს და თავისი რჩევა და დანიგება მისცეს ატორს, არამედ აიძულებს ზოგოებისონადღური კეთილსინიდი-სიერება. მეორე კი მსატკრებრივის ნაწარმოების ხასიათს აძლევს კრიტიკას; აქ მას მსკვილი ჭკუა და დიდი გემოვნება აიძულებს. ამ დროს იგი გატაცებულია იმ შთაბეჭდილებით, რომელიც ნაწარმოებში იქონია, და ამიტომაც არავითარან სისტიკით არ სელმძღვანელობს, რადგანც არჩევს. რომ შედარება არ დასწამონ, ცდილობს იგი დოღმატიურის მხარეს კრიტიკისას გვერდი აუხვიოს და აღარც კარდაწვეკტილს მსჯავრსა სდებს. მაგრამ მკეთხველი მანც ჭხედავს, თუ კრიტიკოსს რა დიდად ასიამოვნებს და ატებობს ღამაზა ნაწარმოები. ამავე დროს ჭხედავს იმასაც, რომ კრიტიკოსს შეუძლიან სხვასაც დაანახვოს ეს სიღამაზე. მესამე კრიტიკოსი უფრო სხვა-ფრივ იქცევა: იგი სელმძღვანელობს ლოღიკით, სსსტიკისა და ძლიერის გონებითა და იმ მრავალგვარის ცოდნით, რომელიც მას სელთა აქვს და ამგვარად იკვლევს, თუ სსენებული ნაწარმოები რა ხასიათისაა, რა ჯურის ნაწარმოებთ ეკუთვნის, ან რა ადგილის დაჭერა შეუძლიან ლიტერატურაში. ამ რიგად იგი ცდილობს მეთხველს ცოდნა შესმინოს და არა აღიტაცოს, როგორც ზემოდ აღნიშნული მეორე კრიტიკოსი ცდილობს. როგორც ცხოვრებას, ასევე კრიტიკასაც თავისი ობტიმისტები და შესიემისტები ჭეავს; ამგვარსავე უთანხმოებას აკვდავთ ზნეობის მქაღმებელ კრიტიკოსთა შორის.

ამ კრიტიკოსთა შორის ერთნი იმ აზრისანი არიან, რომ კაცს ბოლოტისადმი უფრო მეტი მიმართულება აქვს, რომ იგი ბუნებითვე წარმოადგენს ცხოველს, რომელსაც გასწორება და გამოკეთება სჭი-



რია. სოფლო მეორენი დაწმენებულნი არიან, რომ გაცი ბუნებით კეთილნი; მათის აზრით, განათლებას დამნაშავე და მიზეზი იმისა, რომ ადამიანმა განვითარების მაგივრად უკან დაიწია, ცუდი ზნე-ჩვეულება მიიღო. ამიტომაც ურჩევენ ეს უკანასკნელნი, ვაცობრიობა ისევე იმ ძველს ნეტარს დროს დაუბრუნდეს. არიან ისეთებიც, რომელნიც ყოველისთვის წმინდა სიძარტლეს ამსხვერპლებენ და თხოულობენ, რომ ადამიანმა ყოველივე, — რაიცა კი მისთვის სსსარგებლად, — კეთილსა და მოკალეობასა დაუმორჩილოს. მაგრამ არიან ისეთი კრიტიკოსნიც, რომელნიც ყოველს უწინარესად ნაწარმოებისაგან სარგებლობას თხოულობენ; მათის აზრით, სიკეთე იგივე სარგებლობას, მხოლოდ გონიერულად შეთვისებულ-შეგნებულად. მოიხვედებიან იმგვარი კრიტიკოსნიც, რომელთაც ჰსურთ მწერალმა ინდივიდუმი გამოაკეთოს, დაგვემხროს ჩვენნი ცუდნი მიდრეკილებანი და ვებანი როგორმე დაძლიოთ, დავივიწყოთ. სხვანი კი სრულიად სხვასა თვებობენ: მათის აზრით, ლიტერატურა უნდა ცდილობდეს საზოგადო წეს-წყობილება შესცვალოს, იგი უნდა იყოს მსხარობელი ახლის რეფორმებისა და კანონებისა.

ისტორიული კრიტიკაც მრავალგვარია. ერთი ამ სკოლის მიმდევართაგანნი უმთავრესს ყურადღებას აქცევენ იმას, თუ სხენებულს ავტორზე რა ზედგავლენა მოუხდენია ეროვნებასა და ჰასას; სოფლო მეორენი იღვასთა და გონებრივ მოძრაობათა ზედგავლენას აქცევენ უმთავრესს ყურადღებას. ერთი აქცევენ ყურადღებას იმას, თუ სხენებულს ავტორზე როგორ უმოქმედნია ამა თუ იმ საზოგადო წეს-წყობილებას, ამა თუ იმ პოლიტიკურს მოკლენას და აქედან თვით ნაწარმოებისა ცოცხალურ ცხოვრების ამა თუ იმ თვებტორითა ჰსსნიან. სოფლო მეორენი ვერ ავტორის ბიოგრაფიას (ცხოვრებას) სწავლობენ, რომ ამ რიგად მისის ჩვეულებით, მიდრეკილებითა და ყოველდღიური ცხოვრებით ავსისსან თვით სსსათათი მისის ნაწარმოებისა.

დასასრულს, ფსიხოლოგიური კრიტიკა ცდილობს ნაწარმოებში ან საკაცობრიო სსსათათი აღმოახინოს, ან არა-და ის ზირადი მიდრეკილებანი და ჩვეულებანი, რომლითაც ერთი ინდივიდუმი მეორისგან, ან უმრავლესობისაგან გაიჩნება. ფსიხოლოგიური კრიტიკა



ან სწავლობს ისეთს მოკლენათ კაცში, რომელნიც მისს ნებაზედ არიან დამოკიდებულნი, სწავლობს თუ რა ზედგაგლინა აქვს მას ბუნებაზედ; ან არა-და იკვლევს, თუ რას წარმოადგენს ადამიანი, როგორც ნაყოფი სხვა-და-სხვა გარეგან ზირობათა, რომელთაც ზიარდობა ადამიანისა, მისი ნება დაუძლევიან. კრიტიკოსი-ფსიქოლოგი ნაწარმოებს ან ისე არჩევს, როგორც თანამედროვე ავტორისა, ან არა-და თავისის დროის მისედვიით, და ამ შემთხვევაში ცდილობს რაიმე სულიერი ერთობა უზოვნოს ავტორსა და თავისს დროს. ზირკულს შემთხვევაში, ესე იგი როდესაც კრიტიკოსი ავტორის თანამედროვე ხდება, ნაწარმოები უთუოდ მოწონებულად იქმნება, თუ იმ წარსულის დროის სულთა სწრაფა ავტორს კარგად აქვს დახატული. ხოლო რაც შეეხება უკანასკნელს შემთხვევას, ესე იგი როდესაც კრიტიკოსი ცდილობს რომელიმე ძველი დროის ნაწარმოები ახალი დროის მოთხოვნილებას შეუწინაოს, ესე კი ცოტა არ იყოს საფრთხილოც და საშიშოც არის. სარსემ კარგად დამტკიცა ეს, როდესაც რასინის ტრაგედია «აფოდია» გარჩია. სან-და-ხან კრიტიკოსი-ფსიქოლოგი თხოულობს, რომ ავტორმა რაც შეიძლება დაწვრილებით შეისწავლოს ადამიანის გულის ყოველივე ძარღვის ცემა, მისი დაფარული მხარე გაიხრის, ხოლო სხვა დროს კმაყოფილია სრულიად, თუ რომ ავტორი გვიჩვენებს გულის უმთავრესს ხასიათს, გვიხურათებს და ცოცხლად გვიჩვენებს მხოლოდ ერთს რომელსამე ვნებას.

ინ-ანი

(დახასრული იქნება)



სსმპრიბა და მწირობა

(ბ. ნ. ჟორდანიის ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრება).

II

1894 წლის „მოამბის“ მე-V-VI ნომრებში ბ. ნ. ჟორდანიამ დასტამბა სტატია, რომლის დედა-აზრი ჩვენ მეტად ცალ-მხრივი გვეჩვენა. ამიტომ იმავე წლის „კვალის“ მე-49-52 ნომრებში პასუხი გავეცით ბ. ნ. ჟორდანიას. რამდენადაც ვიცოდით ჩვენი მწერლობის საქმე, ბ. ნ. ჟორდანიამ მაშინ პირველად გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. ამიტომ გვეგონა, რომ ახალგაზდა, ჭაბუკი, რომელიც მთელი ახალგაზდური თავდავიწყებით ეძიებს აზრი და მიზანი უპოვოს ცხოვრებას, ცალმხრივობას, ერთ-მაგობას გაუტაცნია-თქო. გვეგონა, პირადობა, ლანძღვა და უწმაწური სიტყვები კი არ ამოქმედებს ასეთ ახალგაზდას, არამედ ძლიერი და ღრმა სურვილი სიმართლე, ქეშმარიტება გამოარკვიოს თავისთვისაც და სხვებისათვისაც, სიკეთე და სარგებლობა მოუტანოს თავის თავსაც და სხვებსაც. ამიტომ, როგორც საკუთარი სულისთვისაც გვაძულვებდა, ბ. ჟორდანიას ვუჩვენეთ შეცდომა დიდი ზრდილობით, თავაზიანობით და, რამდენადაც შესაძლო იყო, საბუთიანადაც. ასე ვფიქრობდით ჩვენ. მაგრამ ჩვენი ფიქრი ტყუილი გამოდგა. ბ. ნ. ჟორდანიამ „პასუხი“ გაგვცა. მაგრამ იცით კი, მკითხველო, ეს რა პასუხია? მთელ ხუთ ნომერში სტატია გააქიანურა და იგი მხოლოდ ლანძღვაზე, უზრდელად მოხსენებაზე, უწმაწურად გინებაზე ააგო. მისმა ასეთმა საქციელმა განცვიფრებაში მოგვიყვანა იმიტომ, რომ შეცდომის ჩვენება ყველას



შეუძლია და, მაშასადამე, ჩვენც გვქონდა ეს უფლება. ის ცვიცოლით, რომ ბ. ნ. ჟორდანიას უცოდველი პაპი როდია. ამიტომ დანაშაულობად არ უნდა ჩაგვთვლოდა, თუ ვიფიქრეთ, რომ იგი უცოდველი, შეუცდომელი არ არის. მაგრამ ნუ იტყვი! ბ. ნ. ჟორდანიას თურმე თავისი თავი უცოდველი და შეუცდომელი ჰგონია, იგი თურმე მხოლოდ სრულ მორჩილებას მოითხოვს ყველასაგან, და ეს მორჩილება რომ ვერ ჰპოვა ჩვენში, ამიტომ მოგვდგა ლანძღვას, გინებას... საცოდავი, ამით ფიქრობს საქმე წინ წასწიოს, „მეცნიერობა“ დაიმსახუროს! ღმერთმა მშვიდობა მისცეს! ჩვენ არც ასეთი „მეცნიერობა“ გვსურს და არც შეგვშურს იგი. ყველა, ვისაც კი მიუდგომელობა რაიმე გააჩნია, კარგად შეამჩნევს, რომ ჩვენს სტატიაში არც ერთი სიტყვით, არც ერთი ფრაზით ბ. ნ. ჟორდანიის პირადობას, მის გონებას თუ ზნეობრივობას არ შეეხებოდა. ჩვენ გავითვალისწინეთ მხოლოდ მისი მოსაზრებანი და მსჯელობა და მათს აკარგოანობაზე ვსაუბრობდით. ბ. ნ. ჟორდანიამ კი კამათობის წესს, ადამიანობის ღირსებას, სულ უბრალო ზრდილობასაც გადალაჯა და მოგვდგა გინებას, დავიწყა ლანძღვა. ეს მხარე ჩვენი და ბ. ნ. ჟორდანიის სტატიებისა მკითხველის სამართლიანობის გრძობაზე მიგვინდვია. ჩვენ კი ბ. ნ. ჟორდანიას სამაგიეროს არ ვადვუხდით. ლანძღვა-გინებით ხომ სიმართლე არ გამოირკვევა. ჩვენ კი პირადად ყოველთ უწინარეს სიმართლე, ქეშმარიტება გვაშოქმედებს, გვაწერინებს, გვამუშავებს...

ახლა კი ბ. ნ. ჟორდანიის საპასუხო სტატიაზედ გადავიდეთ. მივყვით ავტორს კვალ-და-კვალ და გამოვარკვიოთ მისი მოსაზრებათა სიმართლე-სიმრუდე.

ჩვენს სტატიაში შევეხეთ ეკონომიურ მატერიალს. ცალ-მხრივობას ახლა, ვიდრე წინ წავიდოდეთ, ჯერ ტერმინი უნდა გავარკვიოთ, რადგან ბ. ნ. ჟორდანიამ, ბელტოვის აყოლით, ეს ტერმინი, ჩვენ მიერ ჩვენს მწერლობაში პირველად ხმარებული, საცილობლად დაინახა. ბ. ნ. ჟორდანიას გვიპასუხებს: „ქვა-კუთხედი ეკონომიური მატერიალიზმისა მდგომარეობს იმ მოსაზრებაში, რომ მიზეზი და შედეგი მჭიდროდ

არიან შეკავშირებულნი. მიზეზი ხშირად შედეგად (3)ხდება და შედეგი—მიზეზად. ესენი ერთმანეთის ადგილს იქერენ... ამ სახით ეკონომია (3)ხდება მიზეზად პოლიტიკის(ა), პოლიტიკა კი ეკონომიის(ა)*. ბარემ აქვე აღენიშნოთ, რომ ბ. ნ. ჟორდანიას აქ მტკნარ სიცრუეს გვეუბნება, რადგან ის აზრი, რომ მიზეზი და შედეგი მკიდროდ არიან დაკავშირებულნიო, ქვაკუთხედია ჩვენი მოსაზრებისაც, თუმცა ჩვენ ეკონომიური მატერიალიზმის მიმდევარნი არა ვართ. ეკონომიური მატერიალიზმი როდია ევოლიუციონური მოძღვრება, მაგრამ ეს აზრიც უმეტესად ამ უკანასკნელის ქვა-კუთხედია. მაშასადამე, ეს მოსაზრება ნიშნობლივ თვისებას, აუცილებელ კუთვნილებას როდი შეადგენს მხოლოდ ეკონომიური მატერიალიზმისას. იმასაც ამჩნევს მკითხველი, რომ ბ. ნ. ჟორდანიას აქ ერთგვარ მნიშვნელობას აწერს პოლიტიკასა და ეკონომიას. ჩვენ ქვევით ვნახავთ, რომ სწორედ ამ უკანასკნელი მოსაზრების წინააღმდეგია ეკონომიური მატერიალიზმი, წინააღმდეგია აგრეთვე ბ. ნ. ბელტოვიც და თვით ბ. ნ. ჟორდანიაც, თუმცა იგი აქ ასე სხარტად გვეუბნება პოლიტიკისა და ეკონომიის ერთგვარ მნიშვნელობაზე. მაგრამ ჩვენთვის ახლა უფრო საგულისხმო ის სხოლიოა, რომელიც სწორედ ამ ადგილს აქვს ბ. ნ. ჟორდანიას. ეს სხოლიო პირწმინდად, სიტყვა-სიტყვით გადმოსტამბული აქვს ბელტოვის წიგნიდან, და თავის აზრად კი მოაქვს. აი, ეს სხოლიოც: „ამ მოსაზრებას ეწოდება დიალექტიკური შეხედულება, წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, რომლის შეხედულებათ, მაზეზა მუდამ მაზეზად რჩება, შედეგი შედეგად. უკანასკნელს არა აქვს გავლენა პირველზე, პირველი დამოკიდებულია მეორისაგან. ამაზე იყო აშენებული მე-XVIII საუკუნის მატერიალიზმი. ამ მეტაფიზიკურ მატერიალიზმს ეწინააღმდეგება თანამედროვე დიალექტიკური მატერიალიზმი, რასაც (თუ რომელსაც?) შეცდომით უწოდებენ ეკონომიურ მატერიალიზმს, ეს შეცდომაა. ჩვენ ვხმარობთ ამ ტერმინს იმიტომ, რომ ჩვენს მწერლობაში უკვე შემოიტანეს (ვინ შემოი-

*) იხ. „კვალი“ № 19. გვ. 18.



ტანა, ბ. ნ. ჟორდანიანი? რად ინებეთ, რომ ეს მცირე და სულ უბრალო ჩემი მნიშვნელობა სხვებს გაუზიარეთ!), ხოლო ამ ახსნას შემდეგ ვიხმართ მის ნამდვილ სახელს.*) აქვე მოვიყვანოთ ბ. ნ. ბელტოვის სიტყვებიც და ამ თავიდანვე აღვნიშნოთ, თუ რაოდენად დამოუკიდებელი ბრძანდება ბ. ნ. ჟორდანიანი. ბ. ნ. ბელტოვი თავის თხზულების „Къ вопросу о развитіи монистическаго взгляда на исторію“—მც-232 გვერდზე სხოლიოშივე სწერს: „ჩვენა ვხმარობთ ტერმინს „დიალექტიური მატერიალიზმი“, მხოლოდ ამ ტერმინს შეუძლიან სინამდვილით აღნიშნას ხასიათი მარქსის ფილოსოფიისა. გოლბახი და გელვეცი იყენნ მატერიალისტები-მეტაფიზიკება (ხაზ-გასმულია თვით ბ-ნ. ბელტოვის-მიერ). ამათმა მატერიალიზმმა აღვლი დართმო დააქტაურ დაქაღაშმს, რომელიც, თვისისა რიგისამებრ, ძლეულ იქმნა დააქტაურ მატერიალიზმასაგან. ტერმინი „ეკონომიური მატერიალიზმი“ მეტად უხერხულია.“ როგორც ხედავს მკითხველი, ბ. ნ. ჟორდანიას უნაკლულად აქვს განმეორებული ბ. ნ. ბელტოვის სიტყვები. იმასაც ამჩნევს მკითხველი, რომ ფილოსოფიის თანდათან ი განვითარება ბ. ნ. ბელტოვის-მიერ ჰეგელის ტირადაზვა აგებული: ტუხისია—მეტაფიზიკური მატერიალიზმი, ანტიტუხისი—დააქტაურა იდეალიზმი, ხოლო ამ ორი მოწინააღმდეგე შედარების შემარიგებელი სინტეზი კი—დააქტაურა მატერიალიზმი.

ბევრი, ძლიერ ბევრი მოვლენაა, სადაც მართლა მიზეზი მუდამ მიზეზად რჩება და შედეგი შედეგად და უკანასკნელს პირველზე როდი რაიმე გავლენა აქვს. ასეთი მოვლენა, ასეთი დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგ შორის არა თუ მეტაფიზიკმა, თვით უკიდურესმა მატერიალისტმაც უნდა მიიღოს. მაგალითების ძებნა არა გვჭირია. დედა-მიწის ტრიალი ღერძის გარშემო მიზეზია იმ მოვლენისა, რომ ხან დღეა და ხანაც ღამე. ეს დამოკიდებულება ამ ორ მოვლენათა შორის მუდამ ასე შეუცვლელათ რჩება და დარჩება კიდევ: დედა-მიწის ტრია-

*) იხ. „ეკალი“ № 19. გვ. 13. 1895 წ.



ლი მუდამ და მარადის მიზეზი იქნება დღე-ღამისა. უკანასკნელი პირველის ადგილს ვერასოდეს ვერ დაიჭერს. აგრეთვე დედამიწის ტრიალი მზის გარშემო მუდამ და მარადის მიზეზი იქნება და ასედაც დარჩება იმ მოვლენისა, რომ წელიწადის დრონი იცვლებიან. როცა ვხედავთ, რომ შემოსული ყანა ქარისა გამო ლელავს, აქაც ამავე დამოკიდებულებას ვამჩნევთ: ქარი მიზეზია ყანის ლელვისა და პირველი მეორისათვის ასევე დარჩება. დედა-მიწა, თავის მიმზიდველობისა გამო, ცდილობს ყოველი საგანი, რაც კი მის პირზეა, გულთან, წყინტთან მიიტაცოს. აი, ამ მიმზიდველობის ბრალია, რომ მდინარეში წყალი მომდინარეობს ზღვისაკენ, დაბლობისაკენ. მდინარის ნაპირების მიმოხვეულება ყოველთვის და მარადის შედეგი იქნება დედამიწის გულთან მიმზიდველობისა და იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც მომდინარე წყალს გზაზე შეხვედრილი მთა, კლდე და მიწა უწევენ. ცხადია, ბ. ნ. ჟორდანიამ მხოლოდ შეუგნებლად განიმეორა ბ. ნ. ბელტოვის სიტყვები და ამით შეცდომას მიეცა. ბ. ბელტოვისა, მისი და ბ. ნ. ჟორდანიის მამა-მთავრის, ენგელსის განმარტება მეტაფიზიკისა თავისებურია და სიმართლეს სრულებით მოკლებული. მეტაფიზიკის ნიშნობლივი თვისება ის კი არ არის, რომა მას მიზეზი ყოველთვის მიზეზად სწამს. არა. მაგრამ მეტაფიზიკის ასეთი განმარტება, სიმართლის ასეთი გადახრა ენგელსისათვის და ბელტოვისათვის საჭირო იყო. ბ. ნ. ჟორდანიამაც მათი სიტყვები განიმეორა, თვითონ კი როდი ეცადა ეს აზრი მოენელებია. ენგელსს, ბელტოვს უნდოდათ მე-XVIII საუკ. მატერიალისტები მეტაფიზიკებად გამოესახათ, თავის თავი კი ნამდვილ მატერიალისტებად, და ამით სურდათ ფონს გასულიყვნენ.

მართლა, რას წარმოადგენს დიალექტიური მატერიალიზმი? ეს, სხვანაირად რომ ვთქვათ, წინააღმდეგობის მატერიალიზმია. მიზეზი ებრძვის, ეწინააღმდეგება შედეგს, შედეგი — მიზეზს. ამიტომ ხან ერთი დასძლევს და ხან მეორე, ხან ერთი დაიჭერს მეორის ადგილს, ხან მეორე პირველისას. საგანი, მოვლენა ერთსა და იმავე დროს არის და არც არის, არსე-

ბობს და არც არსებობს. საგანის, მოვლენის „არსობა“ გწინააღმდეგება, ებრძვის მის „უარსობას“. ეს „არსობისა“ და „უარსობის“ წინააღმდეგობა მატერიალურად, ნამდვილად არსებობს, ამ წინააღმდეგობაშია ნასკვი ცვალებადობისა და განვითარებისა. საგანი ერთსა და იმავე დროს ნამდვილად, რეალურად, არსებობს, მაგრამ ამავე დროს ნამდვილადვე, რეალურადვე არ არსებობს.*) აი, ასეთ დაუსრულებელ წრეს აკეთებს დიალექტიური მატერიალიზმი, მას კი ჰგონია, ვითომ რასმე ამბობს. ეს მისი სიტყვები მხოლოდ სიტყვებია ყოველ აზრს მოკლებული. ეს წმინდა ჰეგელიანიზმია და, მაშასადამე, უნიადგო მეტაფიზიკა. ბ. ნ. ბელტოვს და მის ამჟამად ბ. ნ. ჟორდანიას მოაქვთ ჩვენთან ეს უსულო და გამოხიზორიკებული მეტაფიზიკა და გვეუბნებიან, ეს მეცნიერებააო, ჩვენ მიერ მიღებული კლევის მეთოდი მეცნიერულიაო. ამ აზრს კი რომ დაგვაჯგრონ, გვარწმუნებენ, რომ საბერძნეთის ფილოსოფოსთა მატერიალისტური მსოფლ-მხედველობა (ჰილოზოიზმი), მე-XVII და XVIII საუკ. დიდებულ მატერიალისტთა მოძღვრება

*) აბა, ჰკითხეთ ერთ-თავიან ტყულებს, ბელტოვ-ჟორდანიას, თუ ასე არ ამბობენ? „ხოლო მეცნიერებამ უკვე იცის, რომ ერთი და იგივე მოვლენა ერთ(სა) და იმავე დროს არსებობს და არც არსებობს. „პოც“ არის და „არაც“. არსებობს—ეს იქიდან სჩანს, რომ მოვლენა სწარმოებს, არ არსებობს—ეს კი იქიდან, რომ ეს მუდამ ცვლილებებაშია, ერთი მისი შემადგენელი ელემენტი ირღვევა და მის ადგილს მეორე, ახალი დგება. ეს რღვევა-შენება, წარსული და მომავალი, რეგრესი და პროგრესი შეადგენს მოვლენის განვითარებას, მის ევოლიუციას. ამ პროცესს გარეთ მოვლენა არ არის. მეთოდი მეცნიერულია“ (იხ. „კვალი“ № 28. გვ. 15. სტ. 2). ეს რა არის? ბოდაა, თუ რა? მეცნიერებამ იცისო, რომ რღვევა-შენება ევოლიუციასაო! თანაც გვარწმუნებს, ეს მეცნიერული მეთოდიო. სიზიფის უნაყოფო და უნიადგო შრომა, მისი აუტანელი ტანჯვა ევოლიუცია ჰგონია და თანაც უსირცხვილოდ, არ წითლდება ისე, გვეუბნება,—ეს მეცნიერებააო. შეიძლება კიდევ გნებავდეთ? აბა, ყური დაუდგეთ: „ნამდვილი გაგებელი მარქსისტი ყოველ მოვლენაში ხედავს ორ მხარეს: პროგრესიულს და რეგრესიულს. როცა ესენი უმადლესად განვითარდებიან, ერთმანეთს უარ-ჰყოფენ და ინგრევა თვით მოვლენა“ (იხ. „კვალი“ № 19. გვ. 15). დიად, პროგრესი და რეგრესი უმადლესად რომ განვითარდებიან, ერთმანეთს დაეუსკაებებიან და მოვლენაც დაიშლება, დაინგრევა. ნეტა ვიცოდეთ, რა და გადარჩება? უეჭველად მესამე დასი ამოჰყოფს თავს... დიად, ძნელია, ძნელი სა-მეცნიერო კვლევა! ეს საქმე გაცილებით უფრო ძნელია, ძნელი, ვიდრე „ფარდების ახლა...“ ბ. ნ. ბელტოვიც იმასვე ამბობს, რასაც ბ. ნ. ჟორდანიას. შეგვიძლიან შეიძველს მიუფითოთ ბ. ნ. ბელტოვის თხზულების მე-71 გვერდზედ.



და თანამედროვე ევოლიუციონიზმი მეტაფიზიკაა... მოდი და ნუ იტყვით, — ჩემი არ გითხრა, გული რით მოგიკლაო! — ჩვენ, მადლობა ღმერთს, ასეთი საქციელით ვეღარ მოგვატყუილებენ და ბებრუცანი მეტაფიზიკას ყოველთვის გამოვიცნობთ. მაგრამ გვებრალებიან ისინი, ვინც მიხვედრილნი არ არიან და უჯვრებენ. ბებრუცანა, კბილებ-ჩარღვეული მეტაფიზიკა ენგელსმა, ახლა კი ბბ. ნ. ბელტოვმა და ნ. ჟორდანამ მატერიალიზმის ჩადრში გამოხვიეს და სურთ ნამდვილ, ქეშმარიტ მატერიალიზმად გაასაღონ. მაგრამ შორს ჩვენგან ასეთი მატერიალიზმი, ასეთი გადახალისებული ბებერი მეტაფიზიკა! ჩვენ მტკიცედ ვადგივართ ხალხის თქმულებას:

„ბებერსა, სასძლოდ მორთულსა
უფრთხილდი, მოერიდეო!

მარქსის მოძღვრებას კი მატერიალიზმი იმიტომ ეწოდება, რომ იგი ისტორიულ და სოციალურ მოვლენათა ასახსნელად განყენებულ მეტაფიზიკურ არსთ კი არ მოუწოდებს, არამედ ცდილობს ამ მოვლენათა მიზეზი მატერიალურ შარახებში, ანუ, როგორც ევოლიუციონისტი იტყოდა, **არსებების შარახებში** იპოვოს, ნამდვილ ცხოვრებაში მოსძებნოს. მაგრამ მატერიალური პირობა ბევრგვარია. მატერიალური პირობაა ფიზიკური არე, მატერიალურია ჩვენი მორალური და ნერვული თვისება, მატერიალურია სხვა-და-სხვა საზოგადოებათა ერთმანეთზე დამოკიდებულება და ზე-გავლენა. ის მოძღვრება, რომელიც მიზეზს ადამიანის განვითარებისას და საზოგადოებათა ცვალებადობისას ეძიებს ფიზიკურ არეში, საზოგადოებათა რთულ დამოკიდებულებაში, ადამიანის ტენისა და საზოგადოდ მისი აგებულების თვისებაში, — უფრო ვრცელია და ამავე დროს მატერიალუისტურიცაა. ხოლო მარქსისა და ენგელსის მოძღვრება კი მხედველობაში იღებს მხოლოდ ერთს, სულ მცირე ნაწილს მატერიალურ პირობათა, **საზოგადოების ეკონომიკას, საწარმოველ ძაღას** და ამ ერთად-ერთი ძალით ცდილობს აგვიხსნას ყოველ-გვარი ცვლილება საზოგადოებასა და თვით ადამიანში.



მარქსი და ენგელსი უარს-ჰყოფენ ფიზიოლოგურსა და მორალურ მატერიალიზმს. ევოლიციონისტი კი მოვლენათა ასახსნელად და გამოსაცნობლად სახეში ღებულობს ფიზიოლოგურსა, მორალურსა, ფიზიკურსა და სოციალოგურ მატერიალიზმს. ევოლიუციონისტი არ ეძიებს მიზეზთა მიზეზს, იგი დამყარებულია სუბიექტისა და ობიექტის თვისება-ხასიათზე და მათი ერთი მეორეზე დამოკიდებულებით და ზედ-მოქმედებით ჰსენის სოციალურ და ისტორიულ მოვლენათ. მარქსმა მხოლოდ ერთი მხარე, ერთი ნაწილი ამ ვრცელი მოძღვრებისა მიიმჩნია, თუ შეამჩნია, და ამ ერთი მხრით ჰსენის ყოველ-გვარ სოციალურ მოვლენას. ეს ერთად-ერთი მხარე, მის მიერ მიჩნეული, არის ეკონომიკა, ეკონომიკური განწყობილება, წარმოების ანაბეზი განვითარება, საწარმოო ძალა. მაშასადამე, სრულებით სამართლიანია, საზრიანია, რომ მარქსის მოძღვრებას ეკონომიკური მატერიალიზმი ეწოდება. ისტორიული მატერიალიზმი ამ მოძღვრებას ვერ დაერქმევა, რადგან ისტორიული მატერიალიზმი უფრო ვრცელია.

თვით ბ. ნ. ჟორდანია, ვიდრე ტერმინს „დიალექტიკურს“ ბელტოვის წიგნიდან ამოიღებდა, ტერმინს „ეკონომიურ მატერიალიზმს“ ხმარობს.

1895 წ. „კვალის“ მე-12 ნომერშია ბ. ნ. ჟორდანის სტატია, რომელშიაც იგი „ივერიას“ ეკამათება. აი, ამ სტატიაში ბ. ნ. ჟორდანია რამდენჯერმე ხმარობს ტერმინს „ეკონომიურ მატერიალიზმს“ და ამავე დროს იგი არაერთარ განმარტებას, არაერთარ სხოლიოს არ უკეთებს ამ ტერმინს. ამოვწეროთ სიტყვა-სიტყვით ბ. ნ. ჟორდანის სიტყვები, თორემ ვშიშობთ, ცილის წამებაში არ ჩამოგვართვას. აი, რას ამბობს ბ. ნ. ჟორდანია: „ჩვენ, ეკონომიური მატერიალიზმის მომხრენი, ვამბობთ.“ „სოციალ-დემოკრატების მოძღვრება შესდგება ორი ნაწილისაგან: ისტორიულ-ფილოსოფიური(სა) და პოლიტიკურ-ეკონომიური(საგან). პირველი შეიცავს თეორიას ეკონომიური მატერიალიზმისას“, ან კიდევ: „ჩვენი წარსულის და აწმყო მდგომარეობის გასაგებათ ვხელმძღვანელობთ ეკონომიურ



მატერიალიზმით.“ აი, ასე ხმარობს ბ. ნ. ჟორდანია ამ ტერმინს და მას იგი არც ფრჩხილებში აქვს მოთავსებული, არც რაიმე შენიშვნა, სხილოა აქვს. დიად, ასე ფიქრობდა ბ. ნ. ჟორდანია მატრში და ამ ტერმინის წინააღმდეგ არა ჰქონდა-რა. ახლად კი იგი აღიჭურვა ამ ტერმინის წინააღმდეგ. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ცხადი და უბრალოა. მაშინ, ე. ი. მარტში ბ. ნ. ჟორდანიას ჯერ მიღებული ან წაკითხული არა ჰქონდა პეტერბურგში გამოცემული წიგნი ბ. ნ. ბელტოვისა, ამიტომ არც იცოდა რამე „დიალექტიურ მატერიალიზმზე.“ აპრილში კი, როცა ბ. ნ. ბელტოვის წიგნი ასე მიეშველა მას, საჭიროდ დაინახა ეკონომიურის მაგიერ „დიალექტიური“ ეხმარა. ისიც არის, რომ ეს ერთ-გვარი თანდია, ერთგვარი ხერხია, მკითხველი გაოცებაში მოიყვანო და ამით დაითანხმო. მართლაც-და, განა შთაბეჭდილებას არ მოახდენს ის გარემოება, რომ ბ. თხა ტერმინს წესიერად ვერ ხმარობს, მე კი, აი, მიყურეთ, მეცნიერი ვარ და საწყენიერო ტერმინს ვესარჩლებია!.. ვინც საქმის გარემოება არ იცის, მას ეს თანდი მოინადირებს და ბ. ნ. ჟორდანიის სასარგებლოდ დაიმორჩილებს. მეტი ხომ არც ამას უნდა-რა?...

როგორც მიუდგომელი მკითხველი ხედავს, ტერმინი— ეკონომიური მატერიალიზმი—კვლავ აღდგენილი და დაცული უნდა იქნეს იმ მოძღვრების დასახასიათებლად, რომლის გულ-უბრყვილო პროზელიტი ბ. ნ. ჟორდანია ბრძანდება. ერთად-ერთი ეს ტერმონია, რომელიც ნამდვილად, სწორი სისრულით ჰხატავს იმ მოძღვრებას, რომელსაც ბ. ნ. ჟორდანია სოციალ-დემოკრატიკა მოძღვრებას უწოდებს და რომლის მამა-მთავრად ფენგელსს აღიარებს.

რაკი ტერმინის სიმართლე აღვადგინეთ, ახლა შეგვიძლიან შევეუდგეთ თვით ბ. ნ. ჟორდანიის მიეთ-მოეთობას.

ბ. ნ. ჟორდანიამ მის მაგიერ, რომ ეკონომიური მატერიალიზმის სიმართლე დაეცვა, საჭიროდ დაინახა ჩვენი სიტყვები და მოსაზრება იმითი გაებათილებინა, რომ, რასაც მე ვამბობ, ვითომც იგი მარქსს არ უთქვამს, ვითომც ჩემი გამო-



გონილი და „განზე გაგონილია“. რამდენად ზრდილობიანი ბ. ნ. ჟორდანიის ასეთი საქციელი, ამის დაფასება თვით მკითხველისათვის მიგვიწვდია. ხოლო ვიტყვით კი, თუ რად დასჭირდა ბ. ნ. ჟორდანიას ასეთი ფანდი, ასეთი ოინი. ამ ხერხით უნდოდა თავი განსაცდელისაგან იოლად დაეძვრინა და მოკამათეც, ე. ი. მე, უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა. უხერხულ მდგომარეობაში კი ჩამაყენა იმიტომ, რომ ასეთი ცილის-წამების თავიდან ასაცილებლად უნდა ვრცელი ციტატები სიტყვა-სიტყვით მოვიყვანო. ეს კი ჩემთვის საზიანოა, რადგან ციტატა სტატიის გაგებას აძნელებს. ეს სიძნელე კი ორმაგია, რადგან მარქსის წიგნები ქართულად არ არის გადმოთარგმნილი (კარგი იქნებოდა მესამე დასს თავის დასობა ამ წიგნების გადმოთარგმნით მაინც დაემტკიცებინა) და ციტატები რუსულად უნდა მოვიყვანო. გადმოთარგმნას კი ვერ გავბედავთ, რადგან კარგად ვიცით, ბ. ნ. ჟორდანიას გადასხვაფერებას დაგვეწამებს. *) ამ გარემოებისა გამო, ბოლიშს ვიხდით მკითხველთან და ვთხოვთ, სულ მცირეოდენი მოთმინება იქონიოს და გვაპატიოს, თუ ჩვენი სტატია, ჩვენდა უნებლიედ, ციტატებით აღვსილი იქნება და ძნელადაც გასაგები...

ბ. ნ. ჟორდანიას ამბობს:— „ამ გვართ ბ-ნ ფხას მოუწადინებია დიალექტიური (ეკონომიური“) მატერიალიზმის კრიტიკას ქვეშ გატარება. სურვილი ჩინებულა, მაგრამ, სამწუხაროთ ის კი აღარ ცოდნია, თუ რას შეიძლება ეს თეორია, რაში მდგომარეობს გასაჩვენებელი საგანი. ამიტომ ავტორი არასანატრელ ყოფაში ჩავარდნილა: თავისი ან განზე გაგონილი აზრით მაშინში ამოუღია და თავის თავთან ბრძოლა დაუწყია, თანაც გვარწმუნებს მტერს ვებრძვიო. აი, კრიტიკა! ამასთანავე არც ერთი ის არგუმენტი, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ მას მაკრ შუთხულ მატერიალიზმის წინააღმდეგ, მას არ მოუყვანია. აი, ბრძოლა! *) აი, ასეთ მარგალიტებს აპნევს ბ-ნი ნ. ჟორდანიას!

*) ეს ციტატები რედაქციამ ყველა სთარგმნა; ხოლო დასტოვა ერთი ციტატა, ავტორის სურვილისამებრ, ისიც სხელიოში; ტექსტში კი მოთავსებული თარგმანი.

*) იხ. „ქვალი“ № 20. გვ. 15, 1895 წ.

მის „ლაღალ გაპობილ ბაგეთაგან“ ასეთი სიტყვები გადმომდინარეობენ, და იგი ყოველივე ამას წარბის შეუხრელად ისეთი უშფოთველი და შემპარავი მშვიდობიანობით მოგვითხრობს, „ვითა ამღერდეს იგი კამათლებს.“ მაგრამ ვნახოთ, „შემცდარი“ ვინ არის, ჩვენ, თუ ბ-ნი ნ. ქორდანი? „დედა აზრი ერთიანად ყალბი“ ვისია, ჩვენი თუ ბ-ნი ნ. ქორდანიისა? ვისი წერილია, „სიყალბეზე აგებული?“ — ვნახოთ.

1894 წლის „კვალის“ მე-50 ნომერში ვსწერდით:

„თეორია ეკონომიური მატერიალიზმისა ჰგონებს, რომ ყოველ-გვარ ისტორიულ მოვლენაზე ზედ-მოქმედება და გავლენა მხოლოდ ეკონომიურ ინტერესსა, კუჭის მოთხოვნილებას აქვს. ეკონომიურმა ინტერესმა და სარგებლობამ აიძულა ადამიანიო შეედგინა საზოგადოება და ამ უკანასკნელის მოთხოვნილებანი, ხშირად პიროვნებისათვის ხელის შემბოჭველი, მიაღებინა და თავს მოახვია. საზოგადოებასა და ისტორიაში თუ რაიმე ცვლილება ჰხდება, — ეს ცვლილებაა ეკონომიური ურთიერთობისა. ჯერ ეს უკანასკნელი უნდა ძირეულად შეიცვალოს, რათა შემდეგ თანაბრივი ცვლილება მოხდეს პოლიტიკურ განწყობილებაში; პოლიტიკურ ძალასა ზე ფორმას არავითარი დამოუკიდებელი გავლენა და ზედ-მოქმედება არა აქვს ცხოვრებასა და ისტორიაში: იგი შენობის ზედა სართულს წარმოადგენს მხოლოდ, მეტს არაფერს. მაგრამ თვით ეს ეკონომიური ურთიერთობა როგორ-ღა და რით იცვლება? — ეს ცვლილება თავისთავად, აუცილებლად და სტიქიურად ჰხდება. ადამიანთა საზოგადოება ჯერ ერთნაირ ეკონომიურ ურთიერთობასა და განწყობილებას ექვემდებარება, ამას შემდეგ მეორე ნაირი უსათუოდ მოსდევს, მეორე, მესამეს და ამ რიგად. უნდა თუ არა, საზოგადოება მაინც ვერ ასცდება ამ სხვა-და-სხვა სტადიებს (საფეხურებს) ეკონომიური განვითარებისას: საზოგადოებამ ეს სტადიები აუცილებლად უნდა განვლოს ასე მორიგად. დიდ-ბუნებოვანი და დიდებული ადამიანები ფიქციაა, მეტი არაფერი. მათ იმდენივე მნიშვნელობა და ზე-გავლენა აქვთ ისტორიაში, რამდენიც თვით უკანასკნელ კაცუნას — სიკვდილის სულ უბრალო შვილს, არც მეტი, არც ნაკლები.“

აი, ამას ვამბობდით, ჩვენ და ასე განვმარტეთ ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრება. ბ. ნ. ჟორდანიას გვარწმუნებს, რომ ეს მარქსს არ უთქვამსო. ცხადია, სინამდვილე რომ ალვადგინოთ, მარქსის სიტყვები უნდა მოვიყვანოთ. მარქსი ამბობს:

„ადამიანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეხვდება ხოლმე ერთ-გვარ აუცილებელ, მის ნებისაგან დამოუკიდებელ მიმართულებას წარმოებისას, რომელიც მწარმოებელ ძალთა მეტის თუ ნაკლების განვითარების შესაფერია. წარმოების სხვა-დასხვა მიმართულებათა შეერთება წარმოადგენს ეკონომიურ წყობილებას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც ამართულია იურიდიული და პოლიტიკური შენობა და რომელიც შექმნის თავის შესაფერ ჭორმებს საზოგადოებრივ თვით-შეგნებისას. საშუალება წარმოებისა, რომელიც შეეფერება მატერიალურ ცხოვრებას, შექმნის მიმდინარეობას სოციალურის, პოლიტიკურის და სულიერი ცხოვრებისას. ადამიანის არსება მის შეგნებაზედ კი არ არის დამოკიდებული; პირიქით, ადამიანის შეგნება დამოკიდებულია მის საზოგადოებრივ არსებობაზედ. მოქალაქებრივი საზოგადოების ანატომია მის ეკონომიურ ცხოვრებაში უნდა მოიძებნოს. საზოგადოების მატერიალურა მწარმოებელნი ძალნი თავიანთ განვითარების კრთის ხაზისხსზედ შეხვდებიან ხელმე უკვე ანსებულ მიმართულებათ წარმოებისას, ანუ, ირუიდიულად რომა ეთქვათ, შეხვდებიან ქონებრივ დამოკიდებულებათ რომელთა-შიგან იგინი იმყოფებოდნენ. იმ ფორმათაგან, რომელნიც ხელს უწყობენ მწარმოებელ ძალთა განვითარებას, ეს ქონებრივი დამოკიდებულებანი მის შემეფერხებელ ძალად ჰხდებიან. ეკონომიური საფუძველის შეცვლისათანავე მეტ-ნაკლები სისწრაფით იცვლება მთლად მასზედან დამყარებული უზარმაზარი შენობა. არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ გაჰქრება, ვიდრე სრულიად არ განვითარდებიან ყოველი მწარმოებელნი ძალნი, რომელთაც იგი აძლევს საკმარისს ასპარეზს, და ახალი, უმაღლესი მიმართულებანი თავის დღეში არ დაიქვრენ ძველების ადგილს, ვიდრე ძველს საზო-

გადგობაში არ შეიქმნებიან მატერიალური პირობანი მათ არსებობისთვის“. *)

აი, ამას ამბობს თვით მარქსი თავის თხზულების—Zur Kritik der Politischen Oekonomie'-ს წინასიტყვაობაში და იგი „კაპიტალ“-შიაც აქვს შეტანილი. ეს წინასიტყვაობა კი ორსა თუ სამს ფურცელზეა მოთავსებული. აქ, ამ წინასიტყვაობაშია მოქცეული მთელი ფილოსოფია და მოძღვრება კ. მარქსისა. *) მთელი წიგნი „კაპიტალ“-ი კი შეიცავს იმის გამოკვევას, თუ როგორ და რანაირად ვითარდებოდა, იფურჩქნებოდა და თანდათან ცხოვრებაში წინადაგს იკიდებდა კაპიტალისტური წარმოება: მთელი წიგნი—„კაპიტალ“-ი წარმოადგენს ევროპის ისტორიის ერთი ხანის ერთი კერძო მოვლენის გარკვევას. თუ გნებავთ, მთელი თხზულება მონოგრაფიული კვლევაა, მეტი არაფერი. საზოგადო ფილოსოფიური მსოფლ-შხედველობა, ეკონომიური მატე-

*) „в своей общественной жизни люди наталкиваются на известныя, необходимыя, отъ ихъ воли не зависящія, именно, на отношенія производства, соответствующія той или другой ступени развитія произвольныхъ силъ. Вся совокупность этихъ отношеній производства составляетъ экономическую структуру, реальный базисъ, на которомъ возвышается юридическая и политическая надстройка и которому соответствують известныя формы общественнаго сознания. Соответствующій матеріальной жизни способъ производства обусловливаетъ собою процессы соціальной, политической и духовной жизни вообще. Не сознание людей опредѣляетъ ихъ бытѣ, а, наоборотъ, ихъ общественное бытѣ опредѣляетъ ихъ сознание. Анатомію гражданскаго общества нужно искать въ его экономіи. На известной ступени своего развитія матеріальныя производительныя силы общества приходятъ въ столкновеніе съ существующими отношеніями производства, или, говоря юридическимъ языкомъ, съ имущественными отношеніями, внутри которыхъ онѣ до сихъ поръ вращались. Изъ формъ, способствующихъ развитію производительныхъ силъ, эти имущественныя отношенія дѣлаются его тормазами. Съ измѣненіемъ экономическаго основанія измѣняется болѣе или менѣе быстро вся возвышающаяся на немъ огромная надстройка. Ни одна общественная формація не исчезаетъ раньше, чѣмъ разовьются всѣ производительныя силы, которымъ она предоставляетъ достаточно простора, и новыя, высшія отношенія производства никогда не занимаютъ мѣста старыхъ раньше, чѣмъ выработаются въ нѣдрахъ стараго общества матеріальныя условія ихъ существованія“.

*) იხ. Н. Бельтовъ—Къ вопросу о развитіи.. გვ. 251.



რიალიზმის თეორია კ. მარქსს მხოლოდ ამ წინასიტყვაობაში აქვს მოთავსებული. სხვაგან ტყუილად დავიწყებთ ვეძიოთ ამ თეორიის უფრო ვრცელი და გარკვეული განმარტება. თვით ბ. ბელტოვიც მხოლოდ ამ წინასიტყვაობას ათითებს, როცა ეკონომიურ მატერიალიზმის დედა-აზრებზე საუბრობს, და ამ წინასიტყვაობას „შესანიშნავს“ *) უწოდებს. თავი-და-თავი და კაპიტალური ნაწარმოები მარქსისა მხოლოდ „კაპიტალ“-ია. სხვა მისი თხზულებანი წვრილმანსა და პოლემიკურ სტატიებს შეიცავენ. მართალია, ბ. ნ. ჟორდანიას კი გვარწმუნებს, რომ მთელი სოციოლოგია და საისტორიო კანონები მარქსმა ჯერ კიდევ მეორმოც-და-ათხე წლებში გამოარკვია ერთ რომელღაც გაზეთშიო, მაგრამ განა ეს დასაჯერებელია? ევროპა ჯერ ისე უმეცარი არა ყოფილა, რომ რაღაც ყოველ-დღიურ გაზეთში, ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტი სტატიების შეოხებით მეცნიერების დადგენას ცდილიყოს. მარქსის „კაპიტალ“-ი კი გამოვიდა 1867 წელში (უფრო ნამდვილად ვიტყვი: 1859 წელს გამოვიდა Zur Kritik der Politischen Oekonomie, 1867 წელს კი Das Kapital, რომელშიაც შეტანილია პირველი თხზულება).

აქვე ამოვწერთ კ. მარქსის სიტყვებს, რომელნიც თვით ბ. ნ. ბელტოვს მოჰყავს თავის თხზულების 121—122 გვერდზე: „ჯერ ისევ ჰეგელი ამოზდა,—აბსოლიუტური სული ისტორიისა ისე შეეხება ბრბოს, როგორც მასალასაო და თავის ნამდვილ გამომეტყველად მხოლოდ ფილოსოფია მიაჩნდა; მიუხედავად ამისა, ჰეგელის აზრით, ფილოსოფოსი მარტო ორგანოა, რომლის საშუალებით ისტორიის შემქნელი აბსოლიუტური სული მიაღწევს მოძრაობის გათავების შემდეგ თვითშეგნებამდე. ამ მოძრაობის შემდეგ გაჩენილ თვით-შეგნებით თავდება მონაწილეობა ფილოსოფოსისა ისტორიაში, რადგან ნამდვილ ისტორიულ მოძრაობას აბსოლიუტური სული შეუგნებლად გამოიწვევს. ამგვარად ფილოსოფოსი საქმის შემდეგ ჩნდება—post factum. ჰეგელი ორნაირად სცდება: პირველად მით, რომ თუმცა ამტკიცებს—აბსოლიუტური სული მარტო ფილოსოფიაში მიახ-

*) იხ. Н. Бельтовъ-ის წიგნის 157 გვ.

წევს თვით-შეგნებას და, მაშასადამე, არსებობასაცაო; მიუხედავად ამისა—უარპყოფს აღიაროს ჭეშმარიტი ფილოსოფოსი—ინდივიდუმი—აბსოლიუტურ სულად, და, მეორე, მით, რომ იმის აბსოლიუტური სული სრულიადაც არ შეჰქმნის ისტორიას. მართლაცა—და, რადგან აბსოლიუტური სული მარტო ფილოსოფოსის საშუალებით და ისიც post factum შეიგნებს თავის თავს შემოქმედ სულად, მაშასადამე, მის მირ შექმნა ისტორიისა არსებობს მარტო ფილოსოფოსის შეგნებაში, აზრში და წარმოდგენაში, ესე იგი მარტო გონებრივ სპეკულაციაში. ბ-ნი ბრუნო ბეიერი უარყოფს ჰეგელის ამ შეცდომებს, პირველად მით, რომ კრიტიკას აბსოლუტურ სულად აღიარებს და თავის თავს კრიტიკად. და როგორც ბრზოდან განდევნილია კრიტიკის ელემენტი, ისევე განდევნილია კრიტიკიდან ბრზოს ელემენტი, ამიტომ კრიტიკა თავის თავს განხორციელებულად ბრზოში კი არა, რამდენსამე რჩეულ პირთა შიგან ხედავს, სახელდობრ ბ. ბაუერში და მის მოწაფეებში. შემდეგ ამისა ბ-ნი ბაუერი უარ - ჰყოფს მეორე შეცდომას ჰეგელისას: მას აღარ აკმაყოფილებს როლი ჰეგელის სულისა, რომელიც მხოლოდ წარმოდგენაში და ისიც post factum შეიქმნის ისტორიას, ის ნებისთი შეგნებით კისრულობს საქვეყნო სულის როლს წინააღმდეგ კაცობრიობის დანარჩენი ნაწილსა, რომლისადმი ეხლავე დრამატიულ მიმართულებას ითვისებს და ისტორიას მხოლოდ საკმარისი დაფიქრების და წინააღვე შემზადებულ გეგმისამებრ სთხზავს და შეჰქმნის. ერთ მხარეს სდგას ბრზო—ეს მატერიალური, თვით-მოქმედებას მოკლებული, უსულო და არა ისტორიული ელემენტი ისტორიისა; მეორე მხარეს—სდგას სული, კრიტიკა, ბ. ბრუნო და კომპანია—ვითარცა მომქმედი ელემენტი, რომლისაგან მომდინარეობს ყოველი ისტორიული მოქმედება. და ამგვარად აქტი საზოგადოებრივი შეცვლისა არის მარტოდ-მარტო ტენის მოქმედება კრიტიკული კრიტიკისა.*)

*) იხილე აგრეთვე Н. Бельтовъ—Къ вопросу о развитіи... 33. 276.



მკითხველის სამართლიანობასა და მიუდგომლობაზე მიგეინდვია, პირუთენელად შეადაროს ეს ორი ციტატა, რომელიც სიტყვა-სიტყვით ამოწერილია კ. მარქსის თხზულებისაგან, ჩვენი-მიერ გამოთქმულ ეკონომიური მატერიალიზმის დედა-აზრს და გულ-წრფელად აღიაროს, თუ რა არის ჩვენებური ან მოგონილი, ან მიმატებული. ჩვენი აზრით კი არც ერთი სიტყვა საკუთარი არ მიგვიმატებია. ჩვენი სიტყვები მხოლოდ პერიფრაზია მარქსის აზრისა. სიტყვებიც კი თითქმის იგივე გვაქვს ხმარებული. ვისაც გაგების რაიმე ნიჭი აქვს, ის მარქსის სიტყვებიდან იძულებულია დაასკვნას, რომ, როცა ეკონომიური განწყობილება ძირეულად შეიცვლება, ამას შემდეგ შესაფერი იურიდიული და პოლიტიკური განწყობილებაც აღრე თუ გვიან მოსდევს. ამავე ეკონომიურ განწყობილებაზე შესაფერივე საზოგადოებრივი შეგნება და ცნობიერება აღორძინდება. არა ერთხელ თვითონ მარქსი ამბობს, რომ ძველი ქვეყნის ფილოსოფოსებმა, რადგან მათ გარს-შემოხვეულ საზოგადოებაში სრული მონობა სუფევდა, ამიტომ ეს მონობა კანონიერად აღიარეს, ბუნებრივ მოვლენად ჩასთვალესო. აი, ამას ჰქვიან ეკონომია გამოისახება ხოლმე ადამიანის ტვინშიო. საწარმოვო ძალის შეცვლა და განვითარება ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული, რადგან ეს შეცვლა და განვითარება აუცილებლად ჰხდება და შეუგნებელია ადამიანის მიერ. მარქსი ეკამათება ბრუნოს და მისი აზრის წინააღმდეგია, რომ ისტორიაში რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს „კრიტიკულ კრიტიკასაო.“ მარქსი ერთგვარსავე მნიშვნელობას აძლევს ბრბოსაც და „კრიტიკულ კრიტიკასაც,“ ე. ი. შეგნებულ და გაგებულ გვამს, რომელიც ამავე დროს უმაღლესი მადლით არის აღბეჭდილი. ეს ასედაც უნდა იყოს, რადგან, მარქსის აზრით, საზოგადოებრივი და პირადი შეგნება და ცნობიერება, ესა თუ ის პოლიტიკური და იურიდიული განწყობილება მხოლოდ შედეგია ამა თუ იმ ეკონომიისა, საწარმოვო ძალის განვითარებისა. ამ ჩვენი აზრის სიმართლეს თვით ბ. ნ. ბელტოვი მოწმობს. მკითხველს შეუძლიან გადაათვალიეროს ბ. ნ. ბელტოვის წიგნის 153-155 გვ.



ახლა ვკითხვით ბ. ნ. ჟორდანისას, რა გადავასხვავებრეთ-
რა მიუშნატეთ ჩვენ ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრებას.
მაგრამ ტყუილად ნუ ვეკითხებით. მას ხომ სამართლიანობის
გაძნობა, მოკამათის პატივის-ცემა როდი მოეპოვება.

ბ. ნ. ჟორდანია რაღაც ეშმაკურად დაგვცინის, ეკონომი-
ური მატერიალიზმის დედა-აზრი „მოკლეთ“ გაქვთ გამოთქმუ-
ლიო. ნეტავ ვიცოდეთ. სასაცილო ან სამარცხვინო ამ ჩვენს
ქცევაში რა არის? თუ რომ ეკონომიურ მატერიალიზმს და მის
მოძღვართ რაიმე აზრი ჰქონდათ და აქვთ, მაშინ ეს აზრი,
ორას ტომადაც რომ იყოს დასტამბული, შესაძლებელია მოკლედ
გამოითქვას. მხოლოდ უაზრობისა და უშინაარსობის ლაყობას
ვერ გამოსთქვამთ მოკლედ. მთელი წიგნი დარვინისა — გვართა
წარმოება — არა მცირედია მარქსის „კაპიტალ“-ისა, მაგრამ პირ-
ველის დედა-აზრი თვით დარვინს მოკლედ, რამდენსამე გვერდზე
აქვს გამოთქმული.*) ნუ დაივიწყებთ კი, რომ დარვინის თხზულებ-
ა პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე მთლიანს, განუწყვე-
ტელ არგუმენტაციას წარმოადგენს. მარქსის „კაპიტალ“-ი კი,
როგორც ზევით ვთქვით, სულ სხვას ეხება. საისტორიო-ფილო-
სოფიური მოსაზრება კი მარქსს მხოლოდ ორ-სამ ფურცელზე
აქვს გამოთქმული. მაშ რა დანაშაულობა ჩავიდინეთ, რა უსა-
მართლობა მოვახდინეთ ისეთი, რომ იმ კაცის მოძღვრება,
რომელმაც მთელი ისტორიისა და ქვეყნიერობის განვითარებისა
და ცვალებადობის კანონები წინასიტყვაობის ორ ფურცელზე
მოათავსა, ჩვენ ერთს სვეტზე გამოვთქვით? მაგრამ თვითონ ბ.
ჟორდანისას, თითქო ეგრძნოს თავისი შეცდომა, უნებლიედ ეს
წარმოსცდა: „მართალია ეს სიმართლეს სრულიად არ არის
მოკლებულიო“ („კვალი“, № 19, 1895 წ.), როცა ჩვენი
სიტყვები მოიყვანა. ახლა მკითხველმა იცის, რომ ჩვენი სი-
ტყვები, არა თუ სიმართლეს მოკლებული, სრული განმეორება
მარქსის სიტყვებისა.

*) Ce volume tout entier n'étant qu'une longue argumentation, je crois devoir présenter au lecteur une récapitulation sommaire des faits principaux et des déductions qu'on peut en tirer (L'origine des espèces. pag. 542).



ეკონომიური მატერიალიზმის მამა-მთავარს, ფრ. ენგელსს არ უთქვამს, რომ მხოლოდ ეკონომიურ მოთხოვნებს აქვს გავლენა ყოველ-გვარ ისტორიულ მოვლენაზე. გვაკმარეთ, ბ. ნ. ჟორდანიაც, ამდენი ცრუ აზრები!

1884 წელს ფრ. ენგელსმა, კ. მარქსის სიკვდილს შემდეგ, გამოსცა თვისი მკირე წიგნაკი, რომელშიაც კდილობს ვითომც ვაარკვიოს წარმოება ოჯახისა, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოსა. იქ, იმ პატარა წიგნაკის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს:

„ისტორიაში გადამწყვეტ მომენტად წარმოება და ცხოვრების შექმნა ხდება; ცხოვრების შექმნა ორ რიგია: პირველი— შექმნა საარსებო მასალებისა, მაგ. საქმელ-სასმელისა, ტანთ-საცმელისა, სახლისა, იარაღისა, და სხ.; და მეორე— შექმნა თვით ადამიანისა— განგრძობა გვარისა.“ *)

ცხადია 1884 წელს ფრ. ენგელსი ფიქრობდა, რომ ისტორიაში ორგვარი ფაქტორი მოქმედებსო: წარმოება საარსებო მასალისა და წარმოება (!) ადამიანისა. ბ. ნ. ჟორდანიაც, აი, ამ ახალს ვითომ ენგელსის მიერ გამონახულ ფაქტორს გვაჩხივებს და გვიბრძანებს, ამ ახალ ფაქტორსაც აღიარებს ეკონომიური მატერიალიზმიო. ამაზე ერთიც ის უნდა მოვასხენოთ ჩვენს მოკამათეს, რომ მას თავის ნეტარ-ხსენებულ სტატიაში კონტიც არ დაუძრავს, ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ამ ფაქტორის მნიშვნელობაზედ. საჭირო კი იყო, თუ თქვენც იტყვიოთ. მართლა ხუმრობა საქმეა, მთელ ისტორიის მსვლელობას, მისი საოცარი ჩაღხის ტრიალს ებლაუქებოდა, და ეს ფაქტორი კი დაავიწყდა, სადღაც გაეპარა!.. მეორეც ის არის, რომ ჩვენ, მართალი მოგახსენოთ, სრულებითაც არა გვგონია, რომ ეს ფაქტორი ფრ. ენგელსის მიერ იყოს ნახული და გამოჩხრეკილი. ამიტომ არც მჯერა და არც დავიჯერებ, რომ იგი მხოლოდ ეკონომიური მატერიალიზმის კუთვნილებას შეადგენდეს. პირიქი, ჩვენ ვიცით და საბუთებსაც ახლავე მო-

*) ფ. ენგელსი—Происхождение семьи, частной собственности и государства.

გახსენებთ, რომ ეს ახალი ფაქტორი პირველად სხვებმა შეამჩნიეს, ხოლო მათ შემდეგ ფრ. ენგელსმა განიმეორა. *)

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ შევვხებთ ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრებას, როგორც იგი თვითონ კ. მარქსს აქვს გამოთქმული და განმარტებული. ფრ. ენგელსი კი, თუმცა იგი აგიტატორი იყო და კ. მარქსის მოძღვრების გამავრცელებელი, თუმცა იგი მეგობარიც იყო კ. მარქსისა, ჩვენ ეკონომიური მატერიალიზმის მამა-მთავრად მაინც არ მიგვაჩნია. არ მიგვაჩნია იმიტომ, რომ რომელიმე მოძღვრების მამა-მთავარს უფრო მეტი ცოდნა, გარდა ჰეგელის მეტაფიზიკური ბოდვისა, მეტი არგუმენტაცია და ნიჭი გამჭრიახი მოეთხოვება, ვიდრე ეს ფრ. ენგელსს მოეპოვებოდა. მაგრამ ეს სხვათა შორის. მართლა, რა საბუთით უნდა მიგველო, რომ გამრავლების მოთხოვნილება მხოლოდ ენგელსმა აღმოაჩინა-თქო, რომ ადამიანის „წარმოების“ მნიშვნელობა ისტორიაში მხოლოდ ეკონომიური მატერიალიზმის კუთვნილებაა-თქო. ვინც მეცნიერებას აკვირდება, მის განვითარებასა და წინ-მსვლელობას თვალყურს ადევნებს, მისთვის ცხადია, რომ ეს ფაქტორი ენგელსამდე დიდი-ხნით ადრე სხვამ, სულ სხვა მოძღვრების მიმდევარმა აღმოაჩინა. ამ ფაქტორის მნიშვნელობა აღნიშნა მორგანმა, რომლის მსოფლ-მხედველობას არავითარი კავშირი ეკონომიურ მატერიალიზმის მოძღვრებასთან არა აქვს. ეს ფაქტორი, თოთხმეტი წლით, თუ მეტი არა, ადრე ენგელსამდე შეამჩნია და მის გავლენასა და მოქმედებაზე მიგვითითა ჰერბ. სპენსერმა. გადაშალეთ მისი თხზულება—„საფუძველნი სოციოლოგიისა“—და თქვენ წაიკითხავთ: „საზოგადოების ზრდა-მატება ერთსა და იმავე დროს შედეგიცა და მიზეზიცაა სოციალური პროგრესისა. შეუძლებელია შრომის ვრცელი განაწილება მოხდეს

*) ბ. ნ. ბელტოვი გვარწმუნებს, რომ ეს ახალი ფაქტორი პირველი ფაქტორის თანაბარი (равносильный) როლიაო, ფრ. ენგელსის აზრითვეო. ამ ფაქტორის მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა მაშინო, როცა კაცობრიობა განვითარების ზოლოდურ საფერხზე იდგაო. ჩვენც ბ. ნ. ბელტოვის აზრი სამართლიანი გგონია, რადგან ვერც მოახერხებთ სხვა გვარი დასკვნა გამოიყვანოთ, თუ კი ფრ. ენგელსის წიგნაკს ბოლომდე წაიკითხავთ. (ბ. ნ. ბელტოვის წიგნის 137 და 139 გვ.).



იქ, სადაც მხოლოდ მცირე რიცხვია პირადობათა, რომელთა შორის ეს შრომა უნდა განაწილდეს.*) გამრავლების მოთხოვნებისა და საოჯახო განწყობილების მნიშვნელობა რომ იცოდა სპენსერმა, სწორედ ამის ბრალია, რომ იგი, ვიდრე სხვა საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლას და კვლევა-ძიებას შეუდგებოდეს, პირველად საოჯახო წყობილებას (Домашнія учрежденія) იკვლევს. წაიკითხეთ აგრეთვე ლეტურნოს სოციოლოგიის (სწორედ იმ წელს გამოვიდა, როცა ენგელსის წიგნი, ე. ი. 1884 წ.) მეოთხე წიგნის პირველი და მეორე თავი. გადაშალეთ მისივე L'évolution politique და შემდეგს წაიკითხათ: „or on voit en étudiant la famille, que, dans les sociétés humaines primitives, la consanguinité et aussi la règle et qu'elle entraîne de même une étroite solidarité“ (ოჯახის შესწავლის დროს ჭამწნევთ, რომ პირვანდელ საზოგადოებათათვის სისხლით ნათესაობა კანონს წარმოადგენს და ეს ნათესაობა იწვევს ხოლმე მჭიდრო ურთიერთობას). ან: „la première forme sociale a été le clan consanguine“ (პირველ საზოგადოებრივ ფორმას წარმოადგენდა სისხლით მონათესავე თემი). ან კიდევ: „le clan était une association consanguine“ (თემი სისხლით მონათესავე ადამიანთა შეკრებულება იყო).**). დიად, ესა სთქვა ენგელსამდე თოთხმეტი წლის წინად სპენსერმა, „რომლის სოციოლოგიურ შეხედულებას ეკონომიურ მატერიალიზმთან საზოგადო არა აქვს-რა“ (ნ. ბელტოვის წიგნის გვ. 142) და რომელმაც ენგელსზე ადრე კრიტიკულად გაარჩია ღირსება და ნაკლულევიანება მაკლენანის თეორიისა თავის „Домашнія учрежденія“-ში. ასე ამბობს ლეტურნო ენგელსზე სრულებით დამოუკიდებლად თავის შინაარსიან თხზულებებში. ამას ამბობს სწორედ ის ლეტურნო, რომელსაც, ცოტა არ იყოს, დაცივით იხსენიებს ფრ. ენგელსი და „სინიდიხიერ ლეტურნოს“ უწოდებს.***) როცა ყოველივე ესე ვიცოდით, რაღა უფლება, რაღა ნება გვქონ-

*) იხ. Основания социологии, II თავის § 9.

**) იხ. L'évolution politique. გვ. 21, 22, 47 და 358.

***) იხ. Происхождение семьи, частной собственности и государства Ф. Энгельса. გვ. 14.



და გვეფიქრნა, რომ „აღამიანის წარმოების“ მნიშვნელობა პირველად ფრ. ენგელსმა აღმოაჩინა-თქო. სხვისა რა მოგახსენოთ და ჩვენ ცოდვა კი გვგონია, რომ ამ ფაქტორის მნიშვნელობა და გავლენა სხვებმა შეამჩნიეს, მას ჯეროვანი ყურადღება მი-აქციეს, მათ შემდეგ კი ფრ. ენგელსმა განიმეორა, განიმეორა კი ისე, თითქო მის მიერ აღმოჩენილი ყოფილიყო. ეს კი იქიდან სჩანს, რომ სპენსერს არც ერთი სიტყვით არ იხსენიებს, ლეტურნოს დაცინვით იგონებს, მ. კოვალევსკი სადღაც სხო-ლიოაში ჰყავს მიმალული. აი, სწორედ ამას ჰქვია ნამდვილი მამა-მთაერობა და ნამდვილი მეცნიერული სინიღისიერებაც!..

ბ. ნ. ჟორდანიას დიდი რიხით და ზეიმით გვიბრძანებს: „ან შეიძლება ეკონომიური მატერიალისტი ევოლიუციონე-რი არ ჰგონია?“ („კვალი“ № 19, გვ. 13. 1895 წ.), რო-ცა ხედავს, რომ ეკონომიური მატერიალიზმის წინააღმდეგ კამა-თობაში მთლად ერთიანად ევოლიუციონურ მოძღვრებაზე ვართ დამყარებელი. მაგრამ სასაცილო ის არის, რომ, როცა ამას გვე-კითხება, თვითონვე ჰგრძნობს თავის კითხვის უსამართლობას და უადგილობას და, აი, ამიტომ რაგვარ შენიშვნასა სწერს: „მათ შორის ის უმთავრესა განსხვავებაა, რომ ევოლიუციონერი უარ-ჰყოფს რევოლიუციას, მაშინ როდესაც ევოლიუციის დასკვნა რევოლიუციაა (ბუნებაში და ისტორიაში).“ *)

მართალი მოგახსენოთ, ეკონომიური მატერიალისტი ევო-ლიუციონერი როდი გვგონია. ევოლიუციონერი რომ ყოფი-ლიყო, კამათობას რაღად დავუწყებდით? მართალია, ეკონომი-ური მატერიალისტი კი აღიარებს ცვალებადობის, მეტამორ-ფოზის სინამდვილეს, მაგრამ მაგარი ის არის, თუ როგორ ესმის მას ეს ცვალებადობა. ბუნება და აღამიანი რომ იცე-ლება, ეს პოეტმა ოვიდიუსმაც კარგად იცოდა, მაგრამ ბავ-შობა და სრული უმეცრება იქნებოდა მიგველო, რომ ოვიდიუსი ევოლიუციონერი იყო. ოვიდიუსი ამბობს: omnia mutantur et nos mutamur in illis. მეტი რაღა გნებავთ? ამავე დროს იგი

*) იხ. „კვალი“, № 19, გვ. 13. 1895 წ.



ვრცელ წიგნს სწერს, სადაც მოგვითხრობს სხვა-და-სხვა გვარ-მეტამორფოზთა შესახებ. ცვლილების შესაძლებლობა სულ უბრალო, მდაბიო ხალხსაც სწამს. მეტი ტრანსფორმირება გაგონილა, რომ, ხალხის წარმოდგენით, ადამიანს შეუძლიან კატად, ძაღლად და სხვა ცხოველად, თუ მცენარედ გარდიქცეს და ამით მეორე ადამიანს ზიანი მოუტანოს, „გული ამოჭამოს.“ მაგრამ ვინ იქნება ისეთი უმეცარი სთქვას, ჩვენი ხალხი ევოლიუციონური მოძღვრების მიმდევარიაო. საქმე ის არის, მართლაც ოგიდიუსმა იკოდა, რომ ყოველივე იცვლებოა, მაგრამ ზღაპარს კი სწერდა. მართალია, მდაბიო ხალხს სჯერა, სწამს, რომ „კუდიანი,“ რაღაც უნდა, იმათ გარდიქცევაო, მაგრამ მას არავითარი წარმოდგენა სამეცნიერო უსათუობაზე, დასტურებაზე არა აქვს. სწორედ ამიტომაც, თუმცა ეკონომიური მატერიალისტი კი აღიარებს ცვლილებისა და ცვალებადობის სინამდვილეს, მაგრამ იგი ევოლიუციონისტი არცა გვგონია და არც არის. მართლაც, ის, ვინც ფიქრობს, რომ ევოლიუციის დასკვნა ბუნებაში რევოლიუციააო, არა თუ ევოლიუციონისტი არ არის, არამედ მას შორეული წარმოდგენაც არა აქვს ამ მოძღვრებაზე. მოსახერხებელი რომ იყოს და გარეშე პირობა არ გვიშლიდეს, ჩვენ აქ ერთი ავტორის ერთს სულ უბრალო წიგნაკს (რომელიც ბ. ნ. ჟორდანიას, ყველა მისი მოსაზრებანი მოწმობენ ამას, კარგად დაღეჭილი უნდა ჰქონდეს) დავსახელებდით, იქიდან მოვიყვანდით იმ ადგილს, სადაც ეს ავტორი სწორედ ამავე სიტყვებით ეკამათება ევოლიუციონისტებს და ეუბნება, თქვენი მოძღვრების ლოგიკური დასკვნა რევოლიუციააო. მაგრამ ან ეს ავტორი რად გვინდა, როცა ამ გვარადვე მსჯელობს ბ. ნ. ბელტოვი თავის თხზულების 74 და 75 გვერდზე. დიად, აქაც კი ასე მოკლებულია ბ. ნ. ჟორდანიას ორიგინალობას, აზრის დამოუკიდებლობას. მაგრამ საქმე ეს არ არის. საქმე ის არის, რომ ის ავტორიც, ბ. ნ. ბელტოვი და ნ. ჟორდანიაც სრულიად შემცდარნი არიან და მათ შორეული წარმოდგენაც არ მოეპოვებათ ევოლიუციონურ მოძღვრებაზე. საქმე, აი, რა გახლავთ.

როგორც ვიცით, კიუვიე წინააღმდეგი იყო განგათარებას თეორიისა და მომხრე შექმნის თეორიისა. ამ თეორიის მიმდევარმა, გეოლოგიური ფაქტება რომ აეხსნა, შექმნა, თუ გამოიგონა ასე წოდებული კატაკლიზმების თეორია. კიუვიე ამბობდა: ისტორიისა და ადამიანთა საზოგადოებაში ვამჩნევთ, რომ ერთი ეპოქა მეორეში რევოლიუციით და ამბოხებით გადადის; სწორედ ამგვარადვე ჰხდება ბუნებაში; პირველად შემოქმედმა ძალმა არსებათა ესა თუ ის გვარნი, ყოვლად განმარტებულნი, გააჩინა; მაგრამ რამდენიმე ხანს შემდეგ მოხდა გეოლოგიური კატაკლიზმი, ამბოხება ანუ რევოლიუცია, რომელმაც ერთიანად გაწყვიტა და მოსპო არსებათა ყველა გვარნი; ახლა შემოქმედმა ხელ-ახლავ შექმნა არსებათა ან იგივე გვარნი ან სრულებით სხვანი, ყოვლიფრადვე განმარტებულნი. აი, ამ გვარი მოსაზრებით ხსნიდა კიუვიე გვართა გადაშენებას და იმ გარემოებას, რომ სამთხრებელონი არსებულ, ცოცხალ გვართაგან ძალზე განირჩევიან, განსხვავდებიან. მკითხველი ხელდავს, რომ კიუვიეს აზრით ბუნება ისტორიის ანალოგიას წარმოადგენს. იმასაც ამჩნევს მკითხველი, რომ კიუვიეს მოძღვრებით ბუნებაში მართლაც ადგილი აქვს რევოლიუციას, ე. ი. უეცრივსა და მოულოდნელ ამბოხებას. მაგრამ ჩვენ ახლა ისიც ვიცით, რომ სწორედ ამ მოსაზრების წინააღმდეგი იყო დიდებული ფრანგი, ავტორი დიდებული თხზულებისა, რომელიც 1809 წელში გამოვიდა: *La philosophie zoologique*. ეს ავტორი ლამარკი იყო. ლამარკი ამტკიცებდა — სრული სიმართლით, თუ არა, ეს სხვაა, — რომ ბუნებაში კატაკლიზმებსა და რევოლიუციებს ადგილი არა აქვს, რომ ორგანული ბუნება თანდათან, ნელ-ნელა ვითარდებოდა და ვითარდება დღესაც იმავე ბუნებრივ ძალთა ზეგავლენით, რომელნიც ჩვენს გარშემო დღე-მუდამ და მარადის მოქმედებენო. ლამარკის ამ ნაყოფიერ მოძღვრებას მხარი მისცა მეორემ, არა-ნაკლებმა ფრანგმა, ჟოფრუა სენტ-ილერმა. ბოლოს კი, როგორც ვიცით, დარვინმა საბოლოოდ დაამტკიცა ლამარკისა და ჟოფრუა სენტ-ილერის მოსაზრებათა სიმართლე და ქვეშაობა

და ბიოლოგიიდან სამუდამოდ განაძევა ყოველგვარი აზრი, ყოველნაირი წარმოდგენა რევოლიუციაზე. აი, სწორედ ახლა ბ. ნ. ჟორდანია და მისი ყურში მოჩურჩულენი გვებედვენ კიდევ გვიტხრან, რომ ევოლიუციის დასკვნა რევოლიუციააო. დალოცვილებმა ის კი აღარ იციან, რომ მხოლოდ კიუვიეს აზრს იმეორებენ. მეცნიერებამ კი, დიდი ხანია, ამ სფეროში ვეებერთელა ნაბიჯი წადგა წინ. მაგრამ უმეცრების ნიშნობლივი თვისება ხომ ყოველთვის ეს ყოფილა: რიხიანად წამოისვრის ხოლმე სიტყვებს, აზრს კი როდი დაძებებს.

რაკი კიუვიეზე ჩამოვადგეთ სიტყვა, ბარემ აქვე ვთქვათ იმის შესახებაც, თუ რაოდენი სიმართლე აქვს ბ. ნ. ჟორდანას, როცა გვეუბნება, რომ „მარქსმა და ენგელსმა გამოსთქვეს თავისი ისტორიული თეორია 1844—1848 წ.წ., ე. ი. მაშინ, როცა ბიოლოგიაში კიუვიეს და აგასისის თეორიები მეფობდნენ და უპიროვნო ევოლიუციის ხსენებაც კი არ იყო (ლამარკის მოძღვრებას არავითარი აღვლილი არ ჰქონდა მაშინდელ ბუნების-მეტყველებაში)*.“ ზევით ვთქვით, რომ ლამარკის თხზულება 1809 წელში გამოვიდაო. ამას შემდეგ კამათობამ იქამდე მიადწია, რომ ორი მოპირისპირე მოძღვრების უპიროველესი და უნიჭიერესი წარმომადგენელი—კიუვიე და ჟოფრუა სენტ-ილერი—საჯაროდ პარიკის სამეცნიერო აკადემიაში შეებრძოლნენ, რათა თავიანთი მოძღვრების სიმართლე დაემტკიცებიათ. სწორედ იმ დროს, როცა ივლისის რევოლუციამ იფეთქა, კიუვიე და სენტ-ილერი ერთმანეთს სახალხოდ შეეტაკნენ. ეს კი 1830 წელში გახლდათ. ამ ამბავმა დიდი ყურადღება მიიქცია ყველა განათლებულ ქვეყნებისა. ამ ამბავმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოდ მთელ გერმანიაში და კერძოდ გიოტეზე, რომ ეს უკანასკნელი ამ სიტყვებით შეხედა ერთს თავის ნაცნობს, რომელიც პარიკიდან ის-იყო მოვიდა: „რას მეტყვით დიად მოვლენაზე? ვოლკანმა ამოიხეთქა განა?“ ნაცნობს ეგონა, გიოტე სწორედ ივლისის რევოლიუციის ამბავს მეკითხებოა,

*) იხ. „კვალი“ № 20, 1895 წ.

ამიტომ ნაღვლიანად დაუწყო მოთხოვნა სამეფო ოჯახის განდევნაზე. მაგრამ გიოტემ გააწყვეტინა, გაუგებრობა აუხსნა და უპასუხა, მე კიუვიესა და ჟოფრუა სენტ-ილერის სამეცნიერო კამათობაზე გეკითხებოდით. ამავე გიოტეს „ფაუსტის“ მეორე ნაწილში კიუვიეს კატაკლიზმები *глубине перевероты*-თ აქვს მონათლული, კიუვიეს თეორიას კი *чертово возвращение*-ს უწოდებს. დიად, სინამდვილე ასე იყო და ასედაც არის. ამ ხანებში კი კ. მარქსი „ბალანა“ არ უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია მარქსმა ყოველივე ეს არ იცოდა, მაგრამ ეს ხომ მისთვისაა სამარცხვინო, მეტი არაფერი.*)

კიდევ აღენიშნოთ ორიოდე „ხელისხელ საგოგმანებელი მარგალიტები“ ბ-ნ ნ. ჟორდანიის, და გავათავოთ.

ბ-ნ ნ. ჟორდანიის გვამცნევს, რომ ადამიანი ბუნებასთან და ადამიანთან ორგვარი იარაღით—ბუნებრივი და ხელოვნურით იბრძვისო. „პირველ შემთხვევაში ბრძოლა იქნებოდა ბუნებრივი და საზოგადოებაც დარგინის კანონს დაექვემდებარებოდა. ბუნებრივი შერჩევაში, მძლავრის, ღონიერის გადაჩენა, რასაც ცხოველთა განვითარება ემორჩილება, საზოგადოებაც პირველ ალავს დაიჭერდა“ (შკითხველის ყურადღებას მივაქცევთ, თუ რა უნოიანად და გასაგებად აქვს ბ-ნ ნ. ჟორდანიის ფრაზა შედგენილი). მაგრამ ადამიანმა ცხოველების ზევით აიწია, ხელოვნური იარაღები განივითარა. ამიტომაც, „აქ ბიოლოგიიდან სოციოლოგიაში გადავდივართ, ცხოველებისაგან საზოგადოებაში. დაზვინას კანონებმა დაჭკვარეს თავისი მნაშვნელოზა“.**) (არც ერთ კანონს დარგინისას მნიშვნელობა აღარ შერ-

*) ჩვენ არ ვიცით, მაღლობელი დარჩებოდა თუ არა კ. მარქსი, რომ იგი ასე უმეტრად გამოსახა ბ. ნ. ჟორდანიამ. მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ ბ. ნ. ბელტოვი ამისათვის მეტად უმადური იქნება ბ. ნ. ჟორდანიისა. ბ. ნ. ბელტოვი გვარწმუნებს, რომ, თუ გვესურს გავიგოთ მარქსის ისტორიული შეხედულება, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა დასკვნას დაადგა იმ ხანებში ფილოსოფია, საბუნების-მეტყველო და საისტორიო მეცნიერებამ; კარლ მარქსს შეთვისებული ჰქონდა თავის დროის ფილოსოფია და სამეცნიერო ცოდნა. (იხ. ნ. ბელტოვის წიგნის 125 გვ.).

**) იხ. „კვილი“ № 9- გვ. 14. 1895 წ.

ჩა, ბ-ნო ნ. ჟორდანიავ?) აი, ამას ჰქვია „ფეხ-მარდობა“? აი! მაგრამ საქმე ის არის, რომ ფეხ-მარდობა ბურთაობაში ლელოს გასატანად არის გამოსადეგარი, თორემ მეცნიერებაში ეს ვერაფერი იარაღია, ვერაფერი საიმედო ნიჭია. მეცნიერებაში ვერც ჰკუა-მარდობით წახვალთ წინ, რადგან მეცნიერებაში, ცხოვრების რთული ვითარების გარკვევის საქმეში ჰკუა-დამჯდარობა, მოფიქრება და სიდარბაილცეა საქირო.

მართლაც-და, ჰკითხეთ ბ-ნ ნ. ჟორდანიას, როდის იყო ან სად იყო, რომ დარვინი სოციოლოგიურ კანონებს იკვლევდა. სოციოლოგიას დარვინი მხოლოდ მიაღწა და ამ მეცნიერებას ნიადაგი მოუშადა, ნაყოფიერი ეთნოლოგიური მეთოდი უჩვენა, მეტი არაფერი. დარვინი მხოლოდ ორგანული ბუნების ცვალებადობასა, განვითარებასა და წარმოებას არკვევდა მთელ თავის სიცოცხლეში. ადამიანს იგი იმდენად შეეხო, რამდენადაც ადამიანი ზოგად ზოოლოგიურ სერიას, რიგს ეკუთვნის. ერთი ეს. მეორეც ისა, რომ, რადგან ადამიანი ადამიანადვე რჩება საზოგადოებაში, რადგან მას საზოგადოებაშიაც შერჩენილი აქვს და თან ახლავს თავისი ზოოლოგიური თვისებანი, ამიტომ დარვინის კანონებს აქაც თვისი ძალა და ზედ-მოქმედება აქვთ. ეს ძალა, ეს გავლენა ამ კანონებს არც დაუკარგავთ და არც დაკარგვენ, ვიდრე ადამიანი ადამიანადვე დარჩება, ვიდრე მას თვისი ფიზიკური და ორგანული თვისებანი შერჩება. მაგრამ სოციოლოგია ბიოლოგია როდია. სოციოლოგიას თვისი განსაკუთრებული კანონებიც აქვს. ამიტომ მთელი რიგი მეცნიერთა ამ დარვინის მიერ მომზადებულ ნიადაგს დაადგა და იკვლევს, ეძიებს ამ კანონებს, ხელ-მძღვანელობს რა დარვინის მიერვე ნაჩვენებ მეთოდით. ეს კვლევა, ეს ძიება ჯერაც არ დასრულებულა, და არც დასრულდება ასე მალე. ეს მეორე შესამე კი ბ-ნს ნ. ჟორდანიას დიდი სითავდაბლით უნდა მოვახსენოთ, რომ მოუწელებელი აზრის რიხიანად წამოსროლა ფრიად საფათერაკოა. არა თუ? აი, იხილეთ საქმენი თქვენნი და დასტკბით! ზომ გვიბრძანებს ბ-ნი ნ. ჟორდანიას, რომ სოციოლოგიაში დარვინის კანონებმა მნიშვნელობა დაჰკარგესო;

ამავე დროს ხომ გვარწმუნებს, რომ იგი „ღიალექტიური მატერიალიზმის“ ზედ-მიწევნილი მცოდნეა. აბა, ახლა წაიკითხეთ ბ-ნი კ. კაუცკის სიტყვები, რომელიც ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრების ღრმად მცოდნე და საუკეთესო წარმომადგენელია ახლა გერმანიაში, სწერს:

„ჩვენ მიერ ზემოთ ნათქვამიდან საკმაოდ ცხადადა სჩანს რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს ცოდნის სხვა-და-სხვა დარგისათვის მოძღვრებას საზოგადოებრივ ინსტიტუტების შესახებ. დარვინის თეორიამ განვითარებისამ არამც თუ შეუცვალა ნიადაგი საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა, არამედ მისი ზედ-მოქმედება უღწევს ცოდნის ფრიად დაშორებულ სამფლობელოთაც; არამც თუ გვაძლევს ახალ ცნობათა აღმზარის სულიერ ცხოვრების შესახებ, არამედ ახალს ნათელსა ჰფენს პოლიტიკურ ეკონომიის მოძღვრებასაც — ჩვენის ზნეობრივ ცხოვრების მოვლენასა და კანონებსაც კი.“ *)

ვინ ამბობს, მკითხველო, მართალს: ბ-ნი ნ. ჟორდანი, თუ ბ-ნი კ. კაუცკი? საგულისხმოდ აქ ისიც არის, რომ კ. მარქსი ღრმად და საბუთიანი მცოდნე მხოლოდ პოლიტიკურ ეკონომიაში იყო, და, თურმე, ნუ იტყვიოთ, აქაც კი, პოლიტიკურ ეკონომიაშია ც დარვინის მოძღვრება „ახალ ნათელსა ჰფენს.“

ბ-ნ ნ. ჟორდანიას რომ დავუჯეროთ, ბელტოვის ლათინები რომ ვირწმუნოთ, მაშინ იძულებული ვართ მივიღოთ, რომ სოციოლოგია, ეს ახალი ფეხ-ადგმული და ნორჩი მეცნიერება, უკვე ზედ-მიწევნით გარკვეულია, რომ აქ, ამ მეცნიერებაში, საკამათო აღარა არის-რა, და ესე ყოველი კი თურმე მოახდინა ერთმა კაცმა, კ. მარქსმა, თავის, როგორც ბ-ნი ნ. ბელტოვი გვარწმუნებს, მოკლე სიცოცხლეში (მარქსი ახალგაზდა მოკვდაო. იხ. ბელტოვის წიგნის 216 გვ.). იცით კი, როდის მოახდინა ეს ყველასათვის, ვინც კი სოციოლოგიის შესახებ რაიმე იცის, საოცნებო და საარაკო ამბავი კ. მარქსმა? თურმე, ნუ იტყვიოთ, 1844 წელში!.. ბეცნი და უმეცარნი მეცნიერ-

*) იხ. Карлъ Кауцкій—Очерки и Этюды. გვ. 23.

ნი!.. საწყალი კონტი, საცოდავი სენსერი, გულ-უბრყვილო ლეტურნო!.. ჯონ სტიუარტ მილი და მ. კოვალევსკი ხომ მოსახსენებელიც აღარ არიან. ეს ბელტრულნი თავს იმტვრევენ, შრომას და ჯაფას არ ზოგვენ, იქნება ერთი სოციოლოგიური უეჭვო კანონი მაინც გამოვარკვიოთ და დავადგინოთო, ამ ადამიანისათვის ყველა მეცნიერებათა მეცნიერების რთული ნასკვი ენახოთო. თურმე ეს ნასკვი უკვე ნახული და გახსნილი ყუფილა, რთული მეცნიერება ცხადი და განმარტივებული!.. ბ-ნო ბელტოვ-ჟორდანიავ, შეიბრალებთ ამდენი ადამიანები! გეცოდებოდეთ ღვთის შეილნი! „ახადეთ ფარდები“ და დაგვანახვეთ ამ საარაკო ამბავის სინამდვილე, ხოლო უშინაარსო ფრაზებით კი არა. შებრალება თუ არ იცით, ეკონომიური მოსაზრებით მაინც იხელმძღვანელებთ და ამდენნი ადამიანნი, რომელნიც შრომას, თავის საწარმოვო ძალას უკვე ნახულის გამონახვას, უკვე ახსნილის ახსნას ანდომებენ, ამ უნაყოფო შრომისაგან დაიცევით და სასარგებლო წარმოებაში გამოიყენეთ, ხოლო დაუმტკიცეთ კი იმის სინამდვილე და ჭეშმარიტება, რასაც თქვენ ბრძანებთ... იქნება მკითხველს ეს ხუმრობა ეგონოს. სრულიადაც არა. აი, წაიკითხეთ ბ-ნ ჟორდანიას სიტყვები: „ასევე (ე. ი. როგორც ბიოლოგიაში დარვინამდე) იყო სოციოლოგიაში, რის გამოკვლევა ვერ შეიძლეს მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფოსებმა და მეცხრამეტე საუკუნის ისტორიკოსებმა, ის კარლ მარქსმა გაარკვია და თვალ-საჩინო გახადა.“*)

დიად, ეს რომ მართალი იყოს, მართლა სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან ხოლმე სოციოლოგიის თანამედროვე მკვლევარნი. სასაცილო და სულელი გამოდის კონტი, რომელც ძლივს-და ტერმინს „სოციოლოგიას“ ხმარობს მაშინ, როდესაც მისი თანამედროვე ამ მეცნიერებას კიდევ ჰქმნის და სრულ სისრულემდეც ავითარებს. სასაცილო და სამარცხვინოა ინგლისის უაღრესი ფილოსოფოსი ჰერბერტ სპენსერი, რადგან იგი

*) იხ. „კვალი“ № 28. გვ. 14. 1895 წ. ბ-ნი ბელტოვი თავის წიგნის 161 გვერდზე სწერს: „И надо сознаться, что до Маркса общественная наука не была и не могла быть точной.“

მხოლოდ ანალოგიას-ლა ამჩნევს ბიოლოგიურსა და სოციოლო-
გიურს მოვლენათა შორის. ანალოგიის შემჩნევა ორ მოვლენა-
თა შორის კი წარმოადგენს მსგავსების და განსხვავების შემ-
ჩნევას, და, სანამ ეს მსგავსება და განსხვავება არ არის შემ-
ჩნეული, მანამდის არც მეცნიერების ხსენებაა და არც მისი მე-
თოდისა, რომელზედაც ეს მეცნიერება უნდა დაემყაროს. სო-
ციოლოგია კი სპენსერამდე ოც და ხუთი წლით ადრე იყო
თურმე „გარკვეული.“ გულ-უბრყვილო და სრული უმეცარი
გამოდის ლეტურნო, რადგან ნახევარი საუკუნით მის წინად
თურმე გარკვეული და ცხადი იყო სოციოლოგია. ეს კი გვარ-
წმუნებს: სოციოლოგიური მეცნიერება ჯერ ნორჩობაშია; ამი-
ტომ კანონების დადგენა ჯერ მის ძალ-ღონეს აღემატება;
გვჯერა, რომ სოციოლოგიური კანონები უეჭველად არიანო,
მაგრამ ამათი გარკვევა და დადგენა მომავალ თავობას უნდა
დაეუთმითო (იხ. კ. ლეტურნოს თხზულების: La Sociologie
d'après l'ethnographie'-ს წინასიტყვაობა და 544 გვერდი).

სხვების რა მოგახსენოთ და ჩვენთვის კი მართლა საკვირ-
ველია, თუ საიდან და როგორ ახერხებენ ეს ვაებატონები ამ-
დენს უსაბუთო ლაპარაკს.)*

*) საზოგადოდ ახირებული აზრისაა ბ-ნი ნ. ჟორდანიას კ. მარქსზე, თვითონ
კ. მარქსი, როგორც ზემოდ მოყვანილ ციტატებიდან სჩანს, იმ შეხედულობისაა, რომ
თუ ეკონომიური ნიადაგი არ დამზადდა და არ შეიცვალა, ისე შესაფერი პოლი-
ტიკური და იურიდიული ცვლილებაც არ მოხდებაო, ისე შესაფერი ცნობიერება და
შეგნებაც ვერ აღორძინდებაო. ბ-ნი ნ. ჟორდანიაც ამ აზრს ათასჯერ და ათასგვარად
დუქავს, მაგრამ მაინც ვერ შეუღნია იგი. 1895 წლის „კვალის“ მეოც და თორმეტე
ნომერში მესუთე გვერდის პირველ სვეტზე ბ-ნი ნ. ჟორდანიას სწერს: „ამ 50 წლის
წინად მისი (ესე იგი გერმანიის) მრეწველობა ისე სუსტი იყო, რომ თვითონ გერმა-
ნიას არ სჯეროდა, თუ ოდესმე დამკვიდრდება კაპიტალიზმი. ასეთი მდგომარეობა იყო
გერმანიაში ამ 50 წლის წინად, ესე იგი 1845 წელში. ამ სუსტ ნიადაგზე გერმანიის
ახალგაზღობამ საფრანგეთის პოლიტიკური იდეები გადმოწერგაო, მაგრამ ეს იდეები
ვერ იხეირებდნებო, რადგან საფრანგეთის პოლიტიკური წყობილება გამაგრებული
იყო ეკონომიურ წყობილებაზე, გერმანიაში კი ეს უკანასკნელი მიღებული, მი-
სუსტებული იყო. ბრენოსაერი და მისი მიმდევარნი ამბობდნენ, ძალადობით უნდა
გავაბედნიეროთ ჩვენი სამშობლო ქვეყანაო. მაგრამ ამათ წინააღმდეგ „გამოილაშქ-
რეს ორჯელ კიდვე ახალგაზდა მეგობრებმა: კარლ მარქსმა და ფრ. ენგელსმა: ესენი
ამბობდნენ: სანამ მუშა ხალხი ქუჩაზე არ გამოვა და სისხლს არ დადვრის, პრუსიის
კონსტიტუცია ოცნებააო. ამით უჩვენებს ახალი გზა, წადით მუშა ხალხი გააცნო-
ბიერეთო. მართლაც 1848 წ. ბერლინის მუშებმა დაიძახეს ძირს ძველი წყობილე-



ბ-ნი ნ. ჟორდანიას შემდეგ ამბობს: „სოციალ-დემოკრატთა მოძღვრება როგორც ისტორიული, ისე ეკონომიური მეცნიერებაა“ (იხ. „კვალი“ № 12, 1895 წ.). „თანამედროვე ისტორიული მატერიალიზმი (ხან ისტორიული, ხან დიალექტიური, ხანაც ეკონომიური! შეგვიბრალეთ, ბ-ნო ნ. ჟორდანიავ! რად გნებავთ, რომ ჩვენ, ცოდვის შეილნი, სულ ერთიანად დაგვაბანიოთ? გვიბრძანეთ, რომელი ეკონომიაა მართალი, რომელია აზრიანი?) მეცნიერებაში უკვე დამკვიდრდა“ (იხ. „კვალი“ № 23, 1895 წ.). კარგი იქნებოდა, კეთილ ენებებია, ბ-ნი ნ. ჟორდანიას და ლიტონი სიტყვების მაგიერად უტყუარი საბუთით ეჩვენებია, რომელ მეცნიერებაში დამკვიდრდა, სად არის ამ თეორიის მიმდევარი და ამდსარბელი სკოლა, რომელიც სამეცნიერო ცოდნაში რასმე იკვლევდეს და ეძიებდეს? ლიტონ სიტყვას ახლა გასავალი აღარ აქვს, ხომ მოგეხსენებათ. მე-XIX საუკ. შეილნი, თქვენდა სამწუხაროდ, ურწმუნო თომები არიან: თუ თვალთ არ დაანახეთ, უტყუარი საბუთით არ დაუმტკიცეთ, ისე აღარავის აღარას უჯერებენ.

ბოა (მხედეთ, რა ამბავია?) და კიდევ დაინგრა“. ამას ამბობს იგივე ბ-ნი ნ. ჟორდანიას „კვალის“ იმავე ნომერში, ხოლო მესხეთე გვერდისვე მეორე სვეტზე. დაუკვირდით, მკითხველო, ამ ამბავს, თუ ეს საარაკო და საოცნებო არ არის, თუ ეს სასწაულთ მოქმედება არ არის. მართლაც, 1845 წ. გერმანიის მრეწველობა, ეკონომიური წყობილება მიღებული და მისუსტებულია. ამავე წელს კ. მარქსი და ფრ. ენგელსი დარიგებას იძლევიან, წადით ხალხი გააცნობიერეთო, მერმე იგი ქუჩაზე კვილხილით გამოვოა. 1848 წ. კი უკვე გაცნობიერებული ხალხი ქუჩაზე ვინ ხარ მამაცის ძაზილით გამოდის და კონსტიტუციისათვის გასამაგრებელი ნიადაგი, ეკონომიური წყობილება უტყვლილა, და კონსტიტუციაც დამკვიდრდა. აი, ასეთს ზღამარს გვეუბნება ბ-ნი ნ. ჟორდანიას! სამი წლის განმავლობაში, 1845—1848 წ., გერმანიის მუშა ხალხი კიდევ გაცნობიერდა, ქუჩაზედაც გამოვიდა, კონსტიტუციისათვის გასამაგრებელი ნიადაგიც დამზადდა—და ეს ყოველი მოხდა იმიტომ, რომ ასე ბრძანეს „ახალგაზდა მეგობრებმა“. სასწაულთმოქმედება მეტი იქნება? მეტი ხომ არც ქრისტეს უქნია-რა, როცა ლაზარე გააცოცხლა. ბრძანა: ლაზარე, აღსდგეო! და ლაზარეც წარმოხდგა. ბ-ნი ნ. ჟორდანიავ! თუ კი თქვენს „დიალექტიურ მატერიალიზმს“ ასეთი სასწაულთ-მოქმედება შეუძლია, თქვენც ხომ ახალგაზდა ბრძანდებით და მეგობარი ფრ. ენგელსისა თუ არა, ბ-ნი ნ. ბელტოვისა ხომ მაინც, რომელიც ფრ. ენგელსის მიერვე მიროცხებული, —უბრძანეთ ჩვენს ცხოვრებას, აჩვენა რამე გვეშველოს... ამისათვის კი—არა თუ სამი წელიწადი, ათიც თქვენთვის დაგვითმია.

II

ზევით ვნახეთ, რომ ბ-ნი ნ. ჟორდანია ეკონომიური მატერიალიზმის დასაცველად მხოლოდ ბ-ნი ნ. ბელტოვის წინაკით ხელ-მძღვანელობს. გავიგეთ აგრეთვე, რომ ბ-მა ჟორდანიამ მოკამათეს ცილი დასწამა, შენ ეკონომიური მატერიალიზმისა არა ვაგეგება-რაო, თვითონ კი ამ ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრებას ასხვაფერებს, ამახინჯებს, რათა თავის-დაცვა გაიადვილოს, მკითხველი დაიყოლიოს, მოკამათეს კი ნაცარ-ტუტა გადააყაროს. ახლა კიდევ მივყვეთ კვალში ბ-ნ ნ. ჟორდანიას, რათა სისრულით ვიცოდეთ, თუ რა ძლიერად და ღრმად ფესვებ-გადგმულია მის ორგანიზმში ეს სურვილი გადამახინჯებისა, გადაუკულმართებისა. ამ სურვილით შეპყრობილი, რომ თავი განსაცდელს დააძვრინოს, იგი უსირცხვილოდ თავის სიტყვებსაც კი უარჰყოფს.

„მოამბე“-ში დასტამბულ სტატიაში ბ-ნ ნ. ჟორდანიას ავტორიტეტად მოჰყავდა ბ-ნი ნ. კარევი*) და ამბობდა, ეროვნებას, ნაციას ცნობიერება, შეგნება ჰქმნისო, ეტნოგრაფიული გუნდი, ერთ ენაზედაც მოლაპარაკე რომ იყოს, თუ შეუგნებელია, ერს, ნაციას ვერ შეადგენსო. აი, ეს აზრი ედვა სარჩულად ბ-ნ ნ. ჟორდანიის სტატიას და ავტორი მართლაც ცდილობდა გამოერკვია, თუ რა ნიადაგია, რა მიზეზია, რომ ადამიანთა ეთნოგრაფიულ შეკრებილებას გაცნობიერებს, თავის განცალკევებულობას შეაგნებინებს, გაერთიანების სურვილს აღუძრავს და ამნაირად ნაციად გარდაქმნის. ბ-ნი ნ. ჟორდანია თავის სტატიაში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს შეგნება, ეს გაერთიანების სურვილი ნაყოფია და შედეგი მხელად ნაგთაქნა სწინარეებისა. ნივთიერად გაერთიანებულია საფრანგეთის ყოველი კუთხე, ამიტომ საფრანგეთის ხალხი იდეებითაც გაერთიან-

*) შემდეგ კი ეს თავისი ავტორიტეტი, რადგან ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ბ-ნ ნ. ბელტოვა გამოილაშქრა, ფარსის მოთამაშედ დასახს! ნუ დასძრახავთ ამისთვის ბ-ნი ნ. ჟორდანიას: ცვალებადია ყოველი და... მისი აზრიც იცვლება.



ნებუღია და იგი ერს, ნაცის წარმოადგენს. ნიეთიერი, ნომიური მხრით საქართველოს სხვ-და-სხვა კუთხე განცალკევებული და კარ-ჩაკეტილი იყო, ამიტომ „ნაფთავი საჭინოება ანაგის ძალას ან ატანდა ვისმე შეკრებულად და მასვლამოსვლა გაქმანთა.“*) ამიტომ ქართველობა სხვა-და-სხვა განცალკევებულ თემებად არის დაყოფილი: „ასე რომ ანცერთა მხანე ცხვანებისა ნათლად ან გვიჩვენებს უნთაერთ-შინაას ვრანგულ დამოკიდებულებას.“**)

აი, ამას ამბობდა ბ-ნი ნ. ჟორდანი თავის სტატიაში. ჩვენც ასე გავიგეთ მაშინ ამ სტატიის დედა-აზრი***) და ახლაც

*) იხ. „მაამბე“, № 5, გვ. 111—112, 1894 წ.

**) იხ. გვ. 108.

***) ბ-ნი ნ. ჟორდანიის სტატია, რომელიც „მაამბე“-ში იყო დატარებული, შეიძლება ორ ნაწილად გაყოთ. პირველ ნაწილში ავტორი, ავღ თუ კარგად, ეკონომიური მატერიალიზმის სახელმძღვანელო პრინციპებს თავს უყრიდა და ამ მოძღვრებას გვინმარტებდა. მეორე ნაწილში კი ავტორი ცდილობს, ეს პრინციპები ჩვენს ცხოვრებას შეუფარდოს და დაგვიმტკიცოს, რომ საქართველოში კაპიტალისტური წარმოება „საოცარი სისწრაფით“ ფებს იკიდებს. ჩვენ ჩვენს სტატიაში შევეხეთ ბ-ნი ნ. ჟორდანიის სტატიის მხოლოდ პირველ ნაწილს. მეორეზე არა გვითქვამს-რა. არა გვითქვამს-რა კი იმით, რომ ჩვენცა გვეჭერა, რომ ჩვენში კაპიტალისტური წარმოება, „საოცარი სისწრაფით“ თუ არა, თან-და-თან მიიწეფებს იკიდებს. არა გვითქვამს-რა იმით, რომ თვით დასაბუთება და დამტკიცება იმ აზრისა, რომ ჩვენში კაპიტალისტური წარმოება ვრცელდება, ბ-ნი ნ. ჟორდანიის ფრიად ღიბსა და ფეხის სასხლეტ ნიადაგზე აქვს დამყარებული: იგი მხოლოდ და ოდენ უვიც კორესპონდენტთა ცნობებით ხელ-მძღვანელობს და ერთადერთ საიმედო წყაროდ ეგ. ნინო შვილის მოთხრობებს აღიარებს. ასეთი გარკვევა კი მეტად მოკლებულია საბუთიანობას. პუბლიცისტმა თვით ნამდვილი ცხოვრების რთული ვითარება უნდა კაარკვიოს და განიხილოს, ამ ვითარებაში მოსძებნოს პირობები და მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს, შეეღის ამა თუ იმა მოვლენის აღმოცენებას და თავის-ჩვენს. ამას შემდეგ კი მას შეუძლია საილიუსტრაციოდ მოიყვანოს კორესპონდენტთა ცნობებიც და ბელეტრისტიკის მოწმობაც მოიშველოს. კრიტიკოსს შეუძლია, ესა თუ ის აზრი რომ დაასკენას, ბელეტრისტიკა სრულ და საიმედო წყაროდ მიიჩნიოს. პუბლიცისტს კი ამის უფლება როდი აქვს. აი, ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ბ-ნი ნ. ჟორდანიის სტატიას მეორე ნაწილს არ შევხებივართ, რადგან მაშინ ჩვენი მიზანი არ იყო წერილმანებს გამოვდგომოდით. მაგრამ ამავე გარემოებაში გვიძლია, რომ 1895 წ. „კვილის“ მე-24—27 ნომრებში დავსტამებთ ჩვენი სტატია: „ჩვენი საშინაო საქმეები.“ ამ სტატიაში ვრცლად და დაწვრილებით ვარკვევდით, თუ რა მიზეზი, რა პირობებია, რომ ჩვენს ცხოვრებას ახალ-ფერსა სდებს და კაპიტალისტური წარმოების მორვეისკენ იტაცებს. ამ ფაზად ეს გარემოება იმითმ აღვნიშნეთ, რომ გვესურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ჩვენსა და ბ-ნი ნ. ჟორდანიის სტატიებზე. დეე, თვითონ მკითხველმა იკითხოს ორვეს სტატიები, და სთქვას, რომელ სტატიას უფრო ეტყობა საბუთიანობა და ნამდვილი ცხოვრების ვითარებას ვინ უფრო არკვევს, იძებნს...



ასე გვესმის. თვით მკითხველმა ვადიკითხოს ბ-ნი ჟორდანიის სტატია, მერმე ჩვენ მიერ ამ სტატიის შინაარსის გამოთქმა 1894 წ. „კვალის“ მე-51 ნომერში, და სულ-ქვეშ თვითონვე სთქვას, ვინ სტყუის, ვინ ასხვაფერებს თავისას და სხვის აზრებს, ჩვენ, თუ ბ-ნი ნ. ჟორდანია. ახლა კი ბ-ნი ნ. ჟორდანია მხოლოდ იმიტომ, რომ განსაცდელს თავი დააძვრინოს, თამაზად გაიძახის, გიჟი ვიყავი ამას ვიტყვადიო. „ერი ისტორიის წინა დროებში გამოირკვა, ერის გაჩენის კითხვა რასის კითხვაა, რაიცა იკვლევთ ანთროპოლოგიისა და ლინგვისტიკის-მიერ. სოციოლოგია და ისტორია ამას ვერ მისწვდება, ვინაიღვან ერი, ე. ი. ადამიანთა კრებული ერთი გვარ-ტომობისა, ერთ ენაზე მოლაპარაკე გამოირკვა ისტორიის წინა დროს. ჩვენ ლაპარაკი გვაქვს ერის შეგნებულათ გაერთიანებაზე და არა ერის გაჩენაზეო.“ (იხ. „კვალის“ № 23, 1895 წ.). მოდი და რა უნდა უთხრას კაცმა ასეთ საქციელს!? შეგნებულად გაერთიანება არ შეიძლება, თუ ამას სარჩულად შესაფერი ნივთიერი საჭიროება არ დაედვაო, ადამიანთა კრებული, თუ შეუგნებელია, ერთ ენაზედაც მოლაპარაკე რომ იყოს, ერს, ნაციას ვერ შეადგენსო. ახლა კი ასკიკუკუს თამაშობს და მედიდურად ჩაგვძახის, მე ამას როგორ ვიტყვადიო!? უფალო, საკვირველ არიან საქმენი შენნი!..

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ბ-ნი ნ. ჟორდანიამ ესა ბრძანა ზე ეს მაშინდელი მისი აზრი სიმართლეს მოკლებული არ იყო. ხოლო ის, რასაც ახლა ბრძანებს, რომ ერი ისტორიის წინა დროებში გამოირკვაო ზე ორ სამეცნიერო ცნებათ—**ენს, ნაცაას ზე რასას**—ერთმანეთში დომხალივით ურევს, ეს ცხადი შეცდომაა, რადგან **ნაცაა მთლად ერთიანად ნაყოფია ისტორიისა**. ისტორიის წინა დროებში გარეშე ბუნების ზე-გავლენით გამოირკვა ადამიანთა შეკრებილება, ეთნოგრაფიული გუნდი, **რასა და ანა ნაცაა, და ანა ერი**. ადამიანთა შეკრებილებას, რომელსაც ისტორიული ცხვრეობა ანა ქქანია, ისტორიის ცვალებადობა და დაუდგომელობა ან განუცდია და ან განუვცდია, შეუძლებელია ერა, ნაცაა ვუწოდეთ. ასე რომ არ ყოვილიყო, მაშინ ყველა ველური ხალ-

ხები უნდა ნაცებად ჩაგვევალა. ნაცობად, ერთად არა თუ ისინი, არამედ მათზე ათასჯერ უფრო განვითარებული ხალხებიც არ შეგვიძლია ჩავთვალოთ, მივიმჩნიოთ, თუ კი რენანს დავეჯერებთ (მაგალითად, ეგვიპტელები და ჩინელები). ერი, ნაცია ისტორიის საძიებელი საგანია, ხოლო რასა კი ანთროპოლოგიისა, ლინგვისტიკისა და, თუ გნებავთ, ბიოლოგიისაც. ეთნოგრაფიული გუნდი და რასა—ერი როდია; ერთი ნაყოფია ისტორიის წინა დროებისა და გარეშე ბუნების ზედ-მოქმედებისა, მეორე კი პირმშოა შვილია ისტორიული ცხოვრებისა. მნიშვნელობა და აზრი ამ ორი სამეცნიერო ცნებისა სხვა-და-სხვაა, არ შესარევი. რასა სხვაა და ნაცია კიდევ სხვა, მათ „შუა უძევეს დიდი ზღვარი“. *)

ჩვენ მიერ მოყვანილ ისტორიულ ფაქტებს, რომელნიც ძირს უთხრიან ეკონომიური მატერიალიზმის თეორიას, რყევა ვერ უქნა, ვერ შეანძრია ბ-ნმა ნ. ჟორდანამ. ხოლო ეს რომ მკითხველს არ დაანახვოს, გაიძახის, ფხას ისტორიული ფაქტები ილოვაისკიდან აქვს ამოკრეფილიო. ამაზე ბ-ნ ნ. ჟორდანის ის უნდა მოვასხენოთ, რომ ჩვენ სამარცხენოდ არ მიგვაჩნია ცოდნა, ვისგანაც არ უნდა იყოს, შევიძინოთ. ერთი წიგნით, ერთი წიგნაკით და ისიც ბ-ნ ნ. ბელტოვის ნაჯღაბნით ჩვენ არ შეგვიძლიან დავკმაყოფილდეთ. მეორე ისიც უნდა ვთქვათ,—რადგან ეს სრული ჭეშმარიტებაა,—რომ ის ისტორიული ფაქტები, რომელნიც ჩვენს სტატიაში გვაქვს მოყვანილი, არც ერთი ილოვაისკის არ მოეპოვება.

არ დავიცავთ ჩვენს აზრს, რომ მთელი ორგანული ბუნება **) მოთხოვნილების მხრით ორ დიდ ჯგუფად, ორ დიდ გუნდად განიყოფება-თქო. ეს აზრი, არა თუ უარ-ჰყოთ,—რომ შეიგნოთ, ამისათვის საკმაო როდია ბ-ნ ნ. ბელტოვის წიგნაკი.

*) სლოვიანების რასას, რადგან მის სხვა-და-სხვა ნაწილს სხვა-და-სხვა ისტორიული ცხოვრება აქვს განვლილი, შემდეგი ნაციები შეადგენენ: რუსები, პოლონელები, ჩეხები, ბოლგარები, სერბნი და სხვ.

**) ჩვენ სწორედ ასე გვაქვს: „ორგანული ბუნება“. ბ-ნ ნ. ჟორდანია კი შესაფერი მოურიდებლობით გვეუბნება,—მცენარეები რად გამორიცხეთ „მთელ ორგანულ ქვეყნიდანაო?“ (ორგანული ქვეყანა??!).

ვისაც ამ აზრის შეგნება უნდა, მას, ვრცელი ბიოლოგიური ცოდნა თუ არა, საკმაო და საბუთიანი ცოდნა მაინც უნდა მოეზოვებოდეს ბიოლოგიაში, ზოოლოგიის პირველი თავი მაინც უნდა ჰქონდეს შესწავლილი და შეგნებული. ასეთ მცოდნესთან საუბარი სახირო და სასარგებლოა, თორემ უამისოდ ეს საუბარი დაუბოლოვებელი იქნება და არც ნაყოფს მოიტანს რასმე. *)

მაგრამ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ, სიჩუმე და მღუმა-რება დავიცვათ შემდეგ გარემოებაზე.

ბ-ნი ნ. ჟორდანიას გვეკამათება, რომ ომიანობა არ ჩაითვლება ერთა გაერთიანებისა და წოდებათა აღორძინების მიზეზად. ეს გარემოება „დამოკიდებულია იგივე სამოქმედო (ანუ საწარმოვო, სულ ერთია) ძალის აღორძინებისაგან“ (თუ აღორძინებაზე?). **) ეს რომ ასე არ იყოს, რატომ ველურ ხალხებში წოდებანი არ არიანო, რატომ საქართველო არ იყო გაერთიანებულიო. გაერთიანება და წოდებათა აღორძინება რომ მოხდესო, ამისათვის საჭიროა, საწარმოვო ძალა იმდენად განვითარდეს, რომ ერთმა ორის სარჩენი და სამყოფი მოიპყრება. აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საწარმოვო და სამოქმედო ძალა „სულ ერთი“ როდია. ეს ორი ძალა ერთი და იგივე და თანაბარი არ არის იმიტომ, რომ ბევრი ხალხი მოიპოვება, რომელს საწარმოვო ძალა ფრიად განვითარებული აქვს, მაგრამ სამოქმედო ძალა ამის ნახევარიც არ მოეპოვება. მართლაც, აფრიკის ხალხებში საოცრად განვითარებულია მეტალურგია და რკინის გადადნობა-დამუშავებას ეს ხალხები უხსოვარი დროიდან მისდევენ. მაშასადამე, ამ ხალხებს რკინა, დიდი ხანია, დაუმორჩილებიათ. რკინის დამორჩილება კი, როგორც თვით ფრ. ენგელსი ამბობს, არის „ფრიად დიდ-

*) ამ აზრის შეგნებისათვის საჭიროა შემდეგ თხზულებათა შესწავლა: ჰერბერტ სპენსერის ბიოლოგია და ფსიხოლოგია, უფრო ამ უკანასკნელი თხზულებების თავი—Эстетическія чувства; ბიოლოგია ბ-ნ ლეტურნოსი და მისი სოციოლოგიის მე-V წიგნი; Задачи современной эстетики—თხზულება მ. გიულისი, და რიბოს: Психологія вниманія.

**) იხ. 1895 წ. „კვალი“, № 21.

მნიშვნელოვანი ყველა იმ დასამუშავებელ მასალათა შორის, რომელნიც სულ სხვა ფერსა სდებდნენ ადამიანის ცხოვრებას. *) ჩვენ კი ვიცით, რომ სწორედ ეს სხვა ფერი ვერ დასდო ამ ხალხებს რკინის დამორჩილებამ და მეტალურგიის განვითარებამ. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ იარაღი მხოლოდ მუშით ფასობს (l'outil ne vaut que par l'ouvrier). არც წოდებათა აღორძინებაა დამოკიდებული საწარმოვო ძალის განვითარებაზე. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ იძულებული ვართ აღვიაროთ, რომ რუსეთისა და სათათრეთის საწარმოვო ძალა უფრო განვითარებულია და უფრო მაღალ საფეხურზე სდგას, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისა, რადგან პირველთა წოდებანიც ჰყავთ და მილიონობით ხარაზმული მხედრობა, უკანასკნელს კი არც ერთი და არც მეორე არ მოეპოვება. ესეც რომ არ იყოს, განა დასაჯერებელია მივიღოთ, რომ თავად-აზნაურობის წოდება იმიტომ დაარსდა, რომ გლეხობას ოდესმე ვითომც შესძლებოდეს თავის სარჩენად საჭიროზე ზედ-მეტის მომუშავება. აბა, დაეკითხეთ ამ აზრის შესახებ პოლიტიკო-ეკონომებს და თვით გლეხობასაც... არა გვეგონია, ბ-ნ ნ. ჟორდანიას დასტური უთხრან. ჩვენი აზრის სიმართლე რომ დავამტკიცოთ, ამისათვის არ დავასახელებთ ევროპის ფეოდალურ წეს-წყობილებას, რომელიც შედეგი იყო სამხედრო მფლობელობისა და ომიანობით წარმოშობილი. არ გავიხსენებთ ინდოეთის კასტებს, რომელთა აღორძინება პირდაპირი შედეგი იყო მოსულთა მიერ მუნებურთა დაპყრობისა. არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ მონობა, ერთი ადამიანის დამორჩილება მეორის მიერ, წარმოშობა ომიანობამ და ომიანობაში მოპოვებულმა ტყვემ. **)

ომიანობის მნიშვნელობა და გავლენა რომ შეამციროს, ბ-ნი ნ. ჟორდანიას გვეუბნება, რატომ ველურ ხალხებში წოდებანი არ არიანო, რატომ საქართველო გაერთიანებული არ

*) იხ. Происхождение семьи, частной собственности и государства 33. 158.

**) Le véritable esclavage s'alimentait autrement, le plus souvent par la guerre, par les captifs épargnés. (იხ. Ch. Letourneau—L'évolution politique. 33. 49).



იყოფო. აქ ბ-ნი ნ. ჟორდანია ნამდვილ მეტაფიზიკსავეთ მსჯე-
ლობს, გინდათ თუ არა, მიზეზმა უსათუოდ შედეგი უნდა გა-
მოიწვიოსო. ხოლო მიზეზი მაშინ წარმოშობს და გამოიწვევს
შედეგს, როცა შესაფერა ზიარებაანაც ხელს უწყობენ. მცენა-
რის აღმოცენების მიზეზი თვითონ თესლია, მაგრამ თუ შესა-
ფერი სითბო, შესაფერი ნიადაგის სინოციერე და ჰავა ხელს
არ უწყობს, თესლი ვერაფერს გახდება, მიზეზი შედეგს ვერ
გამოიწვევს, მიზეზი, ასე ვთქვათ, განუხორციელებელი დარჩება...
როცა გარეშე პირობანი შეუძლებელად ჰხდინ მიზეზი გან-
ხორციელდეს, მაშინ ამ მიზეზის ძალა ან სრულებით ისპობა,
ან, ასე წოდებულ, პოტენციალურ მდგომარეობაში რჩება, ვი-
დრე განხორციელებას შეიძლებდეს, კინეტიურ მდგომარეობა-
ში გადავიდოდეს. ესევე უნდა ვთქვათ იმაზედაც, რომ ველურ
ხალხებში წოდებანი არ მოიპოვებიან და საქართველოც
თამარის შემდეგ ამ საუკუნემდე გაერთიანებას ვერ ელირსა.
წოდებანი რომ აღორძინებულიყვნენ, ამისათვის საჭირო იყო,
ველურ ხალხებს ელობაზედ ხელი აეღოთ, ერთ ადგილას
დაბინავებულიყვნენ, რაიმე ჰქონოდათ, რის დასაცველად
თავის გამოდება და მარად მზად-მყოფობა საჭირო ყოფი-
ლიყოს. აგრეთვე როგორ უნდა გაერთიანებულიყო საქარ-
თველო, როცა მონგოლებმა იგი დაიპყრეს და რომაული
პრინციპით დაუწყეს ბატონობა: divide et impera. მართლაც,
მონგოლებმა საქართველო სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ
გაანაწილეს, სამივეზე კი თვისი მძლავრი ხელი დაადვეს. და-
სავლეთ საქართველოს ოსმალეთი ფლობდა, აღმოსავლეთს კი
სპარსეთი. ასეთს მდგომარეობაში რალა ჯადო-ქარით უნდა
გაერთიანებულიყო საქართველო? აქ თვით ზეცის ძალნიც ვერ-
რას გააწყობდნენ. აქ სახეირა მხოლოდ ის-ლა იყო, რომ
ქართველობას დრომდე გულში ღრმად უნდა ჩაეშალა თვისი
ილუმალი ზრახვა. ქართველობა მართლაც ამ გონიერ გზას
დაადგა...

ბოლოს მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ბ-ნ ნ. ჟორ-
დანის მხოლოდ შემდეგ პაუთიურ ფრაზებზე, რომლებითაც იგი

ჩვენს ზნეობრივ მხარეს ეხება, და ბ-ნ ნ. ჟორდანიის საქციელს თვით მკითხველმა უწოდოს ნამდვილი სახელი. „ყველგან ბატონ-ყმობა, ყველგან მორჩილება, ცხოვრებაში, ადამიანის ბუნებაში.“ „ის (ვითომც ჩვენ) დამაძინებელ ქადაგებასაც მოყოლია. ხალხს ჩამოართვა შეგნება, ცნობიერება (ეს სადაური ლოგიკაა, ბ-ნო ნ. ჟორდანიავ? ჩვენ აღვნიშნეთ ფაქტი, რომ ისტორიის მსვლელობამ ისე დაანაწილა საზოგადოება, რომ შეგნება, ცნობიერება და ღრმა სურვილი ცხოვრების გაუმჯობესებისა, ღრმა ბისწრაფება მომავალისადმი საზოგადოების მხოლოდ ერთ ნაწილს ასულდგმულებს, ამოქმედებს. განა ფაქტის აღნიშვნა, მისი სინამდვილის აღსარება ამ ფაქტის გამართლებათა? პირიქით, ის, ვინც ამბობს, რომ ხალხი გაცნობიერებულია და შეგნებულნი, რომ ბრბოსაც იმდენივე მნიშვნელობა და გავლენა აქვს, რამდენიც უმადლესად აღბეჭდილ გვამთ, სინამდვილეს ჰფარავს, მაშასადამე, ცრუობს, ის ხალხის თავ-მოყვარეობას, რომ ასიამოვნოს, უღიტინებს, ფუყე მედიდურებას ანიჭებს, ამით კი აძინებს) და უფროსებს (როგორ მოგწონთ ასეთი გადასხვაფერება? ჩვენ უმადლესად აღბეჭდილ გვამზე გვაქვს საუბარი, იმ გვამზე, რომელიც მხოლოდ და ოდენ სიყვარულით და სათნოებით არის გატაცებული, ცოდნით და სულიერი მადლით არის დაჯილდოვებული. განა ასეთი გვამი და „უფროსი“ ერთია?) მიუჩინა, ამათი მორჩილი იყავით!“ „ხოლო ამ ეჰმად რუსეთის „სუბიექტივისტებმა“ გამოილაშქრეს მის (ეკონომიური მატერიალიზმის) წინააღმდეგ და ამით მხარს უჭერენ კმაყოფილთ ამა სოფლისა. ჩვენს მწერლობაში პირველათ ბ. ფხაშეხა.*) ჩაუკვირდით, მკითხველო, აბა, სად ურტყავს ამ ფრაზებით ბ-ნი ჟორდანიავ? დიად, ამ ფრაზებით სურს მკითხველი დაარწმუნოს, რომ თვითონ დამოუკიდებელი მოაზრე და მოქმედი, ჩვენ კი დავგსახოს ბატონ-ყმობის მისარჩილედ, დესპოტიზმის მომხრედ.

ამდენ ხრიკებს ბ-ნ ნ. ჟორდანიამ ისიც მიუმატა, რომ იგი, როცა ჩვენი სტატიიდან ციტატები მოჰყავს, სრულებით

*) იხ. 1895 წ. „კვალის“ №№ 20, 22 და 23.

სცვლის მით, რყვნის ჩვენს ენას და გამოთქმას, გვისხვაფერებს ტერმინებს... ღიად, ასეთი ცილის-წამება, მოკამათის სიტყვებისა და ფრაზების დამახინჯება დასჭირდა ბ-ნ ნ. ჟორდანიას! მან მთლად ერთიანად შესცვალა ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრება და იგი გადააუკუღმართა, მან უარჰყო თვისი სიტყვები, მან გადაასხვაფერა, დაამახინჯა ჩვენი სიტყვები და ჩვენი სტატიის აზრი, იგი შეეხო ჩვენს ზნეობრივ მხარესაც კი, გადაალაჯა და ფეხებს ქვეშ საცოდავად ამოიღო ნამდვილი სამეცნიერო ფაქტები და ტერმინები, ყოველივე ეს ჩაიღინა ამ ახალი დროების დევ-გმირმა, და ამავე დროს გაბედულება შესწევს გაიძახოს, ბ-ნი ფხა ასხვაფერებს ჩვენს აზრებსო. მოდი და ამას...

ჩვენ ბოროტი კაცი არა ვართ. ვიცით დაფასება მოკამათის ღირსებისაც. ბ. ნ. ჟორდანიის მთელ ნაწერებში მხოლოდ ერთ მართალ აზრს წავაწყდით. დიდი სიამოვნებით აღვნიშნავთ მას: „მწერალს, გარდა წერის სურვილისა, სხვაც რამე უნდაო.“ გამოვიჩინთ დიდ სულ-გრძელობას და ამ სიტყვებს ბ-ნ ნ. ჟორდანიას უკანვე მივაწოდებთ, რადგან მასავით, სხვას არავის სჭირია, რომ ეს აზრი ღრმად გულში ჩაიჭლიოს და შეითვისოს...

ამით ვათავებთ სამუდამოდ ბასს ბ-ნ ნ. ჟორდანიასთან, რადგან ასეთ პირთან საბაასოდ ჩვენ, მართალი მოგახსენოთ, არც დრო გვაქვს და არც მოცალეობა.

ახლა კი გადავიდეთ ბ-ნ ნ. ბელტოვის „მონისტობაზე“, მისი მეცნიერობაც გავქექეთ. ეს კი საჭიროა ერთიცი იმიტომ, რომ თვითონ ბ-ნი ნ. ჟორდანია მხოლოდ ბელტოვით სულდგმულობს. მეორეც იმიტომაც საჭიროა, რომ მთელმა მესამე დასმა ბ-ნ ნ. ბელტოვის წიგნაკი ახალ სახარებად აღიარა და ყველას, პირში თუ თვალში, ამ წიგნაკს-და გვაჩხირობენ.

(შემდეგი იქნება)

ფხა

1921 წლის
2-5

ჩვენი და სხვანი

ჩვენი თეატრი.—ვინ განაგებს ჩვენს საქმეებს.—გამგეთა მოუტლულობა და სეზონის სისუსტე.—ბალი და კონცერტი.—კრიტიკების აჯანყება და მის სასურველი დაბოლოება.—შავი ჭირი და ჭირის აცრა.

დიდ-მარხვა დადგა, სეზონი გათავდა და ისე ცუდად გათავდა, რომ გვეზარება უკან მივიხედოთ და ოდნავაც არის თვალი გადავკვლოთ ჩვენი თეატრის მოქმედებას. გვეზარება სიზარმაცით ვიარა, მარტო იმიტომ, რომ შესასარავი იყო ამ წამთარს ჩვენი თეატრი და შესასარავი იყო მის გამკეთის სიზარმაცის გამო. ასე სარმაცად კაცი მარტო ამ საქმეს მოეპურობა, რომელიც არ უყვარს და თუ არ უყვარს, მაშასადამე არც იცის. მაშ რაღად ვისრულებენ ამ საქმეს, რომელიც არც იციან და არც უყვართ? იკითხავთ. თუნდა იმიტომ რომ უნდა იკისროს ვინმე. თუნდა იმიტომ რომ რაღაცა უნდა უნდა ჩვეულება გვექონს, ვისაც ერთ საქმეს მივანდობთ, სხვა ეველა საქმეც იმასვე უნდა ვაგისრებინოთ, ეოველთვის და ეველგან ის უნდა წახეხიროთ და მაწინის სკრების მეტი რომ არა ესწავლონ-რა, რეისორად დაუუყენებთ ჩვენს ნიჭიერს და დამსახურებულ არტისტებს. ბეკრს იტყვის, თუ ახალი კანია—არ შემიძლიან, დრო არა მქვს, არ ვიცი; ეველაფრის მცოდნე და შეძლე თვით ზაზიც არ არის; მაგრამ ბეკრიც რომ სთქვას, განა დაუუყენებთ? ბეკრიც რომ იუაროს, ჩვენ ჩვენსას არ დავიშლით და ამით ჩვენვე ვასდენთ და ვრეებით ზატოცის კაცს. რა გაეწეობა, უნდა დაგუთხნისმდეს; მაგრამ როგორც თქვენ ევერის სულთანის სიკვდილი არ გაწეუბთ, ისე იმას არ აწეუბთ თქვენგან მინდობილი საქმის აკარგაინობა:



ჟერ ცხარედ მოკვიდება, თუ ახალი კაცია, და მერე, რაკი ნახავს თავის უმფროსი ამხანაგების გულ-გრილობას საზოგადო საქმისადმი, სინიდასს იმითი დაიშვილებს, რომ ჩემივე ასე უოფილა, ჩემსობასაც ასე იყოფს! იქნება კვირაში ერთხელ სხდომას დაესწროს, ისიც უოკელთვის არა, ილაყბოს, ილაზარაკოს!.. ან სიდა სცალიან, რომ საქმეს დაუფიქრდეს და შეიგნოს, რა მიანდეს მისმა ამომჩველებმა? სიდა სცალიან, ათსა სხვა საქმე უტრიალებს თავში. განა არის სიდე საზოგადო დაწესებულება, რომ ყველგან წეოდ არ წავკე-ჩხაროს! განა გრება კომისიას ამომჩვეუს რამეს, რომ ისიც წეოდ არ ჩარიცხოს! ალაბდ დიდი მცოდნე, დიდი ნიჭიერი, დიდი მუშაკი ვარო, იტყვის თავის გულში, რომ ყველგან მე მიჩვევენ და უჩემოდ გერა გაუწევათ-რაო! ალაბდ დიდად საჭირო უოფილა ქვეყნისთვის ჩემი ღვაწლი, რომ ყველგან ჩემი სასული გაისმისო! და მთელი იმისი შრომა და საზოგადო საქმის სამსახური, მთელი იმისი ღვაწლი იმაში გამოიხატება, რომ ნიშადურ ამოცხებულებით სულ სადაც მიეშურება! აქაც არის, იქაც! აქეთ წაიწეკს, იქით მიეწეკიან; იქით მივა და სხვაგან რამე უხდება. უნდა ყველგან იყოფს და არსად არის! უნდა ყველა გააკეთოს და გერაფერს აკეთებს! უნდა საქმე წინ წასწიოს და პირიქით თავის ხელით ღუპავს და სამარეს უთხრის!

განა თავის ხელით სამარეს არ უთხრის ქართულ თეატრს დრამატიული საზოგადოების გამკეობა? განა ამ საზოგადოების მიზანი და დანიშნულება მარტოდ-მარტო იმაში გამოიხატება, რომ ანტრეპრინის თვითონ ეკავოს? განა შვიდთაგან ერთი გერ გაუძვე-ბოდა ამ საქმეს, რომელსაც ყველგან და უოკელთვის ერთი უფრო უკეთ მიუძღვის? რა შესძინა წარსულმა სეზონმა ჩვენს თეატრს და დრამატიულ მწერლობას? ნუ თუ მთელი წლის განმავლობაში ერთ პიესას გერ ათარგმინებდა გამკეობა, თუ ორიგინალური ნაწარმოების შექმნა ჩვენს დროში შეუძლებელი გამხდარა? ნუ თუ მთელის წლის განმავლობაში კერძის თეატრმა იმისთანა არაფერი შექმნა, რომ დიდი სახელით აღჭურვილთ გამკეობის წეერთ მოსწონებოდათ? რა საჭირო იყო წარსული სეზონისთვის გამკეობა დრამატიული საზოგადოებისა? განა იმ გამკეობას მარტო ბ-ნი გალუსტოვი გა

კერ შესძლებდა? მარტო-მარტო იყო ქუთაისში ბ-ნი კ. მესხი და გადასინჯეთ, რა შეესებოდა შესძინა იმან ქართულ თეატრს და მასთან ქართულ მწერლობას? შესძინა, რადგან საქმე უყვარდა და ჩვენს გამგებობას კი არ უყვარს! შესძინა რადგან საქმის ცოდნა ჰქონდა და ჩვენს გამგებობას კი... ნედრობის დედისა არ იყოს, რა საჭიროა გეოგრაფია, როდესაც გზა მიეტყუძის კარგად იცისო. ისე ჩვენი გამგებობა იქნება: რა საჭიროა ცოდნა, როდესაც მცოდნე რეჟისორი ყოველთვის შეიძლება გაიშოვნოთ?

მაგრამ ცოდნაც არაა და ცოდნაც. ბ-ნი გალუსტოვი რომ «ორ სილა»-სა სთარგმნის, რეჟისორი რომ ორ სილას წარმოადგენს და მაშადაძე დროსა და ფუფს ჰფლანგავს და ჩვენი არტიტების ნიჭს შეურაცხყოფას აყენებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ბ-ნი გალუსტოვიც და ბ-ნი რეჟისორიც დრამატული საზოგადოების გამგებობითურთ ვერ ისე იმ წერტილზედ ყოფილან მიუინულნი, რომელზედაც მყოფთ ჰგონიათ, თეატრი ტაკი-მასხარაობას და არა ცხოვრების გამომხატველი და ჩვენი სახირობის მიჩვენებელი საზოგადოება. ვერ ისე იმ წერტილზედ ყოფილან მიუინულნი, და შერწმუნეთ, ამ უინულს თავის დღეშიც ვეღარ მოსცილდებიან, რომელზედაც მყოფთ ჰგონიათ წარმოადგენს მარტო იმიტომ იმართება, რომ საღსმა თუ არა, ქანდაკამ მანც იცინოს და ტაში დაუგრას მოთამაშეთათ! ერთი მაგალითიც კმარა: ვინც «ბოშა ქალი», «ორი სილა» და სხვა ამ გვარი შეესებოდა შემოსძენს ჩვენს საზოგადოებას, ის შემდეგ შიაც ამხედ მეტს გერას შესძენის და რაც მალე გამოეთხოვება საქმის მოთავეობას, ის უკეთესი იქნება იმ წმინდა საქმისთვის, რომელიც დღეს ძლივსა იფიქრებს და თუ ხელში მოგვიკვდა, ჩვენს დღეში აღარავინ გაგვიცოდნებინებს.

ამიტომ საჭიროა დრამატული საზოგადოების მომავალ კრებას რაც შეიძლება მეტი წევრი დაესწროს და საქმის მოთავედ მარტო ისინი აირჩიოს, ვისაც საქმე გაგებია, მისთვის გული შესტკივს და მართლა, ჰემმარტად ემსახურება. საჭიროა ამირჩიოს საქმის ერთგულნი, მიუხედავად იმისა, გვეთანხმებიან თუ არა ჩვენს უმთავრეს პრინციპალურ რწმენაში, რომ ძვედელს ფოფოდაი სჯობიანო. დეე იმათ მღვდელი კრჩინოთ, ოღონდ საქმეს ერთგულად

მოკვიდნენ და შიშობს დაკვიდვან, რომ დრამატული საზოგადოებების საქმის მართვაში თავის დღეში არ აღძრავენ ამ საშინელს, ჩვენი ერთმანეთის მტრად გარდამქცევალს შრინცნაიალურ კითხვას მღვდელის და ფოთოდიის უშიშარტესობაზედ.

მომაკვლი გვაჩვენებს, როგორ უწამლებს საქმეს ხსალი გამგეობა; ესლა კი მხლელად ერთს ვიტყვი; ქართული წარმოდგენები იმისთანა აუცილებელ საჭიროებად გამხდარა დღეს ჩვენი საზოგადოებისთვის, რომ გამგეობამაც რომ არ იგონოს, კერძო შირი იგონებს ვინმე მათ მართვას და დარწმუნებული ვართ, ერთი-ათად უკეთ გაუძლებს საქმეს. ამის მაგალითები უკვე ყოფილა და ამ კერძო შირთა ანტრეპრინსას მეტი შეუძენა საზოგადოებისთვის აზრინანი შეესებს თამაშით და რეპერტუარისთვის მათი თარგმანით. დრამატულმა საზოგადოებამ კარგად უნდა იცოდეს, რომ სეზონის გაძლელას, მონტაჟჟულის ფულებსა არ იყოს, სამი რამ უნდა: შეესები, შეესები და ვადეკ შეესები! შეესები რომელნიც შესძენენ რასმე მაყურებელს და თვალს აუხილვენ მის აწინდელ მდგომარეობის შესახებ; აი უმთავრესი დანიშნულება დრამატულ საზოგადოებისა და მის გამგეობისა. მან უნდა ასაზრდოვოს ჩვენი თეატრი და თეატრის საზრდო შეესები და... ევროპულ მწერლობაში «თრი სილის» გარდა იქნება სხვაც მოიპოვებოდა რამე!

ამ დაობებული, ხავს-მოკვიდებული ძველის-ძველი შეესების და ბოშა ქალების ბრალია, რომ წელს ისე გაუჭირდა გამგეობას, რომ მგონი ასე მშინაც არ გასჭირებია, როდესაც დღევანდელივით ძვალსა და რბილში არ ჰქონდა გამყდარი ჩვენს საზოგადოებას ქართული თეატრის სიყვარული. გაჭირებული უგანასკნელ საღსარს მიმართეს—ბალს და აჭარ კერა გაწვეს-რა. იმავე დროს ქ. შ. წ. კ. გ. ს. გამგეობამ გამართა იგივე ბალი კონცერტითურთ და დარბაზში ხალხი რომ ვერ ეტეოდა, ბალეონში და კარებში იდგა, ისე რომ გაკლას აღარ შეიძლებოდა. ის ბალი იყო, ეს კონცერტო, იტყვიან. რაც უნდა იყოს, რადრად თვალსაჩინო გაკეთილს რომ იძლეოდას, სასურველია ყველამ შენიშნოს და დაისწავლოს. ვისთვის იმართება ბალი, რომელსაც ყოველ წელი მართავს დრამატული საზოგადოების გამგეობა? ქალაქში მეოფე ქართველ საზოგადოებისთვის?

ჩვენს საზოგადოებაში ათი ოჯახი არ მოიპოვება, რომ შექმდეს ამგვარი ბაღის ხარჯს ისე გაუძღვეს, რომ ისედაც თხელი ჯიბე საგრძობლად არ შეუთხვლდეს. სხვანი? ჩვენს საზოგადოების უმრავლესობა? ის უმრავლესობა, რომელიც ასაზრდოებს ყოველს ჩვენს საზოგადო დაწესებულებას? რა ქქნას, უკანასკნელი ღუემს მოიკლას, უკანასკნელი ქონა დაავიწყდეს, მამისისხლად ფული იკლას და გულჩამკვდარი, მაგრამ უკლები კონტად მორთული-მოკაზმული დაესწრას საქველმოქმედო მიზნით გამართულს ბაღს, თუ შირდაშირა სიტკას: აღარა მსჭკს და უგანრავად ნუ ვიქნებით? ხომ ამით დაღუბეს ჩვენი თავად-აზნაურობა! ხომ ბაღით და მარტო ბაღით მიგვიყვანეს იმ დამტრობამდე, რომ სვალ-სეკ, თუ ჭკუასკედ არ მოვედით, კახელი თავად-აზნაურნი იძულებულნი იქნებიან ქალაქელ სირაჯებს ბოთლების მრეცხვე მოწყობაშირედ დაუდგნენ! დაუბედურება არ არის: საზოგადოებამ შეიგნო მის დამღუპველი შეცდომა და იმის მავიკრად, რომ სელი შეეუწყოთ და მით ვისარგებლოთ, დაგვიყინა: ვინც ნათხვარი ან ქართი ნაშოვნი ფრავით არ იქნება გამომზანსტული, ბაღში არ შემოესვლება! ვინც ვაღად აღებული ფულით კრვიეს კაბას არ შეაკრვინებს, ბაღში არ შემოესვლება! თითქო ეს ბაღი კრვიეს და მის მკვავსთა სასარგებლოდ იმართებოდეს!

მკითხველს ეცოდინება, რომ კუნძულ კრიტიკედ მცხოვრები ბერძნები აუჯანყდნენ ოსმალოს და საბერძნეთის შეერთების სურვილი გამოაცხადეს. მთელმა საბერძნეთმა, დიდმა და მატარამ, თავის მოძმეთა დახმარება მოინდომა და ისეთი დიადი იყო ეს სურვილი, რომ თვით გარეშე საქმეთა მინისტრი და მეფე გიორგიც გაიტაცა ხალხის წადილმა და მეფემ თავისი უმთვრესი შვილი გავსავან კრიტიკენ: კუნძული დაიჭირე, საბერძნეთს შემოუერთე და თუ ოსმალოს ჯარმა წინააღმდეგობა გავიწია, ძალა ინმარეო. საბერძნეთის ბატონი შვილმა უკვე ასრულა ხალხის და კრიტიკების სურვილი, მაგრამ კერძობის სახელმწიფონი ჩაერვივნენ ამ საქმეში და ერთმანეთის თანხმობით თითონ დაიჭირეს უმთავრესი ქალაქები კუნძულისა და ოსმალეთს და საბერძნეთს აღნობეს: ჩვენ მოვაროგებთ და ვიდრე მოვაროგებდეთ, ბრძოლას არ დაიწყეთ, თორემ ბრძოლის ამტენი ჩვენ—მთელ კერძობას შეებრძოლებო. გერმანიის

სულშივე იმისთანა მომკვდინებელ ცოდვად დასასა ოსმალთაგან შევიწროებულ ბერძენთა საბერძნეთთან შეერთების სურვილი, რომ ათინაში მეოფს თავის ელჩს უბრძანა: ბერძნეთს სელაზარაგო რა გვაქვს, ჯანყებულებს ძალით უნდა ამჟღავნებდეს კეროზაო. ვიდრე ჯარგი რომ კეროზა ამა ზრისა არ იყო და ძალას არ მიმართა. კეროზიველ სსსელშივეოთ დაიჭირეს ქალაქი ვანა, რეთიძრო და კანდაი და როგორ გადასწევტენ კრიტელების ბედ-იღბაღს, ჯერ არავინ იცის. ეს კი ცხადია, რომ ამ კუნძულის კვლავ ოსმალთს მიფლობულობის ქვეშე დატოვება შეუძლებელია. შეუძლებელია, რადგან ეს ამ ზოლიტიკური გითხვის გათავება კი არა, განასლება და უფრო გამწვავება იქნება. კრიტელ ბერძენთაგან დაუნსრომელი თავგანწირული მიძიებული თავის-უფლებისა სხვა იქნება იშვიათად მოპოვებოდეს სადმე. ის ყოველ ოსმალთს თავის ზირად მტრად სთვლის და რადგან ისე ჩვენს ლეკ-ჩანებს არა სწამთ სისხლის ძიება, როგორც კრიტელ ბერძნებს, წელიწადი ისე არ გავა, რომ რამდენიმე ასი კაცი არ შეაკვდეს ერთმანეთს. რა საშუალებას არ იხმარებს, რა საზიზღარ სიცრუეს არ მიმართავს, აღონდ თავის დამხატვრული ოსმალთს ჯავრი ამოიყროს. ბერძნებისთანა სიცრუე ხომ არავინ იცის, — ტუფილად კი არ გასდა უღისი იმათ ეროვნულ გმირ-იდეალად, — და კრიტელები სიცრუეს და სიყალბეში თვით ათენულებსაც კი სჯობნიან. თუ ძალით ვერა, ეშმაკობით მანც გავლობო, იძახდა დამონაგებული კრიტელი! ღ სან არაბთ ეჭირათ იმის სამშობლო, სან გენეციელთ, სან ოსმალთს... სოფლებს სწამდნენ, ათასობით ყელს სჭრიდნენ და ახრჩობდნენ ისინი ბერძნებს, სდგენდნენ ბერძნულ ენას და ბერძნულ წირვალთვას, ბერძნების საკვლესიო მამულებს თავიანთ მჭითებს, ან გენეციელ მონასტრებს უსაყუთრებდნენ, მაგრამ თავისუფლების სიყვარული კი ვერ ამოფხვრეს. ვერ ამოფხვრეს მამინ, როდესაც საბერძნეთი არ არსებობდა, ოსმალთს ჰყვანდა დამონაგებული და ესლას ამოფხვრიან, როდესაც ძველი საბერძნეთი თავისუფალ სამეფოდ და მასხადამე ყველას ბერძნების მიფარველად და შემკერთებლად აღუდგენია ამ მრავალ-ტანჯული ერის ბედ-იღბაღს? ესლას ამოფხვრიან, როდესაც ყოველმა კრიტელმა იცის, რომ მის სურვილს და საბერძნეთისკენ მისწრაფებას აღტაცებით ეგებება მთელი

კაცობრიობის უკეთესი, უგანათლებულესი ნაწილი? მეტეზარეს კერსადა
 ნასკოთ წლითი-წლობამდე სადმე მთაში გადაკარგულს, რომ ზეპი-
 რად არ იცოდეს ყველა კერძიულ პოლიტიკოსთა სასკლები.
 გლეს-კაცს კერსადა ნასკოთ, რომ დარწმუნებული არ იყოს, თავის-
 უფლებას დიდი ხანია მოკიპოვებდით, მაგრამ კერძის სასკლმწიფო-
 ნი გვიშლიანო! 1770 წ. სომე კაზეთებს არა კითხულობდნენ,
 მაგრამ გვეგოთ, რუსეთის ქრისტიან დედოფალ კატერინეს
 თურმე კებრალბით, დახმარებას გვიპირებსო და უნად შეი-
 რადდნენ მამულის შეილნი! და იმის შემდეგ, თუმიც კერძამ არ
 იცის, გაუთავებელი ომის ატეხილი ამ გუნძულსად ქრისტიანთა
 და ოსმალთა შორის. საცა კი მოასწრებენ ერთმანეთს ზედ შე-
 კედებთან. არ დაინდობენ არც მოხუცს, არც ქალს, არც ბავშვს.
 ჟერ ისე 21 მარამობისთვეს 1866 წ. დაადგინეს კრიტიკებმა
 თავიანთი სურვილი, რომ საბერძნეთს შეერთებდნენ და მას შემდეგ
 ისე იქცევიან, როგორც თავისუფალი საბერძნეთის თავისუფალი
 ნაწილი და არა ოსმალთა ქვეშევრდომნი.

ან რით გამოისატება ოსმალთ მიფლობულობა? ცარიელი სასკ-
 ლით და ცოტადენი ჟარით და უანდარბებით. ვამარჯვებული ოსმალნი
 დამარცხსებულ ბერძენთა ენას ღებარაკებენ, მამული მთლად
 ბერძენთ კეთუნის, ვაჭრობა—ბერძენებისა, სწავლა-განათლება—
 ბერძენებისა და თვით უწარბინებულესი და უდიდესი ოსმალთ-მოხ-
 ლენი იძულებულნი არიან ბერძენ-მეწვრილმანეთაგან ისესონ ფული
 და საზარელი დიდი სარკებელი აძლიონ. მამ რა ყოფილან იქ
 ოსმალნი? არაფერი, კერძა რომ მხარს არ აძლეკდეს და ძალად
 არ აცოცხლებდეს მომაკვდავს: მოიცა! შენ რომ მოკვდე, ჩვენ სომ
 ერთმანეთი დაგჭამეთო! ეს რომ არ ყოფილიყო, კერძის შიში რომ
 არა ქქაროდათ, განა შეიძლებოდა, ეს მცირე გუნძული, რომელიც
 საბერძნეთის თავის გეოგრაფიული მდებარეობითაც, მკვიდრთა
 ენით და სარწმუნოებითაც და იმ საერთო ბრძოლითაც, რომელიც
 მას გაუწევია მტერთათვის თავისუფალ საბერძნეთის აღსადგენად,
 დღეს ოსმალთ კეთუნოდეს?

დიდა ბერძენთა პროგრამმა და კრიტის ბედ-იღბალი მსოფლოდ
 ნაწილია საბერძნეთის შეერთების და მკვლევურად აყვავებისა. მკონი

ცხადია, ვის რა ენაღებება, რომ მტრისაგან განზომარებული ძმანი კვლავ შეერთდნენ და სამშობლოს ძველი დიდება განუახლონ? ვის რა? მაგრამ სისხლით გაუმძღვარი დიპლომატია სულ სხვაფორმა სჯის და იმის მაგივრად, რომ კრიტიკების სურვილი დააკმაყოფილოს და საბურძნეთს შეუერთოს და მით აღმოსავლეთის კითხვა ცოტაც არის შეამციროს, ის დიპლომატიურადაც დასჯისა საქმეს. აქნება შიშობს: საქმე რომ აგრე ზღვილად გათავდეს, დიპლომატიის სომ წყალში გადასაყრელნი გაკვდებიო!

აგრე ექვსი თვე ინდოეთში ყვამი მძვინვარებს—ტუფილად ვი არ უწოდებენ ამ ქვეყანას შავი ჭირის ბუდე! იქ ჭირი თავის დღეში არ შემწყდარა, ოღონდ ხან იკლებს, ხან იმატებს; ხან გავრცელდება და აქეთ-იქით მოედება, ხან კი კანტიკუნტად აჭა-იქ იხნის თავს. მაგრამ შარშან დიდი შიმშილი ჩამოკარდა ინდოეთში, ხალხი—60 მილიონი მეტი—დაიშვა და სიბინძურეს მიჩვეულთ, შიმშილისაგან მისუსტებულთ ისე მოედო ჭირი, როგორც ნაკოს ცეცხლი. ინდოეთიდან, თუ არ გაუფრთხილდნენ, ეს სენი მთელს ქვეყანას მოედება; ხმელეთით კასპიის იმიერ მხარეს და მეტე რუსეთს და ზღვით მთელს ევროპას. ევროპას შიში არაფრისა აქვს; ჩვენ ისე სუფთად, ისე ჰიგიენურად ვცხოვრობთ, რომ კიდევ რომ შემოგვეპაროს და წამალიც არა გივრდეთ-რა, ევროს დაგვაკლებსო, გაიძახიან ინგლისში, საფრანკეთში და გერმანიაში. ჩვენ კი იმისთანა ბინძურად ვცხოვრობთ და იმისთანა უწმინდურებაში ვიმყოფებით, რომ ჩვენდა საუბედუროდ ამისი თქმა არ შეუკვიდრიან. მართალია ისე საშიში აღარ არის ყვამი, როგორც უწინდელ დროში ყოფილა, როდესაც ისე თურმე უღატდა ხალხს, რომ დამმარცხელი და დამტირებელი აღარაინ იყო და სოფელში მკვლელები დანაკარდობდნენ. მართალია, ისე საშიში აღარ არის, რადგან ჭირის აცრა და მით ამ საშინელი ავადმყოფობის აცილება და გარდა ამისა აცრით ჭირიანის მოარჩენა უკვე დამტკიცებულ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ სიფრთხილე მაინც დიდი გემარტებს! დიდი სისუფთავე გემარტებს, რადგან ასანკრელი წამალი სამსჯავრ გარედან უნდა გამოვიწეროთ და, თუ ჭირი ევროპას მოედო, ვინ იცის, ჩვენამდე მოაღწევს ის წამალი თუ ევროს! ადგილობრივ კი ამ წამლის გაკეთება შეუძლებელი ყოფილა, რად-

გან... წამდს ვინ ჩივის, წიგნებიც ვი საფრანგეთიდან გამოიწვია ერთმა ესკულანმა: იქა სწორია, ჭირი რა არისა!

ქალაქ ჭიანჭველში რომ ჭირი გაჩნდა ერთმა შვეიცარიელმა ექიმმა დოქტორმა იერსინმა მოიწადინა ჭირის მიზეზის შესწავლა და ჭირიანის მეწევაში აღმოაჩინა ერთგვარი მიკრობი, რომელიც თუ ჩაუღებო ადამიანს, ან გაჭრილში შეიროს, მისწრაფლად გამრავლდება მის სისხლში და მთელს სხეულში დაუფლის. სიცხეს მისცემს, იღვავებაში შავი მეწევაები გამოიყვას და სამოთხს დღესეუდ თქვენს ჭირს წაიღებს; ახში სუთიც ძლივსა გადაჩნება. დასაფლავებენ მკვდარს და თუ ძალიან ღრმად არ დაფლეს, ისე ღრმად, რომ ჭიერი კვლავ ჩასდიოდეს, დიდი ხანი ცოცხლობს მიწაში ჭირის მიკრობი, და თუ შემდეგში მიწა გათხარეს და ის ცოცხადს მოხვდა რასმე, კვლავ გამოიჩენს თავის მომავლენებელ ძალას და ჭირს გაუჩნებს. დასაფლავებენ ჭირიანს, შეიძლება ისე ღრმადაც იყოს, რომ ჭიერი კვლავ ჩასდიოდეს და უჭიერობით მიკრობებიც დაისცინენ, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს, ჭირიანს თავკები დაესვევიან და ჭიანჭველებს დაუწევენ. თუ ეს მართალია, ცხადია ჭირი ვიდრე საღებვედ გაიმარჯვებდეს ჭირს თავკებიშიუნდა მიკრობებებს, და ამიტომ არის, რომ საცა ვი ჭირს თავი უჩნია, ჭირს თავკები გაწევატიანს. საუბედროდ, მანამ გაწევატოდნენ, ჭირიანი თავკები სამხარეულად, სარდაფს და საგუგუნადს მოედებინ და უგულვან ჭირის თესვას სთესენ და ამგვარად ჭირის გაგრძელების უმთავრეს მიზეზად წინდებთან. ქ. ბომბეიში ერთი თვის წინად, ვიდრე ჭირი გაჩნდებოდა, შენიშნეს, რომ ათასობით ევარა მკვდარი თავკვი. ქ. კანტონში უკანასკნელი ჭირიანობის დროს რამდენიმე კვირის განმავლობაში 22 ათასი მკვდარი თავკვი იპოვეს. ისე რომ იმ უბნებში, საცა ჭირი იყო, თავკვი წინადვე სრულიად გაწედა. მაგენი იპოვენს და რამდენი იქნებოდა ვიდრე მიწაში, რომელიც უზოვნელად დაჩნებოდა? თუ ამასთან ისიც გაიხსენეთ, რომ მიკრობი, როგორც ზემოდაც ვთქვით, თუ ღრმად არ არის მიწაში დაფლული და ჭიერი აქვს, დიდი ხანი რჩება ცოცხალი, ცხადია ამ გარემოებათაგან გამომდინარეობს პრაქტიკული დასკვნა: ჭირისაგან მკვდარი უნდა დაიწვას.

მაგრამ დაუბრუნდეთ დ-რ იერსინს. იმავე თუ არა მან ჭირის მიკრობი, ზარიზში დაბრუნდა და იქ გამომჩინილი ზასტიორის ინსტიტუტში დ-რი რუს დახმარებით შეუდგა იმ მიკრობის შესწავლას. ბუერის შრომის და მრავალგვარი ცდის შემდეგ იერსინმა თვით აცრასაც მიაგნო. ცხენს ჭირი შეჭყარა, მაგრამ იმდენად სუსტად შეჭყარა, რომ თუმცა აუად გახდა, მაინც ცოცხალი გადაიჩინა. სიცხე რომ გამოეხლდა, იმავე ცხენს სელმეორად შეუერთა სისხლში ჭირის საწამლავე ჩირქი, ახლა უფრო მეტი, ვიდრე ზირკულად, და დაიწადა, ვიდრე მოჩნებოდა. რამდენჯერმე განიმეორა ეს ცდა იმავე ცხენზე და უგანასკნელად იმოქმედა ჩირქი შეუერთა, რომ ზირკულად რომ იმდენი შეეერთა, მოჭკლავდა. ცხენმა ესეც აიტანა და სხვა კვირის შემდეგ, როცა სრულიად მოიჩინა, ამ ცხენს იერსინმა სისხლი გამოუშვა; ამ სისხლს, ჭკარზედ რომ შედედდა, ლორწო მოაწყდა და შედედებული სისხლი ასაწრელ ჩირქად იხმარა. ჯერ თავგებს აუცრა; რამდენიმე დღის შემდეგ იმავე თავგებს ჭირი შეჭყარა, ესე იგი ჭირის მიკრობით სავსე ჩირქი მოსცნო წულუღზედ და მისასდაძმე ზირდაზირ სისხლში შეუერთა; მაგრამ არც ერთი არ მოიპყარა. ცხადია ცხენის შედედებულმა სისხლმა იმდენი ძალა იქონია, რომ მერმედ შეუერთა ჭირს აჯობა და მომწამლველი ძალა დაუკარგა. მერე სხვათრთვე სცადა: თავგებს ჭირი შეჭყარა და თორმეტი საათის შემდეგ წამლად სისხლში ცხენის შედედებული სისხლი შეუერთა: თავგებმა კარგად აიტანეს ჭირი და ეველანი ცოცხალნი გადაიჩინნენ. ამ ორგვარი ცდით დაამტკიცა დ-რმა იერსინმა, რომ არა მარტო ასაწრელად, არამედ წამლადაც კარგი ყოფილა ეს საშუალება.

შემდეგ ამისა დ-რი იერსინი ინდოეთს გაემგზავრა, მაგრამ იქაც კი, სადაც ჭირი მივინარებდა და ათასობით ვლექტა ხლდეს, ვერაინ ბედავდა ეს ახალი საშუალება ეცადა. ქ. კანტონში ერთ კათოლიკე მღვდელს შესჩივლა თავისი დარდი. მე გიპოვნითო, უთხრა მოძღვარმა და იმავე დღეს ერთი 18 წლის ყმაწვილ კაცთან მიიწვია. ქრისტიან ჩინელთან, რომელსაც ჭირი შეჭყროდა და უიმედოდ გადადებული ავადმყოფი იყო. სისხლში ათი სანტიგრამი შედედებული სისხლი შეუერთა მას იერსინმა და იმავე დღეს სიცხე გამოეხლდა და მეორე დღეს ფეხზედ წამოაყენა. ჯერჯერობით მარტო

23 აკადემიკოსის შესახებ გვაქვს ცნობა და აი რა თვალსაზრისი და
 საიმედო საბუთს გვაძლევს დ-რი იერსინის გამოცენება: 23
 ჭირიანს უწამლა შედეგებული სისხლით და 23-ში 21-ი მოწესა.
 მხოლოდ რაი მოკვდა და ისინიც იმიტომ, რომ მომაკვდავები იყვნენ,
 რადესაც იმათთან დოქტორი მიიყვანეს.

შინაური მიმოხილვა

პროფესორი კრასნოვი და მისი პარალელი ინგლის-ინდოეთისა და რუსეთ-კავკასიის შორის. — Черноморскій Вѣстник-ი — „კავკასის“ ახალი რედაქციის აღსარება. — ბ-ნი კონის რეფერატი კავკასიაში მართლ-მსაჯულების წარმოების შესახებ. — ბ-ნი მიხეილ გეგიძის აზრი ჩვენში ნაფიცი მსაჯულთა სამართლის შესახებ. — მიწად-მოქმედების მინისტრის კანონ-პროექტი ბათუმის ოლქში მიწა-ადგილის მფლობელობის განკარგებისათვის.

რუსულ ჟურნალ „Недѣля“-ში იბეჭდება ბ-ნ კრასნოვის მოგზაურობა ინდოეთსა და ჩინეთში. ამ ჟურნალის 1896 წ. მეათე წიგნში ავტორი შეეხება საქართველოსაც, სადაც, ეტყობა, გზად გამოუვლია. ბ-ნი კრასნოვი, თუ არ ვცდებით, ხარკოვის უნივერსიტეტში ბოტანიკის პროფესორია. საფიქრებელი იყო, რომ პროფესორი ყურადღებას, ცოტად თუ ბევრად, მიაქცევდა ჩვენს ბუნებას და თავის წერილებში ასწერდა საქართველოს მდიდარ მცენარეობას, ადგილთა მშვენიერებას, ჰავის სიკეთეს, ან ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას, ეთნოგრაფიას და სხვ. მაგრამ არც ერთ ამ საგანთაგანს არ მიუპყრია პროფესორის გონება.

ბ-ნი კრასნოვი გაუტაცნია იმ საკითხს, რომელზედაც ებლა ფიქრობენ, ლაპარაკობენ და სწერენ ყველანი — სახელმწიფოს მოღვაწენიც და ლიტერატორებიც, სწავლულნიც და უსწავლელნიც, „ერიც და ბერიც“. ასეთია დღეს ყველასაგან აჩემებული საკითხი, რომელიც პოეტმა ამ სიტყვებით გამოსთქვა:

„... რას არგებს ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.“

რა საგანიც გინდათ აიღეთ—სარწმუნოება, სწავლა-განათლება, მართლ-მსაჯულება და სხვ.—ყოველგან წინ დაგხვდებათ ეს საკითხი, რომელსაც ყოველ მსჯელობას და გადაწყვეტილებას სარჩულად უღებენ. ამ აზრის დამტკიცებას მკითხველი იხილავს დღევანდელ მიმოხილვაშიც და ხშირად შემდეგშიაც, როცა ჩვენს აწინდელ საჭირ-ბოროტო საქმეებს შევხებით.

ბ-ნი კრასნოვიც სწორედ ამ დროის ვითარებას გაუტაცუნია და თავის საუბრისათვის აუღია—ინგლისის და ინდოეთის ურთიერთობა ერთი მხრით და რუსეთისა და კავკასიისა—მეორე მხრით. ჩვენდა სამწუხაროდ, გარემოება ხელს არ გვიწყობს დაწვრილებით და სავსებით გავარჩიოთ ბ-ნ კრასნოვის აზრები. მაგრამ შინაარსს ამ საყურადღებო წერილისას მაინც მოვუთხრობთ მკითხველს! და ორიოდვე შენიშვნას გამოვსთქვამთ ჩვენის მხრით.

„ჩვენში ხშირად ერთმანეთს აღარებენო,—ამბობს ბ-ნი კრასნოვი,—ჩვენსა და ინგლისის კოლონიებს, ჩვენსა და ინგლისელების როლსა აზიასში. ჩემის აზრით, ამ ორი დიდი ერის როლი სულ სხვა-და-სხვაა, განსაკუთრებით იქ, სადაც იგინი მოქმედებენ ისეთ კულტურის და მკვიდროდ დასახლებულ ქვეყნებში, როგორც არიან ინდოეთი და კავკასია, ანუ, უფრო ნამდვილად რომ ვთქვათ, კავკასიის სამხრეთი მხარე. იქაც და აქაც მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ მკვიდრნი (туземцы), ინგლისელები და რუსები კი უმცირესობას. ხოლო რა განსხვავებაა მათ ურთიერთობაში! ინგლისი სთესავს და ავრცელებს განათლებას იქვე ადგილზე და იმავე დროს განათლებულ ინდოელებს სამსახურში ადგილებს არ აძლევს, რადგანაც,—ამბობს ერთ ადგილას კრასნოვი,—ინგლისელებს ეჯავრებათ და ეზიზღებათ ინდოელები, რომელნიც მათ თითქმის პირუტყვებად მიაჩნიათ. რუსეთი კი კავკასიელებს აიძულებს ჩრდილოეთის ქალაქებში ისწავლონ და ამის გამო კავკასიელ მოსწავლეთა რიცხვი ფრიად მცირეა. სამაგიეროდ სწავლა-დამთავრებულ კავკასიელთა ფართო გზა ეძლევათ ბატონობისა, არამც თუ თავის ქვეყანაში, მთელ რუსეთშიაც. ინგლისელები სრულიად არ ცდილობენ თავისი ენა გაავრცელონ ინდოეთში; თავის საზოგადო ჩვეულების წინააღმდეგ თვითონ სწავლობენ ინდოელების ენას, და თუ ეს ენა არ იცით, კალკუტაში უთარჯიმანოდ მეეტლეს ერთ სიტყვასაც ვერ გააგონებთ. იქაური მკვიდრნიც თავის ნებით ცდილობენ შე-



ისწავლან ინგლისური. ჩვენ კი გვეშინიან მკვიდრთა სკოლებისა კავკასიაში და, თუმცა ვცდილობთ რუსული ენა და რუსული ჩვეულებანი გავაზრცელოთ აქ, მაგრამ ამასთანავე არაფერს არ ვაკეთებთ, რომ თვით რუსის მდგომარეობა იყოს სასურველი... ინგლისელი, ვინც უნდა იყოს იგი, ბატონია ინდოელთა შორის, იქაც კი, სადაც ინგლისის ხელმწიფობას მხოლოდ ნომინალად ცნობილობენ. ინგლისელს პატივით და კრძალვით ეპყრობიან ყოველგან.

კავკასიის სამხრეთ მხარეში რუსი, თუ კი იგი ოფიცერი ან ჩინოვნიკი, ან-და კოკარდიანი არ არის, გერია ამა ქვეყნისა. ჩაიარეთ როდისმე იარმუკაზე ტფილისში და მოიგონებთ, როგორ ლანძღავენ, რა შეურაცხყოფას აყენებენ აქ მკვიდრნი რუსის სალდათს; გვეგონებათ, რომ ისეთ ქვეყანაში ხართ, სადაც გამარჯვებულნი დატყვევებულეებს დასციინიანო... სოფლებში დასახლებულ სექტანტებს ხომ არასოდეს არავითარი უპირატესობა არა ჰქონიათ კავკასიაში... მაშ რა მოწონება, რა პატივისცემა უნდა ჰქონდეს მკვიდრთა შორის რუსს, ან მკვიდრი რად მოისურვებს რუსი გავდეს, როცა ხედავს, რომ რუსის მდგომარეობა, სახელმწიფოს სხვა ელემენტთა შედარებით, არაფრად სანატრელია (сколько непривилегированное положение занимают сами русские)... ჩვენ არ გვეთქმის საყვედური იმ ურთიერთობის გამო, რომელსაც კავკასიის სამხრეთი მხარის მკვიდრნი რუსეთის მიმართ იჩენენ, მაგრამ მათი დამოკიდებულება რუსის მიმართ კი არ არის სასურველი.“

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, — სწორედ ეს ანდაზა მოგვაგონდა, როცა ბ-ნ კრასნოვის აზრი წავიკითხეთ ინგლისელების და ინდოელების ურთიერთობის შესახებ. მართლაც, რა ახირებული გრძნობა ყოფილა ინგლისელების სიძულვილი და ზიზლი ინდოელების მიმართ: ინგლისელებმა გაავრცელეს მათ შორის განათლება (1890—91 წ.წ. ინდოეთში იყო 138,350 სკოლა და 3.698,301 მოსწავლე, 5 უნივერსიტეტი, საიდანაც ათი წლის განმავლობაში გამოვიდა 41,467 სტუდენტი; მართო ბენგალიაში იყო 60,342 ისეთი სკოლა, სადაც მხოლოდ ადგილობრივ ენებს ასწავლიდნენ); გააუმჯობესეს ეკონომიური მდგომარეობა (ყოველ წლივ ხარჯავენ 160 მილიონ მანეთს რკინის გზებზე, 55 მილიონს გზა-ტყეცილზე, 23 მილიონს წყლის არხებზე; მის მაგიერ, რომ სხვებსავით ეუბნებოდნენ ინდოელებს, ადგალი დაგვიცალეთო, დაუარსებიათ სამეიგრაციო კომიტეტები, რომელთაც მკიდროდ დასახლებულ ადგილები-

დან გადაჰყავთ მკვიდრნი იქ, სადაც საჭიროა მუშები და ახალ-მოშენენი); ააღორძინეს მათი ეროვნული ლიტერატურა (ადგილობრივ ენებზედ იბეჭდება 463 გაზეთი, 250 ათასი თანა; 1890 წ. გამოსულა 5,566 ცალკე თხზულება ადგილობრივ ენებზე); სჯულის საქმეში არ ერევიან და პატივით ეპყრობიან მათ სარწმუნოებას; პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მხრივ არა თუ უზიარებენ თავის საუკეთესო დაწესებულებათა, ზოგჯერ ისეთი ახალე კანონებიც შეაქვთ ინდოეთში მათ ზნე-ჩვეულებაზე გამოჭრილი, რომლის მსგავსს თვით ინგლისელები ნატრობენ თავისათვის და, მაშასადამე, სხვებსა ვით არ ეუბნებიან ინდოელებს, დაგვჯერდით ჩვენს გამონაცვალს და დაძველებულს დაწესებულებასაო. ვიმეორებთ, ახირებული ყოფილა ინგლისელების სიძულვილი და ნეტავ ეგრედ მოძულებულ ინდოელებს...

რაც შეეხება ბ-ნ კრასნოვის შთაბეჭდილებას, რომელიც მასზე მოუხდენია ტფილისის მცხოვრებთა ურთიერთ შორის დამოკიდებულებას, ჩვენ გვაოცებს ბ-ნ პროფესორის აზრი, ვითომ სხვა-და-სხვა ტომის მცხოვრებთა ურთიერთის პატივისცემის დასამყარებლად საჭირო იყოს, რომ ერთ რომელსამე ტომს უპირატესობა (привилегированное положение) ჰქონდეს მიჩენილი. პირიქით, სახელმწიფოს სხვა-და-სხვა ნაწილები რომ პატიეს სცემდნენ ერთმანეთს და მეგობრულად ცხოვრობდნენ, საჭიროა კანონის წინაშე სრული თანასწორობა. ყოველი უპირატესობა, რომელიც მიენიჭება ან რომელსამე წოდებას, ან რომელსამე ტომის მოდგმას, მხოლოდ ჩამოაგდება მათ შორის სიძულვილს და უსიამოვნებას. საბედნიეროდ, ამ მხრივ რუსეთის კანონი უფრო ლიბერალია, ვიდრე პროფესორი კრასნოვი გლვებთა განთავისუფლებისა და 1864 წლის სამოსამართლო წესდებათა შემოღების შემდეგ კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან. თუ წინააღმდეგ მავალითებს შევხვდებით ხოლმე, ამას სჩადიან, საუბედუროდ, კანონის გარეშე.

გარდა ამისა ფორმალური საშუალებით სრულებით ვერას გავაწყობთ, რომ მცხოვრებთა ერთი ნაწილი მეორეს ნამდვილს

და გულითადს პატივსა სცემდეს. თუ სახეში ვიქონიებთ მხოლოდ გარეგან პატივისცემას, იმ პატივისცემას, რომელიც ავალეებს ერთ აღამიანს მეორე არ შეუტაცხყოს, ასეთი პატივისცემა ხომ კანონითაც დაცულია, იმ კანონით, რომელიც საერთოა ყველასათვის, ეროვნებისა და წოდების განურჩევლად. ნამდვილი გულითადი ურთიერთობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა ერთი და მეორეც თანასწორობას სჯერდებიან და მხოლოდ თანასწორობას თხოულობენ, როცა ერთი მეორეს გულწრფელად ეუბნება, — შენ ჩემსას პატივით მოგვიდე და მეც პატივით მოგვიკიდები შენსას, სჯული იქნება იგი, ენა, ჩვეულება, თუ სხვა. — თვინიერ ამისა ყოველივე გარეგანი საშუალებით შეიძლება ჩამოვარდეს მხოლოდ შიში და არა სიყვარული. მართალია, ანდაზა ამბობს: „შიში შეიქმს სიყვარულსაო“, მაგრამ ასეთი ძველი პედაგოგიური პრინციპი, რომელიც ამ ანდაზაშია გამოხატული, აბა რა საკადრისია თანამედროვე პროფესორისათვის.

კეთილ ურთიერთობას, რასაკვირველია, ვერც ის ბრმა სიძულელი დაამყარებს, რომელსაც მუდამ, დაარსების დღიდანვე, ჭგრძნობს და ურცხვად ღალადებს „Черноморский Вѣстник“-ი ყოვლისა მიმართ, რაკი მისთვის უცხოა. ამ გაზეთმა ამას წინად მოგვიძღვნა შემდეგი საუცხოვო ნიმუში კაცთა სიძულვილისა (№ 242, 1896 წ., კორესპონდენცია ქუთაისიდან):

„რუსის მდგომარეობა აქ არ არის სანატრელი. პირვილი შთაბეჭდილება, რომელიც აქაურობას მოსულ კაცზე აქვს, არამც თუ არ ჰქრება, თანდათანაც ძლიერდება. მე მაგონდება ის გრძნობა, რომელიც ორი წელიწადია მას აქეთ, მე გამოვცადე, როცა აქ ჩამოვედი. ჯერ კიდევ რკინის გზაზე, სამი-ოთხი სტანციის წინ, ვაგონები სულ გაივსო აქაური მკვიდრი ხალხით. სტანციის უფროსები, მათი თანაშემწენი, კანდუქტორები, მუშები — სულ იმერლები არიან. ქალაქში ძლიერ შეზღვდებით რუსის სახეს. ყველანი ლაპარაკობენ თქვენთვის გაუგებარ ენას... ამ გარემოებაში თქვენს სიცოცხლეს ვერ დაატკობს ვერც რიონის ველის დალოცვილი ბუნება და ჰავა, რომელიც მართლა მშვენიერია რუსეთის ამ დალოცვილ კუთხეში.“

ჩვენ ეს ადგილი იმიტომ როდი ამოგვიწერია, რომ ბაასი გაეუწიოთ „Черноморский Вѣстник“-ს, ამისთანა აზრებს უგუ-

ნურობის და უსაფუძვლობის ბეჭედი ზედვე ასვია, იგინი თავისით გაქარწყლდება, და მობაასის კალამი ამისათვის საჭირო არ არის. ამოვწერეთ ეს ადგილი მხოლოდ იმისათვის, რომ აღგვენიშნა, თუ რა გაზეთები არსდება და ცოცხლობს ჩვენში!

ჩვენდა სასიამოვნოდ „Черн. Вѣст.“-ის აზრების თანამოზიარე გაზეთი ბევრი არ არის.

მაგალითად, უუხუცეს რუსულ გაზეთის „კავკაზის“ ახალი რედაქცია სულ სხვა დამოკიდებულებას გვპირდება. ამაწლის პირველ ნომერში იგი გვეუბნება, რომ კავკასიის საჭიროების სამსახურს ვკისრულობთ, რადგან ამ წმინდა მოვალეობის შესრულებას გავვიადვილებსო ამ მშვენიერი კუთხის სიყვარული, რომელიც გულში გვიღვივისო. მარტო ცოდნა, მარტო სამართლიანობა არ კმარაო: საჭიროა სიყვარული, ფრთხილი და გონივრული სიყვარული კავკასიის მრავალ-ეროვან საზოგადოებისა... ერთი უმთავრესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში (რისთვის მხოლოდ ზოგაერთ შემთხვევაში?) გულმოდგინედ და სიყვარულით დავიცვათ ადგილობრივი ცხოვრების ძველი და თავისებური ზნეობრივი ბურჯნი და გონივრულად შევეუთანხმოთ იგინი აწინდელ რუსის ხელმწიფობას, რომელსაც მხოლოდ ღვიძლი შვილები ჰყავს და ამ შვილების ღირსება და ბედნიერება ძვირფასი უნდა იყოს ყველა ერთგულ ქვეშევრდომისათვისო.

„კავკაზის“ პროგრამის კილო არა ჰგავს, როგორც ხედავს მკითხველი, არც „Черноморскій Вѣстникъ“-ისა და არც პროფესორი კრასნოვის აზრებს. თუ ხაზ-გაუსმელად დავტოვებთ ზოგიერთ ადგილებს ახალი რედაქციის აღსარებისას, სადაც „მაგრამ“ და „თუ“ იშვიათი არ არის, ჩვენ არ შეგვიძლიან საზოგადოდ არ თანავუგრძნოთ მის აზრებს და პროგრამას. გზა დაგვილოცნია ახალი რედაქციისათვის და ვისურვებთ მხოლოდ, რომ ეს პროგრამა მას მტკიცედ და გულმოდგინედ დაეცვას ბოლომდე.

მით უფრო სიამოვნებით აღვნიშნეთ უძველესი რუსული გაზეთის სიმპატიური დამოკიდებულება ჩვენს ცხოვრებასთან

და ამ ცხოვრების თავისებურ საფუძველთან, რომ თვითეული ჩვენი ეროვნული თვისება და განსაკუთრებით ენა ისეთ საფრთხედ გადაიქცა, რომ მართა მის გაგონებაზე თუ გახსენებაზე თითქმის გონებას ჰკარგავენ არამც თუ ისეთი გაზეთის პუბლიცისტები, როგორც არიან „Черноморский Вѣстник“-ის მწერლები, უწარჩინებულესი პუბლიცისტები და მოწინავე დასის მოღვაწენიც. მართლაც, ჰკითხულობთ ამისთანა მოღვაწეთა ნაწერებს სხვებისა და ჩვენ შესახებ და ვერ წარმოგიდგენიათ, რა მიზეზია, რომ ყოველთვის მძლავრი ლოგიკის მქონემ, დარბაისელმა და სინილისიერმა მკვლევარმა მხოლოდ ჩვენ შესახებ გამოიჩინა სიმჩატეობა და აჩქარებული მსჯელობა, რომ ყოველთვის სამართლიანი და ჭეშმარიტების მოყვარე მხოლოდ ჩვენ შესახებ შეიქმნა ერთბაშად უსამართლო, რომ მუდამ საუკეთესო და საიმედო პროგრესისტი მხოლოდ ჩვენ შესახებ იქცა რეტროგრადად?

ასეთ მაგალითს წარმოგიდგენს ბ-ნი კონი, რომელსაც ამ დღეებში წაუკითხავს პეტერბურგის იურიდიულ საზოგადოებაში რეფერატი კავკასიის სამოსამართლო დაწესებულებათა შესახებ.

ბ-ნი კონი ამ ეჟმად ერთი საუკეთესო იურისტთაგანია რუსეთში, უწარჩინებულესი ორატორია, სიმპატიური მწერალი და წინმსვლელობის ერთგული პუბლიცისტი. იგი ღრმად დარწმუნებული და ენერგიული მოსარჩლეა როგორც 1864 წლის სამოსამართლო წესდებათა საერთოდ, ისე ნაფიც მსაჯულთა სამართლისა კერძოდ. ნამდვილ სამარლის ქმნა, მისი აზრით, მხოლოდ ნაფიც მსაჯულებს შეუძლიანთ.

წარმოიდგინეთ, რომ ასეთის მიმართულების და აზრების კაცმა ამ დღეებში, როცა ჩამოაგდო ლაპარაკი კავკასიის სამოსამართლო დაწესებულებათა ვითარებაზე, წარმოსთქვა ის აზრი, რომ ნაფიც მსაჯულთა სამართლის შემოღება შეიძლება კავკასიის მხოლოდ ჩრდილოეთის მხარეში, სადაც დიდ უმრავლესობას რუსნი მკვიდრნი შეადგენენო. რაც შეეხება კავკასიის აქეთა მხარეს, ამის შესახებ არას ამბობს. ცხადია, რომ



ბ-ნ კონის აზრით ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სამართლის შექმნა მოღება შეუძლებელია, რადგან, ჩვენს ხალხს რუსული ენა არ შეუთვისებია.

ეს მიზეზი არ ახალია, ძველია. ამ მიზეზის უსაფუძვლო-ბაზე ჩვენ წინად გვქონდა ბასი*) და ამის თაობაზედ აქ სიტყვას აღარ ჩამოვადგებთ.

ბ-ნმა კონმა აუწყა კიდევ რუსეთის საზოგადოებას, რომ კავკასიის აქეთა მხარეში საშინლად გავრცელებულია ავაზაკობა და კაცის-კვლაო. ხშირი კაცის-კვლის მიზეზი ის არისო, რომ მკვიდრნი იარაღს ატარებენ, განმარტებს რეფერენტი იმ სიმჩატით, რომელიც არ შეეფერება მის ცნობილ დარბაისლობას და საქმის საფუძვლიანად შესწავლის ჩვეულებას.

ბ-ნი კონი შეეხო აგრეთვე მთარგმნელების შემწეობით სამართლის წარმოებას. ხოლო აგრე სამართლის ქმნის სიძნელე რომ წარმოიდგინა ამ გამოჩენილმა ორატორმა და საზოგადოდ ჩაგრულთა და დევნილთა მოსარჩლემ, ის ხალხი კი არ შეიცოდა, რომელიც არამც თუ ჰგრძნობს ასეთი სამართლის სიძნელეს, იჩაგრება კიდევ იმის სიმრუდისაგან, არამედ შეიცოდა მხოლოდ საწყალი მოხელე-მოსამართლე, რომლის შრომა, მისი სიტყვით, მსხვერპლად უნდა ჩაითვალოსო, თუმცა ყველამ ვიცით, რომ ამ მოხელეს აქ მეტი ჯამაგირიც ეძლევა და უფრო ჩქარა დაწინაურებაც მოელის სამსახურში, ვიდრე რუსეთში. აგრეთვე უგზოობის გამო ბ-ნ კონს ებრალება უბედური მოხელე, რომელიც იძულებულია ზოგიერთ ადგილას ცხენოსნობა გამოიჩინოს, და არას დარდობს ხალხისთვის, რომელიც უგზოობის გამო ბევრად უფრო გასაქირშია, რომელსაც თავისი მოსავალი ვერსად გაუტანია გასასყიდად, რომელიც წყალდიდობის დროს უგზო-უხიდობის გამო სტიქიონის ხშირი მსხვერპლია. ბ-ნ რეფერენტს, თუმცა იგი რუსეთში შემოღებული ერობის უეჭველი თანამგრძნობია, ფიქრადაც არ მოსდის, იკითხოს, თუ აგრე მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში რატომ არ

*) იხ. „მოამბე“ 1895 წ. № VIII—სამოსამართლო წესდების გადასინჯვის გამო“ და № XI—„შინაური მიმობილება“.

უნდა იყოს რიგიანი გზები, ვინ და როგორ განაგებს იმ ფულს, რომელიც იკრიბება ადგილობრივ საქიროებისათვის და სხვა?

ბ. კონი სხვათა შორის იმეორებს სხვისგან გაგონილ ამბავს, რომ კავკასიის აქეთა მხარეში ისე გავრცელებულა ცრუმოწმობა, რომ არსად რუსეთში მაგის მსგავს ვერ შეხვდებითო, ამის შესახებ არავითარი საბუთი, არავითარი სტატისტიკური ცნობა კი არ მოჰყავს რეფერენტს, თუმცა ვიცით, რომ მართლმსაჯულების სამინისტროს ყველა დანაშაულთა რიცხვი აღნუსხული აქვს. ამიტომაც, როცა ვინმე ამტკიცებს, რომ ამ და ამ ადგილას ეს და ეს დანაშაულობა გავრცელებულიაო, მოვალეა მოიყვანოს არამთუ სასამართლოებში დაწყებულ საქმეთა რიცხვი, არამედ სასამართლოების გამამტყუნე-განაჩენთა რიცხვიც, რომელიც ცრუმოწმობის საქმეში განსაკუთრებით საჭიროა, რადგან ასეთს საქმეებში დანაშაული ან დამტკიცებულია და მაშასადამე დამნაშავეც ცნობილი და გამტყუნებულია და ან ბრალდებული სასამართლომ არა სცნო დამნაშავედ და მაშასადამე დანაშაულსაც არა ჰქონია ადგილი.

სამწუხაროა, რომ ამ დროს, როცა სასამართლო წესდებანი მთელ იმპერიისათვის ხელ-ახლავ ისინჯება, ჩვენში არც ერთი იურისტი არ გამოჩნდა, რომ ხმა ამოეღო იურიდიულ პრესსაში და საფუძვლიანად გამოერკვია, თუ რა ცვლილება არის საქირო მართლ-მსაჯულების წარმოებაში ჩვენში, თუმცა იურისტები არ გვაკლია. პირიქით, ჩვენს ჟურნალ-გაზეოობაში მუდამ ის ჩივილი ისმოდა, რომ იურისტები მეტად ბევრი გვყავსო.

რამდენიმე თვეა მას აქედ ამოიღო ხმა მხოლოდ ბ. მიხეილ გეგიძემ, წინად ქუთაისის და ეხლა კი ვიტებსკის ოლქის სასამართლოს წევრმა. მან დაბეჭდა მართლ-მსაჯულების სამინისტროს ჟურნალში (Ж. М. Ю., 1896 г. № 8) სტატია—Къ вопросу о реформѣ уголовнаго судопроизводства въ Закавказскомъ краѣ. მაგრამ ვაი ამისთანა ხმის ამოღებას! თითქო „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო“ და ბ-მა გეგიძემ იმის მოტანა მოისურვა ჩვენ წინააღმდეგ.

ხსენებულ სტატიას მეტისმეტი სუბუქი, ანეკდოტიური ხასიათი აქვს. ვერც საბუთს, ვერც დალაგებულ მსჯელობას იქ ვერ იპოვით. ავტორს ვერ გამოუჩენია მოვლენათა ანალიზის ნიჭი. აზრთა არევე-ღარევა და ერთმანეთის წინააღმდეგობა კი ხშირია. ამ სტატიის გაჩხრეკა თავიდან ბოლომდე საჭიროდ არ მიგვაჩნია.

ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ სტატიის ორიოდ დედა-აზრს, თუ შესაძლოა აგრე ვუწოდოთ ისეთ აზრს, რომელსაც ავტორი ერთ გვერდზე ამტკიცებს და მეორეზე კი არღვევს.

ავტორი თავის სტატიაში სხვათა შორის აღძრავს კითხვას, შესაძლოა კავკასიაში ნაფიც-მსაჯულთა სამართლის შემოღება, თუ არა, და გადაჭრილს პასუხს იძლევა, რომ ასეთის სამართლის შემოღება შესაძლებელია მხოლოდ სტაეროპოლის გუბერნიაშიო, სადაც, როგორც ვიცით, მკვიდრი მოსახლობა რუსობა არის. ამ რიგად ბ-ნი კონი უფრო გულ-უხვი გამოდგა კავკასიისათვის, რადგან იმან ეს წესი გამოიმეტა მთელი ჩრდილოეთის კავკასიისათვის. კავკასიის აქეთა მხარეში კი შეუძლებელიაო, ამბობს ბ-ნი გეგიძე, ნაფიცთა-მსაჯულთა სამართლის შემოღება, რადგან

„არც ცხობრება კავკასიის ერთა, არ ხასიათი და განვითარება ჯერ არ მისულა იმ წერტილამდე, რომ ნაფიც მსაჯულთა სამართალს შეეძლოს სარგებლობა მოუტანოს მართლ-მსაჯულებას ამ ერთა შორის. იქო, — განაგრძობს თავის მსაჯულებას ბ-ნი გეგიძე, — სადაც არსებობს გვაროვნობითი შურის-ძიება და ეს შურის-ძიება ჩვეულებით დაკანონებულია, სადაც პარტიობა უკიდურესობამდე მისულია. სადაც ხალხი აწინდელ მართლ-მსაჯულებას დასციენის, სადაც მოქალაქენი თავის მოვალეობას არ ჰგძობენ და სადაც მოწმები იმისათვის როდი მიდიან სასამართლოში, რომ დაენმარონ მართლ-მსაჯულებას ქეშმარიტების აღმოჩენაში, არამედ იმისათვის, რომ მოატყუოს მართლ-მსაჯულება და, რა გზითაც იქნება, გამოიხსნას თავისი მოძმე, მეზობელი და ნათესავი, — იქ აღგილი არა აქვს ისეთ დაწესებულებას, როგორც არის ნაფიც მსაჯულთა სამართალიო. საკმაოა მხოლოდ გავიხსენოთ, როგორ სწარმოებს კავკასიის აქეთა მხარეში არჩევნები მარშლებისა, ქალაქების მოურავთა და სხვა თანამდებობის პირთა სამოქალაქო გამგეობაში და ბანკებში, გავიხსენოთ, რა გაშმაგებამდე მიდიან პარტიები, როგორ ავიწყდებათ მათ კაცის ყოველივე კეთილ-შობილი და სამართლიანი

გრძნობა და მათ შორის უფრო ძლიერი პარტია მხოლოდ მუქარით და ხანჯლის ტრიალთ ირჩევს მარშლად და ქალაქის მოურავად ისეთს გვამს, რომელიც არც ზნეობრივ და არც გონებრივ თვისებითა ღირსი არ არის ასეთის არჩევისა, გაციხსენოთ ყოველივე ეს და მაშინ ყველასათვის ცხადი იქნება, რომ შეუძლებელია, ასეთს ერს მიენდოს ისეთი დიდ-მნიშვნელოვანი საქმე, როგორიც არის მართლ-მსაჯულების წარმოებაჲ.

განვიხილოთ თვითეულად ზემოჩამოთვლილი მოსაზრებანი ბ-ნი გეგიძისა და დავრწმუნდებით, რომ საშიში ჩვენისთანა ერისთავის მართლ-მსაჯულების საქმის ჩაბარება როდია, საფრთხილო ის არის, როცა საკანონმდებლო საგნის განხილვაში გაერევა ისეთის ცოდნით აღჭურვილი და ხალხის ცხოვრების ისეთი მკვლევარი, როგორიც ჩვენი ავტორია.

ნათიც მსაჯულთა სამართალი იქ შეუძლებელია, სადაც არსებობს ჩვეულებით დაკანონებული შურის-ძიებაჲ. ჯერ ერთი ის უნდა შევნიშნოთ ავტორს, რომ გეგაროვნობითი შურის-ძიება ყოველგან არ არსებობს კავკასიის აქეთა მხარეში და სინიღისიერს მკვლევარს არასოდეს არ ებატება ამ გარემოების დამალვა; არ ებატება აგრეთვე უარჰყავს შემოღება მთელ ქვეყანაში სასურველი დაწესებულებისა მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომელიც არსებობს ქვეყნის მარტო ერთ კუთხეში. შემდეგ ამისა, უეჭველია, ავტორს ამ მოსაზრებით იმის თქმა უნდოდა, რომ სადაც შურისძიება არსებობს, იქ ხალხი ძლიერ ჩამორჩენილი ყოფილა განათლების მხრივ და ნათიც მსაჯულთა სამართალი კი მხოლოდ განათლებულ ერს შეჭვერის. მაგრამ ასეთი აზრი შემცდარია. ნათიც მსაჯულთ სამართალი განათლებულ ერთა გამოგონილი და შექმნილი არ არის. იგი უხსოვრის დროიდან ჰქონიათ, როგორც ფრიად განათლებულთა, ისე გაუნათლებელ და ბარბაროსულ ერთა. რაც უფრო უთანხმოება და გარჩევა სუფევს დაწერილ კანონსა და ხალხის ზნე-ჩვეულებას შუა, იმდენად უფრო საჭიროა ნათიც მსაჯულთა მონაწილეობა სამართლის წარმოებაში, რადგან მათი დანიშნულებაა შეუფერონ ერთმანეთს ეს ორი ძალა და ასამართლონ ხალხი აწინდელ საზოგადოებრივი სინიღისის კვალობაზე. ეს არის დიდი ღირსება ნათიც მსაჯულთა სამართლისა.

რაც შეეხება პარტიობას არჩევნების საქმეში, ამას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ჩვენს საგანთან და რამდენადაც ვიცით, არც ერთს ნაფიც მსაჯულთა მოწინააღმდეგეს არ წამოუყენებია ეს გარემოება თავის აზრის დასამტკიცებლად. მართლაც, სად არ არის პარტიობა არჩევნების დროს, რომელ ქვეყანაში არ მიდის პარტიობა უკიდურესობამდე, მაგრამ ამის გამო ნაფიც მსაჯულთა სამართალი არ გაუუქმებიათ. ამერიკაში არჩევნების დროს პარტიების ბრძოლა და მათი ვნებანი უკიდურეს ზომამდე მიდის, ბევრი მონაწილე ქუაზედაც სცდება, მაგრამ ამის გამო არამც თუ ნაფიც მსაჯულთა სამართალი არ მოუსპიათ, თვით-მმართველობისათვისაც ხელი არ უხლიათ. იგივე ითქმის საფრანგეთის შესახებ, სადაც, მაგალითად, მინისტრმა კოსტანმა პარლამენტში დეპუტატს სილა გაართყა და სადაც „პანამის საქმე“ მოხდა, რომელშიაც ხალხისაგან ამორჩეულმა კაცებმა ხელი გაისვარეს. უღირს კაცებს ქალაქის მართველობაში და ერობის გამგეობაში რუსეთშიც ირჩევდნენ, მაგრამ ამის გამო ნაფიც მსაჯულებს არ შეჭებიათ, მხოლოდ არჩევნების წესი შესცვალეს 1892 წელს, თუმცა არც ამ წესს გაუუმჯობესებია არჩევნები.

უკანასკნელი და ავტორის აზრით უუძლიერესი ბრალდებითი მუხლი ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სამართლის წინააღმდეგის არის, რომ ჩვენი ხალხი დასცინის და მტრად ეკიდება მართლმსაჯულებას, რომ იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობს სამართალს გამოჰგლიჯოს დამნაშავე, ამისათვის არ ერიდება არც ცრუ-მოწმობას, რომელიც მეტად გავრცელებულია ჩვენში.

„ჩვენ თვითონ არა ერთხელ დავსწრებივართ, როცა საქმის დასრულების შემდეგ გამართლებული ბრალდებული ან მისი ნათესავი წინდაწინ დაპირებულ ფულს ურიგებდნენო მოწმეებს აშკარად, საქვეყნოდ“.

ცრუ-მოწმობის შესახებ თითქო არ გვეთქმის იგივე, რაც ბ-ნ კონს ეუბასუხეთ. ბ-ნ კონს საბუთი მოვთხოვეთ. ბ-ნ გეგიძეს საბუთი მოჰყავს—თავისივე მოწმობა. ხოლო ეს საბუთი ძლიერ სუსტია, იმიტომ კი არა, რომ მისი მოწმობა არ

გვწამდეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან აღნიშნული ფაქტი, თუნდაც იგი სამჯერაც, ათჯერაც და ასჯერაც მომხდარიყო, მართა იმას ამტკიცებს, რომ ჩვენში ცრუ-მოწიბობა არსებობს,—ამას არც არავინ უარ-ჰყოფს, აბა სად არ არსებობს იგი,—და არა იმას, რომ მთელი ერი მხოლოდ ცრუ-მოწმეთაგან იყოს შემდგარი, ისე რომ მათ შორის მოსამართლის ამორჩევა შეუძლებელი იყოს. თვით ის გარემოება, რომელიც ავტორს საბუთად მოჰყავს,—მე თვითონ დავსწრებივარ ამისთანა შემთხვევასაო,—ამტკიცებს, რომ ეს ამბები მომხდარა ვიწრო წრეში, სადაც ბრალდებული, მოწმეები და მოსამართლე (ავტორი) სრულიად იცნობოდნენ და არას უმაღლავდნენ ერთმანეთს, თუმცა კი ახირებულია და ჩვენთვის გაუგებარი ასეთი მათი დამოკიდებულება. ამიტომაც ამ კერძო შემთხვევების განზოგადება განუვითარებელი ქკუის საქმეა და არ შეჰშვენის იმას, ვინც იკვლევს ისეთ რთულ საგანს, როგორც არის იურიდიული ცხოვრების წყობილება.

აწ არსებულ სამართლისა და ჩვენი ერის დამოკიდებულების შესახებ ბ-ნ გეგიძეს რომ ეთქვა, ეს დამოკიდებულება არ არის სასურველი იმიტომ, რომ პირველი ვერ არის საკმაოდ შეფერებული მეორეს ზნე-ჩვეულებასთან, ამაზე თითქმის არა გვეთქმოდა-რა გარდა იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სამართალი მით უფრო საჭიროდ უნდა ჩაეთვალა ავტორს, რადგან ხალხისაგან ამორჩეული მოსამართლეები ამ ნაკლს მოსობდნენ. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ამის თქმა არ უნდოდა ავტორს; იგი ამტკიცებს, რომ ჩვენს ხალხს არავითარი საფუძველი არა აქვს მოსამართლეს და სასამართლოს ემდურებოდეს, რომ ხალხი თუ მტრულად უყურებს მათ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დამნაშავეთა უფრო თანაუგრძნობს, ვიდრე მართლ-მსაჯულებასო და ასეთი ხალხისაგან აბა როგორ შეიძლება მოსამართლეთა ამორჩევაო. ეს რომ მართალი იყოს, ჩვენი ხალხი რომ ასე ერთიანად ბოროტი, მხოლოდ დამნაშავეთა თანამგრძნობი და სამართლის მტერი იყოს, მაშინ ხომ ამოიხოცებოდა იგი ამდენ ხანს? ეს რომ მართალი იყოს, მა-



შინ მარტო ნაფიც მსაჯულოთა წინააღმდეგ კი არ უნდა გამოგელაშკრებიათ, ბ-ნო გეგიძე, ისიც უნდა გეთქვათ, რომ ამისთანა ხალხისაგან არც მართებლობის მიერ დანიშნული მოსამართლე ვარგა-თქო. შეიძლება თქვენ ამტკიცებდეთ, რომ მხოლოდ გაუნათლებელი კაცი არ ვარგა ჩვენში ნაფიც მსაჯულოდ, თორემ განათლებული კი გამოდგება მოსამართლედ, რადგან განთლება, გონების განვითარება და კანონების შესწავლა კაცს მართლ-მსაჯულების სიყვარულს და სამართლიანობის გრძნობას უნერგავს გულში? მაგრამ რომ არც ამის იმედს გვაძლევთ ჩვენის ერის შესახებ?!

რამდენად ნაკლებ იყო ხალხი განვითარებულიო, — ამბობს ავტორი, — რამდენადც ნაკლებ იყო მან კანონები და სამართლის წესი, იმდენად უფრო თაყვანსა სცემდა იგი სასამართლოს, იმდენად უფრო პირნათლად და გულ-წრფელად აძლევდა იგი ჩვენებას სასამართლოში“.

მაშ ბ-ნი გეგიძე როგორღა მოსამართლობს? იქნება ბ-ნი გეგიძე სულ სხვა, არა ჩვეულებრივი კაცია? თუ ეს ჰსურდა, ბ-ნი გეგიძეს ეთქვა თავისი სტატიით სამინისტროს ჟურნალში, ეს ხომ სხვა საქმეა, ამას, კარიერის სიყვარული ჰქვიან და არა საზოგადო საქმისა. მაგრამ არა, ამას არ დავსწამებთ და მსახურებულ მოსამართლეს. უფრო ადვილი საფიქრებელია, რომ ავტორმა თვითონ არ იცოდა, რის თქმა უნდოდა. ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ავტორი ერთს და იმავე აზრს ბოლომდე არ ადგა. მაგალითად, პირველ გვერდზე ამბობს, რომ:

„ალექსანდრე II-ის დიდებულმა რეფორმებმა უეჭველად სინათლე მოჰფინა კავკასიის ბნელსა და უფერულს ცხოვრებასო, რომელსაც მინიჭა განთლების და პროგრესის სიკეთეო.“

მეთვრამეტე გვერდზე კი ამბობს იმას, რაც ზემოდ მოვიყვანეთ და თან თვითონ უკვირს:

„აზიურებული მოვლენა ეს კავკასიის აქეთა მხარეში: წინაღ, სამოსამართლო რეფორმის პირველ ხანებში ხალხი აქ უფრო პატივსა სცემდა და მოწიწებით ეკიდებოდა სასამართლოსაო.“

კიდევ ერთი გვერდის შემდეგ აი რაღას ამბობს ავტორი:

„კავკასიის აქეთა მხარის ერთა ცხოვრება და განვითარება ჩქარის ნაბიჯით წინ მიდის და ცხოვრების და განვითარების ასეთს მიმდინარეობას მართლ-მსაჯულებაც თან უნდა მისდევდესო.“

ავტორის ასეთი აზრთა-რყვეა იმის ნიშანია, რომ მას მოვლენაც ნამდვილად ვერ შეუნიშნავს და მოვლენის მიზეზისათვისაც ვერ მიუგნია. მართლაც, ამ ორში ერთი უნდა იყოს: ან ხალხი ნამდვილად უკან მიდის ზნეობითა და გონებითაც და მხოლოდ იმიტომ ეკიდება მტრულად მართლ-მსაჯულებას, და მაშინ შეუძლებელია ვთქვათ, რომ ხალხის ცხოვრება და განვითარება წინ მიდის და მართლ-მსაჯულებამ უნდა მისდიოსო მას, ან-და მართლ-მსაჯულების წარმოებაში არის ისეთი ნაკლი, რომელიც არ იზიდავს ხალხის გულს და მაშინ კი გვეთქმის, რომ მართლ-მსაჯულებამ ხალხის ცხოვრებას თვალი უნდა ადევნოს და მის მიმდინარებას უნდა მისდიოს. თუ კი ამას არ ასრულებს მართლ-მსაჯულება, იმ შემთხვევაში ხალხის მახედ გულ-აცრუება მისივე (მართლ-მსაჯულების) ბრალი უნდა იყოს.

რომ ეს უკანასკნელი მოსაზრებაა მართალი და არა პირველი, ამაში დავრწმუნდებით, თუ გაეიხსენებთ, რა იყვნენ და როგორ მოქმედებდნენ ახალი სასამართლოები პირველ ხანებში. როგორც რუსეთში, ისე ჩვენში ახალ სასამართლოში მიიწვიეს მოწინავე კაცები, რომელნიც სულით და გულით თანაუგრძობდნენ დიდებულ იდეას ახალის სასამართლო წესდებისას—„правда и милость да царствуетъ въ судахъ“ და ისე მსახურებდნენ ამ იდეას, როგორც შეყვარებული თავის სატრფოს. ეს მოსამართლენი მაშინ არც ჯამაგირებზე ზრუნავდნენ, რადგან იმ დროის პირობაზე ყველას კარგი ჯამაგირი დაენიშნათ და არც დაწინაურებაზე, რადგან თვით კანონმა გაათანასწორა ყველა მოსამართლენი ერთმანეთში და ჩინები და ორდენებიც მოსპოა. საქმეებიც მაშინ ცოტა იყო. მოსამართლენი არ ჩქარობდნენ ბევრი საქმის გარჩევას და არც მთავრობა თხოულობდა, რომ მოსამართლეს მაინც და მაინც

ამდენი და ამდენი საქმე გაეთავებინა. მოსამართლე მაშინ¹ რა საქმესაც გაარჩევდა, გულმოდგინედ გაარჩევდა, ბრალდებულს, მოწმეებს და დამცველს სრულის ყურადღებით უსმენდა. ყოველივე ეს დიდი ხანია შეიცვალა. ამ ცვლილებაზე გავლენა ჰქონდა როგორც დროთა ვითარებას, ისე წესდების დამახინჯებას, მის დედა-აზრების შეკვეცას და მოსამართლეთა ახალი ტიპების გაჩენას.

ყველას ამას დაუმატეთ ის ნაკლი, რომელიც დაერთო სასამართლოს წარმოებას საკუთრად ჩვენში, მაგალითად ის, რომ მოსამართლეს და მომჩივან-მოპასუხეს ერთმანეთის არა ესმით-რა, რადგან სამართალი სწარმოებს ხალხისთვის უცხო ენაზე და მთარგმნელებიც თავის დანიშნულებისათვის არ არიან მომზადებულნი; დაუმატეთ ისიც, რომ ორი ინსტანციის და-არსების გამო ერთი ინსტანცია რომ ამართლებს ბრალდებულს, მეორე ამტყუნებს, და დამეთანხმებით, რომ ხალხის უკმაყოფილებას სასამართლოსადმი დიდად პატივ-სადები მიზეზი აქვს. ამ უკმაყოფილების მოსასპობად საჭიროა აწინდელი სამართლის წარმოების ყველა ნაკლულევენებათა თავიდან აცილება და ამასთანავე ხალხსაც უნდა მიეცეს მონაწილეობა მართლ-მსაჯულებაში.

აწინდელ სამართლის წარმოებაში რომ ბევრი ნაკლულევენება არის ჩვენში, ამას ბ-ნი გეგიძეც აღიარებს. სხვათაშორის იგი ამბობს, რომ სამართლის წარმოება შეუძლებელია, თუ მოსამართლეს და ხალხს ერთმანეთის არ ესმითო. მაგრამ ავტორი ვერ ბედავს, პირდაპირ და გადაჭრით სთქვას, რომ სამართალი ხალხის ენაზე სწარმოებდესო და ან მოსამართლემ მაინც იცოდეს ხალხის ენაო. ავტორი იმით კმაყოფილდება, რომ მთარგმნელები უკეთესები ინიშნებოდნენ და ამისათვის მათ ჯამაგირები მოუმატონ. სულ არაობას ესეც სჯობია, რასაკვირველია, მაგრამ საოცარი ის არის, რომ ამ ცვლილების ხარჯს ავტორი აკისრებს სოფლის საზოგადოებას, რომელსაც თავის ხელ-მოკლეობის გამო სკოლებიც ვერ დაუარსებია და სხვა ამისთანა საჭიროება ვერ დაუკმაყოფილებია. ან რად და-

სჭირდა ავტორს, რომ ეს ხარჯი თავიდან ააცილოს მართლ-მსაჯულების სამინისტროს, რომელსაც ხალხისაგან უიმისოდაც საკმაო ფული შემოსდის საჩივრებისა, მარკებისა, პირობათა შეკვრისა, უძრავი მამულის სყიდვა-გაყიდვისათვის და სხვ.

ჩვენა ვთქვით, რომ ბ-ნი გეგიძე ერთ რომელსამე აზრს მტკიცედ არ ადგია. ამის მაგალითები ზემოდ მოვიყვანეთ და კიდევ უნდა მოვიყვანოთ.

შემდეგ იმისა, რომ ბ-ნმა გეგიძემ გადაჭრით უარ-ჰყო ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სამართალი, აი რას ამბობს იმავე სტატიისში:

„ხოლო მართლ მთავრობისაგან დანიშნულ მოსამართლესაც გაუჭირდება კავკასიის აქეთა მხარეში მართლ-მსაჯულლება აწარმოვოს. ის გარემოება, რომ მოსამართლეებმა არ იციან ადგილობრივი ენები და ჩვეულებანი, ძლიერ უშლის ხელს ნამდვილ სამართლის ქმნას.“

ამისათვის საჭიროა სასამართლოში მონაწილეობა მიიღოს ხალხის ელემენტმა.

„ხალხის ელემენტის მონაწილეობა სასამართლოში შეჭმნის სასამართლოს იმ წესიერს და სასურველს ტიპს, რომელიც ყოველგან საჭიროა საზოგადოდ და განსაკუთრებით კი კავკასიის აქეთა მხარეში.“

ამის მთქმელი, იმედი გეძლევათ, მომხრე უნდა იყოს ნაფიც მსაჯულთა სამართლისა, მაგრამ არა, ავტორმა გზას კიდევ გადაუხვია და იმ აზრს დაადგა, რომ ჩვენში სჯობს შემოიღონ სამართალი წოდებრივ წარმომადგენელთა თანადასწრებით. ამ ტიპის სასამართლოს ნაკლებევენება უკვე ნაჩვენებია გვაქვს*) და ამიტომ აღარ გავჩერდებით ამ საგანზე. ხოლო საკითხავი ის არის, თუ რად აძლევს ავტორი ამ ტიპის სასამართლოს უპირატესობას. ავტორი, რასაკვირველია, იმ აზრისა არ არის, რომ წოდებრივი წარმომადგენელნი, როგორც უფრო განვითარებულნი, უფრო სანდო მსაჯულები იქნებიან. ავტორი, რომ ამ აზრისა არ არის, ეს ზემოდ დავინახეთ. მართლაც,

*) იხ. „მოამბე“, 1895 წ., № VIII.

ავტორი არც მაინცა-და-მაინც აფასებს წოდებრივ წარმომადგენლებს, როგორც სჩანს შემდეგი სიტყვებიდან:

„ხოლო კიდევ უკეთესი იქნება, რომ წოდებრივ წარმომადგენელთა მაგიერ სასამართლოს სხდომაში მონაწილეობას მიიღებდნენ ორი და სამი კაცი, რომელთაც უნდა ირჩევდნენ მაზრებში ისე, როგორც რუსეთში ირჩევენ ნაფიც მსაჯულთა; ცენზი ამ ამორჩეულთათვის იგივე უნდა იყოს, როგორიც არის დადგენილი რუსეთში ნაფიც მსაჯულთათვისო.“

ასეთი პროექტი ჩვენთვის ისეხა ბ-ნმა გეგიძემ ნაფიც მსაჯულთა იმ მოწინააღმდეგეთაგან, რომელნიც უარ-ჰყოფენ აწინდელ ნაფიც მსაჯულთა სამართალს ყოველგან და ყოველ ქაშს და ფიქრობენ, რომ ხალხის წარმომადგენელნი ვერ შესძლებენ სამართლის წარმოებას მხოლოდ თავის განუვითარებლობისა და თვით საქმის სირთულის გამო და არა იმიტომ, რომ ვითომ წარმომადგენლები ზნეობით დაცემულნი და მართლმსაჯულების მტერნი იყვნენ. ბ-ნ გეგიძის პირიდან კი გასაკვირველია ეს პროექტი, რადგან ჩვენი ავტორი, როგორც თვითონ ამბობს, საზოგადოდ მომხრეა ნაფიც მსაჯულთა სამართლისა, და ჩვენში კი მას უარ-ჰყოფს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი, მისი აზრით, მტერია მართლ-მსაჯულებისა. მაშ მტერი რად უნდა მოიწვიოს საქმეში მონაწილედ. მართალია, ავტორი ამ მტრის რიცხვს ამცირებს და მართებლობისაგან დანიშნულ მოსამართლეებს უმოჩილებს მათ, მაგრამ მტერი, ბევრი იქნება თუ ცოტა, მაინც სანდო არ უნდა იყოს. თუ კი ასეთი ხალხის წარმომადგენელნი მტრები არ არიან და რაიმე სიკეთის მოტანა შეუძლიანთ, მაშინ რატომ ისეთ მდგომარეობაში არ აყენებს იმათ, რა მდგომარეობაშიც ყველა განათლებულ ერსა ჰყავთ იგინი? ამის პასუხს ვგონებ დიდ ხანს ვერ ვეღირსებით ავტორისაგან...

ეს მიმოხილვა ძლიერ გაგრძელდა, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ ერთი ამბავი, რადგან ამ ამბავს სარჩულად უდევს იგივე აზრი, რომლის თავობაზე დღეს ვბასოობთ ზემოხსენებულ ავტორების წინააღმდეგ. ჩვენ ვამბობთ იმ კანონ-პროექტზე, რომელიც გაზეთების სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინის-



ტროს შეუტანია სახელმწიფო საბჭოში. ამ კანონ-პროექტს საგნად აქვს განაწესოს ბათომის ოლქში მიწა-ადგილის მფლობელობის და საკუთრების საქმე. დღემდის ეს საქმე აწეწილ-დაწეწილია. არავინ არ იცის, ვის რა ეკუთვნის. ამდენ ხანს მთავრობა უფრო იმ აზრისა იყო, რომ ყველა მიწა-ადგილი ბათომის მაზრაში სახაზინოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან ეს ადგილები რუსეთმა შემოიერთა ოსმალეთიდან და ოსმალეთის კანონებით კი მიწა-ადგილი მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენსო და კერძო კაცი მისი მხოლოდ დროებითი მფლობელიაო. შარშან ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ფონ-რეზონმა ერთი სტატია დაბეჭდა «Министерства Юстиціи»-ს ჟურნალში და სარწმუნო საბუთებით დაამტკიცა ამ აზრის შეცდომილება. ეხლა მიწად-მოქმედების სამინისტროს წარუდგენია შემოხსენებული კანონ-პროექტი, რომლის აზრით ბათომის ოლქში მიწა-ადგილი უნდა იცნონ იმ პირთა საკუთრებად, ვისიც მფლობელობაშია იგი. პროექტის ავტორის წინადადებით ეს განკარგულება არ უნდა შეეხოს მკვიდრთა, რომელნიც ვალდებულნი უნდა იყვნენ თავისი საკუთრება დაამტკიცონ კანონიერის საბუთით. ამ წინადადებას, გაზეთებისავე სიტყვით, წინააღმდეგა თურმე მართლ-მსაჯულების მინისტრი, რომელმაც წარმოსთქვა ის აზრი, რომ სამართალი ყველას ერთიანად, ეროვნების განურჩევლად, უნდა მიენიჭოსო...



მედიკალინობა თუ მზი?

(წერილი რედაქციის მიმართ)

მუღმივი მშვიდობა საფლავშია.

ლეონიცი

ბ-ნო რედაქტორო! თქვენს უუჩნალ «მოამბეში», ამ წლის პირველ ნომერში არის დაბეჭდილი ბ-ნ შ. ეულის წერილი, სასკლდობრ, რა არის ომი? რაგორც შინაარსიდანა სჩანს, ბ-ნ ეულის სურს განიხილოს საჭირო არის ომიანობა და ბრძოლა, მოითხოვს ამისთანა სასტიკ საშუალებას ქვეყნიერობის საჭიროებას თუ არა.

აქ მოყვანილ შ. ლეტურნოს აზრები, დასამტკიცებლად იმისა, რომ ომიანობა და ბრძოლა უსარგებლო და მანებელი საშუალებაა, მხოლოდ ვიწროდ არჩევს ამ საგანს და უფრო მოითხოვნე მკითხველს ვერ დააკმაყოფილებს.

ამ საგანზე ბევრი რამ არის დაწერილი, მრავალ მეცნიერთა აზრები არიან ქალაქდზე გადაღებულნი; მაგრამ ქვეყნიერობის განხრის შემდეგ, ჩვენს დროში, კერძოთარმა აზრმა ვერ მოსძო ომიანობა და ბრძოლა; ნამეტურ, შეჩნეულია, რომ რამდენადაც, ჭკუითა და გონებით, საფხის განვითარება მატულობს, იმდენად უფრო ხშირდება ომიანობა და ბრძოლა ქვეყნისაზე.

მაგალითად ავიღოთ უკანასკნელი მეცნარმეტე საუგუნე, რომელიც ჭეშმარიტად მალა სდგას ევკლას სხვა საუგუნეზე მეცნიერული განათლების მხრივ; ვნახავთ, რომ არას დროს, არც ერთ საუგუნეში ასე ხშირად ომები არ მომხდარა.

ეს ომები იყო: რუსთა და კავკასიელთა შორის, რუსთა და სპარსელთა შორის, რუსთა და ოსმალთა შორის, ფრანგების ომიანობა ალჟირში, ეარიმის ომი, ფრანგთა და ავსტრიის შორის, მექსიკაში, ამერიკაში, ინგლის-საფრანგეთსა და ჩინეთ შორის, შლეზ-



ვიგში, ავსტრიასა და შრუსიას შორის, საფრანგეთისა და შრუსიას შორის, რუსთა და რსმაღლთა შორის, ფრანგების ომიანობა ტრინიში, იაზონიასა და ჩინეთს შორის, იტალიასა და აბისინიას შორის და სხვა წერილობანი ომები. ერთ წელიწადსაც კერ განსაკუთრებულ ბრძოლას მოსწობილიყო.

ამერიკის წარჩინებულმა პირებმა—გრანტმა, ლიომი, მორგანმა, ფორსტერმა, ლინკოლმმა და სხვებმა კარგად იცოდნენ, რომ ამერიკის შტატთა შორის ბრძოლას ბევრ მსხვერპლს მოინდომებდა, მაგრამ იმისაც ვეულებს ზეცმნობდა, რომ მონების და დანაგრეული ხალხის განთავსებისთვის უბრძოლველად შეუძლებელი იყო, რადგანაც პოლიტიკური კამათით არა გამოვიდა-რა.

კინ არ იცის, რომ ძველ ბერძნების და რომაელების განათლებას დიდი გავლენა ჰქონდა ქვეყნიერობის ვითარებაზე; მაგრამ რადგან ამ განათლებას წინააღმდეგ ქრისტიანული აზრები და მიმართულება, რომელიც სხვა მშვიდობიან განათლებას და კაცთ-მოყვარობას ქადაგებდა, მაშინ ძველ ცივილიზაციას ძალა-უნებურად ადგილი უნდა დაეთმო ახალ ქრისტიანულ აზრებისათვის. ამისთანა ცვლილების მოხდენა შეუძლებელი შეიქმნა უომრად.

მაშინდისთ სჯულის კანონი ეუბნება: ვინც მართლმადიდებელ სარწმუნოების კაცს ბევრს დახრცავს, იმას პირველი ადგილი უქნება საიქიასო. ამ სარწმუნოების ძალით, თათრებს რომ ნება მიეცეთ, ხომ გასწვეტენ ქრისტიანობას! მაშ რა საშუალება ვინმართ, თუ არა ბრძოლით და ომით დავიცვათ ჩვენი არსებობა!

წინდაწინ ვიცო, ამაზე მიზანუხებენ: ხმლით კი არ უნდა ჩააგონოს კაცმა კაცს, საზოგადოებამ—საზოგადოებას კეთილი აზრები, არამედ განათლებით, სწავლით, მშვიდობიანი რჩევით. ეს დაიდაც უმჯობესია; მაგრამ, თუ შენი რჩევა არა სწამს! სანამ ის შენს რჩევას დაეთანხმება, ხომ ბევრ ავაზაკობას და მკვებელ საქმეს მოახდენს. პეტრეს მოსკლამდი პავლეს ხომ ტყუავა გააძრეს!

რაც უნდა კარგი და სასარგებლო აზრი გამოითქვას, წინააღმდეგ იმისა, რომელიც არსებობს, მაშინვე საზოგადოება განიფრთვება ორ ნაწილად: ერთს ძველი სწამს და მეორეს ახალი; ბოლოს თავდება ბრძოლით; მით უფრო სასტიკ ბრძოლით, რამდენიც უფრო მტკიცე და პატიოსანი არიან ორივე მხარე.



ვინც კარგად ჩაჭკვირვების ძველსა და ახალ ისტორიას, უკვე აღაქვდა, რომ ათასი იმისთანა გარემოებაა, არის და იქნება, რომელიც ვერავითარ პოლიტიკით, რჩევით და ბასით ვერ დასრულდება, თუ არა ბრძოლით.

ეს სამწუხაროა, მაგრამ ნამდვილია, და თუ რამე სანატრელია, მხოლოდ ის, რომ ომიანობა უფრო იშვიათად სდებოდეს და უფრო შემსუბუქებულ იქნას. ამისი ცდა არ აკლია უკანასკნელ დროს.

ჭკვენიერობის ბუნებისთვის სულ ერთია ვინ დაინაგრება და ვინ გაიმარჯვებს, მხოლოდ ეს კი ნამდვილია, რომ უკეთესი დარჩება და უარესი მოიშრება. თუ ყოველთვის ასე არ არის, ეს ცალკე შემთხვევაა და არა კანონი. ამას ხომ დარწმუნებულ კვიტეტიკებს არა ნაკლებ სთავუძეობანდა, ვიდრე ლეტურზნოს აზრები.

ომიანობა თუ უსათუველოდარც მოხდება ხოლმე, ეს მხოლოდ კაცობრიობის სისუსტეა და ხაკლუღეკანება.


საწამლაკი არის ისეთი მასალა, რომელიც ხშირად იმარება ავადმყოფის სასარგებლო წამლების შესადგენად; მაგრამ თუ კვიტეტიკი საწამლაკი მომეტებულად გაუროს წამალში, მაშინ იმ წამალს ადამიანის აკებულება ვერ იტანს და კვდება.

გამოვირებული ქარი ბევრ უსამოკუნებას აყენებს: ადამიანს, მაგრამ ბუნებას არა აქვს შეწინააღმდეგება ჩვენი უკმაყოფილებებისა და დროგამოშვებით ისეთ ქარიშხალს გვიგზავნის, რომელიც დაბერებულ და დამაღლ ხე-ტყეას შეუბოკრად აჭრებს და სთხრის, რომ ახალ ბუნებებს გზა დაუფლავს, ჭკერი გაუშინდოს და ძირი გაუმიგროს.

სიცოცხლე არის მოძრაობა; მოძრაობა არის ბრძოლა. რაც არ მოძრაობს და არ იბრძვის, ის ან გაჭკვდება და ან ტბად იქცევა და აყროლდება.

ახალი აზრის და ცნობრების დაბადებას, უკვე აღაქვდა, ადრე თუ გვიან, მოსდევს სიკვდილია ძველსა, მასისადმი ბრძოლა, იმიტომ რომ თავის ნებით სიცოცხლეს არავინ შორდება.

რა დროს მოიშრება ბრძოლა და ომიანობა? მაშინ, როდესაც კაცობრიობას, აგრეთვე ყოველ ცნობრულ მოქმედებას სურვილი თავის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მოკლედ რომ ვთქვათ: ან სიცოცხლე და მიუტოვებული ბრძოლა, ან მოძრაობის შეწყობა სთავუძეობანდა შინა!



1897 წ. 29 იანვარი
ქ. შინსკი

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია.

გამომცემელი
ალექსანდრე ჭყონია.

1897

„მ ო ა მ გ ე“

თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეოთხე)

გ ა მ ო ვ ა ი მ ა ვ ე პ რ ო ზ რ ა მ ი თ

ფასი ჟურნალისა გაზაფხვით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . .	10 მან.	6 მან.	4 მან.
სასტვარ გარე	13 მან.	7 მან.	5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წაგნას მადანებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაჟრა, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერა დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მოწერით ფულს მიღების კვიტანტა გაგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანტიაზე.

ქალაქ გარეშე მცხარებთათვის აღწესა: *Тифлис, Редакция „Моамбе“.*

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი. დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

გ ა მ ო ვ ი ღ ა ლ ა ი ს ყ ი ღ ე ბ ა

ქართველთა აზხანავლობის გამოცემანი

ცეცხლითა ღა მახვილითა

ისტორიული რომანი

გ. სენკევიჩისა

თარგმანი

გ. ეიფშიძისა

980 გვ. ფასი 1 მან. 60 კაპ.

დასტურ-ღამა

თ. ნ. დავიანისა

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ფასი 25 კაპ.

ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის, ან ფას-დადებით გაიწერს
არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, 30% დაეთმობა.

გვერდის აზიარებ:

„ჩვენ ქსნის ერისთ[ა]ვი პ[ა]ტრონი შალვა ბატონის მამის ჩემის ერისთვის დაე[ი]თის ჰირს და სიგელს ვამტკიცებ გიორგობისთვის კდ, ქქს უამბ შალვა“.

227. განწესების წერილი მეფის ირაკლი მეორისა, 32X16 სანტი-მეტრი, დაწერილია ქალაქდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი.

1767, გიორგობასთვის 29. ქ. ესე განწესება გიბძანეთ და ამას ზედ დაგაყენეთ თქვენ, რომელნიც ჩვენის ძმის, მისის უწმიდესობის კათალიკოს-პატრიარქის, ანტონისგან მცხეთას დადგინებულნი ხართ, დღეს რომელნიც გლენი დაგვიყენებია, იმათზედ მოურავად და თავად და უფროსად სარდალი შიოშ, ასე გიბძანებთ, რომ დღეიდან მოკიდებული ოთხს წელიწადს თარხანნი არიან ყოვლის გამოსაღებისაგან, რანიც მანდ მცხეთას კაცნი იდგებიან, არც ლაშქარი და არც რა სხვა გამოსაღები არა ეთხოვებთ რა. თუ ვინმე თავი გაუტეხოს ერთმანერთსა, ან ჩხუბი მოუვიდეს, ან სხვა რამ ამგვარი წვრილი საქმე მოჰკდეს, იმისი თარხნობა არ გვიბძანებია, რომელიც იქიური საქმე იყოს, ყარაულობისა, სიფრთხილისა, მოვლისა, გარჯისა, ყველაზე ასე ბეჯითი უნდა იყენეთ, კარგი იქნება, ქვეყნის შესამატი, თქვენ მოგეცემათ ჩვენი წყალობა, და თუ რომ წაქდა რამე, იცოდეთ ასე გარდაგვლებათ, რომ ისე არცა ვის[მ]ე გარდაჰკლოდეს. ყარაულს ყოველთვის დააყენებდეთ, ხალხს გაათრთხილებდეთ, ან მტრისაგან არა წააკდენინოთ რა, ან მოუფლევლობით ზღაპარებით არ წაქდეს რა, თორემ თქვენ გეკითხებთ, იცოდეთ ეს ჩვენი ბძანება ასე აღსრულდება, და თქვენ იცით, რასაც ბეჯითი შეიქნებით, გიორგობის კთ, ქქს უნე.

ქ. და თუ თქვენ ამ საქმის შემძლებელნი ვერ შეიქმენით და ერთი რამ ნაკლებობა შეგიტყვევით, ამ საქმეს და მანდაურს თაობას და მოურაობას იცოდეთ მაშინვე სხვას უბოძებთ და მიეცემთ ერგელე ¹⁾.

¹⁾ სრული წარწერა ისეთია, როგორც № 152.

განის აშიაზე სწერია ირაკლის წელით:

გედეონის ძვე შიოშ სარდალო, ეს ოქმი თქვენთვის მოგვიწერია, თქვენ უნდა ამ საქმეს განაგებდეთ, ავიც თქვენ გეკითხვის და კარგსაც თქვენ დაგიმადლებთ ერეკლე 1).

228. ლაშქრობის სიგელი მეფის ირაკლი მეორისა, 37×14,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღდზედ ნუსხა მხედრულის წელით. ნიშნები თითქმის სრულებით არა აქვს.

1769, აგვისტოს 11. ქ. რადგან ძველათ ნეტარ-ხსენებულის ჩვენის ჩამომავლობისაგან სვეტის ცხოველის ყმისა ასე განწესება ყოფილა, რომ რაც სვეტის ცხოველის ყმა ქართლს, იმერეთს, კახეთს, საათაბაგოს, სომხითს, თუ საცა იყოს მის უწმინდესობის კათალიკოზს უნდა ახლდეს და თავის ყმით ჩვენს დროშა[ს] ბძანდებოდეს, ჩვენც ასე განგვიწესება: რაც კახეთში საკუთარი სოფელი სვეტის ცხოველის ყმა არის, იმათი ჯარი მისს უწმინდესობას ჩვენს ძმას, კათალიკოზს, უფალს ანტონის, იახლებოდნენ და თავისის ჯარით ჩვენს დროშაზე ბძანდებოდეს, და თუ მათი უწმინდესობა იმ ჯარში არ ბძანდებოდეს, რომელიც მათი სარდალი არის, მათი ყმა ყოველივე იმას ებაროს, ჩვენს დროშაზე იმყოფებოდნენ და ჩვენის ბძანებით ყოველსავე მათს საქმეს მათი სარდალი არიგებდეს, სხვას კელი ნურავისა აქვს. აგრევე რაც ფანჯიექი აიღებოდეს, თავეთის საკუთარის ყმის ფანჯიექი მათს უწმინდესობას მიერთმეოდეს, და რაც ჩვენი და მათის უწმინდესობისა საერთო ყმა არის, იმათი ფანჯიექი, რაც იქნებოდეს, როგორც იმათი დებულობა ბეგარა გაიყოფოდეს, აგრევე იმათი ფანჯიექი გაიყოს, და მათი წილი მათს უწმინდესობას მიერთვას. აღიწერა აგვისტოს 11, ქვს უნჯ ირაკლი 1).

განის აშიაზე სამი წარწერაა სხვა და სხვა წელით:

ქ. ჩვენ ყოველისა საქართველოს ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის ბძა-

1) სრული წარწერა ბეჭედისა ისეთია, როგორც № 217.

ნებას ვამტკიცებთ, როგორცა უბოძებია, ჩვენც ისე გვიბოძე-
ბია სამცხეთოს სარდლობა, ბეცია გედეონის შვილო, მარტის
კბ, ქკს უზჭ—1800.

† მეფე სრულ
იად ქარილისა და
კახეთისა და სხ
ვათა გიორგი

ქ. ჩვენ სრულიად საქართველოს მეფის ძე მეშვიდრე, რუ-
სეთის ლენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით ამას ვამ-
ტკიცებ, მარტის კზ, ქკს უზჭ.

ფეხი

ქ. მეფის ძე იოანე ამ წიგნს ვამტკიცებთ, აპრილის აგ, ქკს
უზჭ—1800.

იოსელი

229. წერილი მეფის ირაკლი მეორისა, 19,5×16 სანტიმეტრი, და-
წერილია ქალაღზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნები თითქმის
სრულებით არა აქვს.

1769, დეკემბრას 2. ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენსა იმედით
მისაჩენელს შოშია სარდალს ასე უამბეთ: მერე ქარიზხანთან
გასაგზავნათ კაცნი ქართლსა და კახეთში ყველას შესწერდა. ამ
წესით ეს შეწერილნი კაცნი წლამდინ იქნებიან, წლის თავს
სხვა მონაცვლე ჩაუვათ, და ესენი კაის პატივით და წყალობით
წამოვლენ. ამ შეწერით რაც ქართლში სვეტის ცხოვლის ყმა
არის, ამათ სამი კაცი უნდა გაგზავნონ თ[ქ]ვენ, და თარხნიანთ
ყმანი თეთრათ უნდა მოგიდგენ სამ თუმანს, სხსარეთა უნდა
მოგიდგესთ ერთს თუმანს, ახლავ ეს სამი კაცი სამცხეთოდამ
უნდა გაარიგო ამ ოცს და ხუთს დღეზე ცხენით, იარაღით, ტა-
ნისამოსით და გზის ხარჯით, აქ ქალაქს მზათ უნდა გყვანდეს.
ამის დაგვიანება და გაუწიგებლობა არ იქნება. აღიწერა დეკემ-
ბერს 2, ქკს უნზ. სამცხეთო კაცს გაგზავნით, თუ სხვას იშოვ-
ნით და შეიჯერებთ, ჩვენ ყაბული გვაქვს, ქართველი კაცი კი
[იყო]ს. ეს სამი კაცი უნდა გაარიგოთ [ერეკლე 2].

2) წარწერა ისეთია, როგორც № 152.

230. პირობის წერილი, 28,5×20,5 სანტიმეტრი, დაწერილია ჭკა-
 ლალზედ ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება თითო
 წერტილი.

1770, მარტის 9. ქ. ესე წიგნი მოგეც მე გურჯი ბე-
 რუანთ ხიზანას შვილმა ივანემ თქვენ, ბატონის პატრიაქის მო-
 ლარეთხუცეს კნიაზ გედევონის ძეს პაატას, ასე რომ მე მი-
 სის სიმაღლის მეფის ირაკლის ბძანებით ქვეითკენ ყულათ წა-
 ველ, და მოვალეებმა თავი აღარ დამანებეს, რომ წავსულიყავი:
 ოც და ოთხი თუმანი ვალი მქონდა, მოველ ჩემის ნების მყოფ-
 ლობით, შემოგეხვეწე და რაც ჩემი მამული მქონდა ან ბალი,
 ან ნავენახობი, ან სახნავი, ყველა შენ ბერი მართათ(?) შენ მოგარ-
 თვი ამ ორის წლის ვადითა, თუ ორს წელიწადზედ მე მოველ
 და შენი თეთრი, რაც სამართლით შენი თეთრი იყოს, მოგარ-
 თვა, ჩემი მამულები მევე დამანებო, და თუ ორს წელიწადს ვერ
 მოვიდე, ჩემი მამულები ყველა შენთვის მომირთმევი, გებრია-
 ნებოდესთ, წყალობა უყავით, გებრიანებოდესთ, გაყიდეთ, მე
 კელი აღარ მქონდეს-რა. არის ამისი მოწამე ჩვენი მოურავი
 მგალობელი იოსებ იოსებ და მამასახლისი ანტონი მამასახლი-
სი ანტონი მელ-
 ქუა მელქუა და შატნა შონა და
შატნა და ბერუა კირაკოზას შვილი ქ, ლ
 მე დეკანოზს მიხაილს დამიწერია ივანეს სიტყყითა და მოწამე
 ვარ. დაიწერა მარტის თ, ქკს უნ^შ შნ და
იოანე.

231. წერილი მეფის ირაკლი მეორისა, 18×15 სანტიმეტრი, დაწე-
 რილია ქალღმერთ ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება
 ორ-ორი წერტილი.

1774, ანგრას 13. ქ. ჩვენ მაგიერად შოშია სარდალს
 ასე უამბეთ: მერმე ჩვენი აქლეშები ზემო-ქართლში გაგვიგზავ-
 ნია, ნიკოლოზ უზბაში მიუძღვის, შენც მცხეთელები დამწვან
 კოშკამდი გაატანე, რომ ღთით ღანთას-კანა მშვიდობით გაა-
 ტარონ, რადგანაც სამცხეთოს ბაქს ქვეყანა გაძღვესთ, ვალი
 გაქვსთ, რომ ხან-და-ხან გზა დაუყარაულოთ, იანრის აგ, ქკს

უაბ, რაც ჩვენს აქლემებს საქონელი ჰკიდა, სამცხეთო ბაზი ამათაც გამორთმევია. ერეკლე.

232. წერილი ბატონისშვილის ლეონისა, 25,5 X 15,5 სანტიმეტრი, დაწერილია სქელ ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნები არა აქვს.

1777, ქასტაშობასთვის 2. ქ. ბატონისშვილი ლეონის დღე ყოველ სახსოვარო, ბატონო სარდალო შოშიავ, ¹⁾ მრავალ მოკითხვა მოგვხსენოს! მერმე ამ ქრივმა დედაკაცმა დიდის მწუხარებით შემოგვიჩივლა, და შენს ხაბაზს ზურაბის ამ დედაკაცისა ოც და ორი კოდი ფქვილი მართებს, თამასუქიცა აქვს, სალბათ (sic), რომ ეს დედაკაცი შენთან მოვიდეს და ეს ჩვენი წიგნი მოგიტანოს ამა, რაცა იმ თავისას თამასუქით შენის ხაბაზისაგან სათხოვარი სქონდეს (sic), გამოურთვათ და მისცეთ, ჩვენც დაგიმადლებთ და შენთვისაც მადლია. ქრისტისშობისთვის ბ, ქქს უაჟ. ქ. სალბათ, რომ ეს დედაკაცი აღარ აჩივო და რაც ასადები სქონდეს, მიაცემინო. ლეონ ²⁾.

233. წერილი მეფე ირაკლი მეორისა, 20,5 X 16 სანტიმეტრი, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი.

1779, მარტის 18. ქ. ჩვენ მაგიერად კათალიკოზის სარდალს შოშიას ³⁾ მოკითხვა უამბეთ. მერე გუშინაც წიგნი მოგწერეთ და ჯარით საგუწამეს დაგიბარეთ, ახლაც ამას გწერთ, რომ არ დაიგვიანოთ და საჩქაროდ წამოხვიდეთ, და ამ თვის ოცს უთუოდ საგურამოს უნდა გამოხვიდეთ. ეს წიგნი, ვიცით, გზაზედ შემოგეყრებათ და საჩქაროდ წამოდით, ამის მეტი წიგნი ნულარ გინდათ. აღიწერა აგვისტოს აბ, ქქს უაზ. ქ. ჩვენს შვილს იულონთან წამოდით გაუყრელად, შენ ნუ წამოხვალ შენი ერთ

¹⁾ ეგ შოშია არის გელგვიანისშვილი.

²⁾ სრული წარწერა ბეჭედისა ისეთია, როგორც № 298-სა-

³⁾ ეს შოშია გელგვიანისშვილია.

ერთი ძმა წამოვიდეს, და შენ მაგ ეკლესის მუშაობაზედ იყავ და მოუარე ერეკლე ¹⁾

234. განჩინების წიგნი, 44,6 X 25 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაქ-დზედ ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ აქა იქ იხმარება წერტილი და იშვიათათ ორ-ორი წერტილი.

1788, სექტემბრის 10. ქ. ჩუტან ყოვლისავე საქართუ[ს] ლოჯისა მეფემან, ირაკლი მეორემან, ჩუტანთან ვიახელით საქართუ[ს]ლოს მსაჯულთ შეკრებილებანი: შოშია გედეონისშვილი და აღსაბაძე დიმიტრი სამართალში ვალაპარაკეთ. დიმიტრი ასე ჩიოდა: „ჩემს მამულში რუ გამოიღო, ჩემსავე მამულში წისქვილი დააბრუნა, სამართალი მალირსეთო.“ შოშიამ მიუგო: „სათავე სხვისი იყო, იმ სხვის სათავედამ წყალი გამოვიტანე დიდის ჭირნახულით, შენის სათავედამ არ წამომიღია და შენი წყალი არ წამომიღია, მართალია წყალმან შენი მცირე ადგილი დაიტანა და შენის წისქვილის ადგილი ხარაბა იყო, სოფელს წისქვილი ეჭირებოდა და ავშენეო“. ჩუტან რომ ამათი საჩივარი მოვისმინეთ, ეს სამართალი მივეციით: რომლის სათავედამაც შოშიას წყალი წამოუღია, ის სათავე და წყალი აღსაბაძისა არა ყოფილა. იმ სხვის სათავედამ შოშიას წყალი წამოუღია, დარჩა სამართალით შოშიას თავისგან გამოტანილი წყალი, ამისთვის რომ რომელიც წყალი შოშიას წამოუღია, ის წყალი აღსაბაძისა არა ყოფილა და სათავე, რა საქმე აქვს შოშიას, საცა უნდოდეს თავისი წყალი იქ წაიღოს და ამ აღსაბაძის მამულში ვეღარ გაატარებს, და ვეღარც ამ აღსაბაძის მამულში დააბრუნებს, საცა უნდოდეს, იქ დააბრუნოს, შოშიას ამ აღსაბაძის მამულში საქმე არა აქვს-რა. მანამ შოშია სხვაგან წისქვილის ალაგს ააშენებდეს, მანამდინ უნდა იმავე აღსაბაძის მამულში უნდა იაროს იმ წყალმა და აღსაბაძის წისქვილი აბრუნოს. იმისი მოსავალი ნახევარი შოშიას და ნახევარი აღსაბაძეს და როცა შოშიამ სხვაგან ან რუ გაიღოს და ან წისქვი-

¹⁾ სრული წარწერა ბეჭდისა იხეთია, როგორც № 152-სა.

ლის სახლად ააშენოს, მაშინ წაიღოს ის წყალი, თორემ ახლავე წაიღებს, რომ სოფელი უწისკვილობით არ შეწუხდეს. ამისი მოასილი, მირიანაშვილო პეტრე, შენ ხარ, ასე აღ[ა]სრულე! სექტემბერს ა, ქვს უოგ. ქ. ექვსი თვე ვადა მიგვიცია, ამ ექვს თვეზე შოშიამ აღსაბაძის მამულიდამ უნდა აიღოს წისკვილი და სხვაგან დააბრუნოს.¹⁾ (აზის ოთხი ბეჭედი მსაჯულობისა. ერთზე აწერია „ნიკოლოზ“, მეორეზე—მსაჯულთუხუცესი... მდივანი სოლომონ. წარწერა სხვებისა არ განიჩევა).

განჩინების თავში ორი წარწერაა: ირაკლისა და დარეჯანისა:

ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოსა მეფე ირაკლი მეორე ამ განაჩენს ვამტკიცებთ სექტემბერს აგ, ქვს უოგ. ქ. განაჩენში ვადა არ მიეცათ და ჩვენის ბრძანებით ექვსი²⁾ თვე ვადა დავაწერინეთ, ამისთვის რომ სოფელი უწისკვილობით შეწუხდებოდა და ამ ექვს³⁾ თვეზე მანამ სხვაგან წისკვილი დააბრუნდებოდეს, ამ წისკვილმა იმუშაოს, ნახევარი შოშიას და ნახევარი აღსაბაძის მიეცეს. აუ ეს ვადა არ მიგვეცა, საჩქაროდ ვერც ერთი წისკვილს ვერ დააბრუნებდა და სოფელი უწისკვილობით შეწუხდებოდა (ერეკლე⁴⁾).

ქ. ჩვენ ქართლისა და კახეთისა და სხვათა დედოფალი, დადიანის ასული, პატრონი დარეჯან, მისის უმაღლესობის ბოძებულს განჩინებას ამას, ჩვენც ასე ვამტკიცებთ, ფებერვლის ქვ, ქვს უოგ

დფლი
დარეჯან

235. წყალობის სიგელი, 26 X 19,2 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღზე, ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება თითო წერტილი.

1797, მაისის 9. ქ. ჩვენ ყოვლისა ზემოისა საქართველოსა და კახეთისა და სხვათა მეფემან ირაკლი მეორემან წყა-

¹⁾ ეს უკანასკნელი სტრიქონები სხვა ხელით არის მიმატებული.

²⁾ ეს სიტყვა წაშლილია და ზემოთ დაწერილია: ხუთი.

³⁾ ეს სიტყვაც წაშლილია და ზემოთ აწერია: ხუთს.

⁴⁾ სრული წარწერა ბეჭედისა ისეთია, როგორც № 189-სა.

ლობა გიყავით თქვენ გედევანის შვილებს შიოშს და ბეციას ანაშენდას და წერადგანას მოურაობა [მოგეცით ყოვლ]ისა მისის სამართლიანის საქმითა. ღონ ჩვენსა და სვეტის ცხოვლის ერდგულობაში მოგახმაროსთ ყოვლის კაცის უცილებლად. მისის თ, ქკს უშე. ქ. თქვენ უნდა იმ ეკლესისა და იმის უწმინდესობის სამსახუროზედ ერდგულად უნდა გაისარჯნეთ ერგკლე ¹⁾.

აშიაზე ანტონის ხელით:

ქ. მცხეთისა და სრულიად საქართველომესა კათალიკოზ-პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი წერილსა ამას ვამტკიცებთ, მისის აშ, ქკს უშე. — 1810. ანტონი (ხელჩართულათ).

236. არძა და არძაზე მინაწერი განჩინება მეფის გიორგი XIII-სა, 22X14,5 სანტიმეტრი, დაწერილია ლურჯ ქაღალდზე ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ ნახმარია აქა-იქ თითო წერტილი.

1799, აქტომბრას და. ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსახსენებელი, მათის მლოცველის მთავარ-ეპისკოპოსის პაისიოსისგან.

ორი იმერელი სამთავროს ყარაულად ჯამაგირით მეყენა, დიდი ხანი იყვნენ, მცხეთას რომ ჭირი გაჩნდა, სამთავროს შევიდნენ, იქაც ჭირი გაუჩნდათ, სხვანი გამოვიდნენ, ორი კომლი ჭირნახანდი სამთავროს დარჩნენ. ერთს ჩემს იმერელს შეეყარა, მოკვდა, ერთი იმერელი კი მორჩა და გაიქცა. ეს სახლი ამ ორ კომლ კაცს მცხეთელს დარჩათ, ათი კოკა ღვინო სამთავროს იდგა, ოცი მცხეთასა, ფქვილი ქერი, სამარხო ნიგოზი, ჭურჭელი, ქვებები, სახლის ავეჯულობა რაც არის, თოფი, იარაღი, ესენი სულ ამ მცხეთელებს ჰქონდათ, ჭირითაც სახლი ამივსეს, კიდევ ამიკლეს. ჩემი იმერელი რომ მოკვდა, ოთხი თუმანი წელზედ ჰქონდა და სამის თუმნის თოფ-იარაღი ჰქონდა, მკუდარი საკირეში ჩააგდეს და რაც ჰქონდა ამ ორმა კომლმა წაიღო შეიდის თუმნისა. წყალობას ვითხოვთ, მცხეთის მოურავს ბეციას ებრძანოს, ეს ჩემი სახლის აკლებაც მოიკითხოს,

¹⁾ სრული წარწერა — № 156.

რა უყვეს და იმერელი რომ დამარხეს, როგორც სხვას ჰქონდა ნახადს ქირიანი მკვდარი დაემარხოს, მომატებით მისცეს და სხვა გამოართვას, რომ იმ საწყალობელსა ანდერძის აგება უნდა და წირვა, ჩემო კელმწიფევ! ოკტომბრის ღა, ქქს უზზ.

თავში არძაზე არის წარწერა მეფე გიორგის ხელით:

ქ. ჩვენი ბძანება არის, მცხეთის მოურავო გედევანის შვილო ბეციავ! მერე ამ არზით მთავარ ეფისკოპოზს პაისიოს ასე რომ მოუხსენებია, ეს საჩივარი შენ უნდა გაურვიო და გაბარო, უამისობა არ იქნება, ნოემბრის ბ, ქქს უზზ. + მეფე გიორგი.

237. წერილი მეფე გიორგი XIII-სა, 16×10 სანტიმეტრი, დაწერილია ლუჯ ქალაღღზე ნუსხა მხედრუღის ხელით.

1800, ნოემბრის 7. ქ. ჩვენი ბრძანება არის სარღლო ბეციავ! მერე შენი სასარღლო კაცი ახღავ ქუღზეღ კაცი უნდა შემოიყარო და საჩქაროთ მოგვაშვეღო, ნოემბრის ზ, ქქს უზზ გიორგი 1).

238. წერილი მეფის ძის დავითისა, 16×11,5 სანტიმეტრი, დაწერილია ქალაღღზე ნუსხა მხედრუღის ხელით. ნიშნები არა აქვს.

1801, იანვრის 23. ქ. ბატონო ცხეთის სარღლო მოურავო ბეციავ! მერე ქსნის ერისთვის შვიღებს თავეთი მამული უბოძეთ და შენ უნდა გაჰყვე საჩქაროთ და სამცხეთო შენი სასარღლო კაცი ქუღზეღ უნდა გამოიყვანო და თან გაჰყვე, რაღღენ შენის ერღგუღობისაგან ვიცოღდეთ, ეგზომ უნდა გაისარღო და ამათ შეეწიო. ახღა შენ იცი. იანვრის ჰბ, ქქს უზზ ფეწინღ

1) სრული წარწერა—№ 236.

239. წერილი დედოფლის დარეჯანისა, 23×19 სანტიმეტრი, დღე
რილია ქალაღლზედ ნუსხა მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმა-
რება მძიმე და წერტილი. პატივები უმეტეს შემთხვევაში გავსე-
ნით.

1806, ანგწას 8. უდ სამღუდლო მიტროპოლიტო, უფა-
ლო იონავ!

თქტსნი წიგნი მოგვივიდა, რომელშიაც გეთხოვნათ ჩტსნგან
მოწმობა მამის თქტსნის გედეონისშვილის მოლარეთ-ხუცის პაა-
ტასი და თქტსნის ძმის გედეონისშვილის გიორგის კნიაზობი-
სა; და მე ამით ქეშმარიტებით მცნობელი ვარ; როდესაც კურ-
თხეული კათალიკოზი რუსეთში გამოისტუმრეს, მაშინ მოლა-
რეთ-ხუცესი გედეონისშვილი პაატა სანატრელთ მეფეთაგა[ნ] იყო
კნიაზად გამოცხადებული; და კტაღად მეორედ კათალიკოზი
რომ გამოისტუმრა სანატრელმან მეფემან ჩტსნმან, მაშინ კი-
დევ თქტსნი ძმა გედეონისშვილი გიორგი კნიაზად იყო გა-
მოცხადებული. და როდესაც არტიკულები დაიწერა, იმ დროს
რომლისამე მიზეზით კურთხეული და ნეტარად სახსოვარი ჩტს-
ნი მეფე უწყრებოდა თქტსნს სახლსა და ამ მიზეზისათვს დარჩა
დაუწერლად კნიაზად გედეონისშვილი არტიკულში.

სხტსბრ გთხოვთ თქტსნის ვითარების ცნობით დაუვიწყე-
ბელ-მყოთ, რომ ლისთვსცა ფრიად მმადლობელად დავშთები.

თქტსნი უდ უსამღვდლოესობისა სამსახურის მოსურნე

საქართველოს დედოფალი დანაა

დღალი დარეჯან

იანვრის 6 დღესა.

წელსა ჩევ

პ.-ბურღს.

240. საჩუქრის სიგელი, დაწერილია დიდ ლურჯ თაბან ქალაღლზე
სხვილის რგვალი მხედრულის ხელით, ნიშნებათ იხმარება მძიმე
და წერტილი.

1811, ნოემბრის 17. ქ. ნებიტა და შეწვენითა ღისათა,
ჩვენ თავადთა გედეონის ძეთა, სარდალმან იოსებ, ძმისწულმან
ჩემმან მოურავმან ნიკოლაოზ, ძემან ჩემმან მოურავმან იოანე,



ძმისწულმან ჩემმან დიმიტრი, ძემან ჩემმან მილახორმან დავით, ძმისწულმან ჩემმან მოლარეთ-უხუცესმან სოლომონ, ძეთა ჩემთა ზურაბ, ზაალ და მერაბ, მოგიბოძეთ თქვენ ჩვენთა მემკვიდრეთა ყმათა ქებაძეთა გიორგის, იასეს, პეტრეს და იოანეს ფარსადაულას ზეით რუმდინა, ქვეით დარბასტანას რუმდინა, გვერდზე ქიტუაშვილს რომ სავენაკე უბოძეთ ფარსადაულას იქამდინა. იქით გვერდი ციციანთ ზურამდინ, თქვენის ერდგულეებითის ჩვენზედ სამსახურის ნაცულოდ და უმეტესად ამისათვის, რომ თქვენი ძმა პეტრე ჩვენს ძმასა და ბიძასა, ყოვლად უსამღუდლოვსსა მიტროპოლიტსა იოანას ახლდა რუსეთს და გულს-მოდგინებით ჰმსახურა, და მისმა ყოვლად უსამღუდლოვსობამაც მისი დიდი მადლიერობაც გვიბრძანა, რთნ ჩვენს სამსახურსა და ბედნიერობაში მოგახმაროსთ და არაოდეს არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა ჩვენისა შვილისა და სხუათა მომავალთაგან, და ვინცა კელ-ყოს შლად ამისსა, ისიცა მოიშლების თვისისა სახისაგან, და იყოს რისხვეულ მამისა და ძისა და წმიდისა სულისაგან. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხენეს. აღიწერა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, ნოემბერს აზ დღესა, ჩეია წელსა.

იოსებ თავადი გედევანოვი სარდალი.

თავადი მოურავი ნიკოლოზ გედევანოვი.

განის აშიაზე:

ქ. ამ ჩემის ძმის და ძმისწულეების წყალობის წიგნს ვამტკიცებ მიტროპოლიტი იოანა (აზის ბეჭედი იონასი).

241. წყალობის წიგნი კათალიკოზი ზებედესი, 77×15 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ რევალის და დიდრონის მხედრულის ასოებით. ნიშნებით იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. წიგნი საკმაოდ დაზიანებულია დროთა ვითარების გამო. ეს და ამას ქვემოთ მოყვანილი ოთხი სიგელი გედევანისწვილებისა გადმოგვცა პოდპოლკოვნიკმა ვლადიმირ გედევანიშვილმა, იმას შემდეგ რაც ზემომოყვანილნი სიგლები დავსტამბეთ. დედნები უკან დაკუბრუნეთ.

1610. ქ. სახელითა სახიერის, არსება დაუსრულებელის ღმრთისა, მამისა, ძისა, სულისა წმიდასათა, მეოხებითა ყოვლად



წმიდისა, ყოვლად უბრწუნელისა, ყოვლად ბიწ შეუხებელისათა
 დედოფლის ჩვენისა ღთს მშობელისა და მარადის ქალწულისა
 მარიამისითა. პატოხნის და ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა,
 ოხითა, შეწვენითა წმიდისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა
 და ნათლის მცემლისა იოვანესითა, და თანა მეტომისა მისისა და
 სენხის მობაძავისა იოანე ღთის მეტყველისათა, მინდობითა და
 შ[უამდგომელო]ბითა წმიდათა თავთა მოციქულთა პეტრეს და
 პავლესითა და ყ[ოველთა] ათორმეტთა მოციქულთა, თანა მოქ-
 მედობითა, მდგომარეობითა წმიდისა და ზეშთა არსისა, ცათა
 მობაძავისა, კათოლიკე ეკლესიისა და მას ზედა შინა ღმრთიე
 აღმართებულისა სვეტისა ცხოველისა, კვართისა საუფლოსა და
 მირონისა ღთ. მყოფელისათა. ამათ ყოველთა წმიდათა თავს
 მდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა, ეს უკინისამდე
 ჟამთა გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ ქრისტეს
 ღთისა მიერ კურთხეულმა, ყოვლისა აღმოსაელისა და ჩრდი-
 ლოსა დიდმან მამათ მთავარმან, კათალიკოზმა, პატრონმა
 ზებედე, შეგიწყალეთ და გიბოძეთ, კითხვითა და ნება დართუ-
 ლობითა ღთივ გვრგვანონისა მეფეთ მეფისა ლუარსაბისათა,
 მოგეცით და გიბოძეთ დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე
 ეკლესიისა ჯვარის მტვირთველსა ელიოზის ძეთა გედეონის-
 შვილთა დავითს, როსებს, ქაიხოსროს, ძმათა და მომავალთა
 სახლისა თქვენისათა ყოველთავე, და შეგიწყალეთ და გიბო-
 ძეთ ურქდგს: გილაშვილი გიორგი, დათუა მისის მამულითა ყოვ-
 ლითურთ უნაკლულოდ, მითთა, ბარითა, ველითა, ვენაკითა,
 წყლითა, წისქვილითა, სახლითა, კარითა, ქვევრით, მარნითა
 ყოვლითურთ უნაკლულოდ, კიდევ მოგიბოძეთ საოაგჯანა მი-
 სის მითთა, ბარითა ველითა, ვენაკითა, წყლითა, წისქვილითა,
 შესათიბითა ყოვლითურთ უნაკლულოდ, საღირაშვილი დათუა,
 პაპუა; ლომაური დათუა, კიდევ ლომაური ბერუა, ჯერკვალა-
 შვილი ვეფხი და მახა, ქარებლისაძე მალრიბა მისითა მამული-
 თა. გქონდეს და გიბედნიეროს ღთმა საყდრისა და ჩვენსა ერდ-
 გულად სამსახურსა შიგა შენ ჯვარის მტვირთველსა დავითს და
 როსებს, ქაიხოსროს. და თუ ვისმე სიგელი ჰქონდეს, სიგლითა

ამით გაგვიცუდებია. მტკიცე ესეოდენ არი. არა შეგეცვალოს და არა მოგეშალოს ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენსა სხვათა კათალიკოზთაგან. ამისი [დამამტკ]იცებელი ღმერთმან აკურთხოს, ღმერთმან და წმიდამან ღმერთის მშობელმან და კათალიკე საყდარმან. ვინც ჩვენი [ბრძა]ნებული სიგელი შეგიცვალოს, იცვალეების სჯულისაგან ქრისტიანითასა, ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, დათქმა დათან და აბირონისი, წრწოლა კაენისი, მეხტეხილობა დიოსკორესი. [ვინც შეგი]შალოს წმიდათამცა მამათა კანონსა ქ[ე]ეშე არის. დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე [ქვს] სეშ, კელითა ორუბეგის შვი[ლი]ს ქრისტეფორისითა.

(ხელწართულათ ხელს აწერს კათალიკოზი ზებედე და შემდეგ სპარსული წარწერაა მოყვანილი).

242. წყალობის წიგნი კათალიკოზ დომენტი მესამისა. 66 X 24,7 სანტიმეტრი. დაწერილია სქელ ქალღმერთზე რგვალი მხედრული ხელით. ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი თითოეულის სიტყვის შემდეგ. ინდიკტიონი აგ შეცდომით უნდა იყვეს ნაჩვენები აგ-ნის მაგიერ. თორემ გამოვა რომ დომენტის 1702 წელს კურთხეულა პატრიარხათ, ნამდვილად კი ის ეკურთხა 1705 წ.

1718. †. ჩუენ ყოვლისა საქართველოს მაკურთხეველმან და დიდმა მამათ მთავარმან, ჭთივ გვრგვნოსანთა მეფეთა შარავანდედმან, კათალიკოზ პატრიარქმან დომენტიმ, ესე უკუნისამდე ჟამთა და დრო ცვალებათა გასათავებელი, მტკიცე და უმიზეზო, წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ სვეტის-ცხოვლისა და ჩუენს მემკვიდრეს ელიოზის[შ]ვილს გედავანის[შ]ვილს დიმიტრის, შვილსა შენსა პეტრეს და მომავალთა სახლისა თქუენისა ყოველთავე, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ცოტას ხანს შენი სამკვიდრო და ბარათში გამოყოლილის წეროვნას მოურაობა გამოგართვით და შენს გასაყოფს პაპუნას მივეციოთ. აწ შენ შენი წიგნები გვაჩვენე და ჩვენც მოკითხული ვქენით და გავსინჯეთ და თქუენს მეტს კაცს შენს სახელოსთან კელი არავის-რა ქონდა და შენს საკელოს შენვე და-



გვეჯეთ, ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქუნი და გიბოძეთ თქუნი ნამკვიდრო და ბაზათში გამოყოლილი საკელო წყაროგნის მოურაობა ყოვლის კაცის უცილებლად და წამოუსაჩრდელად. გქონდეს და გიბედნიეროს ღონ სვეტის ცხოვლის და ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა და აროდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომად სხვათა კათალიკოზთა და მებატრონეთა გან. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღონ აკურთხენ. თვესანონებერსა აგ, ინდიკტიონსა პატრიარქობისა ჩუენისასა აგ, ქრისტეს აქათ ჩ.ღ აწ: არიან ამისნი მოწამენი და შუა დამხდურნი ჩვენი სახლთხუცესი მაღალაძე ამილბარ, გედავანისშვილი სარდალი ზაზა, დეკანოზი დანიელ, კანდელაკი გერასიმე, მოწობლიძე გაბრიელ, გარაყანიძე ბოქაულთ-ხუცესი მანუჩარ, მაღალაძე საან, ჭარმეული ქაიხოსრო, ქარსიძე ხოსრო და მესტუმრე თამაზ, მგალობელი დათუნა და ელიოზისშვილი მგალობელი აბიათარ, თაზიშვილი აეთანდილ და ყოველნი მცხეთისშვილნი ნების დამრთველნი ამისნი და მოწამენი ამისნი. ქქსა უგ. დაიწერა წიგნი ესე კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობარ-მგალობლის მაღალაძის სოლომონისათა.

შემდეგ ხელჩართულად:

კათალიკოზ პატრიარხი დომენტი ეამტკიცებ ნებითა ღთა.

243.

წყალობის წიგნი ანტონ პირველის კათალიკოზისა, 76,5 X 12,5 სანტიმეტრი, დაწერილია სქელ ქაღალდზე ლამაზის რგვალი მხედრულის ხელით. ნიშნებად იხმარება ზოგჯერ თითო და ზოგჯერ ორ-ორი წერტილი.

1747. †: ჩუენ ქრისტეს ღთისა მიერ მინდობითა დაფარულმან ძირმოდგომობით დაკითიან, სოლომონიან, შარავანდიან, პანკრატოვანთა რტოთავან აღმოცენებულმან, ჩუენ ყოვლის საქართველოსა და აღმოსავლეთისა მაკურთხეველმან, კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან მეფის იესესმან, ანტონიმ, ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუენ სვეტის-ცხოვლისა ყმა-

თა და ჩუენსა მემკვიდრეს და ერთგულობით და თავ-დადებით ნამსახურთ გედევანის შვილს პეტრეს, ერასტის, ძმისწულსა შენსა გიორგის, გედევანს და ივანეს და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე, ასე რომე მაღალა შვილს ფირანს თავისი ბიძა შვილი მოეკლა და ნიკოლოზს კათალიკოზს იმისთვის ყმა და მამული წაერთმეია საუკუნოდ. მერეთ მოხვედით ჩვენს კარს და წყალობას დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქვენი და მოგებოდეთ დისეკვის მოურაობა ყოელის კაცის მოუდევრად, უცილებლად და წამოუსარჩლელად, რაც სიგელი ამას იქით გამოჩნდეს, ამა სიგელმა გაამტყუნოს. გქონდეს და გიბედნიეროს ღონ საყდრის სამსახურსა და ჩვენსა ერთგულობასა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა სხვათა კათალიკოზთა და მეპატრონეთაგან. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღონ და მადლი კათოლიკე ეკლესიისა იყავნ მის ზედა, არამედ თქვენ ყოვლად წმიდანო და სანატრელნო კათალიკოზ-პატრიარქნო, რომელნიცა ჩუენსა შემდგომად იქნებოდეთ, თქვენცა აგრევე დაუმტკიცეთ და ნუმცა ვინ არს მშლელ ამის-და, რათა ღონ თქვენიცა გაგებული ყოველივე მტკიცედ ყოს. არიან ამისი მოწამენი და ნების დამრთველნი და შუა დამხდურნი ერთობილნი მცხეთის შვილნი. დაიწერა ინდიკტიონსა პატრიარქობისა ჩვენისასა: **ჴ: ქს** განხორციელებითგან **ჩღმზ**: კელითა მხატერის კელოვნის გრიგოლისძის აღექისისათა: **ქქს: ულე:**

შემდეგ ხელჩართულად:

კათალიკოზ პატრიარქი ანტონი ვამტკიცებ ნებითა ღათაჲ.

განის აშიაზე სხვა ხელით:

ქ: ჩვენ საქართველოს **ჴზ** პატრიარხი იოსებ ვამტკიცებთ სიგელსა ამას. **კათალიკოზ** (ხელჩართულათ).

244. არძა პეტრე გედევანიშვილისა და არძაზე მინაწერი ბრძანება ირაკლი მეორისა, 20×13,3 სანტიმეტრი, დაწერილია ქალღმერთ ნუსხა მხედრულის ხელით. ნიშნებათ იხმარება თითო წერტილი.

1782, დეკემბრის 22. ქ. ტონ ბედნიერის კელმწიფის ქირი მოსკვის პეტრე გედევანისშვილს თქვენის ძმის მეჯინიხეთ ხუცესს ბეციას.

მერმე ამას მოვახსენებ ჩვენს კელმწიფეს: მამა-ჩემს და გაბრიელს სარდარს ორი კვამლი კაცი ჰყვანდათ გასაყოფი, გავიყავით. ერთი იმას ერგო და ერთი ჩვენა. ახლა ახალქალაქს გახლავსთ ჩვენი ნარგები, გოროვნელი გახლავსთ, ივანე ექვშაურას ეძახიან, ბერი თარხნისშვილის კედლადა, პაპით და მამით ჩემი მემკვიდრე. თქვენი წყალობა ოქმიცა მქონდა ბეცია სამისშვილზე, მაგრამ არ ამიყარა. ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთის ოქმის წყალობა მიყოთ და იასაულისა, რომ ჩემი კაცი ამიყაროს და მომბაროს, ჩემო კელმწიფე, დეკემბერს კბ, ქკს უა.

თავში ირაკლი მეორის ხელით სწერია:

ქ. ჩვენი ბძანება არის, თუხარელო გოგიაფ. მერმე ვისაც იმისი ყმა ყვანდეს, ახლავ უნდა აუყარო და მოაბარო, და თუ ამაში სიტყვა ვისმე ქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს, დეკემბრის კთ, ქკს უა. ერეკლე¹⁾.

245წ ნასყიდობის წიგნი ლარაძიანთა. ამ წიგნის პირი ვიპოვნეთ დაწერილი ღერბის ქალღმერთზე. პირის სინამდვილეს დედანთან ამოწმებებს ოლქის სასამართლო 1868 წელს. ნიშნებად ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილი. ნასყიდობის წერილს აქვს ძრიელ ვრცელი ჩვეულებრივი შესავალი, რომელსაც ჩვენ განვებ ვტოვებთ. ეს და ამას ქვემოთ მოყვანილი ოთხი სიველ-გუჯარი ვიპოვნეთ წალკაზე მოგზაურობის დროს ზაფხულში 1896 წელს მართა ლარაძის ასულის კნეინა შალიკოვის სახლში, ნასოფლარ ეგრისში, გომარეთის მახლობლათ, და იქიდან გადმოვსწერეთ.

1687, მარტის 15.ესე.... ნასყიდობის წიგნი მართა ლარაძის ასულის კნეინა შალიკოვის სახლში, ნასოფლარ ეგრისში, გომარეთის მახლობლათ, და იქიდან გადმოვსწერეთ. გეცით ჩვენ დიასამიძემ დიასამ და ჩემი ძმისწულმა იასემ და

¹⁾ სრული წარწერა ბეჭედისა ისეთია, როგორც № 189-სა.



XI—ცხოვრება და მშობლობა. — ფხასა 31

ქრონიკა:

XII—ჩვენსა და სხვაბან. — ჩვენი თეატრი.— ვინ განაგებს ჩვენს საქმეებს.— გამგეთა მოვუცლელობა და სეზონის სისუსტე.— ბალი და კონცერტი.— კრიტიკების აჯანყება და მის სასურველი დაბოლოვება.— შვიი ჭირი და ჭირის აცრა. 70

XIII—ზინაური მიმოხილვა.— პროფესორი კრასნოვი და მისი პარალელი ინგლის-ინდოეთისა და რუსეთ-კავკასიის შორის.— Черноморский Вѣстник-ი — „კავკაზის“ ახალი რედაქციის აღსარება.— ბ-ნი კონის რეფერატი კავკასიაში მართლ-მსაჯულების წარმოების შესახებ.— ბ-ნი მიხეილ გეგიძის აზრი ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სამართლის შესახებ.— მიწად-მოქმედების მინისტრის კანონ-პროექტი ბათუმის ოლქში მიწა-ადგილის მფლობელობის განკარგებისათვის 81

XIV—მავდილობიანობა თუ ომი? — წერილი რედაქციის მიმართ გ. ჭავჭავაძისა 100

XV—განცხადებანი

დამატება:

XVI—საქართველოს სიძველენი 273 — 288

„მ ო ბ მ გ მ“

წელიწადი მეოთხე

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

7—10 თიბანი (224—320 გვ.)

ფასი ჟურნალისა გაზგაზნით:

1 წლით 6 თეთი 3 თეთი

— რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 10 მან. 6 მან. 4 მან.
— საზღვარ-გარედ 13 მან. 7 მან. 5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: პირველად—4 მან., 1 აპრილამდე—3 მ., და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა აღრესის გამოცვლისათვის ათი შაური უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: **Тифлисть, Редакция „Моамბე“**

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული წელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოაკლებულ და ან შესწორებულ იქნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში, — მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერა-მოწერა დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ხელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებულ იქნებიან როგორც უფასო.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭველად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ოლი ეგზემპლარი უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდინ ნაშუადღევს.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი **აღექსანდრე ჭყონია**
გამომცემელი **აღექსანდრე ჯაბაღანია**